ისტორიული სურათები

ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი

1965

მღ. დიმ. ჯანაშვილისა

გორი
მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“.
1914

მღ. დიმიტრი ჯანაშვილი

დიმ. იოსების ძე ჯანაშვილი დაიბადა კახეთში 1840 წელს. მაშინ ჯერ ისევ სულთნობა იყო და „სულთნობა“ კი ინგილოებისთვის მტარვალობას ნიშნავდა. ცოტაოდენი შეღავათი ჰქონდათ სულთნებისაგან მხოლოდ დიდ, ძლიერ და შეძლებულ გვარეულობებს და ისიც მისთვის, რომ ჰქონდათ მათგან საკმაო გამორჩომა: წელიწადში ერთხელ-ორჯერ ეწვეოდნენ ხოლმე მთელის სახლობითა და ამალით, სჭამდნენ, სვამდნენ, მთვრალობდნენ და ძღვენ-საჩუქრებით ბრუნდებოდნენ ილისოს. შემძლებელ და შეძლებულ ოჯახთაგან იყო აგრეთვე ბაირამ-ალი (სოლომონ) ჯანაშვილის სახლობაც. ერთხელ სულთანი დიდ მტარვალობას უპირებდა თურმე ინგილოებს. ბაირამ-ალი და სხვა წარჩინებული ინგილოები გამოეცხადნენ მრისხანე სულთანს და მოახსენეს: თუ შვება არ მოგვეცა შენგან, ჩვენ ავიყრებით და დედაბუდიანად, გადავალთ ალაზანზე და შევუერთდებით ჩვენ მოძმე ქართველებსო. სულთანი თურმე მოლბა და დაპირებული პატიჟი ააცილა საინგილოს.

დიმიტრი ჯერ ცხრა წლისა იყო, რომ ბიძა მისმა გიორგიმ ჩამოიყვანა ტფილისში და მონათლა. შემდეგ იგი, ათიოდე სხვა ინგილო ყმაწვილებთან ერთად, ჩაიყვანეს დედოფლის წყაროს სამხედრო სასწავლებელში, რომლიდგანაც მალე გადაიყვანეს ტფილისის სასულიერო სემინარიაში. სწავლაში დიდი ნიჭი გამოიჩინა. ისე გულადი, გამბედავი, დაურიდებელი, სიმართლის მოყვარე. ამისთანა თვისებამ ერთხელ კინაღამ არ დაღუპა იგი. რექტორ გიკტორინს რაღაც უკიეხობა ეთქვა, მას ვერ

მოეთმინა, მივარდნოდა და ეცემა. არ გამოერიცხათ მხოლოდ მისთვის, რომ წარჩინებული ქართველები მიშველებოდნენ როგორც საინგილოს ერთად-ერთ წარმომადგენელს. გულკეთილი რექტორიც აღარ გამოჰკიდებოდა და ეპატიებინა დიდსულოვნად.

კურსი დაასრულა დიმიტრიმ 1865 წ. სტუდენტად და აკადემიაში სწავლის გასაგრძობათ ვერ წავიდა ჯერ ერთი მისთვის, რომ მეტად ღარიბი დედ-მამა ჰყვანდა და მეორეც კიდევ მისთვის, რომ ტფილელ მოწინავე კაცებმა სთხოვეს საინგილოში ემსახურნა და იქაური ქართველობა დაეახლოვებინა დანარჩენ ქართველებისთვის. იგიც დამორჩილდა. ქიზიყში ცოლად შეირთო ერთი მეოჯახის ქალი ელენე და მღვდლად ეკურთხა საინგილო სოფელ ყორაღანს.

მხნედ მუშაობდა ამ სოფელში ახალგაზდა მღვდელი. აქაური ქართველობა ორად იყო გაყოფილი: ნახევარი სოფლისა ქრისტიანობდა, ნახევარი მაჰმადიანობდა. მას უნდოდა ესენიც მოექცია. უქადაგებდა, ასწავლიდა, ასმენდა, არიგებდა. მის ნათქვამს არ ისმენდნენ ლეკების მოლების ჩაგონებითა და მუქარით. მისი მოწამლვაც კი განიზრახეს. მაგრამ მქადაგებელი ძმობისა იდგა ტინივით მაგრა. ერთხელ შეიყარა მაჰმადიანობა ღამე ტყის პირას და დაიწყო საუბარი იმაზედ, რომ სრულიად ჩამოშორებოდნენ ქართველობას. დიმიტრი მარტოდ-მარტო მივიდა, ყრილობაში შევიდა და დაუწყო ტკბილი ლაპარაკი. ვილაც ფანატიკოსმა უკანიდგან ჯოხი შემოჰკრა. „დამკარ და იცოდე კი, რომ შენ ქართველი ხარ და ქართველად დარჩებიო", სათნოიანად უთხრა მას მოძღვარმა.

ამისთანა ბედშაობას დაემატა კიდევ უარესიც. მას გარდაეცვალა (19 თებ. 1867 წ.) მეუღლე ელენე, ერთადერთი მისი ნუგეში.

ობლად დარჩენილ მღვდელს თავისი მოღვაწეობა

გადააქვს ზაქათალას (1870 წ.), იქ მსახურობს საღმთო სჯულის მასწავლებლად და მერე გაბრიელ ეპისკოპოსისა და კალანდარაშვილის მიწვევით მიდის ქუთაისს ქართულ ენის მასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში. იქაც დიდს უნარსა და ნიჭს იჩენს ამ ენის სწავლებაში და იმსახურებს ყურადღებას როგორც ნეტარ-ხსენებულ გაბრიელისა, ისე ზედამხედველების კალანდარაშვილისა და მიხ. ასათიანის და აგრეთვე მთელის საზოგადოების. 1878 წ. დიმიტრი მიდის მოსკოვს სწავლის გასაგრძობად სასულიერო აკადემიაში, იქიდგან ბრუნდება 1880 წ. და მასწავლებლობს სათ.-აზნაურო სასწავლებელში, მერე მისიონერად საინგილოში. შემდეგ მღვდლობს ნუხაში, ვართაშენში, ალიბეგლოში და ბოდბისხევში, საცა შორდება (7 ოქტ. 1905 წ.) ამ სოფელს საუკუნოდ 64 წლისა დაბადებიდგან.

მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალნაირია.

საქართველოს ისტორიის სახალხო ენით ხალხისთვის გადაცემაში მას მხოლოდ ეკუთვნის პირველობა. ამგვარი წერა მან დაიწყო ს. მესხის გაზ. „დროებაში", ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო წერილები დაიბეჭდა აგრეთვე „მნათობში". შემდეგ იგი იყო მუდმივი თანამშრომელი „ივერიისა", „მოგზაურისა", „მოამბესი", „ძველ ცისკრისა". კარგად სწერდა რუსულადაც. მის ნაშრომთაგან უფრო თვალსაჩინოა „ქართველი ქალის ისტორია", „ამბროსე ნეკრესელის ქადაგებანი", „ჰერეთის აღწერა", („მოგზაურში") და სხ.

ტფილისში ნყოფობისას იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველ საწალმართო საქმეში და აგრეთვე ერთხანს წ.-კითხ. საზოგადოების გამგეობის წევრადაც იყო. საინგილოში ხომ მის მიერ დათესილი ამაგი მეტისმეტად დიდია. იგი იქ ფარივით უდგა ქართველობას, მაგრამ ისე კი, რომ სხვა ტომის ხალხს არა სწყენოდა-

რა. მისი დევიზი ეს იყო: „ქართველობას ქართული, დანარჩენ თესლ-მოდგმას ყველას თავიანთი; ნუ შემეცილები, არც გეცილები“, ამის გამო იგი უყვარდა ყველას ერთნაირად და აკი ამიტომაც უკვე მკვდარი დიდის ამბით მიასვენეს კაკს, საერთოდ დაიტირეს ქართველებმა, ლეკებმა, თათრებმა, სომხებმა, დამარხეს კრძალვით და მის საფლავს დააფრქვიეს თბილი და ტკბილი ცრემლები. მისი მახვილი სიტყვები და ანეკდოტები ანდაზად დარჩენიათ და საშვილიშვილოდ სამკვიდროდ.

სამწუხაროდ, ამდენ მოამაგე კაცის სამარე ჯერ ისევ ობლად უძეგლოდ გამოიყურება. ქართველი საზოგადოება მოვალეა მოიგონოს თავისი განაპირა კუთხის შვილიც.

მოსე ჯანაშვილი.

ისტორიული სურათები

„წინა კაცი უკანა კაცის ხიდია“.

ქართველ კაცს რაიმე უბედურება რომ ეწვევა, აერევ-დაერევა და დაეხლართება ცხოვრების გზა; ხან მარცხნივ აუხვევს ხოლმე მწარე გარემოებათა, ხან მარჯვნივ, რომ რა არის როგორმე გამოაგოს გაჯანჯლული საქმეები; მაგრამ თუ საქმეს თვითონ ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო, მაშინ მიდის თავის ნაცნობ და მეგობარ კაცთან, ეკითხება და სთხოვს რჩევას, როგორ მოვიქცე, რომ ვიხსნა თავი გაჭირვებისაგანაო. „ძმაო! კაცი კაცის წამალიაო“ ნათქვამია: „მირჩიე რამეო“. „ძმა ძმისთვის, შავის დღისთვისაო“, ეუბნება კვალად იგი.

სწორედ რომ ასეთივე მრჩეველია და წამალი ერისათვის მის მამა-პაპის წარსული ისტორიული ცხოვრებაც. ისტორია გამამხნევებელია და მხსნელი ერისა გასაჭირს დროს. ის არის მისი ნუგეში და იმედი. ამისათვის ურიგო არ იქნება შევიტყოთ ჩვენის წინაპრების მოქმედება იმ დროს, როდესაც იმათ უბედურება კარზე მოადგებოდათ ხოლმე. მით უმეტეს საჭიროა ჩვენის მამა-პაპის ცხოვრების გაცნობა, რომ დღესაც ქართველი ხალხი მაგალითით სცხოვრობს. იმას უყვარს ძველებური ანეკდოტები, ზღაპრები, ანდაზები, გადმონაცემი და ისტორიული მოთხრობები. ვინ არ იცის ჩვენთაგანმა, რომ

მოხუცებულნი, მცოდნენი ძველის ამბებისა, ახლაც დიდს პატივში არიან სოფლელთაგან? ახალგაზდა ქართველები გარშემო მოუსხდებიან ხოლმე და ლაპარაკობენ მამა-პაპის წარსულ ცხოვრებაზე. „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა ამხანაგსა და ჩვეულებასაო“, ამბობს ხალხი. მართალია, ახლა ძველებური ზნე და ჩვეულება აღარას გვარგებს; მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს უტყუარი ისტორიული ცხოვრების კანონი, რომ „წინა კაცი უკანა კაცის ხიდია“. მამა-პაპის ცხოვრება არის ღარი, რომელშიაც უნდა მიმდინარეობდეს შთამომავლობის ცხოვრება. აქ მხოლოდ საჭიროა, რომ კალაპოტი, რომელშიაც ერის ცხოვრება ჩამდგარა, გაშალაშინდეს, გაირანდოს, გაიწმინდოს ავის ზნისა და ჩვეულებისაგან.

ამ დედა-აზრს მისდევენ ევროპიელნიც. ევროპის ხალხნი ბეჯითად სწავლობენ თავიანთ მამა-პაპის ზნეს, ჩვეულებას, ცრუმორწმუნეობას, ხასიათს, მიმართულებას, არაკებს, ზღაპრებს და გადმონაცემს. მაგრამ უფრო ბეჯითი ყურადღება ისტორიაზე აქვთ მიქცეული. იქ ეძებენ ევროპიელნი მაგალითებს სამშობლო ქვეყნის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მასში ეძებენ ისეთს პირებს, რომელთაც უშრომნიათ ერის კეთილ-დღეობისათვის, თავი შეუწირავთ სამშობლოს დასაცველად მტერთან ბრძოლაში, გაუმხნევებიათ შთამომავლობა უბედურობაში, ნუგეში უციათ, წასძღომიან წინ, და ასე, ამ სახით, დაუცავთ ენა, სარწმუნოება და საზოგადო ცხოვრების წყობილება...

თუ ასეთი მნიშვნელობა აქვს ისტორიას და ასე უყურებენ მას განათლებულნი ევროპიელნი, მაშ არ იქნება ურიგო და არც ვინმე დაგვზრახავს, რომ ჩვენც გამოვიკვლიოთ ჩვენთა წინაპართ წარსული და მივცეთ მათს გვამის ნაკლს ღირსეული პატივი. გარდა ამისა არ იქნება უსარგებლო შევიტყოთ, რა გვარის მოქმედებით

დაიცვეს ჩვენმა წინაპრებმა, თხუთმეტ საუკუნის განმავ-ლობაში თავიანთი ვინაობა, ენა, სარწმუნოება და პოლიტიკური თავისუფლება. მათის ცხოვრების გამოკვლევით ჩვენ შევიტყობთ, ერთ მუჭა ქართველებს რა ზნეობითი ძალა ჰქონდათ,—რომ გარშემო აუარებელნი მტერნი ეხვივნენ, დღე და ღამ მათთან იბრძოდნენ, არც ძილი ჰქონდათ, არც მოსვენება, მაგრამ მაინც კისერი არ მოუდრიკეს მტერს და ბოლოს ძლევა-შემოსილნი გამოვიდნენ და შეუერთდნენ რუსეთს. ჰეშმარიტად რომ ღირს ამ წინაპართა სულის თვისებისა და კვეთების გამოკვლევა! რუსის მწერალი მურავიოვი ამბობს: ქართველ ხალხს იმდენი კაცური ღირსება ჰქონდა, ისეთი შესანიშნავია მის ისტორიული წარსული ცხოვრება, რომ კარგი იქნება არ დაეკარგოს კაცობრიობას გულის ამამ-ღვრეველი მაგალითები ქართველების სულგრძელობისა და კაცთ-მოყვარეობისაო. ძვირად ღირს ამ მაგალითების შეტანა კაცობრიობის ზნეობის საგანძურში.

ჩვენა გვსურს ამ სურათებში გამოვიკვლიოთ ჩვენის წინაპრების ცხოვრება და გავსინჯოთ ჯერ რა მნიშვნელობა ჰქონდა სასულიერო წოდებას საქართველოს ისტორიაში, მერე ქართველ დედა-კაცების და ბოლოს თავად-აზნაურობას გლეხებითურთ.

სასულიერო წოდება

I

მეოთხე საუკუნის დასაწყისში (318 წ.), როდესაც ქრისტიანობამ დაიწყო გავრცელება საქართველოში, ქართველთ პოლიტიკური თავისუფლება, ეროვნება და ენა დიდს განსაცდელში ჩავარდა. ერთის მხრით სპარსელები ემუქრებოდნენ საქართველოს პოლიტიკურს არსებობას და სარწმუნოებას, მეორეს მხრით ბერძნები მეცადინეობდნენ სამუდამოდ საქართველოს ეკლესია მათის სასულიერო წოდების ხელში ყოფილიყო და საეკლესიო ენად—ბერძნული ენა.

მიიღო თუ არა ქართველობამ ქრისტიანობა, მაშინვე მღვდლათა და ეპისკოპოსებად ბერძნები მოიწვიეს. ამ სამღვდელოებას შეადგენდნენ ერთი ეპისკოპოსი, ორი მღვდელი და სამი მთავარ-დიაკვანი. ეს ამბავი პირველად მოხსენებული აქვს მწერალს ქრისტიანობაზედ რუფიმს, რომელიც მირიანის შვილის ბაქარის მეგობარი ყოფილა და მისი სიტყვით პირველად დაუწერია საქართველოს მოქრისტიანების ისტორია. ამისგან გადაულიათ შემდეგში ეს ამბავი ისტორიკოსს სოგრატს, სოზომენს და თეოდორიტეს. ეს უკანასკნელი, რუფიმის სიტყვით, ამტკიცებს, რომ პირველი ეპისკოპოსი, რომელიც მო-

ვიდა საქართველოში, იყო ევსტათი ანტიოქელიო [1]. მაგრამ ქართლის ცხოვრება [2]) ამბობს, რომ პირველი ეპისკოპოსი იოანე იყოო. ამ შემთხვევაში არც ჩვენნი მემატიანენი სცდებიან არც ისტორიკოსი თეოდორიტე. მხოლოდ საქმე ეს არის, რომ ამ სასულიერო პირთა კრებაში ერია იოანე ეპისკოპოსიცა. ასე ჰფიქრობს საქართველოს კათალიკოზი ნიკოლაოზ I-ლი [3]). ევსტათი ანტიოქელმა აკურთხა იოანე ეპისკოპოსად, დასტოვა იგი ორის მღვდლითა და სამის მთავარ-დიაკვნით აქ და თვითონ დაბრუნდა საბერძნეთში; საქართველოს ეკლესია მიიღო თავის გამგეობის ქვეშ კონსტანტინეპოლის პატრიარხმა. „უეჭველიაო, ამბობს იოსელიანი, რომ საქართველოს ეკლესია სულ პირველში კონსტანტინეპოლის პატრიარქს ემორჩილებოდაო; შემდეგში კი იგი მიაწერეს ანტიოქიის საპატრიარქოს, იქნება იმისთვის რომ ქართველები ევსტათი ანტიოქელმა დანათლა და უკურთხა პირველი ეპისკოპოსიო [4]).

რადგანაც დროს განმავლობაში ქრისტიანობა უფრო და უფრო ვრცელდებოდა ყოველგან საქართველოში და მრავლდებოდა ეკლესიები, ამისათვის საჭირო იყო მღვდლებისა და ეპისკოპოსების მომატებაც. სად უნდა ეშოვნათ ქართველებს ამ დროს სასულიერო თანამდებობის აღსასრულებლად პირნი, თუ არ ისევ საბერძნეთში? რადგან ქართველები ახლად მოქრისტიანებულნი იყვნენ, რასაკვირველია, ჯერ არ იცოდნენ ზედ-მიწევნით ახალის სარწმუნოების შინაარსი, და არც შეიძლებოდა ჯერ-ჯერობით მათი კურთხევა სასულიერო თა-

---

[1]) იხ. Жизнеоп. святыхъ Груз. Цер. соч. Іосел. 1850 г. стр. 45.

[2]) იხ. გვერ. 91.

[3]) იხ. ქართ. წმ. ცხოვრება, გამოცემა საბინინისა გვ. 96

[4]) იხ. Истор. Груз. Цер. Іосел., стр. 145.

ნამდებობაზე. ჯერ საჭირო იყო სისხლად და ხორცად ჰქცეოდა ქართველს სწავლა ქრისტესი, რომ სარწმუნოებით გამთბარს გულს მხნედ ემოქმედნა სახარების სწავლის გასავრცელებლად. რადგან ჯერ ქართველები ამისთანანი არ იყვნენ, ამისთვის, როგორც მოგვითხრობს ისტორია, მღვდლებსა და ეპისკოპოსებს საქართველოს მეფენი საბერძნეთიჯგან იბარებდნენ. გარდა ამისა, იყო კიდევ სხვა მიზეზი. ქართულს ენაზე სამღთო წერილი და საეკლესიო წიგნები ჯერ არ იყო გადმოთარგმნილი. მაშასადამე ქართულს ენაზე ჯერ-ჯეროობით არც წირვა-ლოცვა შეიძლებოდა.

საეკლესიო წიგნების თარგმნას ჯერ დრო უნდოდა, მერე ბერძნულისა და ასურულის ენების შესწავლა, რომლებზედაც იყო დაწერილი სამღთო წიგნები. ამ უცხო ენების შესწავლისათვის კიდევ საჭირო იყო სკოლები. 342 წლისა და 364 წლებს შუა ასეთი სკოლები დაარსა საქართველოში მირიან მეფის შვილმა, ბაქარმა, როგორც ამბობს იოსელიანი. რადგან იმას შესწავლილი ჰქონდა ბერძნული ენა თავის მძევლად ყოფნის დროს კონსტანტინეპოლეს [1]) და ბერძნებს უფრო სწყალობდა, ვიდრე სხვა საქრისტიანო ხალხს, ამისთვის მასწავლებლები საბერძნეთიდგან დაიბარა. სკოლებში ასწავლიდნენ ქართულს, ბერძნულს და ასურულს ენებს. ქართველთ ყმაწვილები სამღთო წერილს რომ შეისწავლიდნენ, მეფე ჰგზავნიდა სხვა-და-სხვა თემებში დანარჩენ ხალხთა მოსაქცევად. მერე, ცოტაოდნად ქრისტიანობა ფეხს რომ მოიდგამდა, აშენებდა სამეფო ხარჯით ეკლესიებს და აქვე აყენებდა მღვდლად იმ ქართველთა, რომელთაც მოაქციეს ქრისტეს სჯულზე რომელიმე სოფლის ხალხი.

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვრება და ბარათაშვილის ისტორია, რვ. II. გვერ. 13.

ასე მოქმედებდნენ ბაქარის შემდეგნი მეფენიცა: მირდატ მე-III, ფარსმან მე-IV, მირდატ მე-IV, არჩილი I და მირდატ მე-V [1]). ამ საშუალებით მეფენი ნელ-ნელა აცლიდნენ ხელიდგან ბერძენთაგან შემდგარს სამღვდელოებას ეკლესიურს უფლებას. ეს ასე იყო 318 წლიდგან ვიდრე 446 წლამდე, როცა საქართველოს ტახტზე აღვიდა ვახტანგ I გორგასლანი.

უკანასკნელ მეფეების დროს გადმოითარგმნენ ქართულს ენაზე ზოგიერთი საეკლესიო წიგნები. ამათი მთარგმნელნი იყვნენ ქართველნი: დავით, სტეფანე, ზაქარია და თავადი ტატიანე. ეს საქმე მათ დაიწყეს იერუსალიმში, სადაც ტატიანემ მე-V საუკუნეში აღაშენა მონასტერი, დასახლდა აქ, მოუყარა ქართველებს თავი, შეისწავლეს ბერძნული ენა და შეუდგნენ თარგმნას,—ამბობს იოსელიანი. მაგრამ ჩემის აზრით, ეს ტატიანე იყო აბა უბრალო თავადი, არამედ მეფის ვარაზ-ბაკურის მემკვიდრე შვილი. საქართველოში მას ერქვა მურვანოსი, ქრისტიანული სახელი ტატიანე, და ბერად რომ შედგა, დაარქვეს პეტრე. ეს აზრი უფრო მით მართალი უნდა იყოს, რომ ჩვენნი მემატიანენი არ იხსენიებენ ამ დროს თავადს ტატიანეს, მხოლოდ მოიხსენიებენ მურვანოსს, რომელსაც, ვამბობ, ქრისტიანული სახელი ბერობის მიღებამდე ტატიანე ერქვა. 393 წელს, როცა 12 წლისა იყო, ის გაგზავნეს საბერძნეთში თეოდოსე მცირესთან მძევლად. საქართველოში ყოფნის დროს, მან კარგად იცოდა ქართული წიგნი და „ყოველივე საღმთო წერილი შეისწავლა". მერე საბერძნეთში „მსწრაფლ ისწავლა ბერძნული და ასურული და ფილოსოფოსობა სრული", მაგრამ მიიღო ბერული მიმართულება, ტახტის მემკვიდრეობაზე ხელი აიღო და იერუსალიმში წავიდა. თან ორი

[1]) იხ. Ист. Груз. Церк. Іосел. გვ. 23 და 24.

კაცი ახლდა. ვინ იყვნენ ეს ორნი, თუ არა დავით და სტეფანე მთარგმნელნი? ანუ მასთან მყოფი საჭურისი იოანე და მისი მოწაფე და ცხოვრების დამწერი ასურულს ენაზე ქართველი ზაქარია? [1]) ამან მოიარა მთელი ეგვიპტე, ნახა ყოველგან მოღვაწე ბერები და განდეგილნი. მერე მოვიდა იერუსალიმში, აღაშენა აქ მონასტერი და სამუდამოდ დაესახლა. რომელმაც მისი ცხოვრება ასწერა, იმას პეტრე ქართველს ეძახის. მაგრამ ისტორიკოსი ბარონია, რომელსაც ამოუწერია ცნობები ამ პეტრეზე ევაგრის ისტორიიდგან, ამბობს, რომ ეს პეტრე ქართველ ევტიხიანებმა, შემდეგ ხალკიდონის კრებისა, მაიუმა ქალაქის ეპისკოპოსად ამოირჩიესო. ის უკურთხებია ამ თანამდებობაზე იერუსალიმის პატრიარქს, და ყოფილა კაცი ძლიერ ღვთის-მსახური და კეთილ-განმზრახი. ამისათვის ეკლესიას ის წმინდანად შეურაცხავს, მაგრამ მე-XVIII საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ის გამორიცხა წმინდანების რიცხვიდგან, რადგან ერთ დროს მას ეჭირა ევტიხიანების მწვალებლობა (ერესი [2]). აი ამ კაცმა დაიწყო წიგნების თარგმნა და მას ჰშველოდნენ ამ საქმეში დავით, სტეფანე და ზაქარია. ტატიანეც მას ერქვა, ვიდრე ბერად შესდგებოდა.

ამის შემდეგ, არ გასულა 30 წელიწადი მეფე მირდატ მე-V-მ და მისმა ცოლმა საგდუხტმა შეჰკრიფეს სამშვილდის ციხეში სწავლულნი კაცნი და ათარგმნინეს წმინდა სახარება [3]). ბროსეს უნახავს შიო მღვიმის მონასტერში ქართული სახარება, რომელიც ამ მეფის შვი-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 103, 104 და 105; აგრეთვე Жизнеоп. Святыхъ Груз. Церк. Іосел. გვ. 13 და 14.

[2]) იხ. იქვე, გვ. 13 და 14.

[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 110.

ლის ვახტანგ გორგასლანის ნაქონები ყოფილა და სიკვ-
დილის დღეს მონასტრისათვის შეუწირავს [1]).

ამ ცხოვრების მიხედვით ვამბობ, რომ 446 წლამ-
დე, თუ არა ყოველ ეკლესიაში სახმარი წიგნი, ბევრი
მაინც გადმოთარგმნილი ჰქონიათ ქართველებს. გიორგი
მთაწმინდელი, მე-XI საუკუნეში მცხოვრები ამბობს, რომ
წმინდა მამა, ეფთვიმე პირველი როდი იყო, რომელმაც
დაიწყო თარგმნა საღმთო წერილისა და საეკლესიო წიგ-
ნებისაო. ისინი ჰქონდათ ქართველებს გადმოთარგმნილი
ძველის-ძველიდგან: მაგრამ სომხები ჩვენ ბევრს ვნებას
გვაძლევდნენ და მათგან იყო გარყვნილი ძველი თარგ-
მანი საღმთო წიგნებისაო. ეფთვიმემ ბევრი გაასწორა და
თვითონაც გადმოიღოო და ახლა ამ საქმეს მე შევუდე-
ქიო [2]). რასაკვირველია, რომ გიორგი მთაწმინდელის
აზრი მართალი არის; მაგრამ ქართულ ენაზე გადმოღე-
ბულ წიგნების გარყვნა შეეძლოთ ჩვენსავე ჰერეთელ
ქართველებს და არა სომხებს. ისტორია გვეუბნება, რომ
მე-VI საუკუნეში კახეთში ჰერეთელებმა მიიღეს მანიხეე-
ბის მწვალებლობა. ამაზე ცოტა წინ, როგორც უკვე ზე-
მოთა ვსთქვით, ევტიხის მწვალებლობა მიიღო ვარაზ-
ბაკურის შვილმა მაიუმის ქალაქის ეპისკოპოსმა პეტრე
ქართველმაც. აი ამათ შეეძლოთ თავიანთ დოღმატურ
სწავლის დასამტკიცებლად გაეყვნათ ქართული საღმთო
წიგნები და არა სომხებსა. მართალია, გიორგი ამბობს:
რადგან სომხებს ქართველების გადაბირება ეწადათ, ამი-
სათვის „რომელიმე წიგნნიცა გვაქნდეს მათგან თარგმნი-
ლიო"; მაგრამ არა მგონია, რომ ეს აზრი მართალი
იყოს. თუ იმათ ქართველების გასომხება ეწადათ, წიგნებს
რაღათ-ღა გადმოსთარგმნიდნენ ქართულს ენაზე? გარდა.

---

[1]) იხ. Ист. Афона еп. Порфирія Успенскаго.

[2]) იხ. ქართველი წმ. ცხოვ. გამ. საბინინისა, გვ. 447.

ამისა სომხებს განა ისე კარგად ეცოდინებოდათ ქართული ენა, რომ თარგმნა შესძლებოდათ? არა, მთარგმნელებიცა და წიგნების გამრყვნელებიც ჰერეთელი ქართველები იყვნენ, რომლებზედაც ვახუშტი ამბობს, რომ სომხის მწვალებლობა ეჭირათო, თუმცა კი ჩვენ გვგონია, რომ ისინი მანიხეების მწვალებლობის მიმდევარნი იყვნენ. ჩვენა გვგონია, რომ სწორედ იმათ უწოდებს გიორგი მთაწმინდელი სომხებს და იმათგან იყო გადმოღებული ზოგიერთი წიგნები, როგორც ამტკიცებს თვითონ გიორგი მთაწმინდელი.

ქართველებს ესწრაფებოდათ თავიანთ ენაზე გადმოღება საეკლესიო წიგნებისა და საღმთო წერილისა, რადგან უნდოდათ მალე მოეშორებინათ თავიდგან ბერძნის მღვდლები, რომელნიც სახალხო და სახელმწიფო საქმეებში ერეოდნენ და უფრო თავიანთ სარგებლობისათვის ზრუნავდნენ. იმათ მხოლოდ ის ეწადათ, რომ გაეძლიერებინათ საქართველოში ანტიოქიის პატრიარქის და საბერძნეთის იმპერატორის გავლენა. ამ განზრახვით არ უნდოდათ წირვა-ლოცვის გამართვა ქართულს ენაზე, — რადგან მაშინ იმათი ჩვენში ყოფნა საჭირო აღარ იქნებოდა. გულითადი სურვილი მათი მხოლოდ ეს იყო, რომ ქართველები მუდამ მორჩილებაში ჰყოლოდათ და თუ მოახერხებდნენ, ქართული ენაც დაევიწყებინათ. ამ აზრს მიუხვდნენ ქართველები და შეუდგნენ მათ განდევნას საქართველოდგან. ვახტანგ გორგასლანის გამეფებამდე 446 წელს, 128 წლის განმავლობაში ქართველობამ ისე ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული და ასურული ენები, რომ ქართველს ახლა სამშობლო ენაზედაც შეეძლო წირვა-ლოცვა და ბერძნულზედაც. ერთის სიტყვით მე-V საუკუნის მეორე ნახევარში ქართველები ისე მომზადებულნი იყვნენ, რომ შეეძლოთ თავიანთი სამღვდელოება ჰყოლოდათ, ასე რომ არ ყოფილიყო, ვახტანგ გორგას-

ლანი ვერც მოიწადინებდა საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას ანტიოქიის პატრიარქიის და ბერძნის სასულიერო წოდების დამოკიდებულებისაგან.

სულიერნი მამანი ბერძენთაგანნი ისე ცუდად იქცეოდნენ, რომ მათი საქართველოში დაყენება აღარ შეიძლებოდა. ეს დრო ისეთი დრო იყო, რომ მათ ჰქონდათ უფლება სამოქალაქო და სახელმწიფო საქმეებში გარევოდნენ და ბევრგან კადნიერს მძლავრობას იჩენდნენ თვით მეფეებზედაც. მაგალითად 457 წელს ვახტანგ გორგასლანი რომ დაბრუნდა სპარსეთიდგან, მიქაელ მთავარეპისკოპოსმა, კაცმა თავ-გასულმა, როცა ვახტანგი ჯვარს ემთხვევოდა, დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. მეფემ ეს ძლიერ იწყინა, დაიჭირა კადნიერი ეპისკოპოსი და გაგზავნა კოსტანტინეპოლში. საქმე კიდევ ამით არ გათავდა. მიქაელის მასთან უკადრისად მოქცევამ მისცა მიზეზი და საბუთი, ეთხოვნა საბერძნეთისაკენ საქართველოს განთავისუფლება საბერძნეთის სასულიერო წოდებისაგან. მაგრამ რადგან იმედი არა ჰქონდა, რომ საბერძნეთი დათანხმდებოდა ამ თხოვნაზე, ამისათვის ჯერ ბერძნები დაამარცხა ომში, მერე შეუთვალა იმპერიტორს ლევს დიდს და კონსტანტინეპოლის პატრიარქს, რომ აღარა მსურს ქართველთ ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის ბრძანებას ემორჩილებოდესო. იმათ უნებლიედ აღასრულეს მეფის წადილი. კერძო კოსტანტინეპოლის კრებამ პატრიარქის ფლავიანის დროს გადასწყვიტა, რომ საქართველოში ქათალიკოზად ბერძენი ყოფილიყო, კურთხევაც ანტიოქიაში მიეღო, მაგრამ ყოფილიყო მეფის მორჩილებაში და არა პატრიარქისა. პირველ ქათალიკოზად საქართველოში მეფის სურვილით დააყენეს პეტრე ტრაპიზონელი, რომელსაც მეფე ვახტანგი იცნობდა [1]. მე-VI საუკუნის დასაწყისში ისტორიკოსი პროკოპია

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 124, 125, 126 და 127.

სწერს, რომ ჩემს დროს საქართველოშიაც მთავარ-ეპისკოპოსები კათალიკოზად იწოდებიანო. აგრეთვე ვიღაცა მწერალი ვალსამონი, რომელმაც ასწერა კოსტანტინეპოლის საპატრიარქო, ამბობს რომ საქართველოს ეკლესიაც ავტოკეფალური (ე. ი. თვით-მდგომარე) იყო მე-V საუკუნეშიო. მაგრამ ისტორია არას გვეუბნება იმაზე, რა გვარი ტიტული ჰქონდათ კათალიკოზებს. ვიცით მხოლოდ ის ტიტული, რომელსაც აღმოსავლეთის პატრიარქები ჰხმარობდნენ, როცა ეპისტოლეს მოსწერდნენ ხოლმე. ისინი ხმარობდნენ ტიტულად შემდეგს სიტყვებს: „უნეტარესო, სრულიად ივერიელთ ქვეყნის უპირველესო მღვდელთ-მთავარო, სულისა წმინდისა მიერ საყვარელო ძმაო ჩვენისა წოდებისაო“. დაწერის შემდეგ ეპისტოლეს ბოლოს აწერდენ: »მშვიდობა უფლისა იყავნ თქვენთათანა, უწმინდესო მეუფებავ და უსაყვარლესო ძმაო თანამსახურო! [2])

საქართველოს ეკლესია რომ განათავისუფლა 448 წელს ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებისაგან, მეფე ვახტანგმა გახსნა 35 ეპარქია: 12 ქართლში, 12 კახეთში, 9 სომხითში და 2 იმერეთში, და ამათ ეპისკოპოსებად დანიშნა ზოგში ქართველები, ზოგში ბერძნები [3]).

თუმცა ბერძენთ ჩამომავლობის საქართველოს ქათალიკოსნი კარგად იქცეოდნენ, მეცადინეობდნენ ხალხში განათლების გავრცელებას და სარწმუნოების დამკვიდრებას, მაგრამ ქართველებს მაინც ჰსურდათ ქათალიკოზად ბერძენნი არ ჰყოლოდათ, რადგან იგი მაინც ყოველს შემთხვევაში ბერძენთ მხარეს დაიჭერდა. ის ქართველთ მორჩილებას და საბერძნეთის გავლენის ქვეშ ყოფნას უფრო არჩევდა, ვიდრე მათს გაძლიერებას, ამ მიზე-

---

[2]) იხ. Ист. Груз. Церк. Іосел. გვ. 144.

[3]) იხ. იქვე, გვ. 36 და 37.

ზისა გამო, როცა იმპერატორი იუსტინიანე I დაჯდა საბერძნეთის ტახტზე, ქართველებმა ითხოვეს და კიდევაც მიიღეს 553 წელს უფლება ამოერჩიათ ქათალიკოზად ვინმე ქართველთაგანი. „აქედგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავთანი"; ეს ამბავი მოხდა მეფე ფარსმან მე-V-ს დროს 541 წლიდგან 555 წლამდე. მაგრამ კათალიკოზის კურთხევა მაინც ისევ ანტიოქიაში უნდა მომხდარიყო [1]). ამ საქმეში ორჯელ გამარჯვებამ ქართველები ისე წააქეზა, რომ არც ეს იკმარეს. 619 წელსა და 639 წლებს შუა ადარნასე შეუდგა საქართველოს ეკლესიის სრულიად განთავისუფლებას პატრიარქის გავლენისაგან. მოკვდა თუ არა ქათალიკოზი ბართლომე, ადარნასემ დასვა მის ადგილს იოანე და რადგან ქათალიკოზის კურთხევა ანტიოქიაში სრულდებოდა, გაგზავნა იქ და თან გააყოლა „მონაზონი ერთი მოციქულათაცა და საკურთხებლათაცა". ამათვე მიანდო ეთხოვნათ პატრიარქისათვის ნება დაერთო, ამის შემდეგ ქათალიკოზი საქართველოშივე ეკურთხებინათ ეპისკოპოსათ. თეოფილაქტე პატრიარქმა ჯერ აკურთხა იოანე ქათალიკოზად, მერე მოახდინა ადგილობრივი საეკლესიო კრება. მასზედ დაესწრნენ ახლად ნაკურთხი და ჯერ იქვე მყოფი საქართველოს კათალიკოზი იოანე და მისი თანამხლებელნიცა. ეს ამბავი მოხდა იმპერატორის ირაკლის დროს 610—639 [2]) წლებ შუა. იოანე ქათალიკოზმა და მისმა თანაშემწემ წარუდგინეს კრებას შემდეგი საბუთები:

1) რადგან საქართველოს ქათალიკოზის კურთხევა არის განწესებული ანტიოქიის პატრიარქისაგან, ამისათვის სა-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 151.

[2]) ამ წელს მოკვდა ადარნასე მთავარი, ირაკლი კი მეფობდა 643 წლამდე.

ქართველოს ეკლესია, ქათალიკოზის გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე ახალი ეკურთხებოდეს, უპატრონოდ რჩება;

2) ყოველთვის ანტიოქიაში მოსვლა ქათალიკოზად საკურთხებლად დიდს ჯაფას და ხარჯს ითხოვს და

3) არაბებს აქვთ დაჭერილი საქართველოსა და ანტიოქიას შუა ქვეყნები, რის გამო გზები შეკრულია და ეპისკოპოსის ანტიოქიაში გამოგზავნა ქათალიკოზობის ხარისხის მისაღებად საქართველოს არ შეუძლიანო.

კრებამ მიიღო მხედველობაში ეს საბუთები და ბრძანა: ნება მიგვიცია საქართველოს ეკლესიისათვის, ქათალიკოზი რომ გარდაიცვლება, შეიყარონ სასულიერო პირნი, თავად-აზნაურობა, მთელი ერი და ამოირჩიონ ქათალიკოზად კაცი ღირსეული და მეფის დამტკიცებით მიტროპოლიტნი და მთავარ-ეპისკოპოსნი აკურთხებდნენ მცხეთის ეკლესიაში. მაგრამ ამის შემდეგ (680 წ.) ეს საქმე განიხილა კიდევ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, დაამტკიცა და ქათალიკოზის სამწყსოდ და ხელქვეით განაჩინა: „ქართლი, რანი (ელისავეტოპოლის გუბერნია), კახეთი, ჰერეთი, ოვსეთი, რაჭა, სვანეთი ჩერქეზის სამზღვრამდე და სამცხე-კლარჯეთი“, მაგრამ სადღაა იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, ქობულეთი და ლაზისტანი? რატომ არ არიან მოხსენებულნი ეს მაზრებიც? 446 წლისა და 499 წლებს შუა, მართალია, მეფე ვახტანგ I გორგასლანმა ეს მაზრები წაართვა ბერძნებს და შემოუერთა სამეფოს, მაგრამ 518 და 527 წლებს შუა საბერძნეთის იმპერატორი იუსტინიანე დიდი და სპარსელები აიშალნენ: დაიჭირეს ერთმა აღმოსავლეთის საქართველო, მეორემ დასავლეთისა და დაჯდა ორი მეფე: ერთი თბილისში, მეორე იმერეთში. პირველი არის სპარსელების მფარველობის ქვეშ, მეორე—ბერძნებისა. ამისათვის საქართველოს ეკლესიაც ორს ეპარქიად გაიყო, დაჯდა ორი მღვდელ-მთავარი: ერქვა ქათალიკოსი

ივერიისა, მეორეს აფხაზ-იმერეთისა. ახლა ცხადია, რისთვისაც არ არის აფხაზ-იმერეთი ივერიის ქათალიკოზის სამწყსოდ ჩატანებული. „წარიღეს ბერძენთა საზღვარი საქართველოსი სპერი, ზღვის პირი და ბოლო კლარჯეთისა“ [1]). მე-IX საუკუნემდე აქ ინიშნებოდნენ ბერძნის ეპისკოპოსები და ემორჩილებოდნენ კონსტანტინეპოლის პატრიარქს და არა ქათალიკოსს. მაგრამ მე-XI საუკუნის დასაწყისს შემოუერთდა ქათალიკოზის სამწყსოს.

ეკლესიის განთავისუფლებამ ანტიოქიის გავლენისაგან დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს. ამის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქა ქართველმა ხალხმა: დაიწყო სხვის დაუკითხავად დავის საქმეების გამგეობა. 639 წლისა და 663 წლებს შუა მეფე სტეფანოზმა მე-II გამოსცა კანონი, რომ ხუთშაბათობით თბილისის ქალაქში საეკლესიო საქმეებზე მოსალაპარაკებლად და ყოველის რიგის გასაწყობად ყოფილიყო საქათალიკოზო კრება, პარასკევობით სახელმწიფო კრება ქვეყნის საქმეების კეთილად გამგეობისათვის და შაბათობით ქალაქს მცხეთაში საეპისკოპოსო კრება და წირვის გადახდა აბიბონეკრესელისათვის, რადგან საქართველოს მთიულ ხალხებში ამან გაავრცელა ქრისტიანობა და სიცოცხლე თვისი შესწირა სამშობლოს დაცვას [2]). ამავე დროს ამ მეფემ გახსნა თბილისში ზარაფხანა და მოსჭრა თავის სახელზე ქართული ფული [3]). ამანვე მოახდინა საქართველოში სულთ-აღწერა და ერთი პირი მისი გაგზავნა სა-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 168 და 171, Ист. Груз. Церк. Іосел. გვ. 37, 38, 47, 48, 57.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 168, 169, 170 და 171.

[3]) იხ. Нумизматическіе факты Груз. Царства. стр. 17.

ბერძნეთში. ქათალიკოზად ამ დროს იყვნენ ჯერ სამოელი, მერე ენონ.

ასე ამ სახით განთავისუფლდა საქართველოს ეკლესია ბერძენთ შთამომავლობის სამღვდელოთაგან, ანტიოქიის პატრიარქის გავლენისაგან; მიიღო ნება ჰყოლოდა საკუთარი ქათალიკოზი და აგრეთვე სასულიერო წოდება ქართველთაგანვე; დაიწყო ერმა თავისუფლად ნაციონალური ცხოვრება და გაძლიერება.

ამ მოქმედებას ქართველებისას რომ ვაკვირდებით, რომ ვსინჯავთ ის მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს ისინი ეკლესიის გასანთავისუფლებლად ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებისაგან, ჭეშმარიტად განცვიფრებაში მოვდივართ... მეფის გარდა, საჭირო იყო--ეკლესიის მმართველად ქართველი კაცი ყოფილიყო და არა ჰქონოდა დამოკიდებულება ანტიოქიის პატრიარქთან...

ბერძენი ქათალიკოზი მათთვის უსარგებლოც იყო და მავნებელიც: იმან არ იცოდა არც ქართველთა ზნე, არც ჩვეულება, არც ენა, არც ხასიათი. იმას არ შეეძლო თავის სამწყსოსთვის რაიმე სიკეთის მოტანა და არც ექნებოდა გულითადი სურვილი ემსახურნა ხალხის კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის. იგი იყო უცხო ტომის კაცი. იმისი სისხლი სხვა იყო, ქართველისა სხვა. ქართველებს ესმოდათ, რომ ბერძენი ქათალიკოზი ემზგავსებოდა იმ დედინაცვალს, რომელსაც თავის მიერ ნაშობი შვილები უყვარს და წინა მოადგილისა კი თვალით დასანახავად ეჯავრება. ესმოდათ, რომ იგი იყო განგებ დაქირავებული მწყემსი და აგრე რიგად გული არ დაეწვოდა, რომ „ეშმაკს წარეტაცნა მისი სულიერი შვილი". არამც თუ ცხოვართა არ დაიცავდა მგლისაგან, არამედ იხილავდა თუ არა მიმავალს მგელს, მაშინვე დასტოვებდა და გაიქცეოდა, როგორც ამბობს სახარება: ის მსახურებდა უცხო სამწყსოში მხოლოდ იმისათვის, რომ

საჩო შეეძინა. რა ენაღვლებოდა, თუ კარგს მდგომარეობაში არ იქნებოდა მისთვის მინდობილი უცხო ხალხისაგან შემდგარი სამწყსო!

აი ასეთმა ბრწყინვალე შეხედულობამ იძულებული ჰყო ძველებური ქართველთ სასულიერო წოდება დაეხსნა საქართველოს ეკლესია ბერძენთ ბრჭყალთაგან და ჩაეყენებინა ერის განათლება ეროვნულს კალაპოტში. ამის შემდეგ მაგრად მოსჭიდა ხელი ამ უფლებას და აღარ მისცა ბერძნებს ნება, რომ თავიანთ გავლენის ქვეშ ჰყოლოდათ კიდევ ქართველ ხალხის ეკლესია.

ასე კეთილად მეფემან დაწყებული საქმე მოათავსეს, დაამტკიცეს და განაგრძეს ათცამეტთა სირიელთა წმინდა მამათა, რომელთ სახელები არიან: იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტყოფელი, იასე წილკნელი, თათე სტეფანწმინდელი, შიო მღვიმელი, მიქელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი, ელია დიაკონი და დოდო (კახელი). ესენი ყველანი ქართველები—ლაზები იყვნენ. ასე ამბობს პროფესორი ბ. ჩუბინოვი და მისი აზრი მართალიც უნდა იყოს. ისინი რომ ქართველნი არა ყოფილიყვნენ, მეფენი არც შემოუშვებდნენ ამ დროს (მე-VI საუკუნეში) საქართველოში, რადგან უცხო ტომის ჩამომავლობის სულიერ პირთ აქედან ითხოვდნენ. გარდა ამისა, ისინი რომ ბერძნები, ანუ აისორები ყოფილიყვნენ, მათგან აშენებულს თორმეტს მონასტერში უცხო ნათესავი დაესახლებოდა, დაეპატრონებოდა და მეფე და ხალხი ამის ნებას არ მისცემდა მათ და არ მოაპოვებინებდა ხელმეორედ გავლენას საქართველოს ეკლესიაზე. ისინი რომ ქართველები არა ყოფილიყვნენ, ვერც ქადაგებას დაიწყებდნენ ხალხში და არც ისე გაცალკევდებოდნენ ერთმანეთისაგან. ჩვენ ვიცით რომ ზოგნი მათგანნი კახეთში წავიდნენ, ზოგნი ქართლში, რადგან უცხონი

არ იყვნენ ერისათვის. საქართველოში მხოლოდ მაშინ შემოვიდნენ, როცა აქედან ბერძნები განდევნეს და თუ სულიერნი მამანი აკლდათ ქართველებს, მათ დაიჭირეს ეს ადგილი. პლ. იოსელიანი ამბობს: როცა ისინი მოვიდნენ და მოადგნენ მცხეთის მახლობლად მტკვარს, შიგ წყალში გაიარესო, მათ მიეგებნენ მეფე ფარსმანი და ქათალიკოზი ევლავი; მაშინ წმინდა მამანი მიესალმნენ და ქართულს ენაზედ აკურთხეს [1]). ისინი მოვიდნენ ვახუშტის გამოკვლევით 555 წლისა და 570 წლებს შუა.

მაგრამ აქ ერთი რამ არის საკითხავი; თუ ისინი ჩამომავლობით ქართველები იყვნენ, მაშ ეტყობა ამ დროს საქართველო ისე გაუნათლებელი არ იყო, როგორც წარმოდგენილი აქვთ ზოგიერთებს? ჩვენის ფიქრით ამ ხანებში, თუ არა მთლად ქართველთ ერი, სასულიერო წოდება მაინც განათლებული იყო. იყო ერთი ნაწილი ხალხისა, რომელსაც კარგად ჰქონდა შესწავლილი ქრისტიანული სწავლა, რომელიც ყურს უგდებდა, რა გვარი სისტემები სარწმუნოებრივის სწავლისა ვრცელდებოდა აღმოსავლეთში. საეკლესიო ისტორია გვეუბნება, რომ გნოსტიკურს სწავლაში, მანიხეებისა, ევტიხისა და მონოფელიტების მწვალებლობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეპისკოპოსებმაცაო. ასეთნი იყვნენ მაგალითად: იმერეთის ეპისკოპოსის პალმის შვილი, მარკიონი, რომელიც ჩამომავლობით ქართველი იყო, რომელიც მამამ დასწყევლა მწვალებლობისათვის და რომლის წინააღმდეგაც დასწერა მთელი წიგნი მე-II საუკუნეში ტერტულიანმა [2]). მაიუმის (აზიაში) ეპისკოპოსი პეტრე, იყო ქართველი, შვილი მეფე ვარაზ-ბაქარისა, რომელიც ცხოვრობდა 393 წლიდგან 451 წლამდე;

---

[1]) იხ. Ист. Груз. Церк. стр. 40.

[2]) იხ. Ист. Груз. Церк. Іосел. გვ. 8.

სამცხე-კლარჯეთის ეპისკოპოსი კირი, რომელიც ირაკლი იმპერატორის დროს სცხოვრობდა, მისდევდა მონოფიზიტების მწვალებლობას და ჰქონდა დიდი გავლენა საეკლესიო და დოღმატურ საგანთა გადაწყვეტაზე [1]).

ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვსთქვათ, რომ ეს სახელოვანი ეპისკოპოსიც ქართველი იყოვო; მაგრამ უადგილო არ იქნება ვიკითხოთ: საქართველოს ქათალიკოზი კირიონი და ეს კირი ეპისკოპოსი ერთი და იგივე პირი ხომ არ იყო? ამ კითხვას მით უფრო უმეტესად აქვს ადგილი აქა, რომ ქათალიკოზს კირიონსა და სომხების ქათალიკოზს აბრაამს ამ დროს ჰქონდათ ერთმანეთში ბაასი სარწმუნოებაზე. საეკლესიო კრება, რომელიც მოახდინეს სომხებმა მათსა და ქართველებს შუა სარწმუნოებრივის განხეთქილებისა გამო, იყო 596 წელს; ხოლო ირაკლი იმპერატორი, ჩვენი ქათალიკოზი კირიონი და სამცხე-კლარჯეთის მღვდელ-მთავარი კირი მოქმედებდნენ ერთსა და იმავე დროს. საქართველოს და სომხების ისტორიკოსები ამბობენ, რომ იმპერატორებმა მავრიკიმ და ირაკლიმ ამ ხალხთა შესარიგებლად მოახდინეს კრებაო, მაგრამ სომხები მაინც ვერ დაარწმუნეს, რომ ისინი სცდებიან სარწმუნოების დოღმატების განხილვაშიო. ამ სახით, ჩვენ ეჭვი შეგვაქვს, რომ თუ მავრიკი მოკვდა 602 წ., ირაკლი მეფობდა 610 წლისა და 643 წლებს შუა, და 596 წლის შემდეგ საქართველოს ქათვლიკოზის კირიონის თხოვნით ამათ მოახდინეს კრება, მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ქათალიკოზი კირიონი და ირაკლი იმპერატორის დროს მყოფი კოლხიდის ეპისკოპოსი კირი სხვა-და-სხვა პირნი არ უნდა იყვნენ.

პლ. იოსელიანი საქართველოს ეკლესიის ისტორია-

---

[1]) იხ. Ист. Христіанской Церкви Смирнова, стр. 321, 322 და 323.

ში შენიშნავს, რომ ეპისტოლეთა შორის რომის პაპის გრიგორისა არის შენახული ერთი ეპისტოლე, რომელიც მოუწერიათ საქართველოს ქათალიკოზის კირიონისათვის 603 წელსაო [1]). მივიღებთ რა ყველა ამას მხედველობაში, ჩვენა ვგონებთ, რომ ეპისკოპოსი კოლხიდისა ანუ სამცხე-კლარჯეთისა კირი არის ის კირიონი, რომელიც საქართველოს კათალიკოზად იყო იმპერატორის ირაკლის დროს. მით უფრო მართლდება ეს ჩვენი აზრი, რომ ჩვენი მემატიანენი ამბობენ—ქათალიკოზმა კირიონმა სთხოვა იმპერატორებს საეკლესიო კრება მოეხდინათ ქართველებსა და სომხებს შორის განხეთქილების მოსასპობლადაო. ამავე დროს მსოფლიო საეკლესიო ისტორია მოგვითხრობს: იმპერატორი ირაკლი და კოლხიდის ეპისკოპოსი კირი მეცადინეობდნინ მონოფიზიტებისა და მართლ-მადიდებელთა შერიგებასაო. მართლაც 630 წლის წინად ირაკლიმ ჩააბარა ამ კირს, გამოჰლაპარაკებოდა ყველა საქრისტიანო მწვალებლების წარმომადგენლებს და მოეხდინათ შერიგება. ამ აზრით 633 წელს კირმა გამოაცხადა 9 სარწმუნოებითი მუხლი, რომ ამათზე ყველანი დათანხმებულიყვნენ. რადგანაც ეს მღვდელ-მთავარი ერთგულად თანაშემწეობას უწევდა ირაკლის, იმპერიის ხალხთა სარწმუნოებრივის განხეთქილების მოსაპობლად, ამისათვის საქართველოდგან ის გადიყვანა პატრიარქად ალექსანდრიაში (ეგვიპტეში).

ჩვენთვის დიდად შესანიშნავი არ არის—კირი ქართველი იყო თუ არა; აგრეთვე კირი და კირიონი ერთი და იგივე პირია, თუ სხვა-და-სხვა. კირის მოქმედების მოხსენების მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ გვსურს გამოვხატოთ იმ დროინდელ სასულიერო წოდების ჭკუაგონების მდგომარეობა. თუ საქართველოს ჰყვანდა იმის-

---

[1]) იხ. გვ. 56.

თანა მღვდელ-მთავარნი და ეპისკოპოსნი, რომელნიც ისე განათლებულნი იყვნენ, ისეთი სახელი და გავლენა ჰქონდათ, რომ მსოფლიო ეკლესიის დოღმატურს ბაასში მონაწილეობას იღებდნენ, მაშ ეტყობა არც საქართველოს ერი იყო გაუნათლებელი. სადაც ამისთანა გონიერნი სულიერნი მამანი იყვნენ, ეჭვი არ არის, რომ იქ სხვანიც ბევრნი იქნებოდნენ ამისთანანი. რომელმა ერმაც ასეთი განათლებულნი ეპისკოპოსნი გაზარდა, ბევრს სხვა ამის მზგავსსაც გამოზდიდა? უეჭველია რომ ქართველთა ჭკუა-გონება ამ დროს დიდს მოძრაობაში იყო. საქართველოს შვილნი გადიოდნენ სამშობლო ქვეყნიდგან უცხო ქვეყნებში—სირიაში და საბერძნეთში ქრისტიანულს მეცნიერების შესასწავლებლად. სად იყვნენ ჲ სწავლობდნენ მაგალითად ის ცამეტნი წმინდა მამანი, რომელნიც სირიელებად იწოდებიან და მოვიდნენ საქართველოში კარგად მცოდნენი საღმთო წერილისა? ვინ იტყვის, რომ იმათ განათლება არა ჰქონდათ მიღებული „მცირე აზიისა და ანტიოქიის (სირიის) სკოლებში“, რომელნიც არსებობდნენ ამ დროს და რომლებშიაც სწავლას იღებდნენ წმინდანი მამანი. სად შეისწავლა მაგალითად ქრისტიანობა და ბერძნული და ასურული ენები საქართველოს ქათალიკოზმა კირიონმა, რომელიც იყო მესხი სოფელს ფოცხოვიდგან, თუ არ ამ სკოლებში? სად ისწავლეს აგრეთვე მარკიონმა, პეტრემ, ზაქარიამ, სტეფანემ და დავითმა, რომელთაც ასურულისა და ბერძნულის ენიდგან პირველად დაიწყეს თარგმნა ეკლესიურ წიგნებისა, თუ არ ამ სკოლებში?

კიდევ ვიმეორებთ, რომ მე-V და მე-VI საუკუნეში ქართველთ ჭკუა-გონება შეჩერებული არ იყო: იგი იყო განვითარებაში. ამას ამტკიცებს სხვათა შორის ჭკუა-გონების მოძრაობა ჰერეთელ ქართველებისა. ამ საუკუნოებში ჰერეთელმა ქართველებმა მიიღეს მანიხეების მწვა-

ლებლობა, რომელსაც საეკლესიო ისტორია ალბანიელთ მწვალებლობას ეძახის[1]). ზოგმა მიიღო ევტიხის მწვალებლობა, ზოგმა მონოფიზიტებისა და ზოგნი მართლმადიდებლად დარჩნენ. ამ გვარის მოძრაობისათვის ცოდნა და განათლება იყო საჭირო და ეს უეჭველია ქართველებს უნდა ჰქონოდათ.

თუ მართლაც საქართველოს სასულიერო წოდება განათლებული იყო დროის შესაფერად, თუ ეპისკოპოსნი და ცამეტნი წმინდანი მამანი ნასწავლნი და განათლებულნი იყვნენ, უეჭველია გულხელ-დაკრეფილნი არ ისხდებოდნენ. როგორც ზნისა და ხასიათის დამალვა არ შეიძლება, ისე არ შეიძლება ცოდნისა და სწავლის გულში ამოღრძობა. „უხვიერებისაგან გულისა ბაგენი უბნობენო“, ნათქვამია. ცოდნა და სწავლა ჭკუის ნაყოფი არის, რომელიც უეჭველად გამოჰხეთქავს და გამოაშკარავდება ენის შემწეობით. კაცის გულს არ შეუძლიან დამალოს ის, რასაც მოიჭირნახულებს: უთუოდ გამოსთქვამს მას ქალალდზე, ან პირად საუბარში. მაგრამ ისევ სჯობს ფაქტები მოვნახოთ იმის დასამტკიცებლად რომ ცამეტნი წმინდანი მამანი, მოსულნი საქართველოში, გულხელ-დაკრეფილნი არ ისხდნენ და შეუდგნენ ერის განათლებას.

მოვიდნენ თუ არა საქართველოში, იმათ აღაშენეს თორმეტი მონასტერი, რომელნიც შეიქმნენ ყარაულნი და მცველნი ქრისტიანობისა. ხალხზე გავლენის მოსაპოვებლად, ისინი დასახლდნენ სოფლების მახლობლად. იოანე გადასახლდა ზედაზნის მთაზე. აქ იმან სასაკერპოები დაამხო და დაუწყო ხალხს წვრთვნა ქრისტიანულს სწავლაში. აბიბოს ნეკრესელმა ჯერ მოაქცია კახეთის გაღმა მხარში მთიული ხალხები ქრისტიანობაზე

---

[1]) იხ. Ист. Груз. Церк. Іосел. стр. 52.

და მერმე მეფის ფარსმან მე-V-ის თხოვნით ეპისკოპოსად ეკურთხა. ამან დაანგრია ალაზნის გალმა მხარში საკერპოები და გააძლიერა ქრისტიანობა ხალხში. ისეთი გულმხურვალე სიყვარული გამოიჩინა სამშობლოსადმი, რომ არ მოერიდა სიკვდილსაც. ის მოკვდა სარწმუნოებისათვის სოფელს რეხაში, გორის მახლობლად. ის დამარხეს აქვე ერთს მონასტერში, მაგრამ ხალხმა ამოაღებინა აქედგან სამღვდელოებას მისი გვამი და დაასაფლავებინა მცხეთის ეკლესიაში. ქართველთ ეკლესიამ დააწესა, რომ ყოველ შაბათობით მცხეთის ეკლესიაში მის სადიდებლად და სახსენებლად წირვა-ლოცვა ყოფილიყო, რადგან მან სამშობლოსთვის გასწირა თავი.

აქ წმინდა მამაზე ნაკლები ღვაწლი არ დასდო საქართველოს აგრეთვე იესე წილკნელმა. ამანაც მეფის ფარსმანის თხოვნით მიიღო ეპისკოპოსობა წილკნის ეპარქიისა. ხალხის ჰკუის წარმატებისა და კეთილ-დღეობისათვის არა ჰზოგავდა თავის ძალ-ღონეს. ამ ნეტარმა მამამ თავის ხარჯით გაიყვანა რუ-მდინარე ქსნიდგან წილკნის მინდვრების მოსარწყავად. იოსებ ალავერდელმა მოაქცია ინგილოები და დაღისტნის ხეობების ხალხნი და მერმე სთხოვა ქათალიკოზსა და მეფეს, რომ ეკლესიები აეშენებინათ ყოველგან მთებში. მაგრამ ვერც ესენი და ვერც ანტონ მარტყოფელი ვერ შეედრებიან დავით გარეჯელს. ამან გახსნა თავის მონასტერში სკოლა. მისნი მოწაფენი იყვნენ, მაგალითად, ქართველნი ლუკიანე და დოდო. მართალია, ვინც კი ამ წმინდა მამებთან აღიზარდნენ, მეცადინეობდნენ სამშობლოს სარწმუნოებისა, ენისა და თავისუფლებისათვის, მაგრამ ისეთი სარგებლობა არც ერთს მონასტერს არ მოუტანია, საქართველოსათვის, როგორც რომ დავით გარეჯის მონასტერმა მოუტანა. მაგალითად, მე-VII საუკუნეში არაბებმა საქართველო

რომ დაიპყრეს, მოინდომეს ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ დამკვიდრება და მაჰმადიანობის გავრცელება [1]).

ამ განზრახვით იმათ ააშენეს თბილისში სკოლები: ეგონათ განათლების საშუალებით ჩვენის ხალხის მიზიდვა და გამაჰმადიანება, მაგრამ სასულიერო წოდებამ შეიტყო თუ არა, რომ არაბებს ეს განზრახვა აქვთო, თვითონაც გახსნა თფილისში და სხვაგან ეროვნული სკოლები. ყველაზე უფრო ფიცხლად მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი სამშვილდისა და დავით გარეჯის მონასტრების ბერებმა. ამათ არაბულის სარწმუნოების გავლენა ჩვენს ხალხზე სრულიად უვნებელი გაჰხადეს. არაბებმა იგრძნეს მათის მოქმედების მავნე ძალა თავიანთ განზრახვისათვის: დაუწყეს დევნა და ისე შეაწუხეს ბერები, რომ იმათ დასტოვეს ეს მონასტრები და გადასახლდნენ სამცხე-ჯავახეთში; მაგრამ ხელი არ აიღეს თავიანთ წინააღმდეგობაზე. აქ იმათ აღაშენეს მონასტერი ოლთისისა, „თავი და დასაბამი სამღთო და საერო სწავლათა“, როგორც ამბობს დ. ჩუბინოვი. ამას გარდა ბაიბურთის ახლოს აღაშენეს კიდევ სხვა მონასტერი—ხახულის ღვთის-მშობლისა. ამ ორს მონასტერში ბერებმა მოუყარეს თავი ახალგაზდა ქართველებს და ბეჯითად ასწავლეს ქართულს ენაზე წერა-კითხვა, საღმთო წერილი და საერო მეცნიერება, რაც კი ამ დროს არსებობდა. აქ გამოზრდილნი ყრმანი გამოისტუმრეს ქართლ-კახეთში ხალხისათვის საქადაგებლად, რომ ხელი არ აეღო მას თავის სარწმუნოებაზე.

მართლაც როგორც ფუტკრები ყვავილოვანს ველს სწორედ ისე შემოესივა ნასწავლი ახალგაზრდობა ქართლ-კახეთს. ის დაურიდებლად და ჭაბუკურის სიმხნით და გაბედულობით უქადაგებდა ხალხს, დაეცვა მას თავისი

---

[1]) არაბები პირველად შემოესივნენ საქართველოს 642 წელს.

ეროვნება, ენა, სარწმუნოება; არ ეღალატნა მამა-პაპის ცხოვრების გზისათვის და არ გადაეფურთხებინა წინაპართა საფლავებზე. იოანე გრძელიძემ ისეთი ცხარე ქადაგებები სთქვა ხალხში და ისეთის გასაგონარის მჭევრმეტყველობით, რომ ქართველობას თავი მოსწონდა მისსიტყვა-პასუხის ძლიერებითაო, ამბობს ბარათაშვილი. მისებრივ გასაგონს ენაზე და საქმის ცოდნით დაწერილი ქადაგებანი იმ დროს ლათინურს ენაზედაც არ იყოვო, — ამბობს იგივე.

მაგრამ მარტო ქადაგებით არა გამოვიდოდა-რა. თუ რომ სსვა-და-სხვა შინაარსის თხზულებებიც, ქრისტიანულ მიმართულებით დაწერილნი, არ გავრცელდებოდნენ ხალხში. ამ კეთილს საქმეს შეუდგნენ ათონის მთის ბერები: არსენი ნიკო-წმინდელი, იოანე ბოიანელი, იოანე გრძელაძე, იოანე ოქროპირი ხახულელი და ზაქარია შარიტიძე. მაგრამ ამათ იმოდენად კარგად არ იცოდნენ ბერძნული ენა და ასურული, რომ შესძლებოდათ თავისუფლად ეთარგმნათ საღმთო წერილი. ამ მიზეზისა გამო 1023 წელს ეპისკოპოსმა არსენი ნინოწმინდელმა და მღვდელ-მონაზონმა იოანე გრძელიძემ სთხოვეს ათონის მთაზე მყოფს ეფთვიმეს, შესდგომოდა საღმთო წერილის გადმოღებას ქართულს ენაზე, მაგრამ ეფთვიმემ ჯერ-ჯერობით ეს საქმე არ მოიწადინა. მიზეზი ამისი, ვგონებ, ის იყო, რომ იმან იმ დროს ქართული ენა კარგად არ იცოდა. ის სწერდა თხზულებებს ბერძნულსა და ასურულს ენებზე. მაგრამ ბერები არ მოეშვნენ, დაუწყეს ხვეწნა და ჩაგონება, რომ ყოველი კაცი თავის სამშობლოსათვის უნდა ზრუნავდესო. უთხრეს, რომ საქართველოს ეჭირვება წიგნები და ის მოვალეა შეუდგეს თარგმნას. ამ გვარის ლაპარაკით შეარყიეს მისი უარ-ყოფა. ასტყდა მის გულში ბრძოლა ორთა აზრთა შუა: სწეროს ქართულს ენაზე, თუ არა? რაღაცა გაუგებარმა სევდამ

გაიტაცა მისი არსება. ეევდრებოდა მხურვალედ ღმერთს, განეკურნა ის ამ სევდისაგან. მაგრამ არ იქნა: იმის გულს შვება არ მიეცა. მისი ავადმყოფობა, მის ცხოვრების ამწერის სიტყვით, იმისგან წარმოსდგა, რომ ერთხელ გამოეცხადა მას ღვთის-მშობელი როცა იგი ეევდრებოდა და სთხოვდა ლხენას და ასე უთხრა: თუ ქართულს ენაზე არ დაიწყებ წერასა, უნდა გამოესალმო სიცოცხლესაო. მაშინ იმან ხელი აიღო ათონის მონასტრის წინამძღრობისაგან და ფიცხლად შეუდგა წიგნების თარგმნას. იმას შეეწივნენ სხვა ბერებიცა და მსწრაფლ გადმოიღეს ქართულს ენაზე საღმთო წიგნები, რომელნიც საჭირონი იყვნენ სკოლებში და ეკლესიებში სახმარად. ამის გამო საქართველომ დაიწყო განათლება სამშობლო ენაზე და უფრო და უფრო პოლიტიკურად გაძლიერება.

ეს გარემოება საბერძნეთს ძლიერა სწყინდა. რათა? რისთვის? რა უნდოდა მას ერთ-მორწმუნე ხალხისაგან? — ისა, რომ საქართველოს ეკლესიის განთავისუფლება ანტიოქიის პატრიარქისაგან, ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება, ხალხში განათლების გავრცელება, საღმთო წერილის ქართულს ენაზე თარგმნა და სამეფოს პოლიტიკურად გაძლიერება, — ეს ყველაფერი იყვნენ ნიშნები ბერძნების პოლიტიკურ გავლენის საქართველოზე ნელ-ნელა მოსპობისა. ასეთი ფეხის ადგმა საქართველოსაგან საბერძნეთის გულში შხამს აწვეთებდა. იმას გულს უკლავდა მისი გაცოცხლება, კეთილდღეობა და გაძლიერება. მაგრამ პირდაპირ მტრობის გამოცხადებასაც ერიდებოდა: იმედი არ ჰქონდა, რომ დაამარცხებდა ბრძოლის ველზე. ამისათვის საქართველოს დასაუძლურებლად საბერძნეთმა მიჰყო ხელი სხვა-და-სხვა ხერხსა და ცბიერებას.

პირველად საბერძნეთმა მოიწადინა კლარჯეთის და-

ჭერა, რადგან აქედგან უფრო ძლიერდებოდა და ვრცელ-
დებოდა საქართველოში სწავლა-განათლება და ეს ქვეყ-
ნები შეადგენდნენ დასავლეთის მხრით საქართველოსათ-
ვის მაგარ ზღუდეს. 1027 წელს ბერძნებმა მიჰყვეს ხელი
თავიანთ წადილის აღსრულებას, რადგან ამ წელს გიორ-
გი I მოკვდა და გამეფდა მისი შვილი ბაგრატ მე-IV,
რომელიც ამ დროს მხოლოდ ცხრა წლისა იყო. ბერძ-
ნებს ეს დრო ძალიან მარჯვე დრო უგონათ საქართვე-
ლოს დასამცირებლად. კოსტანტინე იმპერატორს, რო-
მელიც ამ დროს ბიზანტიის იმპერატორად იყო, რადგან
ტაო-კლარჯეთის ხმლით აღება არ შეეძლო, დიდ-ძალი
ხაზინა იხმარა. დიდის წყალობების დაპირებით და სა-
ჩუქრების მიცემით გადაიბირა ადგილობრივი თავად-
აზნაურობა. პირველად დაიჭირეს იმისი მხარე: აზნაურმა
ვაჩე ჯარიჭისძემ, ბანელ ეპისკოპოსმა, იოანე ხარტუ-
ლარმა [1]) და აზნაურთა ტაოელთა, რომელთაგან ზოგნი
იყვნენ ციხოვანნი, ზოგნი უციხონი. ამის შემდეგ 1030
წელს კოსტანტინემ გამოგზავნა ჯარები „ურიცხვითა გან-
ძითა“ რომ მოესყიდა დანარჩენნი ბაგრატის ერთგულნი
თავად-აზნაურნიცა. იმისმა ჯარებმა ჯერ სამცხე-კლარჯე-
თი აიკლეს, მერმე მოვიდნენ ფრიალეთში, მოსთხოვეს
ლიპარიტ ორბელიანს მორჩილება, მაგრამ ამან უარი
შეუთვალა და კლდე-კარის ციხის ქვემოთ დაამარცხა თა-
ვის ერთგულ აზნაურების თანაშემწეობით. მაშინ მტერმა
იხმარა ისევ ფული და ზოგიერთნი შავშეთის დიდებულ-
ნი თავადნი გადაიბირა. ესენი იყვნენ: შავშეთის ერისთა-
ვი ჩანჩუხა, რომელმაც მისცა მტერს წეფთის პირველი
ციხე; ამავე დროს მისმა ნათესავმა ჩანჩუხა ფალელმა

---

[1]) სიტყვა „ხარტულარი“ ნიშნავს თანამდებობას. ამას ეგა-
რა საეკლესიო ქონების გამგეობა და ეკლესიის არხივები ქაღალ-
დებითურთ. ბერძნულად ერქვა „ხარტოფილაქსი“.

მისცა ბერძნებს ციხე გარყლობისა; არჯევან ჰოლოლის ძემ გადასცა მეორე ციხე წეფთისა. მაგრამ ბერძნებმა არც ეს იკმარეს. იმათ მოიწვადინეს სამცხე-კლარჯეთში დიმიტრი ბაგრატიონის გამეფება, რომლის მამა, გურგენ, ბიძა, სუმბატ და აგრეთვე სხვა ნათესავნი მისნი ბაგრატ მე-III-მ საქართველოს ერთობისათვის ტუსაღანაში ამოსწყვიტა [1]). ხალხის გადასაბირებლად იმათ გამოატანეს მოღალატე ოანე ბანელ ეპისკოპოზს ხარტულარს ეს დიმიტრი, საბერძნეთში გაქცეული და იქ აღზდილი, ვითომ და ხალხს ეფიქრა, რომ ბერძნებს არ უნდოდათ იმის ქვეყნის დაპყრობა, არამედ ჰსურდათ მთავრად ანუ მეფედ დაესვათ დიმიტრი, როგორც ნამდვილი მემკვიდრე ტაო-კლარჯეთისა. დაბალი ხალხი მართლაც მოსტყუვდა და გადავიდა ბერძნების მხარეს. ასე, ამ სახით ბერძნებმა სამცხე-კლარჯეთი თითქმის მთლად გადაიბირეს. სამშობლო ქვეყანას არ უღალატა მხოლოდ არტანუჯის ერისთავმა აბუსერმა. ამის გამო „ქვეყანათა ამით შინა იქმნეს ბრძოლანი, შუღლნი“ და ერთმანერთის მიხდომა და აოხრება.

აი ახლა იყო საჭირო კაცი, რომ ამისთანა გასაჭირს დროს ეშველა საქართველოსათვის და დაეცვა მტრისაგან ხალხის პოლიტიკური ერთობა. ასეთ სახელოვან კაცებად აღმოუჩნდნენ ჩვენს ქვეყანას ეპისკოპოსნი საბა მტბევარი და ეზრა ანჩელი. ბერძნებისაგან ატეხილ ღელვის გამო სამშობლო ასე უწყალოდ რომ იგვემებოდა, ეს ორნი ჩინებულნი ეპისკოპოზნი გულზე ხელ-დაკრეფილნი შეჰსცქეროდნენ თავიანთ ქვეყნის ბედს და მის დანაკუწებას. როგორც სულიერნი მამანი, ესენი ჯერ ხმალს ხელს არა ჰკიდებდნენ, ელოდნენ ჯერ შველას ერის კაცთაგან; მაგრამ რაკი ნახეს რომ ბევრმა მათგანმა სამ-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 213.

შობლოს უღალატა და ვინც ერთგულად დარჩა, იმათ-განაც არა ეშველა-რა,—ბერძნებს თუმცა პირადი მტრობა არ უჩვენეს, მაგრამ ჩუმად დაიწყეს შენება ტბეთის მახლობლად ციხისა და ეკლესიის გარშემო გალავნისა. ამ გზით უნდოდათ ბერძნებისათვის თვალები აებათ, ვითომ ეკლესიას უბრალო სიმაგრეს უკეთებდნენ. ბერძნებმა ვერ შეუტყვეს გულში ჩახვეული განზრახვა და ციხე დაუბრკოლებლივ აშენდა. მას უწოდეს სახელად „სვეტი“ უძ-ლეველი, ანუ უფრო უკეთ რომ ვსთქვათ, „სიმაგრე“ ეკლესიის თავისუფლებისა, ბურჯი ქართველთ ერთობისა და „სვეტი“ მტრის დამარცხებისა.

ამის შემდეგ ეპისკოპოზებმა საბა მტბევარმა და ეზრა ანჩელმა დაიწყეს თავიანთ ეპარქიებში ხალხის აღელვება ბერძნების წინააღმდეგ. ამათი სამღვდელ-მთავროები მეზობლად იყვნენ ერთმანერთთან. (პირველის სამწყსოს შეადგენდა მთლად შავშეთი და არტანუჯი, საცა ერისთავად იყო აბუსერი და აგრეთვე აჭარა დონდოლოს ზეით: მეორისას—ლიგანის ხევი გალმა და გამოლმართი გონიის სამზღვრამდე). ხალხი რომ დაითანხმეს თავის განზრახვაზე, უბძანეს მას ახლად აგებულს ციხეში და ეკლესიის სიმაგრეში შემოხიზვნა. „შემოვიდა მასვე ციხესა შინა ეზრა ანჩელი თავის ერთგულის აზნაურებითა და გამაგრდა ციხეში“, ამბობს „ქართლის ცხოვრება“ 220 კაბადონზე. „იხილა საბა, მტბევარ ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არლარა იყო სხვა ღონე, აღაგო ციხე თავსა ზედა, მახლობელად ტბეთისასა, და ეკლესიის სიმაგრე, და სახელ სდვა მას „სვეტი ეკლესიისა“; დაჰკრა ქვეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის“,—სწერია იქვე. წაუძღვნენ ეს ორნი სულიერნი მამანი ჯარებს წინ, მოიშველეს ერისთავი აბუსერიცა. დაიწყეს ბრძოლა და ისე შეაწუხეს, შეავიწროეს და შეაშინეს ბერძნები, რომ იმპერატორი კოსტან-

ტინე იძულებული შეიქნა გაეყვანა ჯარები საქართველოს ამ მაზრებიდგან, ბერძნები ძლიერ ეცადნენ ციხის აღებას, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხეს. ხალხს ისე მოეწონა მის სიმაგრე, რომ ასე ამბობდა: „თუ ხარ ციხე—შენ, და არა სხვა“ [1]).

ამის შემდეგ ბერძნების ხელში დარჩა მხოლოდ ის მიწა-წყლები და ციხე-სიმაგრეები, რომელთ პატრონებიც მათ მიემხრნენ. ეჰ მათ შემოიღეს თავიანთი მართებლობის წესი, მაგრამ სასულიერო წოდებამ თავის უფლება მაინც არ გადასცა ანტიოქიის პატრიარქს. აქაურ სულიერ მამებად ისევ ქართველნი დარჩნენ. ისინი არ ემორჩილებიან პატრიარქს. ამ სახით სასულიერო წოდებამ არამც თუ არ დაუთმო ბერძნებს ეკლესიის საქმეების მართველობა, არამედ ამის შემდეგ კიდევაც მეცადინეობდა რომელიმე გზით მიწებიც ჩამოერთმია და საეკლესიოდ დაეწერა. ასე იქცევა ქათალიკოზი მელქისედეკის არის ნამდვილი მწყემსი თავის ერისა და ჭეშმარიტი შვილი სამშობლო ქვეყნისა. ბერძნებმა რომ მოჰკვეთეს ზოგიერთგან სამცხეში, ტაოში და კლარჯეთში საქართველოს მეფის უფლება, ამან არ მოითმინა სამშობლოს ასეთი დამცირება და დაიწყო ჩუმ-ჩუმად მოქმედება ბერძნების წინააღმდეგ. ის იყო გაზდილი მეფე ბაგრატ მე-III-საგან, მისივე ნათესავი, და გული ეთანაღრებოდა, რომ ხედავდა მის დამცირებას [2]).

ბერძნების გაუგებლად იგი აცლის მათ ხელიდგან ყოველსავე გავლენას სამცხე-კლარჯეთზე. მართალია, სამცხე-კლარჯეთი ახლა იმპერიის ნაწილს შეადგენს, მაგ-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 219 და 220; გეოგრაფ. ვახუშ. გვ. 110, 112 და 114. **Гурія и Аджара, соч. Бакрадзе** გვ. 18, 83 და 84.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 212.

რამ იქაური ქართველი ხალხი სრულიად ვერ იცნობს საბერძნეთის მოხელეებს. მელქისედეკის მეცადინეობით ხალხი არავითარს საჩივარს არ იწყებს იმპერატორის მოხელეებთან. ისინი ჩივიან ან ქათალიკოზთან, ან შინაურულად რიგდებიან. ამასთანავე ქათალიკოზი აგროვებს საბერძნეთშივე ფულებს და ჰყიდულობს სამცხეში, ტაოში და კლარჯეთში მიწა-წყალს, სოფლებს და საეკლესიოდ სწერს. აშენებს მრავალგან ახალ სოფლებს და თავის გამგეობის ქვეშ იყოლიებს. საეკლესიო სოფლების გამგეობასაც თითონ კისრულობს და ბერძნებიც ვერ ერევიან მის საქმეებში. ამ სახით ტაო, სამცხე და კლარჯეთი თუმცა ბერძნებს ეჭირათ, მაგრამ შინაური გამგეობა ქათალიკოზის მელქისედეკის მეცადინეობით ქართველთ ხელში დარჩა — არა ცხადლივ, არამედ დაფარულად. ამ წადილის აღსასრულებლად იგი რავდენჯერმე წავიდა საბერძნეთში. დაბრუნების დროს თან მოჰქონდა სოფლების გამოსასყიდლად ფული და აგრეთვე ხატები, საეკლესიო წიგნები და სამკაული და არიგებდა სამშობლო ქვეყნის ეკლესიებში [1]),

მელქისედეკ ქათალიკოზის მაგალითს და მის მეცადინეობას საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მისდევდა ამისი მოადგილე ოქროპირ ქათალიკოზიცა. ეს იყო გაზდილი მელქისედეკისაგან და, რასაკვირველია, მიმართულებაც თავის გამზდელისა ექნებოდა. ამანა და ამისმა გამზდელმა სრულიად მოსპეს ანტიოქიის პატრიარქების გავლენა საქართველოზე. იმათ აღარასა ჰკითხავდნენ, თუნდ ეკლესიას რაიმე ძნელი საქმე აღმოსჩენოდა, როგორც წინად დაეკითხებოდნენ ხოლ-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 218, 220, 221, და აგრეთვე გუჯარი ბ. ჩუბინოვის ისტორიაში, გვ. 203—208, გამოცემა 1863 წლისა.

მე. ეს იწყინა ანტიოქიის პატრიარქმა თეოდოსემ და მოიწადინა საქართველოს ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის ჩამორთმევა. თავის განზრახვის აღსრულების საბუთად ის მოჰყავდა, რომ საქართველოს ეკლესია მოციქულთაგან არ არის დაფუძნებულიო. ამის თაობაზე დაიბარა ათონის მთიდგან გიორგი მთაწმინდელი და გამოუცხადა თავისი განზრახვა. ეგონა, ისიც მოუწონებდა ამ აზრს, და რადგან ქართველი იყო და დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს მეფეებზე, ერზე, ეკლესიაზე და პოლიტიკურს საქმეებზე, იმის შემწეობით აღასრულებდა თავის განზრახვას. გიორგის ძლიერ ეწყინა ეს განზრახვა; ეწყინა ისიც, როგორცა სჩანს პასუხიდგან, რომ პატრიარქმა ჩვენი სასულიერო წოდება უმეცრად და ბრიყვად დაასახელა. „ჩვენში, ეუბნება გიორგი პატრიარქს, ქრისტიანობა ჯერ გაავრცელეს ანდრია მოციქულმა და სვიმონ კანანელმა, მერე მოციქულთა-სწორმა წმინდა ნინომ. რაკი ერთხელვე ვიცანით ჭეშმარიტი ღმერთი, აღარასოდეს მას აღარ განვშორებივართ და არცა ჩავარდნილვართ რომელსამე მწვალებლობასა. დღესაც ჩვენ ყველა მწვალებლებს უარს ვყოფთ და შევაჩვენებთ. ჩვენ მტკიცედ ვადგევართ მართლ-მადიდებლობითს ქრისტეს სჯულსა და ვასრულებთ ქრისტეს სწავლასა და მოციქულთა მცნებებს. თუ ასეა, მაშ რა საფუძვლით, რა საბუთით გვრაცხთ ჩვენ უმეცრებად და თქვენს თავს კი აღიარებთ მეცნიერად და ბრძნად? თქვენ არ იყავით, რომ ხატთა დევნის დროს ისე შეარყიეთ მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოება, რომ გუთელ იოანე ეპისკოპოსმა ხელდასხმა მიიღო ჩვენს მცხეთაში და არა საბერძნეთში, როგორც სწერია დიდს სვინაქსარში [1]).

---

[1]) იხ. ქართლის ცხოვრება გვ. 168; **История Аѳона еп. Порфирія Успенскаго**, და წმინდა მამათა ცხოვ. გამოცემა საბინინისა გვ. 463.

ამისთანა საუბრით გიორგიმ დაარწმუნა და ჩააგონა თეოდოსე პატრიარქს ხელი აეღო იმ განზრახვაზე, რომ მოესპო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა; მაგრამ როგორც ეტყობა, პატრიარქს გულიდგან თავისი წადილი არ ამოუღია. პირველ საუბრის შემდეგ იგი უმეგობრდება გიორგის, მალ-მალე იწვევს თავისთან სასაუბროდ. რაზედა აქვთ საუბარი, არა სჩანს. უეჭველია, რომ ეს საუბარი ამავე საგანზე უნდა ჰქონოდათ [1]).

გიორგი მთაწმინდელმა არამც თუ ეკლესიის დამოუკიდებლობა დაიცვა, არამედ დიდი ღვაწლიც დასდო სასულიერო წოდებისა და ერის განათლებას. 1059 წელს ის მოვიდა საქართველოში და მოიტანა თავის მიერ ნათარგმნი წიგნები, მოჰკრიფა საქართველოში ოთხმოცამდე ყმაწვილი [2]) და წაიყვანა ათონის მთაზე. სხვებისთვის მაგალითის საჩვენებლად მოამზადა იქ წასაყვანად ჯერ ორი თავისი დისწული, მერმე შეჰკრიფა ქალაქებში, სოფლებში, მონასტრებში და ზოგნი კიდევ გამოისყიდა ბატონებისაგან. ერთის სიტყვით: თავადი, აზნაური, მდიდარი, გლახაკი, ობოლი, მონა, მწყემსი, — ვინც შეჰხვდა, ყველა მიიღო წიგნის სასწავლებლად. ხალხს ისე დიდად ესწამდა მისი სიწმინდე და მაღალ-გონიერება, რომ დედამამათ თვითონვე მოჰყავდათ მასთან შვილები, სტოვებდნენ მის კარებს წინ და თვითონ სახლში გადიხვეწებოდნენ. ამ სახით გიორგის შეუგროვდა ოთხმოცი ყმაწვილი [3]).

სამმა მიზეზმა იძულებული ჰყო მოეკიდნა ხელი ამ კეთილ საქმისთვისო, ამბობს ეპისკოპოზი პორფირი უს-

---

[1]) იხ. ქართ. წმ. ცხოვრ. 462 და 469 გვ. ქართ. ენაზე გამოცემა საბინინისა.

[2]) იხ. იქვე გვ. 470.

[3]) იხ. იქვე.

პენსკი. 1) იმას ჰსურდა საქართველოს ეკლესიას ჰყოლოდა განათლებულნი სასულიერო პირნი; 2) სურვილი ჰქონდა, რომ მისგან გადმოთარგმნილი წიგნები შეესწავლათ ყმაწვილებს, რომელთაც ეს უფრო ადვილად შეეძლოთ, ვიდრე დიდებსა, და 3) ეწადა ათონის მთაზე, ქართველთ ლავრაში, საცა ასაფლავიან წმინდა მამათა გვამნი: იოანესი, ეფთვიმესი, არსენისა, გრძელიძისა და მრავალთა ქართველთა წმინდათა, ყმაწვილებს შეესწავლათ ლმობიერი და ბრწყინვალე წირვა-ლოცვა და მერმე მოსულიყვნენ სამშობლო ქვეყანაში [1]).

1066 წელს გიორგიმ წაიყვანა თავისი ოთხმოცი მოწაფე და წავიდა ათონის მთაზე. თან გაჰყვნენ მრავალნი თავადნი და გლეხნიცა. ამათში ერია ერთი ერისთავიც, სახელად პეტრე. იმათ გაიარეს კონსტანტინეპოლზე. აქ დიდის პატივით მიიღო თავის სასახლეში იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ. მეორე დღეს უბრძანა გიორგის, მიჩვენე შენი ობლები, რომელნიც წამოგიყვანია საქართველოდგან აღსაზრდელათაო. პეტრე-პავლობის დღესასწაულის ორის დღის წინად, 26 ივნისს, იმან უბრძანა თავის მხლებლებს მოემზადებინათ ყველა ყმაწვილები იმპერატორისათვის საჩვენებლად, რომელმაც ამავე დროს შეატყობინა გიორგის, რომ იგი ნახავს მის ობლებს ფილოპატროსის ველზე. ყმაწვილები გაამზადეს. წმინდა მამა, თუმცა სნეულებდა, მაგრამ მაინც სხვის მოუხმარებლად შებძანდა ცხენზე, წინ წაუძღვა თავის მოწაფეებს და მივიდა დანიშნულს ადგილას. მოვიდა იმპერატორიც თავის მემკვიდრე შვილით და მრავლითა სეფე-წულებითა. როცა მან დაინახა თითქმის შვიდ-შვიდი წლის ობოლნი, მოკლე-მოკლე ბერულს ტანისამოსში გამოხვეულნი, ლმობიერებაში მოვიდა და უთხრა გიორ-

---

[1]) იხ. იქვე გვ. 471.

გის: „მამაო, მამაო! დიდი, დიდი საკეთილო საქმე გიქ-
მნიაო“. ამ დროს გიორგიმ მიაწოდა ხელში ხელმწიფეს
არზა და უთხრა პირად: „ღვთის შემდეგ, ხელმწიფეო,
მე იმედი მაქვს შენზე: მოაწია ჟამმა ჩემის სიკვდილისამ,
და გაბარებ და მოგანდობ შენ მზრუნველობას ამ ჩემს
ობლებსაო [1]).

აი ასეთი მფარველი იყო გიორგი მთაწმინდელი თა-
ვის ერთ სისხლ-ხორც ერისა; იყო მოწადინე მის განათ-
ლებისა, მის კეთილ-დღეობისა, დამოუკიდებლობისა; იყო
მოსარჩლე თავის სამშობლო ქვეყნის წინაშე პატრიარ-
ქებისა და იმპერატორებისა [2]).

ამავე წმინდა მამის დროს გულით და სულით მო-
წადინენი იყვნენ ქართველ ხალხის განათლებისა კიდევ
სხვანი: გიორგი, რომელსაც ეწოდა სახელად ახალი აბ-
რაამი, ილარიონ თულაელი და კიდევ მრავალნი სხვანი.
მაგრამ თუ ქართველებმა დაიცვეს თავისი სარწმუნოება
ალპ-არსლანისაგან, რომელიც ამ დროს შემოესია სა-
ქართველოს და გიორგიმ თავის თვალით იხილა სამშობ-
ლო ქვეყნისათვის მისგან შემთხვეული უბედურება,—ამის
მიზეზი იყო არა ვინმე სხვა, არამედ გიორგი მთაწმინ-
დელიო, ამბობს ბარათაშვილი [3]).

დარწმუნებული ვართ, ვინც ცოტაოდენად ჩვენის
ძველებურის სასულიერო წოდების ისტორია იცის, ამ
ფაქტებიდგან იმ აზრს არ გამოიყვანს, ვითომც სასულიე-
რო პირნი მარტო იმას მეცადინეობდნენ, დაეცვათ ქართ-
ველ ხალხში ქრისტიანული სარწმუნოება. არა, მათ თა-
ვიანთი მოვალეობა ასე მცირედ არ ესმოდათ. იმათი
მოქმედების ასპარეზი განიერია. როცა მტერი ექადის

[1]) იხ. იქვე გვ. 476.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 226 და 229.

[3]) იხ. აგრეთვე ქართ. წმ. ცხოვ. საბინინისა გვ. 472.

ჩვენს სარწმუნოებას, ისინი შთააგონებენ ხალხს, არ მოღალფდეს, არ შედრკეს, არამედ მხნედ წინააღუდგეს მტრის განზრახვას, როცა მტერი არ აწუხებს სამშობლო ქვეყანას, სუფევს მასში მშვიდობიანობა, მაშინ სულით და გულით მეცადინეობენ გაავრცელონ ხალხში განათლება. ყოველგან მონასტრებში ბერებს და ეპარქიაში მღვდელ-მთავრებს სასწავლებლები აქვთ გახსნილი, ბეჯითად ასწავლიან ქართულს ენაზე წერა-კითხვას, სამღთო წერილს და მეცნიერებას. ამ საქმეში მათ შველიან მონოზნები დედათა მონასტრებში და სოფლად წარჩინებულთა ცოლები და გლეხთა ჯალაბნი. მაგრამ როცა სამშობლო ქვეყნის გაძლიერება მოითხოვს მათს ქომაგობას ჭკუით, განათლებით, ცოდნით, დარიგებით, ხალხზე გავლენით, მაშინ ვისაც ამ გვარი სამსახურის ნიჭი აქვს, თან მიჰყვება მეფის ლაშქარს, მხურვალე მონაწილეობას იღებს მტერთან ბრძოლაში, მის დამარცხებაში და მასთან შერიგებაში. მოიგონეთ გიორგი ჭყონდიდელი, მეფის დავით აღმაშენებლის „მწიგნობართ-უხუცესი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა, სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი, ფრთხილი, თანა-აღზრდილი პატრონთა, და თანა-განკაფული ყოველთა გზათა, და საქმეთა და ღვაწლთა მისთა“ [1]). მეფე დავით აღმაშენებელი მედგრად ებრძვის თურქებს, მეცადინეობს მათ გარეკას საქართველოდგან, მაგრამ გიორგი ჭყონდიდელს უფრო ესწრაფება მათი განდევნა, ვიდრე მეფეს. უკანასკნელს ჯერ-ჯერობით არა სწადიან და არც რომ იმედი აქვს წაართვას სამშვილდის ციხე მტერს. ამის გამო, ვიდრე მეფე აღმოსავლეთის საქართველოში არის, ჭყონდიდელი გაჩუმებულია, უცდის იმის იმერეთში წასვლას. აგერ ახლა

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 247.

მეფე წავიდა დასავლეთის საქართველოში. მაშინ ჭყონ-
დიდელი უბრძანებს თავის დისწულს თეოდორეს, კლდე-
კარისა და თრიალეთის ბატონსა, აბულელსა და იოანე
ორბელსა დაუყოვნებლივ შეჰყარონ ჯარები და წაართვან
თურქებს სამშვილდის ციხე. ეკლესიის მორჩილთა შვილ-
თა მყისვე აღასრულეს თავიანთ სულიერ მამის, მღვდელ-
მთავრის, სიტყვა. მათ „სიმარჯვით მოიპარეს სამშვილ-
დის ციხე“ [1]). ამის კეთილს მაგალითს მისდევს მისი მო-
ადგილე, მწიგნობართ-უხუცესი, სვიმონ ჭყონდიდელიცა.
იგი თავგანწირულად ებრძვის ეკლესიურის ჯარებით
მტერს მეფის ლაშქრებთან ერთად. ყოველს ბრძოლაში
ამ სულიერ მამას უჭირავს ხელში ჯვარი, წინ მიუძღვის
ჯარებს და ებრძვის მტერს. ჯარები რომ საბრძოლვე-
ლად მიდიან, ის წინ მიუძღვის თავის სულიერთა შვილ-
თა, რომ გამობრუნდებიან—უკან მოექცევა. ის შამაა ჯა-
რებისა. როცა შესაბმელად მიდიან, თავის მკერდით იცავს,
როცა გამობრუნდებიან ბრძოლის ველიდგან,—იცავს
თავის ზურგითა. არა ერთხელ გაიმარჯვა მან შაქირ-
შირვანში და ისეთი სამსახური დასდო საქართველოს, რომ
დავით აღმაშენებელმა იგი შაქი-შარვანის გამგებელად
დასტოვა. „გამგებელად და ზედამხედველად ყოველთა
საქმეთა შაქი-შირვანისა აჩინა მწიგნობართ უხუცესი სვი-
მონ, ჭყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოზი“, ამბობს „ქართ-
ლის ცხოვრება“ 252 გვერდზე. ზაქათალის მაზრის
მცხოვრები ქართველი ხალხი, ლეკები და მთელს ნუხის
მაზრაში, კავკასიის მთის ძირობაზე, მცხოვრებნი და აგ-
რეთვე წახურის ხეობის ლეკები ამბობენ, რომ ამ ქვეყ-
ნების მმართველი ერთ დროს „ყარაქეშიში“ (შავი მღვდე-
ლი) იყოვო.

სამშობლო ქვეყნის კეთილ დღეობისა და თავისუფ-

---

[1]) იხ. იქვე გვ. 244.

ლებისათვის თავ-გადადებულნი სულიერნი პირნი არ მოჰკლებიან საქართველოს არასოდეს. იმათი რიცხვი ლეგიონია. მაგრამ ყველას მოხსენება არ შეიძლება. ჩვენის განზრახვის აღსრულებისთვის საკმარა იმდენი, რაოდენიც დაარწმუნებს ახლანდელს ქართველობას, რომ „რაც ვიყავით, ის აღარ ვართ“. მე ვიღებ მაგალითად იმისთანა პირებს, რომელნიც მოქმედებენ საქართველოს გაჭირების დროს, ამის გამო ახლა მე შევეხები მოქმედებას ნიკოლოზ ქათალიკოზისას, რომელიც სცხოვრობდა მეცამეტე საუკუნეში.

ნიკოლოზ იყო კაცი უშანკო, ღვთის მოშიში, ნამდვილი მწყემსი თავის ერისა. მას არ უყვარდა სიტყვის დამალვა, პირში ამხილებდა ყველას, ვინც უწესოდ იქცეოდა: მეფესაც დი მთავრებსაც.

მონგოლებმა ხარჯი [1]) რომ დაადეს ქართველ ხალხს, ამ ნიკოლოზის მეცადინეობით, მონასტრები, ეკლესიები, საეკლესიო სოფლები და მამულები განათავისუფლეს ხარჯ-ბეგრისაგან. მაგრამ ნოინები ყურადღებას არ აქცევდნენ ეკლესიის ქონებას და ამაში ეკლესია ზარალობდა. ამ მიზეზისა გამო იმან წაიყვანა ვარძიის მონასტრის მოძღვარი და წავიდა ულო ყაენთან. უკანასკნელს ძალიან გაუკვირდა, ქათალიკოზი რომ ნახა დიდებულად ტანთ-ჩაცმული. ჯერ არ ენახა ქრისტიანულ სასულიერო წოდების ტანთ-ჩაცმულობა. ძლიერ კარგად მიიღეს იგი ურდოში და დაუმტკიცეს ეკლესიის მამულები; აგრეთვე გამოსცეს ბრძანება, არავინ შეჰხებოდა მის ქონებას. ამავე დროს მისთვის პატივის-საცემლად, გააკეთებინეს ორი ოქროს ჯვარი, შეამკეს თვლებითა და მარგალიტითა: ერთი მისცეს მას თვითონ, მეორე მის მხლებელს, ვარძიის მოძღვარს. ნიკოლოზს აჩუქეს აგ-

---

[1]) იხ. Ист. Груз. Церк. Іосел. გვ. 90.

რეთვე ოქროს კვერთხი, რომელსაც თავზე ოქროს ჯვარი ჰქონდა ჩასხმული [1]).

ჭეშმარიტად ნიკოლოზ იყო კეთილი მწყემსი და ფხიზელი დარაჯი ეკლესიისა. არავის ნებას არ აძლევდა მოეტაცნა ეკლესიისათვის შვილი. თუმცს სცხოვრობდა არეულ-დარეულს დროს, მაინც მხნედ იცავდა ხალხში ქრისტიანულ ზნესა. ყველას დაურიდებლად უშლიდა გარყვნილობასა. მეფე დიმიტრის თავ-დადებულის დროს მაღალ წოდებას შემოეპარა ორ-ცოლიანობა. ამაზე ნიკოლოზს აუღელდა სული. ღრმად მოხუცებული გამოვიდა ხალხში და ძლიერად ამხილა მეფე დიმიტრი, რუსუდან დედოფლის შვილის-შვილის შვილი ბუღა, სადუნი მანკაბერდელი და მრავალნი სხვანი; მაგრამ რომ ვერა შეასმინა-რა, ხელი აიღო ქათალიკოზობაზე და თავის ნაცვლად აკურთხა მეფის ჯვარის მტვირთველი აბრაამი [2]). მასთან ერთად მოქმედებდა ნიკოლოზ მაწყვერელიცა [3]).

ნიკოლოზ, მართალია, ჩამოეცალა მოქმედების ასპარეზს, მაგრამ მისი სულის კვეთება, მხნეობა, ერთგულება ეკლესიისა და ქართველობისა არ მოკვდა. მის მაგალითს ახლა სხვა ბერები აჰყვნენ. საქართველოს ხალხის ზნეობით წამხდარი მდგომარეობა რომ შეიტყეს ათონის მთაზე, გამოგზავნეს იქიდამ ბერი ვასილი. მან დაურიდებლად და მხნედ აყვედრა და უთხრა მეფე დიმიტრის და თავადებს: თუ არ დაიშლით სამ-ცოლიანობას, თუ წმინდად არ დაიცავთ ქართველთ ქრისტიანულს ზნეს, ჩვეულებას და ცხოვრების კანონებს, მოვიწვევ თქვენზე

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 380 და Описаніе г. Тифлиса, გვ. 137.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 416 და 418.

[3]) იხ. იქვე გვ. 415.

ღვთის რისხვასა და ახლავე გიწინასწარმეტყველებთ, რომ ვერ გადურჩებით ამ წუთის-სოფელშივე ღვთის დასჯას. მეფეს უთხრა: თუ ჭკუაზე არ მოხვალ, შენ მტრის ხელით მოკვდები და შენს ქონებას ის აიკლებსო [1]). ამავე დროს საქართველოში მოქმედობდნენ სიტყვითა ღვთისათა სხვა ბერებიცა. ესენი არიან: დავით გარეჯის მონასტრის ბერი, პატიოსანი პიმენ სალოსი [2]) და სამცხელი ანტონ ნაოხრებელიძე. ამათ შეიტყეს, რომ საინგილოში (ზაქათალის მაზრა) ქრისტიანობა ემხობა. წავიდნენ ბელაქანში, რომელიც მეფე დიმიტრიმ სადუნ მანკანბერდელს მისცა [3]); დასახლდნენ ბელაქანის ერთს მონასტერში და თავის ძლიერის სიტყვით და ხალხში სახარების სწავლის ქადაგებით დაიცეს თავის დროს ქრისტიანობა [4]).

აი ასე მეცადინეობდნენ მეთოთხმეტე საუკუნემდე ქართველთ ეკლესიის სასულიერო პირნი. მათზე ნაკლებად არ ირჯებოდნენ მღვდელნი ამ საუკუნის შემდეგაც.

მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუკუნოებში საქართველო დიდს განსაცდელში ჩავარდა. მემატიანენი ისეთის აღელვებულის გულით და გრძნობით სწერენ ქართველთ ულმობელს მდგომარეობაზედ ამ საუკუნოებში, რომ რომელს ქართველსაც კიდევ კაცური გრძნობა უღვივის გულში, არ შეუძლიან მწუხარებით არ ამოიკითხოს ეს სტრიქონები და არ დასწყევლოს წუთისოფელი და კაცთ-უსამართლობა.

მადლი, პატივი და დიდება ძველებურ ქართველებს,

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 418 და 419.

[2]) ის მოკვდა ბელაქანში ვგონებ 1292 წ. იხ. Описаніе Тиф. II. Іоселіани, გვ. 158.

[3]) იხ. იქვე გვ. 412.

[4]) იხ. იმავე წიგნში გვ. 419.

მათს მხნეობას, მათს სიფრთხილეს, ვაჟ-კაცობას, გულის სიმტკიცეს და უშიშრობას, რომ მტერს კისერს არ უდრეკენ, გაბრაზებულნი ებრძვიან სპარსეთს, ოსმალოს, დაღესტანს, კავკასიის მაჰმადიანებს და ასე იფარვენ თავიანთ ეროვნებას და სარწმუნოებას. ამ საუკუნეებში მართლაც რომ ყველანი მზად იყვნენ—სარწმუნოებისა, ქართველობისა და სამშობლო ქვეყნის დასაცველად თავისი თავი, ცოლი, შვილი და ქონება შეეწირათ. ბრძოლის ველზე უსწრობდა ბერი ყრმასა, და ყრმა ბერსა, პატრონი ყრმასა, ყრმა პატრონსა,—აბა ვინ უფრო დავიმსახურებთ სახელს ჩვენის თან-განწირულებითაო. მეფენი და დიდებულნი რომ ჰხედვენ ამ წუთის-სოფლის მღელვარებას და ამაოებას, მთელს თავიანთ სიცოცხლეში მათის სარწმუნოების დევნას მძვინვარე მტერთაგან,—დიდის ხალისით სტოვებენ სოფლის დიდებას, იმოსებიან სულიერ მამათა მანტიით და ხდებიან ხალხის მოძღვრად, რომ თავისის მაგალითით დაიცვან სარწმუნოება. მაგრამ მარტო სარწმუნოება არ იყო იმათ დაცვის საგნად. იმის დაცვით იგინი იცავდნენ აგრეთვე თავიანთ ეროვნებას და პოლიტიკურს თავისუფლებასაც. ასეთნი დაუვიწყარნი და ნეტარად სახსენებელნი პირნი არიან: იმერეთის ბატონის შვილი, ეპისკოპოსი ბიჭვინტისა, სიმონი, ქათალიკოზი აფხაზეთისა და იმერეთისა, თ. მალაქია აბაშიძე, გენათის ეპისკოპოზი მელქისედეკი, ბატონის ბაგრატის შვილის-შვილი, ქართლის ბატონის შვილი დავითი, რომელმაც მიიღო უბრალო ბერის ხარისხი და აგრეთვე გიორგი ბატონიშვილი, წოდებული ბერობაში გერასიმეთ, დავით მეფის ძმა ბაგრატი, წოდებული ბარნაბად, და კიდევ მრავალნი სხვანი. ანტონ ქათალიკოზმა, რომელმაც დასწერა წმინდათა ქება, მოწამეთა რიცხვს ლაშქართან აღარ ებს.

ხალხი რაკი ხედავდა, რომ მეფენი და დიდებულნი

მღვდლათა და ბერებათ ეკურთხებოდნენ სარწმუნოების დასაცველად, აღარც თითონ ერიდებოდა სიკვდილს. სასულიერო წოდება ამხნევებდა მას თავის კეთილის მაგალითით და თავ-განწირულებით. 1634 წლისა და 1658 წლებს შუა, საქართველოში გამაჰმადიანებული როსტომ რომ მეფობდა, სჩაგრავდა ქრისტიანობას და ქართველობას, შემოჰქონდა სპარსული ჩვეულებები, აი მაშინ ქათალიკოზი ევდემონ დიასამიძე დღე და ღამ ხალხს არიგებდა და ეხვეწებოდა, ხელს ნუ აიღებთ თქვენს სარწმუნოებაზე და ნუ გინდათ მაჰმადიანი მეფეო. ამისთვის დაიჭირეს იგი, დაახრჩეს და თბილისის ციხიდგან გადმოაგდეს. იმის შემდეგ ქათალიკოზობა ჩამოართვეს აგრეთვე ნიკოლოზ ამილახვარს, რადგან ესეც ესარჩლებოდა ქართველობას და ქრისტიანობას. ნიკოლოზ მღვდელმთავარი იყო კაცი ძლიერ განვითარებული ღვთისმეტყველებაში და ფილოსოფიაში. ეს ძლიერი კაციც ჩამოაცალეს ისტორიულს ასპარეზს; მაგრამ ეკლესიას მაინც არ მოაკლდნენ მამულისთვის თავ-გადადებულნი სასულიერნო პირნი. ყოველგან საქართველოში მათ ჰქონდათ მონასტრები, ჩიტის ბუდეებსავით მიკრულნი ფრიალო კლდეებზე, აშენებულნი მთა-ღრეებში, სადაც სულიერნი მამანი ამზადებდნენ თავიანთ თავს მარხულობითა, ლოცვითა და ბერულის ღვაწლით მამულის კეთილდღეობისათვის თავ-შესაწირავათა. ამ მონასტრებში გალვიძებულ სიყვარულით ქრისტიანობისადმი ისინი გამოდიან ხალხში და უშიშრად ებრძვიან მამულის მტერს. 1606 წელს, ლუარსაბ მეფის დროს ოსმალებმა დაიჭირეს მანგლისის მხარეს ერთი მღვდელი, დაუწყეს ლახტით ცემა და ჰკითხავდნენ მას: გვითხარ სად არის მეფე თავის ჯარებითაო? ეს სულიერი მამა დიდად აწვალეს და სტანჯეს, მაინც არ უთხრა თათრებს, სად იდგნენ ქართველთა ჯარები. „ქვეყანაზე მე ერთის წუთის სიცოცხლე

მაქვსო და ამაზე როგორ გავსცვალო მთელი სამშობ-
ლოვო; არა, არ ვიქმნები გამცემელი მეფის და ქვეყნი-
საო", ეუბნებოდა ის მტარვალთ. მერმე თითქო დაიყო-
ლიეს, წამოუძღვა წინ და მოიყვანა თათრები ისეთს ად-
გილას, რომ თუ მეფეს მოესწრო, მთლად ამოსწყვეტდა
მტერს. მღვდელს შეუტყვეს ცბიერება, მოჰკვეთეს თავი
და ეკლესიამ შერაცხა იგი წმინდათა თანა. მაგრამ ამის-
თანანი მარტო ერთი და ორი როდი იყო ამ დროს!
ერთი თუ ბრძოლის ველზე მტერს თავს აკლავდა, მეო-
რე მიდიოდა ოსმალეთში, რუსეთში და ევროპაში, რომ
საქრისტიანო ხელმწიფეებისათვის შემწეობა ეთხოვნა. მო-
ვიგონოთ საბა სულხან ორბელიანი, რომელმაც მოიარა
საფრანგეთი და იტალია და ცრემლით ეხვეწებოდა ლუ-
დოვიკო მეფეს და პაპას საქართველოსთვის შველას. გა-
ვიხსენოთ ქათალიკოზი დომენტი მე-III, ძმა მეფე ვახ-
ტანგ მე-VI-სა, რომელიც 1723 წელს უშიშრად წარს-
დგა სტამბოლში წინაშე ხონთქრისა და ეხვეწებოდა და-
ამშვიდე საქართველო და ხელი აიღე ეკლესიის დევნა-
ზედაო. ამისათვის 11 წელიწადი ტუსაღანაში ჰყავდათ,
მაგრამ მამულის სიყვარული მაინც გულიდგან არ ამოი-
ღო. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე იმ ბერებს, მღვდლებს და
მღვდელ-მთავრებს, რომელნიც ასობით მიდიოდნენ რუ-
სეთში მამულის შეწევნისათვის.

ერთის სიტყვით, ერთი სულიერი მამა თუ შინ იბრ-
ძოდა, მეორე გარეთ გადიოდა—სხვა სახელმწიფოებში
და საქართველოსთვის მომხრეებს ეძებდა. მაგალითად ვა-
ხუშტი სწერს თავის გეოგრაფიაში რომ მღვდელ-მთავარი
ავალიშვილი მროველი თავ-განწირულებით ქადაგებდა
ხალხში, თავადთა შორის, ჯარში და მეფის წინაშეო და
მხნედ ეუბნებოდა ყველას: „ნუ მოღაფლდებით, ნუ შეძ-
რწუნდებით, ნუ შეშინდებით, ნუ გაიტეხთ გულს, ვებრ-
ძოლოთ ყველანი მტერს უშიშრად და თავს-ზარი დავს-

ცეთ. მოდით შევიყარნეთ ყველანი ერთად და დავსდოთ თავი სამშობლოს თავისუფლებისათვის. ჩვენ სულიერნი მამანი ჯვარით წინ წაგიძღვებით, თვენ მოგვდევეთ უკან და ერთობილად დავამარცხოთ მტერი“. ისეთი გასაკვირველი კაცი იყო მართლაც ეს მღვდელ-მთავარი, ისე უყვარდა ქართველობა, რომ მარაბდის ომის წინ ქართველები არ აზიარა, რადგან წმინდა საიდუმლო არის ქრისტიანობის საგზალი საქაოდგან საიქიოს წასატანი; იმან ვერ გაიმეტა ქართველობა—მტრის ხელით დახოცილიყო და ეს საგზალი წაეღო. არა, არა, ვერ გაგიმეტებთ—ვერ გაზიარებთო. უზიარებელნი რომ იქნებით, ღმერთი არ იპრიანებს თქვენს სიკვდილს უზიარებლად და მტერს დაგვამარცხებინებსო. ან კი როგორ შემიძლიან, როგორ გავბედავ მე მიკარებას წმინდა საიდუმლოსათვის. გული ჩემი ჩქეფავს სისხლითა, სავსეა ჩვენის მწვალებლობის მტერობით და აბა, ამ გულით, როგორ გავბედავ, მივეკარო მშვიდობიანობის საიდუმლოსა და თქვენს ზიარებასა, არა, მე არ შემიძლიან: სთხოვეთ სხვამ გაზიაროთ. მე დღეს თქვენში გამორჩეული არ უნდა ვიყო. მე, როგორც სულიერი მამა, უფრო უმეტესად ვალდებული ვარ სარწმუნოებისა და სამშობლო ქვეყნის დაცვას თავი შევსწირო. იქ, სადაც დღეს ჩემნი სულიერნი შვილნი ხმალს მოიქნევენ, ვერ დავდგები რომ მეც ხმალი არ ვიშიშვლო და მტრის თავზე ჩახა-ჩუხი არ ავაყენო.

ჭეშმარიტად რომ განსაცვიფრებელი სიმხნევე გამოიჩინა სასულიერო წოდებამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთსა და იმავე დროს ის ებრძოდა ოთხს მტერს: პირველზე—სპარსეთზე, ოსმალოზე და დაღესტანზე მე უკვე ვილაპარაკე. მეორე მტერი იყო გამაჰმადიანებული ქართველობა და მეფეები. 1561 წლიდგან დაწყობილი საქართველოს ტახტზე სხდებოდნენ მეფენი ზოგნი ქრის-

ტიანენი, ზოგნი მაჰმადიანნი—უქანასკნელნი, რადგან თვითონ უღალატეს მამა-პაპის სარწმუნოებას, მუდამ იმას მეცადინეობდნენ, დანარჩენი ქართველობაც გაემაჰმადიანებინათ; სპობდნენ ქართულს ზნეს, ჩვეულებას, ცხოვრების წესს, ტან-საცმელს, ყოფა-ქცევას და შემოჰქონდათ სპარსული და ოსმალური მაჰმადის სჯულის წესი. თავის მაგალითით ეწადათ მოეშლევინებინათ ხალხისათვის ქრისტიანული წესები და ზნე. მაგრამ სასულიერო წოდება მტერს დარაჯად ედგა და ხალხს აფთხილებდა. ამისათვის დაისაჯნენ ქათალიკოზი ევდემონ დიასამიძე, ნიკოლოზ ამილახვარი, დომენტი ქათალიკოზი, იოანე სააკაძე, დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვარი, მანგლისის მღვდელი თეოდორე, მღვდელ-მთავარი დოსითეოს თბილელი და მრავალნი სხვანი. თავის თავ-განწირულებით ამათ დაიცვეს ხალხში ქრისტიანობა და მით დაამარცხეს მტერი.

მესამე მტერი იყო უმეცრება. როგორც ეხლაა, ასეთი გაწყობილი სკოლები უწინდელ დროში საქართველოში არ იყო; არ იყო აგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც. მაგრამ საქართველოში არ იყო ისეთი ეპარქია და მონასტერი, რომ შიგ დროს-შესაფერი სკოლები არ ყოფილიყოს. 1673 წელს რიცხვი ეპარქიებისა იყო 32. მონასტრებიც თუ ამაზე მომეტებული არა, ნაკლები არ იქნებოდა, ამისათვის რომ ყოველს ეპარქიას თავის მონასტერი უნდა ჰქონოდა. მაგრამ ვახუშტის თავის გეოგრაფიაში აქვს ჩამოთვლილი 200-ზე მეტი მონასტერი. თუ ყოველგან არა, ამ ეპარქიებისა და მონასტრების მომეტებულს ნაწილში იყვნენ სკოლები და იქ ასწავლიდნენ ახალგაზდა ქართველებს წერა-კითხვას, საღმთო წერილს, სამშობლო ეკლესიურს და სამოქალაქო ისტორიას. „მონასტრები უწინაც და ეხლაც, ამბობს იოსელიანი [1])

[1]) იხ. Ист. Груз. Церк. გვ. 119.

იყვნენ მეცნიერების სადგურნი და ნერგნი ერის განათლებისა".

როცა სასულიერო წოდებამ იხილა, რომ ხალხის ეკლესიებით სარგებლობდნენ ჩვენის სარწმუნოებისა და ერის მტერნი, ძლიერ მხნედ და ბეჯითად შეუდგა ერის სწავლებას ეკლესიების ეზოებში და ეპისკოპოსთა სახლებში. 1762 წელს საქართველოს ეკლესიამ მოახდინა კრება, რომელზედაც დაესწრნენ: სამთავრისა და გორის მიტროპოლიტი ბესარიონ, თბილისის მიტროპოლიტი მიხეილ, ნინო-წმინდისა საბა ტუსიშვილი, 12 მონასტრის წინამძღვარნი, არქიმანდრიტი საბა და ანჩხატის დეკანოზი გიორგი [1]). თავმჯდომარედ იყო ბესარიონ მიტროპოლიტი, კაცი ბოლოდნე და განვითარებული სწავლაში. ამათ გადასწყვიტეს, რომ ყოველს ეპისკოპოზს თავის ეპარქიაში გაეხსნა სკოლა და ესწავლებინა ხალხისთვის წერა-კითხვა. ამავე წელს მეფე ირაკლი მე-II სწერს ნეკრესის ეპისკოპოსს დოსითეოსს: „შემატყობინე, რა მდგომარეობაში არის ნეკრესის სკოლაო. იცოდეთო, რომ მე ძლიერ მესიამოვნება, თუ რომ ერთგულობასა და ბეჯითობას გამოიჩენთ ერის განათლებაშიო" [2]). ქათალიკოზი იოსებ, რომელსაც თავის ეპისტოლეში ჩამოთვლილი აქვს მღვდელ-მთავრების ვალდებულებანი, ამბობს, რომ ეპისკოპოზებმა ხალხს წერა-კითხვა უნდა ასწავლონო. ამ კრების გადაწყვეტილებას ახლა შენცა და სხვებსაც ვატყობინებ, რომ ყოველგან ეპარქიებში ბეჯითად აღასრულებდნენ ბრძანებასაო.

აღასრულეს ეპისკოპოსებმა თუ არა ეს კრების გადაწყვეტილება, ჩვენ ამაზე არავითარი ცნობები არა გვაქვს; მაგრამ ვიცით კი რომ 1617-დგან 1772 წლამდე

---

[1]) ალექსიევ-მესხი.

[2]) იხ. **Церк. Гудж. Пур.** გვ. 29, 31, 40 და 42.

საქართველოში იყვნენ შემდეგნი განვითარებულნი და მეცნიერების კარგად მცოდნე პირნი:

1) ქათალიკოზი ზაქარია, რომელმაც ასწერა საქართველოს ისტორიული შემთხვევანი მის დროს მომხდარნი (1617 წლიდგან).

2) მთავარ-ეპისკოპოსი იესე თბილელი (1640 წ.)

3) მეფე თეიმურაზ I-ს და მაკრინე. ამან დასწერა ქართველთა წმინდათა საქებრად სტიქარონები (1658 წ.)

4) ქათალიკოზი ევდომონი იმერეთისა. ამან დასწერა საეკლესიო კანონები—24 მუხლი (1662 წ.)

5) ანტონ, თბილისის ეპისკოპოსი.

6) ნეკრესის ეპისკოპოსი დოსითეოს, ფილოსოფოსი.

7) არსენ ნინო-წმინდელი, კარგად მცოდნე ღვთისმეტყველებისა, ფილოსოფიისა და სამღვთო წერილის განმარტების დამწერი (1682 წ.)

8) არქიმანდრიტი იობ ფიტარეთელი, კარგი მცოდნე სამღთო წერილისა და მქადაგებელი (1691 წ.)

9) ბერი იოანე ჩხატარაიძე გურიიდგან. ამას დაუწერია ლექსად ისტორია ქართველთა წმინდათა. ამასვე ჰქონია დაწერილი ქრისტიანობის ისტორია ქობულეთში (1698 წ.)

10) არქიეპისკოპოსი იოსებ თბილელი. ამას დაუწერია ლექსები სასულიერო შინაარსით და საღმთო დარიგებები. თანამედროვენი იმას ფილოსოფოსს ეძახდნენ (1702 წ.)

11) ქათალიკოზი დომენტი III, რომელმაც საბერძნეთის ეკლესიის წმინდათა ცხოვრება შეჰკრიბა. ამანვე დასწერა თავის დროის ისტორია საქართველოსი (1703 წ.)

12) იმერეთის ქათალიკოზი ნიკოლოზ. ამან დასწერა საღმთო წერილის განმარტება და საღმთო ისტორია (1710 წ.)

13) ბერი იაკობ, რომელმაც მოიარა პალესტინა. ამისი თხზულებანი ინახებიან გაენათის მონასტერში (1712 წ.)

14) მღვდელ-მონაზონი გრიგოლ ვახვახოვი. ამან აღწერა ქეთევან დედოფლის ცხოვრება. ამანვე დასწერა მისთვის სტიქარონები, რომელთაც ეკლესია დღესაც უგალობებს ქეთევანს.

15) არქიეპისკოპოსი იოსებ სამებელი. ეს იყო მოსკოვში და 1743 წელს ბატონის შვილების ბაქარისა და ვახუშტის ბრძანებით გაასწორა დაბადება და დააბეჭდვინა.

16) არქიეპისკოპოსი თბილისისა ნიკოლოზ მროველი, რომელმაც დააბეჭდვინა საეკლესიო წიგნები.

17) დეკანოზი მეფის-კარის ეკლესიის მიხეილ. ვახტანგ მეფის (VI) დროს ესეც წიგნებს აბეჭდვინებდა (1764 წ. [1]).

ამათ გარდა, რასაკვირველია, კიდევ იყვნენ სხვანიცა, მაგალითად: დეკანოზი ზაქარია გაბაშვილი, ათანასე მთავარ-ეპისკოპოსი, ეპისკოპოსი საბა ნინო-წმინდელი, იმერეთის ქათალიკოზი იოსებ, სოლომონ I მეფის ძმა და სხვ., მაგრამ ყველას ჩამოთვლას მე საჭიროდ არა ვრაცხ. ეს პირნიც მხოლოდ იმისთვის მოვიხსენიე, რომ მეთქვა: თუ ამ დროს სკოლები არ ყოფილიყვნენ, ამდენი ნასწავლნი სასულიერო პირნიც არ იქნებოდნენ. აქედგან ცხადია, რომ მოხსენებულ ეკლესიურ კრების გარდაწყვეტილება ბეჯითად სრულდებოდა ყოველს ეპარქიაში და განათლების შემწეობით ისინი იცავდნენ ხალხში ქრისტიანობას.

რადგან საეპარქიო სკოლებში მოსწავლეთაგან საეკლესიო წიგნების კითხვის შესწავლა და ცოტა რამ სამღთო წერილის ცოდნა საკმაო არ იყო მომავალ სუ-

---

[1]) იხ. ეკლესიის ისტორია პლ. იოსელიანისა.

ლიერ მამათათვის, ამისათვის ქათალიკოზმა ანტონმა, მეფე თეიმურაზისა და ირაკლის დროს, გახსნა ორი სემინარია. ერთი — თელავში, მეორე თბილისში. ამ დროს შესანიშნავი სასულიერო პირნი არიან: ქათალიკოზი ანტონ I, ქათალიკოზი ანტონ მე-II, მთავარ-ეპისკოპოსი ანტონ ჭყონდიდელი, ეპისკოპოსი ამბროსი ნეკრესელი, ეპისკოპოსი იოსებ ხარჭაშნელი, დავით რექტორი [1]), გაიოზ, ეპისკოპოსი ვარლაამ [2]), არქიმანდრიტი ტარასი [3]) და სხვ.

ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილნი მამანი, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში მცხოვრებნი, არამც თუ სკოლებსა ხსნიდნენ და ასწავლიდნენ ერს წერა-კითხვას, ფილოსოფიას, ღვთის-მეტყველებას და საღმთო წერილს, რასაკვირველია, სქოლასტიკურად, არამედ ზოგნი მათგანნი, ჯარსაც მიუძღოდნენ წინ, ამხნევებდნენ თავიანთ მაგალითით, და ამარცხებდნენ მტერს ბრძოლის ველზე. ზოგნი თავიანთ ლოცვითა, მარხულობითა და ბერულის ღვაწლით აღვიძებდნენ ხალხში სიყვარულს ქრისტიანობისადმი; ზოგნი ქადაგებდნენ ეკლესიებში ქრისტეს ზნეობრივს სწავლას, როგორც მაგალითად ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელი, ვარლამ მიტროპოლიტი; ზოგნი აგროვებდნენ ძველებურს წიგნებს და ავრცელებდნენ ხალხში; ზოგნი სწერდნენ სხვა-და-სხვა თხზულებებს, როგორც მაგალითად ანტონ პირველი, გაიოზი, დავით რექტორი, ბესარიონ, დოსითეოს [4]) და ზოგნი კიდევ მართავდნენ სტამბას და ბეჭდავდნენ საეკლესიო და საერო წიგნებს. 1723 წელს დაიბეჭდა პირველად

---

[1]) გვარათ ალექსიევ-მესხიევი.

[2]) გვარათ თ. ერისთავი.

[3]) ალექსიევ-მესხი.

[4]) ფიცხელაური.

ქართული დაბადება მთავარ-ეპისკოპოსის იოსებისაგან ბა-ქარის ხარჯითა და ამის შემდეგ აღარ დაბეჭდილა.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მეჩვიდმეტე საუ-კუნიდგან ძლიერ იღვიძებს სასულიერო წოდება. ის ჰხე-დავს საქართველოს საშიშარს მდგომარეობას და მთელის თავის ძალღონით მეცადინეობს დაიცვას სამშობლო ქვეყ-ნის თავისუფლება, ენა, სარწმუნოება და ეროვნობა. ამის სახსრად იგი ჰხედავს განათლებას, მაგრამ წიგნებს ვერა შოობს. 1235 წლიდგან დაწყობილი ვიდრე მეჩვიდმეტე საუკუნემდე გაჰქრა ყველა ის წიგნები, რომელიც გამოს-ცეს საქართველოს ეკლესიის წინანდელმა საუკუნოებმა. მეცამეტე, მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუ-კუნოების განმავლობაში ქართველობას თითქმის არა გაუკე-თებია-რა ერის განათლებისათვის მწიგნობრობის ასპარეზზე, რადგან მტრისაგან მოცლა არა ჰქონდა. რაც წინა საუ-კუნოებმა გამოსცეს, ჯერ კიდევ იმით იკვებებოდა ქართ-ველთ გონების მოთხოვნილება. მაგრამ ამ დროს განმავ-ლობაში რიცხვი წიგნებისა, რომლებშიაც იყო მოქცეუ-ლი ქართველთა ჭკუა-გონების ნაწარმოები, ყოველ წლივ კლებულობდა, ზოგი გაცვდა ხმარებით, ზოგი დაიკარგა, ზოგი მტრებმა წაიღეს. ერთს სომხის სწავლულს, ხეჩა-ტურ ავანისიანცს უნახავს 1865 წელს სამარყანდში მრა-ვალი ქართული ხელთნაწერი წიგნები, წაღებული მეთ-ხუთმეტე საუკუნეში თემურ-ლენგისაგან და იქ ერთ კოშკ-ში შეგროვებული [1]).

ამ გვარის მიზეზებისა გამო დიდი ნაკლულევანება-იყო სკოლებში სახმარ წიგნებისა. ამ ნაკლულევანების მოსასპობლად ხელი მიჰყვეს წიგნების თარგმნას დოსი-თეოსმა, ანტონ ქათალიკოზმა, გაიოზმა, დავით რექ-ტორმა, საბა-სულხან ორბელიანმა და მრავალთა სხვათა-

---

[1]) იხ. Опис. г. Тифл. Іосел. გვ. 152.

დიდის შრომითა და ჯაფით ამათ დააყენეს სკოლები თავის რიგზე, და დაიცვეს ეკლესიის თავისუფლება, სარწმუნოება და ეროვნება მეცხრამეტე საუკუნემდე. მაგრამ 1801 წელს საქართველო შეუერთდა რუსეთს და ამასთანავე 1811 წელს უწმინდესმა სინოდმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის თავისუფლებაცა. ამ წლიდგან მოისპო ქათალიკოზობა და დაარსდა თანამდებობა ეგზარხოსისა. უკანსკნელი ქათალიკოზი იყო ვარლამ ერისთავი და ამის მიერ ნება-დართვით ახლა საქართველოს ეკლესიის მთავარ-მმართველად არის ეგზარხოსი.

მეოთხე მტერი საქართველოს ეკლესიისა იყვნენ ლათინებისა და ლოტრანგების მისიონერნი. ესენი მეცადინეობდნენ ქართველების თავიანთ სჯულზე მიქცევას.

ჩვენს სწავლულებს რომ ჰკითხოთ, ყველანი ერთხმად გეტყვიან,—ქართველების მიქცევა თავიანთ სჯულზე ლათინებმა მხოლოდ მეცამეტე საუკუნის ღამდეგს მოიწადინესო. მაგრამ ჩვენ არა ვართ ამის თანახმა. იმათ განიზრახეს ეს საქმე მეათე საუკუნეში. შემდეგ საბერძნეთისა და რომის ეკლესიის გაცალკევებისა, ათონის მთაზე მოვიდა ერთის წარჩინებულის გვარის ჩამომავალი ბერი, სახელად ბენედიკტე, ექვსის მოწაფით და შეეხიზნა ქართველ ბერებს: მამა იოანე ივერიელსა და ეფთვიმეს. იმათ არ განაცხადეს მაშინვე თავისი დაფარული განზრახვა და ისე დაუმეგობრდნენ ქართველებს, რომ უერთი-ერთმანერთოდ ვერა სძლებდნენ. გავიდა რამდენიმე ხანი, ბერძნის ბერებს ერთმანერთში რაღაც განხეთქილება აუტყდათ. მაშინ ამ ბენედიკტე ლათინმა უთხრა ეფთვიმეს, რომ ჩვენცა და თქვენც ორივენი უცხონი ვართ და მოდი შეეერთდეთ და ერთად ვიმოქმედოთ, თუ ბერძნები ჩვენს წინააღმდეგობას დაიწყებენო. ქართველმა ბერებმა უარი უთხრეს, მაგრამ ლათინთ სამღვდელოთ მაინც არ აიღეს ხელი თავის განზრახვაზე: სულით

და გულით დაუმეგობრდნენ ქართველებს, და განგებ ისე ასრულებდნენ ეკლესიურს წესს, ვითომც ისინიც მართლმადიდებელნი იყვნენ. ამას ამტკიცებს ეპისკოპოსი პორფირი უსპენსკი [1]). მურავიოვი თავის მიმოხილვაში, „წიგნი აღმოსავლეთიდგან“, პროტოკოლი კონსტანტინეპოლელ პატრიარქთა [2]) და ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი [3]). ისინი ისე აჩვენებდნენ თავს, თითქო ქართველებს უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ მათზე, ვიდრე მათ ქართველებზე. ამისათვის ქართველებს ისინი შეუყვარდათ, ესარჩლებოდნენ, დაუმეგობრდნენ და რომის ეკლესიაც მოსწონდათ. 1159 წელს დუკიც იმპერატორმა შეჰყარა თავის სასახლეში სულიერნი მამანი, რომაელნი, სომეხნი, ბერძენი და ქართველნი. აქ იყვნენ აგრეთვე სომეხთა მეფე გაგიკ და სხვა თავადნიცა. იმპერატორმა ჰკითხა გიორგი მთაწმინდელს: რომელი სარწმუნოება უფრო მართალი არისო: ბერძნებისა, ქართველებისა, რომაელებისა და სომხების სარწმუნოებათ შორისო? „ჩვენ ქართველთა ნათესავის სარწმუნოება ყველაზე უფრო მართალი არს: და რაჟამს ერთ-გზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ, არც მარცხნივ, არც მარჯვნივო“, — უპასუხა გიორგიმ. მეფეს ძლიერ გაუკვირდა და კვლავ ჰკითხა: რით გავიგო, რომელი არის მართალი ორთა შორის? ჩვენ და თქვენ ქართველნი „მფუვანითა პურითა ვწირავთ და ზედაშეს წყალს ვურევთ, ხოლო რომნი ხმიადითა და უწყალოდ სწირვენ“. გიორგიმ უპასუხა: ცომს მივიღებთ სახედ ქრისტეს ხორცისა, მარილიანს პურსა სახედ სულისა გონიერისა, წინააღმდეგ აპოლინარისა, რომელიც ამბობდა, რომ ქრისტე ღმერთის სხეულს კა-

---

[1]) იხ. **Исторія Афона.**

[2]) იხ. ხალხის განათლების სამინისტროს ჟურნალში 1847 წ.

[3]) იხ. გამოც. საბინინისა, გვ. 415.

ცური სული და გონება არა ჰქონდაო; ხოლო ღვინოში წყალს ვურევთ სახედ სისხლისა და წყლისა, რომელნიც გადმოიღვარა ქრისტეს გვერდიდგან". მოვიდა ახლა რიგი რომაელების სარწმუნოებაზე პასუხის თქმისა. გიორგი იმას ქებით იხსენიებს. „ვინადგან რომთა ერთ-გზის იცნეს ღმერთი, არაოდეს მიდრეკილ არიან და არცარაოდეს წვალება შემოსულ არს მათგან, და როგორც ერთხელ შესწირა უსისხლო სხვერპლი იგი თვით იესო ქრისტემ და მოციქულმა პეტრემ, ეგრეთ აღასრულებენ იგინი და არა არს მას შინა განყოფილება".—მთავართა მათ რომაელთა დიდად განიხარეს და ეტყოდეს წმინდასა: „წამოგვყევ, ჩვენ მიგიყვანთ წმინდასა პაპისა წინაშეო" [1]).

„მიგიყვანთ წმინდისა პაპისა წინაშეო", რას ნიშნავს ეს სიტყვები, თუ არა იმას, რომ თქვენ ქართველნი ჩვენნი მომხრენი ყოფილხართ, ერთგვარი ეკლესიური სწავლა გვქონია და თქვენ არა ხართ განცალკევებულნი ლათინთ ეკლესიისაგანაო. მწერალს ეს საგანი რომ ჰქონებოდა სახეში, ბევრს რასმეს იტყოდა ამის შესახებ. მაგრამ იქნება იმისთვის არ მიაქცია ყურადღება, რომ გიორგი მთაწმინდელი არ დათანხმდა პაპის ნახვაზე? იქნება გიორგი იმისთვის არ წავიდა რომში, რომ ლათინთ სულიერთ მამათ ქართველთ ეკლესიის შეერთება ეწადათ და ეს იცოდა გიორგიმ?.. ეტყობა მაშინვე უარი უთხრა ამ განზრახვაზე. იმას არ მოსწონდა საბერძნეთისა და რომის ეკლესიების ურთი-ერთ შორის განხეთქილება. აგრე რიგად არც ერთს თანა-უგრძნობდა, არც მეორეს და ქართულ ეკლესიის დამოუკიდებლობას იცავდა რომაელთაგანაც და ბერძენთაგანაც, როგორც ზემოთა ვნახეთ.

მაგრამ რომის ეკლესიამ ხელი არ აიღო ქართველთ

---

[1]) იხ. გიორგი მთაწმინ. ცხოვ. გამოცემა საბინინისა, გვ. 474 და 475.

ეკლესიის გადაბირებაზე. რა ვერ მიიმხრეს ათონის მონასტრის ბერები, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ საქართველოზე, თავიანთ მოქმედების ასპარეზი საქართველოში გადმოიტანეს. ეს საქმე დაიწყეს იმათ 1212 წლის შემდეგ. ისტორია მოწმობს, რომ მეცამეტე საუკუნეში იმათ ათონის მთაზე თავისი მონასტერი ჰქონდათო, ამის შემდეგ კი აღარაო. ამისთვის, რომ ამ საუკუნეში ლათინის ბერებმა საქართველოში დაიწყეს მოქმედება. ეს მოხდა 1215 წელს, როდესაც საქართველოს ჯალალედინმა შემოუტია და მონგოლები შემოესივნენ. სხვა-და-სხვა მიზეზებით პაპა ინოკენტი მესამემ და გონორი მესამემ ლაშა გიორგისთან და რუსუდანთან მიწერ-მოწერა გამართეს. რადგან წინა საუკუნოებში გაძლიერებულ საქართველოს სამეფოს ახლა დასუსტება დაეტყო მტერთა თავს დასხმითა, ამისათვის ლათინის ბერებმა ეს დრო უფრო მარჯვედ იცნეს თავის განზრახვის აღსასრულებლად. მათ ეგონათ საქართველოს გაჭირებულ მდგომარეობით ვისარგებლებთო. დაუწყეს პაპებმა თავიანთ წერილებში მეფე რუსუდანსა და საქართველოს თავადებმა ლაქუცობა. საქართველოს შემწეობა ეჭირვებოდა ქრისტიანობის მტრის დასამარცხებლად და არა სარწმუნოების გამოცვლა: რუსუდან დედოფალი 1239 წელს პაპა გრიგოლ მეცხრეს მოშველებასა სთხოვს თათრების წინააღმდეგ და პაპა სამაგიეროდ უგზავნის შვიდს ბერს [1]), რომელთაც უნდა ექადაგნათ საქართველოში და გაეფრანგებინათ ქართველები. წერილში პაპა ბოდიშს ითხოვს დედოფალთან, ჯარით შემწეობას ვერ გაძლევო, მაგრამ აქებს იმასაც და მის ქვეშევრდომ ხალხსაც, რომ მტკიცედ სდგანან ქრისტიანობაზე და ბოლოს სთხოვს ზრდილობიანად ისიც და მისი ხალხიც დაემორჩილოს წმ.

---

[1]) ეს ის რიცხვია, რაც ათონის მთაზე იყო.

პეტრეს ტახტსა, რომელსაც უჭირავს ხელში სასუფეველის კლიტენი... მაგრამ არც ქართველებმა უღალატეს მამა-პაპის სარწმუნოებას, არც პაპებმა აიღეს ხელი საქართველოს ეკლესიის შეერთების განზრახვაზე რომის ეკლესიასთან.

1289 წელს პაპა ნიკოლოზ მეოთხემ გამოგზავნა კიდევ მქადაგებლები კავკასიაში. რადგან ამ დროს საქართველო ძლიერ სამწუხარო მდგომარეობაში იყო, მეფეებმა ისინი ხალხის სანუგეშებლად თავაზით მიიღეს, მაგრამ გაფრანგების განზრახვა კი შორს დაიჭირეს. ქართველებმა არ დაუშალეს გაეხსნათ ამ მისიონერებს თბილისში საეპისკოპოზო კათედრა. პირველი ეპისკოპოზი იყო იოანე ფლორენტინელი. ამ ეპისკოპოსს გამოუგზავნა პაპა იოანე მეოც-დაორემ ეპისტოლე, რომელშიაც არიგებდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ქართველები გადაებირათ. ამავე დროს პაპამ მოსწერა ეპისტოლე საქართველოს მეფეს და ზოგიერთს თავადებს და ურჩევდა ფრანგობის მიღებას. მაგრამ ჰქონდათ რამე მავნე შედეგი საქართველოს ეკლესიისათვის ამ ეპისტოლეებს, თუ არა, ჯერ-ჯერობით ბეჯითად არა ვიცით-რა. ეტყობა კი, რომ ამ დროებაში აქ ბევრი უნდა ყოფილიყვნენ რომის სარწმუნოებისანი: ასე რომ არ ყოფილიყო, ეპარქიის დაარსებაც (1329 წ.) თბილისში საჭირო არ იქნებოდა: ეტყობა ლათინების მისიონერები ტყუილად არ იყვნენ აქ. იმათ ჰქონდათ წარმატება ქადაგებაში, სარგებლობდნენ საქართველოს შეწუხებულ მდგომარეობით და მეცადინეობდნენ დაერწმუნებინათ ქართველები, რომ პაპა არის ქრისტიანობრივის ეკლესიის პირველი ეპისკოპოზი და ვისაც უნდა რომ ცხონდეს, უნდა სწამდეს ეს დოღმატიო.

1468—1505 წლებს შუა მეფე კოსტანტინე მესამე რომ გამეფდა ქართლში, მისიონერებმა მიაწერინეს პაპა

ალექსანდრე მეექვსესთან წერილი და ათხოვნინეს ლოცვა-კურთხევა და შემწეობა. ამ გვარის მლიქვნელობით გადაჰყავდათ თავიანთ სარწმუნოებაზე თითო-ოროლა პირნი ქართველთაგან, მაგრამ ერი და სასულიერო წოდება სრულიად არ მიეკარა მათ. ქართველთ სულიერი მამანი ისე ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ვერას მხრით ვერ მოდრიკეს მათი სიმტკიცე. რადგან მამა-პაპის სარწმუნოების შენახვით ისინი იცავდნენ სამშობლოს პოლიტიკურს თავისუფლებასაც, ამისათვის ხალხი თანაუგრძნობდა მათს მეცადინეობას. იქამომდე მტკიცედ იდგნენ მამა-პაპის სარწმუნოებაზე სულიერნი მამანი, რომ არამც თუ სამშობლოში ვერა დააკლეს-რა ლათინებმა, არამედ ვერ დაითანხმეს ფლორენტინის სობოროზედაც. საბერძნეთისა და რუსეთის ეკლესიების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი სობოროს განჩინებაზე, რომ თანახმა ვართ ჰაპა ვიცნოთ საქრისტიანო ეკლესიის მოთავეთაო, მაგრამ საქართველოს წარმომადგენელი მიტროპოლიტი გრიგოლი არ გახდა თანახმა, არ მოაწერა ხელი სობოროს განჩინებაზე, გამოიპარა და ასე ჩაშალა მათი განზრახვა. ეს ამბავი მოხდა 1439 წელს.

ამავე ხანებში მოქმნდებდნენ საქართველოში ლიუტერის სწავლის მიმდევარნი. ესენი იყვნენ; დოქტორი იაკობი—ანდრია, გელარხი, ანტონი, სუვეიცერი და მარტენ კრუზე პროფესორი ტიუბინგენისა. ამათ მიაქციეს თავიანთ სჯულზე სამცხე-საათაბაგოს მთავარი ყვარყვარე, შვილი მზე-ჭაბუკ დიდისა; მაგრამ ლუტრანგების მეცადინეობა ამით დასრულდა. თვითონ ათაბეგმაც უარ-ჰყო ახალი სარწმუნოება და მიიღო მაჰმადიანობა.

მაგრამ რომის მისიონერებმა მაინც თავისი არ დაშალეს. რადგან საქართველოს ცხოვრება დროსა და დროს განმავლობაში უფრო და უფრო ირევოდა და ხალხი იქსაქსებოდა, ამისათვის ისინიც დროს შეწყობით

მოქმედობდნენ, რომ ამღვრეულს წყალში თევზი დაეჭირათ. 1625 წლიდგან რომის მისიონერები თეოქტინის ორდენისა საქართველოში სცხოვრობდნენ, და რადგან სწავლაში ძალიან განვითარებულნი იყვნენ და იცოდნენ ექიმობა, ხალხმა დაიწყო მათთან მისვლა-მოსვლა და პატივის-ცემა. ამათ ხალხი ისე შეიჩვიეს, რომ ადვილად შეეძლოთ მისი მიქცევა ლათინთ სარწმუნოებაზე. 1631 წ. ამ მისიონერების მოთავემ აბოთავოლისმა ახარა პაპა ურბან მერვეს, რომ ბევრი ხალხი შევიძინე და დავიახლოვეო. მართლაც მათ მოაქციეს მრავალნი ქართველი და სომეხნი, ამის შემდეგ მოვიდნენ კაპუცინის ორდენის ბერები და ამათაც ბევრი ქართველები გადაიბირეს თბილისში, გორში, ქუთაისში, მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებულად იღვაწეს იმათ ახალ-ციხის მაზრაში, სადაც ამ დროს ოსმალები მფლობელოდნენ. თავდაპირველად მეფეები კარგის თვალით უყურებდნენ რომის ეკლესიის მქადაგებლებს, რადგან მათის შემწეობით ჩვენს ხალხში უფრო კარგად რიგდებოდა სკოლების საქმე და სწავლა-მეცნიერება ვრცელდებოდა. ანტონ ქათალიკოზმა ისინი მიიჩნია საქართველოს განმანათლებლად და მათის მანქანებით იმანაც ერთ დროს უღალატა ქართველთ ეკლესიას და ლათინთ სჯული მიიღო. ხალხმა ეს შეიტყო. მეფის თეიმურაზის ბრძანებით მოხდა სულიერთა მამათა კრება. ქათალიკოზი ამხილეს ფრანგობის მიღებაში; მერმე, 1755 წელს გააგდეს საქართველოდგან რუსეთში. მაგრამ აქ იმან დაამტკიცა თავისი მართლ-მადიდებლობა და მიიღო ვლადიმირის ეპარქიის მთავარ-ეპისკოპოსობა; ანტონის შემდეგ თეიმურაზ მეფემ, სასულიერო წოდების ჩაგონებით, გარეკა საქართველოდგან რომის ეკლესიის მისიონერები და მათ მიერ თბილისში აშენებული ეკლესია ქართველებმა დაიპყრეს. მაგრამ 1763 წელს ანნა

ბატონიშვილის, მეფე ირაკლის დის თხოვნით, ისინი დაბრუნდნენ ისევ თბილისში.

ამ დროებაში ქართველთაგან ბევრნი იყვნენ გაფრანგებულნი. მათ შორის იყო საბა სულხან ორბელიანიცა. საბამ მიიღო ეს სარწმუნოება რომში პაპა კლიმენტი მეთერთმეტეს ჩაგონებით, და აგრეთვე თუმანიშვილებმა, რომელნიც ჩამომავლობით წმინდა ქართველის სისხლისანი არიან. რუსების შემოსვლის შემდეგ ყველა გაფრანგებულებს „არმიანო-კათოლიკები“ დაერქვათ, მაგრამ ნამდვილად კი თითქმის ყველანი ქართველნი არიან. 1763 წლიდგან 1859 წლამდე ამათ სასულიერო პირთა შორის შესანიშნავნი არიან პატრი ფილიპე და პავლე შაჰყულოვი. პირველი მოკვდა 1835 წ. მეორე 1859 წელს. ამ უკანასკნელს ჰქონდა ბიბლიოთეკა და ახალ-ციხეში გამართული სკოლა ყმაწვილებისათვის. ამას ქართულს ენაზე გადმოუთარგმნია უცხო ენებიდგან მრავალი სასარგებლო ქადაგება, და აგრეთვე იტალიურის ენიდგან საეკლესიო ისტორია მერვე საუკუნემდე და სიკვდილს არ დაუცლია დასრულება.

ასე ვრცლად ვილაპარაკე ამ ოთხს მტერზე იმ განზრახვით რომ თვით ფაქტებში გამოხატულიყო გაჭირვებული მდგომარეობა სამშობლო ქვეყნის სარწმუნოებისა და ეკლესიის დამოუკიდებლობის დაცვის მოვალეობა, რომელიც იკისრა სასულიერო წოდებამ. სამ საუკუნის განმავლობაში მან იბრძოლა ყველა მტრებთან მოულალავად და დაიცვა სარწმუნოება. მართალია, ლათინთ მისიონერებმა, ლოტრანგებმა და მაჰმადიანებმა ბევრი ქართველი გადაიბირეს; მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ეს ქართველობა ჰფიქრობდნენ სარწმუნოების გამოცვლით პოლიტიკურის თავისუფლებისა და ქვეყნის დაცვას მტერთაგან. ამ აზრის დამტკიცებას ახლა მე არ შევუდგები და მივუთითებ მხოლოდ ორს სასულიერო პირზე

ანტონ ქათალიკოსზე და საბა სულხან ორბელიანზე. ყველასთვის ცხადია, თუ რა მიზეზით დაუახლოვდნენ ისინი ლათინებს, მიიღეს თითქო მათი სარწმუნოება. მაგრამ რაკი უსარგებლობა სცნეს, ისევ უარ-ჰყვეს. რა ნახეს ქართველთ მტკიცე განზრახვა რომ არ გამოიცვლიდნენ სარწმუნოებას და დღეს იქნებოდა, თუ ხვალ, საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, შემოეფარნენ ისევ სამშობლო სარწმუნოების კალთას და შემდეგი საქმე ღმერთს მიანდეს. ვინ სტყუოდა: ანტონ ქათალიკოზი, საბა ორბელიანი და სხვა გაფრანგებული ქართველები, თუ ისინი, რომელთაც მართლ-მადიდებლობაზე ხელი არ აიღეს, ეს ახლა ყველამ იცის.

ცხადია, რომ იმათ მიერ სარწმუნოების გამოცვლას სხვა განზრახვა ჰქონდა ამოფარებული. იმათი სულის-კვეთება ეძიებდა ღონეს, რომ მომავალი ქართველთა ყოფილიყო კეთილი და ბედნიერი. ამისათვის მათს ქცევას არა აქვს ლაქი. აქა სჩანს მხოლოდ მათი გამჭრიახობა და წინად-მხედველობა.

ასეთნი იყვნენ სულიერნი მამანი მეცხრამეტე საუკუნემდე, იმ ძველს დროში, როდესაც საქართველოს ყოველს კუთხეში ქრისტიანის სისხლი იღვრებოდა. „მაშ რას იქმოდნენ თუ არ იომებდნენო?“ მიპასუხებს თავის გასამართლებლად რომელიმე აწინდელ სულიერთა მამათაგანი. „გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო“, ნათქვამია. „ყველა ერთ ჭირში იყვნენ და ყველას უნდა დაეცვა სამშობლო ქვეყანა, თუ უნდოდა თავისი სიცოცხლეო“. ეს ყველაფერი ვსთქვათ მართალია; მაგრამ მართალია ისიც, რომ ძველებურნი მამანი ქვეყნის სასარგებლოდ უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე თავიანთ პირადის სარგებლობისათვის. სულიერ მამათაგან იყო მოფენილი საქართველოს მთა-ბარი დედათა და მამათა მონასტრებითა, რომელთა რიცხვი აღემატებოდა ორასსა,

როგორც მე გამოვიანგარიშე ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერილობიდგან. ეს ამოდენა მონასტრები იმ განზრახვით იყვნენ აშენებულნი, რომ ბერებსა და მონოზნებს ქართველთ ახალგაზდა ყმაწვილებისათვის ქართულს ენაზე ესწავლებინათ წერა-კითხვა, ქართული ისტორია, საღმთო წერილი, გაეხსნათ გონება, მიეცათ მათთვის ისეთი განათლება, რომ გაეგებინებინათ მათი ვინაობა, შეეყვარებინათ მათი ეროვნება, სამშობლო, თავისუფლება და სარწმუნოება.

ერთის სიტყვით, სულიერნი მამანი ჰფიქრობდნენ მომავალზე, და არა აწმყოზე; ჰფიქრობდნენ სამშობლოს ბედნიერებაზე და არა თავის თავზე. არა, თავის თავზედაც ჰფიქრობდნენ, მაგრამ უფრო იმის მოწადინენი იყვნენ, რომ მათი სახელი სამშობლო ერში კეთილად ხსენებულიყო. რა პირადი სარგებლობა ჰქონდა მაგალითად თბილელ-ბოდბელ მიტროპოლიტს დომენტი მესამეს — ორბელიანს? ის ბეჯითად მეცადინეობდა მეფე ვახტანგ შეექვსესთან ერთად გაემართა თბილისში ქართული სტამბა. აქ აბეჭდვინებდა ქართულს ენაზე საეკლესიო წიგნებს და აგრეთვე სხვა-და-სხვა ხიზულებებს; მართავდა სასწავლებლებს სოფლის ეკლესიებთან; აგროვებდა წიგნებს, რათა გაემდიდრებინა სიონის ეკლესიის ბიბლიოთეკა.

ეს კიდევ ცოტა ვსთქვი: იმის დროს ოსმალებმა დაიჭირეს თბილისს ქალაქი და მოიწადინეს სიონის სობოროს მეჩეთად გადაკეთება. მაგრამ იგი წინააღუდგა მათს განზრახვას. მას მიემხრო გივი ამილახორიც და ამ უკანასკნელის ძლიერის ქომაგობით გადაარჩინა მამა-პაპის სალოცავი შეურაცხყოფისაგან. აგრეთვე რა სარგებლობა ჰქონდა მიტროპოლიტს იოსებ თბილელს — თარხნიშვილს, რომ შაჰაბაზისაგან თავის საკუთარი ხარჯით გამოისყიდვიდა ქართველ ტყვეებს? რა განზრახვა ჰქონდა ამ შესანიშნავ ბღვდელ-მთავარს, რომ გამწარებული ებრძოდა

მტერს და მისვე წყეულის ხელით მოკვდა ბაზალეთის ომში? ამას თავისი თავი რომ ჰყვარებოდა სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობაზე მომეტებულად, არ აიღებდა ხმალს ხელში, არ შეებრძოდა მტერს და როგორც სულიერი მამა იქნებოდა თავის სამწყსოში: იმას იქნება არავინ შეჰხებოდა, ვითარცა უვნებელ სასულიერო პირს; მაგრამ არა: მისი გული ვერ ითმენდა სამშობლოს უბედურებას და ხმლის მოქნევით ჰფიქრობდა დაეცვა სამშობლო ერი და სარწმუნოება [1]).

რა სარგებლობა ჰქონდათ აგრეთვე ანტონ ქათალიკოზს პირველს და ეპისკოპოზს გაიოზს, რომ თუმცა რუსეთში სცხოვრობდნენ, ქართველთ განათლებისათვის მეცადინეობდნენ? განა ამისათვის ქართველები ჩინებს მისცემდნენ, თუ ჯამაგირს მოუმატებდნენ? ან იქნება რუსეთის მთავრობისაგან სამშობლო ქვეყნის განათლებაზე შრომისათვის რაიმე ჯილდოს მოელოდნენ? არა, მათი შრომა უანგარო იყო. იმათ სახეში ჰქონდათ მხოლოდ სამშობლოს ბედი, მისი კეთილ-დღეობა, მისი დამოუკიდებლობის დაცვა, ქართულის ენის და ქართველობის გაძლიერება განათლების საშუალებით. რასაკვირველია, ოჯახი უმახინჯოთ არ იქნება. იყვნენ ქართველთ სასულიერო პირთ შორისაც იმისთანანი, რომელთაც პირადი სარგებლობა და კეთილ-დღეობა უფრო სწამდათ, ვიდრე საქვეყნოდ საქმე, ვიდრე ერის დიდება და მისი დამოუკიდებლობა; მაგრამ კაცთა საზოგადოება სიმართლეს ყოველთვის მომეტებულს რიცხვში ჰხედავს. აი ამისათვის ჩვენც, რადგან კეთილის მსურველნი უფრო მომეტებულნი იყვნენ, ვიდრე მავნენი, ვამტკიცებთ, რომ ძველებურს სასულიერო წოდებას თავი შეწირული ჰქონდა ქართველ ხალხის სარწმუნოებისა და ვინაობის და-

---

[1]) იხ. Описаніе Тиф. II. Іоселіани გვ. 180 და 181.

საცველად. ის აძლიერებდა ქართულს ენას კავკასიის ხალხებში, ის აძლევდა ერს განათლებას, ის იცავდა მის დამოუკიდებლობას, ის აძლიერებდა ეკლესიურს მწიგნობრობას და, როცა საჭიროება მოითხოვდა, ებრძოდა მტერს ძლიერის სიტყვითა და თავგანწირულებით.

თუნდ რომ ყველა ეს ასეც ყოფილიყო, მერე რა გნებავთ ამით სთქვათო? მკითხავთ. არაფერი იმის გარდა, რომ გვსურდა მხოლოდ გვეთქვა, — ძველს დროში არც მეფე, არც თავადი, არც დიდებული, არც ერის-თავი, არც აზნაური, ერთის სიტყვით არავინ არ თაკილობდა სასულიერო თანამდებობის მიღებას, თუ კი ხედავდნენ, რომ ამ თანამდებობის საშუალებით შემწეობას მისცემდნენ ერის დამოუკიდებლობის დაცვასა და სარწმუნოების გაძლიერებას; რომ ქართველ ხალხს მის დაკარგვით თავის ეროვნებაც არ დაჰკარგოდა, და არ აღიარებულიყო სპარსელ ტომთა შორის; გვსურდა, რამოდენადაც შეგვეძლო, გვეამბნა მკითხველთათვის, რომ უწინდელს სასულიერო წოდებას თავისი პირადი სარგებლობა ისე ძვირად არ უღირდა, როგორც ერის დიდება და მისი კეთილ-დღეობა; გვეწადა უკანასკნელად გვეღაღადნა პავლე მოციქულის შემდეგი სიტყვებიცა: „ამიერიდგან ძმანო, მტკიცედ სდეგით და შეიკრძალეთ მოძღვრება ესე, რომელი გისწავიეს წიგნითა ჩვენითა“.

II

ქართველი ქალი

ძნელია ქართველ ქალზე ლაპარაკი, — ძნელია კაცმა სთქვას — რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ქართველ ხალხში და რა მონაწილეობა მიუღია სამოქალაქო და ისტორიულს ცხოვრებაში? ვამბობთ, ძნელია საგანზე ლაპარაკი ამისათვის, რომ ჯერ-ჯეროობით არ არის მოგროვებული არავითარი მასალა მის შესახებ და არც საქართველოს ისტორიული მემატიანენი არიან ჯერ კრიტიკულად განხილულნი, როგორც ამას მოითხოვს მეცნიერება. ამ მიზეზისა გამო ვინც კი დაიწყებს ქართველ ქალებზე ლაპარაკს, უსათუოდ უნდა გადააქოთოს მონასტრების წიგნთა საცავნი, მოსძებნოს, ამოჰკრიფოს რაიმე ნაგლეჯნი ისტორიულის მატიანისა, შეაგროვოს ერთად, მერმე გადაარჩიოს, განიხილოს კრიტიკულად, რიგზე დააწყოს და შეადგინოს სისტემატიკური მსჯელობა და აზრი ქართველის ქალის ისტორიულ მოქმედებაზე და ჰკუის გამჭრიახობაზე. უეჭველია, რომ ამ გვარს შრომას დიდი და ხანგრძლივი ბეჯითად მეცადინეობა უნდა და ვერც შესძლებს ერთი კაცი ამ საგნის საბოლოოდ გარდაწყვეტას.

მაგრამ აქამომდე ჯერ არც ერთს ჩვენს მწერალთაგანს არ აქვს ეს საქმე დაწყობილი. მართალია, ამ ორისამის წლის განმავლობაში ბ. აკაკი წერეთელმა ბევრი

სწერა „დროებაში“ და „შრომაშიაც“ ძველებურისა და ახლანდელის ქალების ავ-კარგობაზე, მაგრამ მის წერილებში მსჯელობა ისტორიულს ფაქტებზე არ არის დამყარებული. ეს არის მიზეზი რომ დღემდის არ არის ჩვენს მწერლობაში აღსნილი რა დანიშნულება ჰქონდა ქართველ ქალს ოჯახში, სამოქალაქო და პოლიტიკურ ასპარეზზე და აგრეთვე რა იყო იდეალი ქართველის ქალის ცხოვრებისა. რასაკვირველია, ჩვენ არ ვამტყუნებთ პოეტს, რატომ ქალების ისტორია არ დაგვიწერაო. ამ გვარს შრომას ისტორიკოსიც ვერ შესძლებს, თუ მასალა არ ექნება, და პოეტს ხომ აბა რაღა მოეთხოვება.

ჩვენ ხელადა გვაქვს მხოლოდ „ქართლის ცხოვრება და წმინდათა მამათა ცხოვრება«, რომელშიაც მხოლოდ აქა-იქ, თითო სტრიქონობით და თითო სიტყვით, გაკვრით წამოსცდენიათ მწერალთ რაიმე აზრი დედა-კაცებზე და ამ სტრიქონებს და სიტყვებს დიდის ყურადღებით წაკითხვა უნდა და კრიტიკულად განხილვა. ამათ გარდა სხვა ისტორიულნი მატიანენი არა გვაქვს და არც ამაში არის ნათქვამი დედა-კაცებზე, იმას გარდა სხვა ცნობები მწერალმა თვითონ უნდა ეძიოს სხვა-და-სხვა თხზულებებში ქართულსა, რუსულსა და კიდევ სხვა უცხო ენებზე დაწერილებში.

ჩვენს შრომაზე უნდა ვსთქვათ, რომ ეს არ არის უნაკლულო ფაქტიურის მხრით. მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ მეტი არ შეგვეძლო, და რაც დააკლდა, ის სხვამ გამოიკვლიოს.

მაგრამ არ იქნება აქვე არა ვსთქვათ, რომ ქალების ცხოვრების ისტორიის შესწავლისათვის, სხვათა შორის, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის ზღაპრებსა და ანდაზებსაც. ამათში არის გამოხატული ხალხის შეხედულობა დედა-კაცის ჭკუაზე, გამჭრიახობაზე, მოვალეობაზე და მოქმედებაზე ერის საზოგადო ცხოვ-

რებაში. უკანასკნელს დროს მეცნიერებამ, მართლაც, ისეთი ყურადღება მიაქცია ხალხების ზღაპრებს, რომ ისტორიის გარეშე დროის კაცობრიობის ცხოვრებას დაახლოებითა ხსნის მათის შინაარსიით; იმათში ეძებს და პოულობს მეცნიერება ჭეშმარიტებას, ბნელად გამონასკულს სხვა-და-სხვა ალლეგორიით იმ დროს, როცა კაცობრიობამ ჯერ წერა იცოდა.

ქართველ დედა-კაცების ძველის-ძველ ცხოვრებისა და ძალ-ღონის გამოკვლევაში ეს ზღაპრები, რასაკვირველია, მცირედ არ შეეწევიან მწერალს, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდის ისინი არ არიან შეკრებილნი და დაბეჭდილნი. ჩვენ ვიცით მხოლოდ, როგორც ზღაპრად გაგვიგონია, რომ მათში დედა-კაცი ჭკუიანად, გამჭრიახად და ძლიერად იხატება და ყოველს გასაჭირში ჰშველის მამა-კაცს და იხსნის უბედურებისაგან. ასეთნი არიან მაგალითად ბებრები და გასათხოვრად მოსწრობილნი ქალნი. მაგრამ გვაქვს ერთი დაბეჭდილი ზღაპარი, რომელიც ქართველ ქალზე ბერძნებს შეუდგენიათ და რომელსაც ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით ქართველებისაგან შედგენილ ზღაპრებს. უეჭველია, რომ ბერძნებისაგან შედგენილს ზღაპრებში ჩვენებურ ქალზე უფრო დასაჯერებელი შეხედულობა იქნება გამოთქმული. მიუდგომლად იმათ ექნებათ ნათქვამი ქართველ ქალზე, რაც იყო იგი და რა მნიშვნელობაცა ჰქონდა მას ცხოვრებაში. ჩვენა გვაქვს სახეში ზღაპარი [1]) „ოქროს მატყლოვანის ვერძისა“, რომელშიაც არის სხვათა შორის ლაპარაკი ქართველს ქალზე—მედიაზე.

მედია იყო სამეგრელოს მთავრის ოტიას ასული. ის იყო სიყრმიდგანვე განსწავლული, იცოდა ფიზიკურ

---

[1]) ამ ზღაპრიდან ჩვენ ამოვწერთ მხოლოდ იმას, რაც შეეხება თვით მედიას და საქართველოს.

მოვლენათა ახსნა და იყო ძლიერი ჯადოქარი. ზღაპარი ამბობს, რომ მედიასავით მცოდნე და მეცნიერი დედამიწის პირზე ადამიანი არ მოიპოვებოდა, იცოდა წინადვე კაცის ყოველი თავ-გადასავალი. გრძნებაში ისე დახელოვნებული იყო თურმე, რომ ნათელს ბნელად გადააქცევდა და ბნელს ნათლად; უეცრად ასტეხდა ჭარს, ელვა-ჭექას, ქუხილს და მიწის-ძვრას; ერთს წამს მომდინარე წყალს უკან გააბრუნებდა; ზაფხულში უცებ ხეებს ფოთლებს დააყრევინებდა და შელოცვითა და ჯადოქრობით ზამთარში ხეებს ფურცლით, ყვავილებით და ნაყოფით შეამკობდა; ყმაწვილებს მოხუცებულ კაცებად გადააქცევდა და მოხუცებულთ ჭაბუკად გადაახალისებდა. რადგან ასეთი მეცნიერი და შემძლე იყო, ძველს დროში მას ღმერთად რაცხდნენ.

ეს ქალი სცხოვრობდა იმ დროს, როცა არღონავოსნები მოვიდნენ სამეგრელოში „ოქროს მატყლოვანის ვერძის" ტყავის მოსაპოებლად. ეს ოქროს ტყავი ეკიდა ტყეში ერთ ხეზე და ტყე იყო (სამეგრელოში) შეწირული ღმერთის მარსისათვის. მას სდარაჯობდა ორი ხარი, რომელთაც რკინის რქანი ჰქონდათ და პირიდგან ცეცხლი ამოუდუღდათ, და ერთი ვეშაპი. ისე იყო ეს ადგილი მოჯადოქრებული, რომ ვინც „ოქროს ტყავს" მიუახლოვდებოდა, ვერ გადარჩებოდა ცოცხალი. ბევრნი გმირნი მოსულიყვნენ უწინაც მის წასაღებად, მაგრამ მოდარაჯეთაგან სიცოცხლეს გამოჰსალმებოდნენ. ბოლოს მოვიდა იაზონ მის წასაღებად და უთუოდ ისიც მოკლული იქნებოდა, თუ მედიას არ ეშველნა მისთვის.

არღონავოსნები რომ მოვიდნენ სამეგრელოში, ოტიამ, მედიას მამამ, თავის სახლში მიიღო და კარგად უმასპინძლა. პირველ დღეს, სადილის ჭამის დროს, იაზონმა, ჰერკულესმა და ოტიამ დიდი ბაასი გამართეს. ამ დროს მედიაც მშვენივრად შემკულ და შემოსილი

ძვირფასის ტანისამოსითა და თვალ-მარგალიტითა მამას გვერდით უჯდა, მაგრამ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მათს ბაასში. მეორე დღეს კი ველარ მოითმინა დასთხოვა მამას, ნება მიეცა გასეირნებოდა ცოდნით და სწავლით ბერძნებს, „ვითარცა წესი არს მაღალ-შობილთა და ბერძენთა ქალ-ყრმათა“ [1]); ოდეს იხილა იაზონ გონიერად და ფრიად ხელოვნად ზრდილობიანი და სიბრნითა აღსავსე საუბარი მისი, გაუკვირდა ფრიად და შეუყვარდა მედია“ და ამასაც იაზონი.

ერთს დღეს მედიამ გამოუცხადა იაზონს, რომ თუ პირობას მომცემ ცოლად შერთვისას და სიკვდილამდე აღარ გამეყრები, მიშინ გასწავლი რა მოხერხებით შეგიძლიან დაამარცხო დარაჯნი ოქროს ტყავისა და იშოვო განძიო. იაზონ თანახმა გახდა და მისცა სიტყვის სიმტკიცის თავდებად ჰერკულესი.

მედიას დარიგებით იაზონმა მართლაც გაიმარჯვა, დახოცა დარაჯნი და ჩამოხსნა „ოქროს მატყლი“, რომელიც ხეზედ ეკიდა. ეს ამბავი ოტიას ძლიერ ეწყინა და მოიწადინა ბერძნების დახოცა, მაგრამ ერთ ღამეს იმათ წაიყვანეს მედიაც და გაიქცნენ საბერძნეთში. ეს ამბავი ქართველ ხალხსაც ძლიერ ეწყინა. მოჰხდა ამაზე ამბოხი და ოტია გადააყენეს მთავრობისაგან უძვირფასესის განძის დაკარგვისათვის. სამეგრელოს გამგებლად გახდა ახლა ოტიას ძმის-წული პერსეი, რომელმაც რამდენიმე ხნის შემდეგ უღალატა საქართველოს ერთობას და იქმნა დამოუკიდებელი მთავარი სამეგრელოსი.

ამ დროს მედია უკვე საბერძნეთში იყო და იაზონისაგან ორი შვილიცა ჰყავდა. ვიდრე ახალგაზდა იყო, ქმარს უყვარდა, მაგრამ როცა მოხუცდა, შეიძულა იაზონმა იგი, სხვა ახალგაზდა ქალი მეფისა ცოლად შეირთო და მედიას შვილებიც წაართვა. მაშინ მედია აღიძრა საშინელითა შურითა, მოჰკლა იაზონის ცოლიც

[1]) იხ. ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა გვ. 91.

და თვის მიერ ნაშობი ორი შვილიც, რომ უშვილოდ ამოეწყვიტა იაზონ. მასუკან მივიდა ქმარზე საჩივლელად ჰერკულესთან, რადგან თავდები იყო, მაგრამ იგი ჭკუა შეშლილი დაჰხვდა და განკურნა ჭკუა-შეშლილობისაგან. ჰერკულესმა დიდი მადლი გადაუხადა და ძლიერ ეწყინა, რა შეიტყო ღალატი იაზონის მიერ. რადგან აღარა გაეწყობოდა-რა, ურჩია მედიას ხელი აეღო იაზონზე და სხვა ქმარი შეერთო. მედიამ დაიჯერა გმირის სიტყვა, შეირთო სხვა ქმარი, რომლისაგანაც ეყოლა შვილი და დაარქვა სახელად მიდ.

მედია აღარ დადგა საბერძნეთში და მოვიდა საქართველოში თავის მამის სანახავად. აქ შეიტყო, რომ მისი მამა ოტია ჩამოეგდო ძმის-წულს ტახტიდგან, თვითონ გამხდარიყო სამეგრელოს მთავრად და საქართველოსაც გაჰყროდა. ამ ამბავმა თავზარი დასცა მას. სიცოცხლე გაარმებულმა მედიამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ურჩია მცხეთის მამასახლისს და ქართველ ხალხს დაუყოვნებლივ დაეჭირათ ისევ საჰეგრელო და შემოერთებინათ საქართველოსთან. ხალხმა გაუგონა. შეიყარა ჯარები. ამოირჩიეს მხედართ-მთავრად მედიას შვილი მიდ; გაილაშქრეს, დაეცნენ სამეგრელოს, დაამარცხეს პერსეი, დაიპყრეს ქვეყანა და შემოუერთეს ისევ საქართველოსავე. „იმას ზედა მცხეთისა და სხვანი მამასახლისნი და ივერიისა ერისა საზოგადოება ფრიად მადლობელ ექმნენ მედიას კეთილისა რჩევისა მიცემისათვის და გარჯისთვის გულოვნად ძისა მისისა და პატივ-სცეს და კვალად ოტია, მამა მედიასი, ჰყვეს მამასახლისად კოლხიდისა, რომელიცა იყო მაშინ ღრმად მოხუცებული“ [1]).

მთელი ეს მოთხრობა მართალია, ზღაპარია, მაგრამ არ შეიძლება, მასში რაიმე ჭეშმარიტება არ იყოს. სპენ-

[1]) იხ. ისტორ. თეიმურ. ბატ. გვ 85—100.

სერი, ტაილორი, ლებოკი და მრავალნი სხვანი თავიანთ სამეცნიერო გამოკვლევათა შინა დიდს მნიშვნელობას აძლევენ ზღაპრებს, როცა იკვლევენ კაცობრიობის სარწმუნოებას. აგრეთვე არ არის სწავლულთაგან უყურადღებოდ დატოვებული თვით ზღაპარი „ოქროს მატყლოვანის ვერძისა“. ისტორიკოსები ცდილობენ ახსნან რა აზრია ამ ზღაპარში. კავკასიის ხალხთა ძველის ისტორიის მცოდნე უსლარი ამბობს, რომ ამ ზღაპარში მედიას სახელით ბერძნებმა გამოხატეს ის აზრი და შეხედულება, რომელიც კოლხიდის ქალებზე შეედგინათო. ამას მოჰყავს ალექსანდრე მაკედონელის ერთის მხედართაგანის, პტოლომეის შემდეგი სიტყვები: „კოლხიდაში კაცები დედა-კაცებს ემორჩილებიან და დედა-კაცები არიან მამაცნი, უფლების-მოყვარენი, ძლიერნი და მებრძოლნი“ [1]).

ერთის სიტყვით ძველს დროში საქართველოზე დედა-კაცებს დიდი გავლენა ჰქონიათ. ამას ამტკიცებს, რასაკვირველია, მედიას ზღაპარიცა. უსლარი ამბობს, რომ არლონავოსნების ზღაპრით ბერძნებმა გამოსახეს: 1) კავკასიის ანუ საქართველოს ქალის მდგომარეობა, გამჭრიახობა, ცოდნა და გავლენა ხალხის ცხოვრებაზე, 2) კავკასიის ერის სიმდიდრე, კეთილ-დღეობა და განათლება და 3) თავიანთი (ბერძნების) მეცადინეობა—ჰქონოდათ საქართველოსთან ვაჭრობითი კავშირი.

თუმცა ამ ზღაპარს ნამდვილი მატიანური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ჩვენ აქედგან შევუდექით ქართველ ქალზე ლაპარაკს ამისათვის, რომ გვსურს შემოვკრიბოთ ყოველ-გვარი ცნობები ქართველ დედა-კაცზე და რადგან ამ გვარს ცნობას გვაძლევს სხვათა შორის მედიას ზღაპარიცა, ამისათვის ჩვენ მოვიხსენიეთ იგი მხო-

---

[1]) იხ. Усларъ „Древнѣйшія сказанія о Кавказѣ“ გვ. 400.

ლოდ მკითხველთათვის საცოდნელად. ამ განზრახვითვე არ დავიზარებთ ორიოდ სიტყვის თქმას კავკასიის ამაზონებზედ ანუ ამორძლებზედაც.

ისტორიკოსების ძველებურ გადმონაცემის გამოკვლევიდგან ვიცით, რომ ერთ დროს ჩვენს კავკასიაში უცხოვრიათ ამაზონებს. ვინ იყვნენ ეს ამაზონები? ამ კითხვაზე სწავლულნი დაბეჯითებით პასუხს არ იძლევიან. მაგრამ ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ ეს დედაკაცები სცხოვრობდნენ კახეთში, დაღესტანში, იმერეთში, სამეგრელოში ახლანდელ ბათუმის მაზრაში, ჩერქეზეთში და ყოველს შავი ზღვის ნაპირა ქვეყნებში კავკასიის მხარეს. აი რას ამბობს ამათზე ერთი ჩვენებური მწერალი: „ძველის-ძველს დროში ერთხელ შემოესივნენ კავკასიას უცხო ტომნი კასლოხიმები. ამათთან ბრძოლაში მამა-კაცნი ყველანი გასწყდნენ. მაშინ დედა-კაცებმა ვერ მოითმინეს ეს უბედურება, ერთი პირი ჰქნეს, შეფიცეს ერთმანერთს, შეერთდნენ, განუდგნენ თავიანთ ქვეყანაში ჩამდგარ მტერს და განუწყვეტლად ებრძოდნენ იმას აქა-იქ კავკასიის ხევებში და ღელეებში. აქედგან წარმოსდგა ლაზისტანის და სამეგრელოს სახელი „კოლხიდა“, რომელიც ნიშნავს „ქალთა მხედრობასა [1]). თვით ფსლარიც ამბობს, რომ სახელი „კოლხიდა“ და ხალხი „კოლხები“ ამ კასლოხიმებისაგან დარჩა სამეგრელოშიო [2]).

ამ ორივე თქმულებას (მედიაზე და ამაზონებზე) თუნდა ზღაპარი დაარქვით, მაგრამ მგონია კი რომ ამ ზღაპრულ გადმონაცემებში გამოთქმულია ნამდვილი აზრი ბერძნებისა ქართველ ქალის ცოდნაზე, ჭკუის გამჭ-

---

[1]) იხ. ისტორია მესხი გვარამაძისა.

[2]) იხ. Уеларъ стр. 330—426.

რიახობაზე. მაგრამ გასაკვირველია, რი მიზეზით შეადგი-
ნეს ბერძნებმა ასეთი აზრი ქართველს ქალზე?

ისტორიით ვიცით, რომ მედიასავით და ამაზონები-
ვით თამამად ქცევა, უცხო სტუმართან ჯდომა სადილზე
და მასთან მუსაიფი წინააღმდეგი იყო საბერძნეთის ერის
ზნისა და ჩვეულებისა. საბერძნეთში დედა-კაცებს არ
აჩვენებდნენ უცხო კაცს, მას ჰხედავდნენ მხოლოდ ნა-
თესავები და მეგობრები ქმრისა. მას შეეძლო ქმართან
დამჯდარიყო და სადილი ეჭამა მხოლოდ მა-
შინ, როცა ქმარს თავისთან სტუმარი არა ჰყავდა. სა-
სახლეში ჰქონდა ქმრისაგან მოშორებით ცალკე ოთახი
მიჩენილი და კარებზე ბრაზიანი ქოფაკი ძაღლი ჰყავდა
დაბმული, რომ გაფთხილებულიყო და უცხო კაცი არ
შეეშვა ოთახში. აქ ეხვივნენ მას მოახლეები და მონე-
ბი. ამ მარტოობაში მისი საქმე იყო სახლის მოვლა,
ქსოვა, ჭრა-კერვა, ჯარა, საჩეჩელი და თითის-ტარი.

ბერძნების აზრით ყოველი ამ გვარი საქმე კაცის
ღირსების დამამცირებელი იყო და ამის გამო დედა-
კაცსა ჰქონდა მინდობილი. დედა-კაცს არ შეეძლო აგ-
რეთვე მიეღო რაიმე მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებ-
ში და ამისათვის მას სწავლა-განათლების მიღების ნება-
საც არ აძლევდნენ. რომელი მათგანიც კი გაბედავდა
სწავლა-მეცნიერების შეხებას, მასაც ძლიერ ჰკიცხავდნენ
და ზრახავდნენ. იმათ ეძახდნენ ზნე-გარყვნილ დედა-
კაცებს—გეტერებს, რომელნიც როსკიპების რიცხვში
იყვნენ ჩათვლილნი. მაგრამ ბერძნებს მაინც უყვარდათ
მათთან დროს გატარება და არა ოჯახში. ცოლებთან,
რომელთ ოთახში შესვლას მხოლოდ უსაქმობის დროს
ჰკადრულობდნენ. ერთის სიტყვით ბერძნები ისეთის ცუ-
დის თვალით უყურებდნენ საზოგადოდ დედა-კაცის ღირ-
სებას, რომ დემოსთენი ასე ეუბნებოდა ათინელებს: „საყ-
ვარლები ჩვენა გვყავს კმაყოფილებისათვის, ცოლები კი

სახლის მოვლისა და შვილების ყოლისათვისაო". თვით უდიდესნი ფილოსოფოსნი სოკრატ, პლატონ და არისტოტელიც კი ცუდ აზრს ქადაგებდნენ დედა-კაცზე. ისინი ამბობდნენ—დედა-კაცი სიძულველი არსებაა და კაცი ისე იშვიათად არავის უნდა ელაპარაკებოდეს, როგორც თავის ცოლსაო". სპარტაში და დორიაში თუმცა საზოგადო ცხოვრებაში უფრო დიდი პატივი ეძლეოდა დედა-კაცს, ვიდრე ათინაში; მაგრამ ერთგანაც და მეორედგანაც დედა-კაცი არ იღებდა არავითარს მონაწილეობას სამოქალაქო და პოლიტიკურს საქმეების განწყობილებაში [1]).

თუ ასეა, მაშ რა მიზეზით შეადგინეს ბერძნებმა წინააღმდეგი აზრი ქართველ ქალზე? ნუ თუ მართლაც იმას მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთ ცხოვრებაში? რადგან საბერძნეთში დედა-კაცი ცუდს მდგომარეობაში იყო და საზიზღარი შეხედულობა ჰქონდათ მის ღირსებაზე და მნიშვნელობაზე სამოქალაქო ცხოვრებაში, უეჭველია, რომ ქართველ ქალზე ბერძნები არ იტყოდნენ, რომ ის ძლიერ განსწავლული იყო და საკვირველად იცოდა გრძნების ხელობაო, თუ მართლაც, მთლად თუ არა, ნახევრად მაინც ასე არა ყოფილიყოს; არ გიმოიყვანდნენ მას უცხო სტუმრებთან სადილად, არ დასვამდნენ მამის გვერდით, არ გაბაასებდნენ მათთან და არც ზღაპარში ამოქმედებდნენ; არ იტყოდნენ, რომ იაზონს უმეტესად არ შეეძლო „ოქროს მატყლის" შოვნაო. ეტყობა, მართლაც ასეთი ყოფილა და ასეთი თავისუფლება ჰქონია ქართველ ქალს, რომ მისი საქციელი საარაკოდ გაუხდია უცხო ხალხს.

ასეთი შეხედულობა ბერძნებისა ქართველს ქალზე

---

[1]) იხ. **Положеніе женщинъ, въ древнѣйшемъ Римѣ Красина 1877 г.**

არც რომ სრულიად ტყუილი უნდა იყოს ისტორიულადაც. თითქმის ყოველს საბერძნეთის სამოქალაქო ისტორიის სახელმძღვანელო წიგნში სწერია, რომ გეტერების აშკარად გამოსვლაზე საზოგადო ცხოვრებაში გავლენა იქონია აღმოსავლეთმაო. ვიტყვით სხვაფრივ: მცირეაზიაში მცხოვრებ ბერძნების ქალებმა აღმოსავლეთის ქალების საქციელის მიხედვით დაიწყეს თამამად ქცევა და სწავლა-მეცნიერების მიღება. მაგრამ რომელ მხარეს ეძახიან ამ შემთხვევაში მწერალნი აღმოსავლეთს, თუ არა კავკასიას? მე არა ვგონებ, რომ ამ სიტყვით მთელს აზიას იგულისხმებდნენ. ასე რომ იყოს, მაშინ ისინი თავიანთ თავსვე გაამტყუნებდნენ. ჩვენ ვიცით, რომ როცა ლაპარაკობენ საზოგადოდ დედა-კაცის მდგომარეობაზე, ერთხმად ამბობენ, რომ დედა-კაცი ისე არსად იყო დაჩაგრული, როგორც აღმოსავლეთშიო [1]). თუ ასეა, მაშ აღმოსავლეთმა როგორ-ღა იქონია გავლენა საბერძნეთის ქალების გათამამებაზე და გარყვნაზე? ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ აქ საზოგადოდ ყველა აღმოსავლეთში მცხოვრებ დედა-კაცებზე არ არის ლაპარაკი. ჩემის აზრით საბერძნეთის ქალების—გეტერების საზოგადოებაში გამოსვლაზე გავლენა იქონიეს მცირე-აზიაში და კავკასიაში მცხოვრებ უცხო ტომის ქალებმა. თავის ისტორიაში ილოვაისკი ამბობს: მცირე-აზიის კოლონიებში მცხოვრებ ბერძნის ქალებს გაერყვნათ ზნე აღმოსავლეთის ქალების მიხედვითაო. მაგრამ ნუ თუ მართლა შესაძლო იყო ეს ასე მომხდარიყო? ნუ თუ მართლა კავკასიის ქალებმა თავიანთ მაგალითით გაათამამეს ბერძნების ქალები და გამოიყვანეს აშკარად საზოგადო ცხოვრებაში? ჩემის აზრით აქ არა არის-რა გასაკვირველი. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ნაპირებზე შავის ზღვისა ბერძ-

---

[1]) Историческія судьбы женщ. Шашкова стр. 68—86.

ნებს ჰქონდათ მრავალი კოლონიები. ესენი იყვნენ: ოლვია, ხერსონესი, პატიკაპეია, ტანაისი, ფანაგორია, დიოსკურია (სოხუმი), ფაზისი (ფოთი), კიმერიონი (ქუთაისი), შორაპანი (ყვირილა), პეტრი (ანაკოფია), ტრაპიზონი და სხვ. ამ ქალაქების მეტროპოლია იყო მილეთი, ამბობენ ისტორიკოსები, და ზღვის პირზე მას ჰქონდა ოთხმოცი კოლონია დაფუძნებულიო. ჩემის აზრით აი ამ კოლონიებში მცხოვრებ ბერძნების ქალებმა კავკასიის ხალხებში ვაჭრობის დროს მისვლა-მოსვლით გადიღეს აქაურ დედა-კაცების ზნე, ჩვეულება და ქცევა, ესე იგი მათ მოეწონათ კავკასიის ქალების თავისუფლება, ხალხში თამამად გამოსვლა, კაცებთან მოურიდებლობა, მათთან მუსაიფი, მათი გამჭრიახობა, ცოდნა და მონაწილეობის მიღება საზოგადო ცხოვრების საქმეებში. ისტორია პირდაპირ ამბობს, რომ სახელოვანი ასპაზია მცირე-აზიელი დედა-კაცი იყო მილეთის ქალაქიდგანაო. პერიკლს ასე მოეწონა ეს კეკლუცი, განათლებული და თამამი ქალი, რომ ცოლად შეირთოო. ეს ამბავი მოჰხდა 449 და 429 წელს შუა ქრისტ. დაბადებამდე. დიაღ, ამ გვარის მოსაზრების გამო ვიკითხავ კიდევ: საიდგან გადიღეს ამ გეტერებმა ასეთი სითამამე, თუ არ კავკასიის კოლონიებში აქაურ ქალებისაგან, რომელთაც დიდი თავისუფლება, და სითამამე ჰქონიათ ხალხში და რომელნიც აშკარად გამოდიოდნენ სახალხო დღესასწაულებში, მონაწილეობას იღებდნენ საზოგადო ლხინში და სიხარულში, ერეოდნენ სალაშქრო და სამოქალაქო საქმეებში? და თუ გეტერებმა სითამამე კავკასიის ქალაქებისაგან გადაიღეს, თუ აქაურს ქალებს დაუწყეს მიბაძვა ცხოვრებაში, მაშ ეჭვი არ უნდა იყოს, რომ აქაურს ქალებს დიდი უფლება და სითამამე ჰქონიათ ხალხში. განა ამ აზრს არ ამტკიცებენ მედიას ზღაპარი და ამაზონების ისტორია?

ნუ თუ ქართველნი უფრო განათლებულნი იყვნენ, ვიდრე ბერძნებიო, იტყვით? თუ არა, მაშ რით აიხსნება ის ფაქტიო, რომ ქართველი დედა-კაცი უფრო გამოსული ყოფილა ცხოვრებაში, უფრო კეთილი ცხოვრება და გავლენა ჰქონია საზოგადოებაზე? რასაკვირველია, ეს იმითი არ აიხსნება, რომ ვითომც ქართველები უფრო განათლებულნი იყვნენ ბერძნებზე. ქართველი ხალხი როგორ შეედრება განათლებით და ცოდნით ძველს ბერძნებს. მაგრამ საქმე ეს არ არის, რომ რამოდენადაც რომელიმე ხალხი გაუნათლებელია, იმოდენად უფრო თავისუფალი ცხოვრება, სითამამე, და გავლენა ჰქონია დედა-კაცს მამა-კაცზე [1]). ეს ამიტომ, რომ ველურს მდგომარეობაში დედა-კაცი თავს იცავდა თავის ძალ-ღონით, ებრძოდა კაცს და არ აძლევდა ნებას მონად გაეხადა იგი. საქმე ძალ-ღონეზე იყო დამოკიდებული. ვინც დაამარცხებდა, ის იყო ბატონი. ქალი პირობას უდებდა მის ცოლობის მეძიებელს კაცს: მოდით ჯერ შევიბნეთ და ვიბრძოლოთ, თუ შენ დაშამარცხე, მე შენი მონა და ცოლი ვიქნებიო; მაგრამ თუ მე დაგამარცხე, მაშინ მენებება მოგკლავ, არა და მონად გაგიხდიო. ასეთი ბრძოლა დაუწყვიათ კაცსა და დედა-კაცს თავის გაჩენიდგანვე. ყოფილა დრო, რომ დედა-კაცს უჯობნია მამა-კაცისათვის. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ კავკასიაში დედა-კაცებს ჰქონიათ სამეფოო. იმათ ერქვათ ამაზონები, რადგან იარაღის ადვილად ხმარებისათვის მარჯვენა ძუძუს იბრმავებდნენ. აი რას ამბობს კავკასიის ამაზონებზე დიოდორს სიცილიელი: „დედოფალი ამაზონებისა იდგა მდინარე თერმოდონის შესართავთან. დღითი-დღე განითქმოდა მისი სახელი მამაცობისა. როგორც კი დაიპყრობდა ერთს რომელსამე ხალხს, მაშინვე სხვა ხალხის

[1]) იხ. Ист. судьбы женщины, გვ. 68.

დასამორჩილებლად ამხედრდებოდა. ის იწოდებოდა ბრძოლის ღმერთის ასულად. მან დაამარცხა მამა-კაცები და ძალა დაატანა მატყლი ეჩეჩათ და ერთათ. მან გამოსცა კანონები და დედა-კაცები სამხედრო სამსახურში მიიწვია, კაცები კი შინ დასტოვა ოჯახის მოსავლელად. სკვითების ამაზონებზე გადმონაცემი ამბობს, რომ ეგვიპტის მეფის სეზოსტრისის დროს მრავალნი მათგანნი გადასახლდნენ კაბადოკიაშიო. ამათ ამოსწყვიტეს თურმე მომეტებული ნაწილი მამა-კაცებისა, რომელნიც თან გაიყოლიეს, ამოირჩიეს ჯხედართ-წინამძღოლად დედა-კაცები და გამოაცხადეს, რომ აღარა შემთხვევაში არ დაემორჩილებიან მამა-კაცებს. ვინც სიკვდილს გადარჩნენ, ყურ-მოჭრილ მონად გაიხადეს. ქმრად აღარ ირთავდნენ მამა-კაცებს, მაგრამ დროსა და დროს განმავლობაში ჰქონდათ მათთან დრო-გამოშვებითი კავშირი. თუ ქალი გაუჩნდებოდათ, თვითონვე ზრდიდნენ, თუ ვაჟი, — მამა-კაცებს აძლევდნენ. ისინი ისე ძლიერნი და მეომარნი ყოფილან, რომ დაუპყრიათ მრავალი ქვეყნები, აუშენებიათ ქალაქები, მიუღიათ მონაწილეობა ტროიანელთ ბრძოლაში და უბრძოლნიათ თვით უდიდეს გმირთან ჰერკულესთან, როცა ეს მოგზაურობდა; მაგრამ უკანასკნელს ისინი დაუმარცხებია და გაუუქმებია მათი სამეფო [1]).

როდის იყო ეს ამბავი, ბეჯითად არავინ იცის: მაგრამ ზოგიერთი ისტორიკოსები მოსწრებიან ჩვენს მხარეში იმისთანა დედა-კაცებს, რომელნიც ძლიერად მებრძოლნი ყოფილან. ამას ამტკიცებს სხვათა შორის ქსენოფონტი და ჰეროდოტი. უკანასკნელი სწერს: სავრომატების (კავკასიის მხრის ხალხია) ქალები ისეთივე მხედარნი არიან, როგორც მამა-კაცები; კაცებთან ერთად

[1]) იხ. იგივე თხზ. შაშკოვისა გვ. 24—25.

ნადირობენ და ქმარს არ ირთვენ, ვიდრე თითოს მტერს სამშობლო ქვეყნისას არ მოკლავენო [1]). ეს ასე ყოფილა 500 წლის წინად ქრისტეს დაბადებისა. მაგრამ ამის შემდეგაც ქალები ასე იქცეოდნენ. მაგალითად 60 წლის წინად ქრ. დაბ. რომის მხედართ-მთავარი პომპეი რომ ეომებოდა კახეთში ქართველებს, მაშინ ამ უკანასკნელთ ლაშქარში და ბრძოლაში დედა-კაცებიც ერევნენ.

ეი ამ დროებში დედა-კაცს ჰქონდა საქართველოში მინიჭებული სრული თავისუფლება, დადიოდა უპირბადოდ, შედიოდა ტაძრებში სალოცავად კაცებთან ერთად; გამოდიოდა ხალხში დღესასწაულს დღეს სასეირნოდ და სალხინოდ; უცხო კაცებს შეეძლოთ მათს ოთახში შესვლა, მამასახლისები მიიღებდნენ ხოლმე უცხო სტუმრებს მათის თანა-დასწრებით; წარჩინებულთა ცოლნი მოგზაურობდნენ უშიშრად; მათნი ასულნი მუსაიფობდნენ სტუმრებთან, როგორც მაგალითად მედია ელაპარაკებოდა იაზონსა და ჰერკულესს.

ყოველ ამ მოსაზრების ძალით ჩვენა ვფიქრობთ, რომ ბერძნებმა შეადგინეს აზრი კოლხიდის ქალის მედიას ჭკუაზე, გამჭრიახობაზე, ძლიერებაზე, სწავლა-განათლებაზე და ხალხის პოლიტიკურ საქმეებში მონაწილეობის მიღებაზე იმისთვის, რომ კავკასიის დედა-კაცს ჰქონდა ისეთივე ხმა საერთო საქმეებში, როგორც მამა-კაცს. უცხო ქვეყნებში ყოველგან, საცა კი სახელმწიფო და მოქალაქობრივი ცხოვრება შეკრულა კანონით და დამყარებულა სახელმწიფო წესდება, ქალის უფლება, თამამობა, ამაყობა, გავლენა და ღირსება შემცირებულა დამდაბლებულა კაცებისაგან [1]); საქართველოში კი რაკი

---

[1]) იგ. იქვე გვ. 42.

[1]) იხ. Ист. судьбы женщ. соч. Шашкова стр. 56, 68, 69, 86, 99, 100 და სხვა.

ერთხელ ქალს მიუღია საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობა და მნიშვნელობა, რაკი ერთხელ მას ჰქონია ხმა სამოქალაქო და პოლიტიკურს საქმეებში, მერმე მამაკაცებს აღარ წაურთმევიათ იმისთვის ეს უფლება, და კაცებსა და დედა-კაცებს ორივეს ერთად გაუწვევიათ ბანი სამშობლო ქვეყნის დაცვასა და აღყვავებაში, რის გამოც ცოლ-ქმარს დარქმევია ქართულს ენაზე „მეუღლე“.

ეს თუ მართლა ასე არ იყო, მაშ რათა ჰქონდა ჩვენს ისტორიაში ქალს ისეთი დიდი მნიშვნელობა? „ქართლის ცხოვრება ამბობს, რომ ქართველ ხალხის ცხოვრების საძირკველი ჩასდგა კავკასიაში მამათ-მთავარმა ქართლოსმაო. ეს იყო პირველი მწყემსი ქართველ ხალხისა; ეს იცავდა საქართველოს გარეშე მტერთაგან; მაგრამ მოკვდა თუ არა იგი, მაშინვე მისმა ცოლმა მოჰკიდა ხელი ქვეყნის გამგეობასა და მართველობასაო — ამან, როგორც მთავარმა, ქმრის სიკვდილის შემდეგ განუწესა ქართველ ხალხის ცხოვრებას სამოქალაქო წყობილება. მის განკარგულებას არ ეწინააღმდეგებიან არც იმისი ხუთი შვილი, არც ერი. მას ენდობიან ყველანი, როგორც დედას, როგორც ქართველთ ოჯახობის ბურჯსა და სამოქალაქო ცხოვრების სვეტს. ის არის სიცოცხლის ჩამდგმელი ქართველის ხალხისათვის და ფარგალი და ჩარხი ოჯახურის ცხოვრებისა. იმის სიტყვას ფასსა სდებს ხალხი, ისმენს და ემორჩილება მის განკარგულებას. ის უყოფს თავის შვილებს მამის სამკვიდრებელს. შვილნი ემორჩილებიან დედას და ყველანი თავ-თავიანთ მიწა-წყალს უპატრონდებიან. დედას უჭირავს ხელში ხალხის სამოქალაქო ცხოვრების მმართველობა, შვილებს აბარიათ ჯარის საქმე და ქვეყნის დაცვა მტრისაგან ფარ-ხმლითა. ძმები ემორჩილებიან უფროს ძმას მცხეთოს, და ყველანი ერთად დედას. დედა იყო ამშენებელი ქალაქებისა და ციხეებისა. „აღაშენა დედა-ციხე და მანვე აღაშენა ბოს-

ტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი"; „განყვნა დედამან შვილნი შემდგომად ქართლოსის სიკვდილისა და მცხეთოს იყო გამგებელ მათ ოთხთავე ძმათა ზედაო", ამბობს ქართლის ცხოვრება [1]).

შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ის მიწა-წყალი, საცა აღაშენეს „დედა-ციხე და ბოსტან-ქალაქი", დედის სამფლობელო იყო და ამისათვის ნება ჰქონდა თავის წილში ისე ემოქმედნა, როგორც თვითონ ენებებოდა. მაგრამ მატიანე ამბობს, რომ „დედა-ციხე" კახოსის ხვედრი იყოვო. გარდა ამისა ციხის აშენებას თვალ-ყურს ადევნებდნენ შვილები, და არა დედა. თუ დედას ეკუთვნის, შვილს რა ხელი აქვს, თუ შვილს—დედა რად ერევა საქმეში? თუ დედა-ციხე და რუსთავი კახოსის ხვედრია და ვისაც ეკუთვნის, იგივე თვალ-ყურს ადევნებს მათს აშენებას, მაშ რაღად-ღა არის ნათქვამი რომ ქართლოსის ცოლმა აღაშენაო? იქნება იმიტომ, რომ რადგან დედა-აზრი (ინიციატივა) ქალაქებისა და ციხეების აშენების• დედას ეკუთვნის, ამისათვის არის ნათქვამი, რომ ქართლოსის ცოლმა აღაშენაო? ეს რომ კიდევაც ასე არ იყოს, მაინც უნდა მივიღოთ, რომ ამ ზღაპრულ ისტორიულ გადმონაცემში ქართლოსის ცოლი არის მიმსგავსებული იმ ღმერთებისა, რომელნიც ბერძნებისა, რომაელებისა, კელტებისა და გერმანელების წარმოდგენით ქალაქებს აშენებენ და ართვენ კაცობრიობის სიცოცხლის ძაფსა, ესე იგი გამონასკვენ ერის სამოქალაქო ცხოვრებასა. იგი არის „ქალი მრთველი"—ქართველი (ქალი შემოკლებულად ითქმის „ქა"); იგი არის მზგავსი ლათინების მიწა-წყლის ღმერთისა. როგორც დედათა ღმერთა ფეია, როგორც ბერძნების ღმერთები; ნიმფა და

[1]) იხ. გვ. 19 და 20.

პარკა—ასე ეს დედა-კაცი, ქართლოსის ცოლი, ართავს ქართველთ ცხოვრების ძაფს, ესე იგი გამონასკვავს ქართველთა სამოქალაქო ცხოვრების კანონებს. დიალ! იგი არის ღმერთა ქართველ ხალხის მოქალაქობრივ ცხოვრებისა.

ამ გადმონაცემში რომ ასეთი აზრია გამოხატული ქართლოსის ცოლის შესახებ, ამაში ეჭვი არ უნდა იყოს; და თუ ამ აზრს ვინმე საეჭვოდ მიიღებს, იმაზე მაინც უნებლიეთ უნდა დათანხმდეს, რომ »ქართ. ცხოვრების« გადმონაცემში არის გამოხატული პატივისცემა დედა-კაცისადმი და აღიარებულია მისი მოქმედება ისტორიულს ასპარეზზე.

ამ გვარის გადმონაცემის არსებობაც კი საკმაოა იმის სათქმელად, რომ ჩვენში დედა-კაცი არ იყო დაჩაგრული მამა-კაცთაგან და მას შეეძლო ეზრუნა და ხმა ამოეღო საზოგადო კეთილ-დღეობის შესახებ. დღესაც ამბობს გლეხ-კაცი: »ოჯახი მაშინ იღუპება, როცა ქმარს ცოლი უკვდებაო«. აქედგან ცხადია, რომ ოჯახურის ცხოვრების დამადგენელად იმას დედა-კაცი მიაჩნდა უწინდელ დროში. არც გასაკვირველია: თავ-დაპირველად, როცა კაცთა საზოგადოებრივის ცხოვრების წესდება ინასკვებოდა, მაშინ ამბობენ ისტორიკოსნი, მოქალაქობრივი წესდება დედა-კაცს შემოჰქონდაო, და ერის ცხოვრების გამგებლადაც დედა-კაცი იყო და არა მამა-კაცი; ოჯახის პატრონი იყო დედა, და არა მამა-კაცი, რის გამო დედის სახელი შვილებს გვარად ერქმეოდათო. ამას ამბობს თავის თხზულებაში **„Историческія судьбы женщины«** რუსის მწერალი შაშკოვი. იგივე მოგვითხრობს აგრეთვე, რომ ძველს დროში თვით მეფენიც დედის მზრუნველობის ქვეშ იყვნენო: დაუკითხავად შვილს არავითარის განკარგულების მოხდენა არ შეეძლო, რადგან კაცთა საზოგადო ცხოვრება დედათა უფლებაზედ

იყო დამყარებულიო; და თუ სხვაგან ასე იყო, რატომ საქართველოშიაც ასე არ უნდა ყოფილიყო? მით უფრო წარმოსადგენია ეს ჩვენში, რომ კავკასიაში იყო ერთ დროს სამეფო ამაზონებისა. ქსენოფონტის აზრითაც იმ თემებს, რომელნიც სწავლულთაგან ქართველთ მოდგმის ხალხებად იცნობებიან, იმ ჟამად დედა-კაცი პატივში ჰყავდათ [1].

ქართლოსის ცოლის შემდეგ საქართველოს ერის პოლიტიკურის თავისუფლების აღსადგენად მოქმედებდნენ დედა და ორი დანი საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზისა. როცა ეს დედა-კაცნი მოქმედებდნენ, კაცობრიობის ცხოვრება ძლიერ არეულ-დარეული იყო. ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო თითქმის ყველა სახელმწიფოები, დაამხო სამეფო ტახტები და გახდა მარტო თვითონ ხელმწიფედ. ამანვე დაიპყრო საქართველო, მოჰკლა მცხეთის მამასახლისი სამარა და ამისი ძმა—მამა ფარნავაზისა. დაქვრივდა ფარნავაზის დედა. დარჩნენ ობლად ფარნავაზიც და მისი დებიც, რომელნიც ძმებზე უფროსნი იყვნენ. საქართველოს გამგებლად გახდა მტერი აზონი. „კაცი ძნელი და შრისხანე“, დაუწყო ქართველებს დევნა და უწყალოდ ხოცვა. ვისაც კი ქართველთაგანს თვალში რამე ჩინი ვაჟ-კაცობისა ჰქონდა, ყველა მოკლა და ქართველობა დააწიოკა.

აი ამ ულმობელს დროს დედამა და დებმა ფარნავაზი ჯერ მამულის სიყვარულში აღზარდეს, და მერმე არამც თუ არ დაუშალეს იმას აზონის წინააღმდეგობა, არამედ ზნეობითად ამხნევებდნენ იმის მოქმედების ასპარეზზე. ისინი თან მისდევენ იმას ყოველგან, სადაც ჯი მათი ყოფნა საჭიროა. ფარნავაზის გულში დედას რომ არ გაელვიძებინა სიყმაწვილობიდგანვე უფლების მოყვა-

[1]) იხ. თხზულება Анабаснсъ.

რეობა, იმას იქნება არც კი მოენდომებინა მეფობის შოვნა. უეჭველია, ამ გვარს სურვილის გაღვიძებისათვის, კაცის გულში დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდას. „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო“, ამბობს ქართველი ხალხი. თუ ასეა, მაშ უეჭველია, ფარნავაზის დედამ და დებმა მიიღეს მონაწილეობა ქართველ ჩამომავლობის თემების შეერთებაში ერთ მეფის უფლებას ქვეშ; იმათ იზრუნეს ქართველთ ხალხოსნობის აღდგენისათვის, იმათის მეცადინეობით აღსდგა მამა-პაპური სარწმუნოება, ზნე, ჩვეულება და ენა. ეს ნამდვილად ასეც უნდა ყოფილიყო. მთელს ქვეყანაზედ დედას შვილზე გავლენა ჰქონია, როგორც ამბობს შაშკოვი, და ეს ჩვენშიაც, რასაკვირველია, ასე უნდა მომხდარიყო. და ან კი გასაკვირი არ იქნებოდა, რომ მარტო საქართველო ყოფილიყო ამ შემთხვევაში გამორიცხული?

მაგრამ ქრისტეს ქვეყნად მოსვლამდე ქართველებს არა ჰქონდათ მოსაწონი სარწმუნოება. ისინი თაყვანსა სცემდნენ ქართლოსის საფლავს, როგორც გაღმერთებულს მამათ-მთავარს, კერპს არმაზს, კერპს შოთას, რომელიც ხვნა-მთესველობის ღმერთად მიაჩნდათ; აგრეთვე კერპებს გაციმს და გაიმს, არტემის და აპალონს; კიდევ ცეცხლს, მთვარეს, მზეს და შვიდს ვარსკვლავს — „მრავალს“. ამათი მსხვერპლი იყო სხვათა შორის სისხლი კაცისა. უბრალო და უმანკო ყმაწვილებს ყელსა სჭრიდნენ ამ კერპების წინაშე. ეს უწყალო ჩვეულება — კულტი უწუხებდა და უმწარებდა გულს დედათა, ათქმევინებდა მათ მწარე სამდურავს მამა-პაპურს სარწმუნოებაზე. აბა რომელი დედა არ მოინდომებდა იმ სარწმუნოების ამოგდებას, რომელიც მსხვერპლად ითხოვდა იმათ საყვარელ შვილებს და იმათ კი მწარე და მდუღარე ცრემლით ატირებდა? დიაღ! მოიწადინეს დედა-კაცებმა და კიდევაც შეუცვალეს ქართველ ხალხს სარწმუნოება.

იმათ დაიწყეს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება და კიდევაც დააგვირგვინეს თავიანთი კეთილი წადილი. კაცები უარს იყვნენ იმათ განზრახვაზე. იმათ ილაოს ტკივილებით შვილი არ ეშობნათ და არც აგრე რიგად გული დაეწოდათ, როცა თავის საკეთილდღეოდ ყრმებს ყელსა ჰსჭრიდნენ. დედა-კაცებს კი სულის კვეთება მოსდიოდათ; კაეშნებით ევსებოდათ გული, როცა უყურებდნენ, რომ იმათგან ტანჯვითა და მწუხარებით ნაშობს შვილებს, მრავალს ღამეს აკვანზე უძილობით აღზრდილთ საყვარელ ნორჩთ, ახლა ყელსა სჭრიან და ცეცხლში სწვენ. ამ გვარმა უსამართლობამ ასეთი სიმტკიცე ხასიათისა და ნებისა დანერგა დედათა გულში, რომ კაცებმა ვერ შესცვალეს თავიანთ მძლავრობით მათი განზრახვა. იმათ მაინც გაავრცელეს საქართველოში ქრისტიანობა.

როცა 45-სა და 60 წლებს შუა ქრისტეს ამაღლების შემდეგ საქართველოში მეფობდა ადერკი, სამცხე-კლარჯეთში მთავრობდა ქვრივი დედა-კაცი გვარად სამძივარი. ამ დროს მოვიდა აქ ანდრია მოციქული და დაიწყო სამცხეში ქადაგება ქრისტეს სჯულისა. გაიგონა თუ არა ამ მთავარმა დედა-კაცმა, რომ ანდრიას ღმერთს კაცის მსხვერპლად შეწირვა დიდ ცოდვად მიაჩნიათ, დიდად მოეწონა ეს ამბავი და მაშინვე თვითონაც ირწმუნა ქრისტე და თავის მცირე-წლოვანს შვილსაც მიაღებინა ქრისტიანობა. მაგრამ, რადგან მარტო ამათის რწმუნებით არა გამოვიდოდა-რა, მოიწადინა ქრისტიანობის ხალხში გავრცელებაცა. მის ჩაგონებით ხალხმა მიიღო ახალი სარწმუნოება. სამცხე, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი ანდრიამ მოაქრისტიანა დედა-კაცის შემწეობით.

მაგრამ, საუბედუროდ, დედა-კაცისაგან დაწყობილ საქმეს მეფემ ადერკიმ დიდი წინააღმდეგობა გაუწია.

შეიტყო თუ არა, სამცხე-კლარჯეთმა და მთელმა დასავლეთის საქართველომ მამა-პაპური სარწმუნოება გამოიცვალაო, ძლიერ იწყინა და ძალად მიაქცივა ხალხი ისევ ძველს სჯულზე და ძლიერად დატუქსა სამცხის მთავარი სამძივარი და თავადობა. მაგრამ ქრისტიანობა მაინც არ მოკვდა ამ დევნით. პირველ საუკუნის დასასრულს დასავლეთ საქართველოში ტუსაღად გამოგზავნა ტროიანე იმპერატორმა ეპისკოპოსი კლიმენტი რომაელი და ამანა და პონტის ეპისკოპოსმა პალმამ, ჩამომავლობით ქართველმა—მეგრელმა, და ამისმა შვილმა მარკიონმა დაიცეს ქრისტიანობა სამცხე-კლარჯეთში და დასავლეთის საქართველოში. მეორე საუკუნის დამლევს მცხოვრები ეპისკოპოსი ლიონისა (საფრანგეთშია) ირინეი ამბობს, რომ ივერიაში ახლა ქრისტიანობა არისო.

მაგრამ ამ დროს ქართლ-კახეთის ქართველები ჯერ ქრისტიანობას არ აღვიარებდნენ. სამცხე-კლარჯეთის დედა-კაცები მეცადინეობდნენ ქრისტიანობის გავრცელებას ამ მაზრებშიაც, რადგან ეს საქმე იმათ თავიანთ მოვალეობათ მიიღეს. კაცების წინააღმდეგობამ ვერ მოდრიკა და ვერ გასტეხა სიმტკიცე იმათის განზრახვისა. იმათ მაინც დაამხეს ყოველგან საქართველოში წარმართობა და შემოიღეს სჯული ქრისტესი. ეს ამბავი მოჰხდა 318 წლის შემდეგ ქრ. დაბადებისა მოციქულთა სწორის ნინოსაგან, რომელიც, როგორც ამტკიცებს ბ. ჩუბინოვი, ჩამომავლობით იყო ქართველი—ჭანი-მეგრელი [1]).

ან განა კი ფიცი უნდა იმას, რომ ნინო ქართველი იყო? თუ არ იყო, მაშ რომელს ენაზე ქადაგებდა? იმან კარგად იცოდაო, ამბობს გადმონაცემი, ბერძნული და ებრაულიო; ქართულის ენის ცოდნაზე კი, მართა-

---

[1]) იხ. „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაბადოკიის ანუ ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“, გვ. 11, 12, 13.

ლია, არა არის-რა ნათქვამი, მაგრამ იცით რათა? ამისათვის რომ ქართული ენა იყო მისი სამშობლო ენა და აბა, რაღა ფიცი უნდოდათ მწერალთ, რომ ნინომ ქართული იცოდაო. დამტკიცება იმისი, რომ ქართველმა ქართული იცისო, სწორეთ რომ სასაცილოა. დიაღ, ნეტარმა ნინომ კარკად იცოდა ქართული ენა. რომ არა სცოდნოდა, ვერც იქადაგებდა ქართველ ხალხში. და ან კი რატომ არ უნდა სცოდნოდა? იმისი დედ-მამანი იყვნენ კაბადოკიის მცხოვრებნი და აქ ცხოვრობდნენ ლაზები—ქართველები. ასე ამტკიცებენ მეცნიერნი, რომელნიც იკვლევენ კაბადოკიის ძველებურ მცხოვრებლების გვარ-ტომობას.

მაგრამ საქმე ის ხომ არ არის, იცოდა ნინომ ქართული ენა კარგად, თუ არა. ჩვენთვის აქ სასიქადულოა, რომ ის იყო ქართველი შთამომავლობისა და მან გაავრცელა საქართველოში ქრისტიანობა. აი ის გარემოებანი, რომელთაც გამოიყვანეს იგი სამისიონერო მოქმედებაზე. მისნი დედ-მამანი რომ ბერად შესდგნენ, ის წავიდა იერუსალიმში. იქ ჯერ შეისწავლა კარგად ქრისტიანობა, მერმე წამოვიდა სამშობლო საქართველოში მტკიცე განზრახვით, რომ დანერგოს ერთ სისხლ-ხორც ხალხში ქრისტეს სწავლა. ის მოვიდა მცხეთაში ნ აგვისტოს. ექვს ამ თვისას იყო არმაზ კერპის დღეობა. ხალხი იქ მიდიოდა დღეობაზე. ნინოც იქ წავიდა. აქ იმან გაიცნო მეფე მირიანის ცოლის სეფე-ქალი (**фрейлина**), სახელად შროშანა, რომელმაც სთხოვა მოდი, სასახლეში და იქ იცხოვრეო; მაგრამ ნეტარმა ნინომ არ ინება. ამ საღამოს ის შეეხიზნა მეფის მებაღის ცოლს ანასტასიას. მერმე გაიცნო მცხეთელ ურიების მღვდლის ქალი სიდონია და კიდევ სხვანიცა, მაგრამ ანასტასიას არ მოჰშორდა. მასთან იცხოვრა იმან ცხრა თვე. ამ დროს განმავლობაში შეისწავლა მცხეთელების ხასიათი და თავის

სახლის პატრონის ცხოვრების გარემოება. როცა შეიტყო რომ ანასტასია უშვილო არისო, იმან უწამლა და გახსნა შვილიერება მისი. შეიტყეს მისი ასეთი ექიმობა მცხეთელებმა და დაიწყეს მასთან ავადმყოფების მოყვანა საწამლაოდ. ის ყველასა სწამლობდა და არჩენდა. ამ ხელობით იმან შეაყვარა ხალხს თავი. იმას ახლა ყველანი პატივსა სცემდნენ. მოდიოდნენ იმასთან და ყველაფერში რჩევასა სთხოვდნენ და იმასაც არა ჰშურდა მათთვის თავისი ცოდნა. სამი წლის განმავლობაში იმან ისე შეიძინა ხალხი, რომ ყველა მის ღმერთსა ჰფიცავდა. მაგრამ უფრო მომეტებულად ის დედა-კაცებს იახლოვებდა. ვისაც კი რაიმე სიკეთე უყო მათგანს, ყველას მხოლოდ ისა სთხოვა, შრომის ფასად, რომ სწამდეთ ქრისტე-ღმერთი და ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელი. ამ სახით იმას 12 დედა-კაცი დაიმოწაფა, და ხალხის გულიც კეთილის ყოფით მოიგო და მოინდო. ის ახლა ყველას მიაჩნდა წმინდა დედა-კაცად. თვით მეფე-მირიანი ეუბნებოდა იმას, რომ შენ არმაზ კერპის შვილი ხარო. ასე რომ გაიერთგულა ყველანი: მეფე, დედოფალი, დიდებულნი და დაბიო ხალხი. ის გამოდის ქრისტიანობის საქადაგო ასპარეზზე. თანა ჰყავს თორმეტი დედა-კაცი: შროშანა, ანასტასია, სიდონია, მებაღის ცოლი და სხვანი და მხნედ ქადაგებს ქრისტეს სჯულს. მეფე მირიანი და სამეფოს დიდებულნი კაცნი მას ემტერებიან, მაგრამ დედოფალი ნანა და სალომე უჯარმოელი მას ესარჩლებიან და კაცებს ნებას არ აძლევენ, რომ რაიმე ავნონ ნინოსა და იმის თორმეტ მოწაფესა. იწყება ბრძოლა დედაკაცებსა და კაცებს შორის. მამა-კაცებს არ უნდათ, რომ საქართველოში ქრისტიანობა გავრცელდეს. მაგრამ სამი წლის განმავლობაში კაცების წინააღმდეგობა გასტეხეს დედა-კაცებმა და მოაქცევეს ქრისტეს სჯულზე არამც თუ ხალხი, არამედ მეფეცა და სამეფოს დიდე-

ბულნი კაცნიც. დედა-კაცებმა გაიმარჯვეს მცხეთაში. მამა-კაცნი დაჰმორჩილდნენ იმათ სურვილს. დედა-კაცებმა მოჰხადეს მეფეს წარმართობის გვირგვინი და დაჰხურეს ქრისტიანობისა. სწავლა ქრისტესი აღვიდა საქართველოს სამეფო ტახტზე. ქრისტიანობა გამეფდა მცხეთაში, მაგრამ ეს არ კმაროდა. საჭირო იყო მისი გავრცელება საქართველოს მაზრებშიაცა. დედა-კაცებმა დაიწყეს აქაც მხნედ და მტკიცედ მოქმედება. მირიან მეფის შვილის (რევის) ცოლმა მოიაქცია ქრისტიანობაზე იორის ხეობაში მცხოვრები ქართველი ხალხი და აღმართა უჯარმაში ჯვარი ქრისტესი. ამავე დროს მივიდა ქიზიყში წმინდა ნინო და აქაური დედოფლის სუჯის შემწეობით გააქრისტიანა ქიზიყელები და დანარჩენი კახეთის ხალხი, და რადგან კახეთი ძალიან მოეწონა, ის აღარ წამოვიდა მცხეთაში. იმან აღირჩივა სავანად სოფელი ქიზიყისა ქედელი. აქედგან დაწერა წიგნი და გამოუგზავნა მეფე მირიანს, რომ კახეთი მთლად გავაქრისტიანეთო. წერილი გამოატანა ქიზიყის დედოფალს სუჯის. ეს შეჯდა ცხენზე და მოადგა თავის ამალით მდინარე არაგვის პირს. წყალი ადიდებული დაჰხვდა, მაგრამ არ დაერიდა მდინარის ღელვას. არ შეუშინდა, ჩაადგო შიგ ცხენი და გასცურა მცხეთაში: მიულოცა მეფეს გამარჯვება და მთელს საქართველოში ქრისტიანობის სამეფო ტახტზე აღვსლა.

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ დედა-კაცებმა ქრისტიანობა გაავრცელეს საქართველოში და მერმე დაწყნარდნენ. სრულიადაც არა. იმათ მოინდომეს შთამომავლობისათვის სახსოვრად გადაცემა წმინდა ნინოს ცხოვრებისაცა. ნინოს რომ შეატყეს გადასახლების მოახლოება საიქიოს, შეიყარნენ მისნი თანამშრომელნი დედანი და ჰკითხავდნენ მას დაწვრილებით ცხოვრების გარემოებებს. ბატონიშვილის რევის ცოლმა მოითხოვა საწერ-კალამი და აღწერა მისი ცხოვრება და ღვაწლი, და ასე ჩაადგო

დედა-კაცმავე საძირკველი ქრისტიანული მწიგნობრობისა ქართველ ხალხში.

ამ სახით ძველებური სარწმუნოება მოისპო, კერპები დაემხვნენ წინაშე ქრისტეს ჯვარისა. სამეფოსი და ქართველ ხალხის მფარველად მიიღეს ყოვლად-წმინდა ღვთის-მშობელი მარიამი. მიიღეს სარწმუნოებრივ დოღმატად, რომ დედა-კაცი მარიამი არის ქვეყნის პატრონი და სამოქალაქო ცხოვრების მცველი. უეჭველია, რომ თუ დედა-კაცს წინათვე ასე არ უყურებდნენ ქართველები, ახლა წმინდა ნინოს ქადაგებით ქართველი ხალხი ასე მალე არ შეიცვლიდა აზრს საზოგადოდ დედა-კაცზე და მას არ მიიღებდა თავის სალოცავ ხატად. ახლა იგი არის საქართველოს მეოხი წინაშე ღვთისა, სასოება და იმედი ქართველი ხალხისა გასაჭირს დღესა. ერთის სიტყვით, დედა-კაცი ღვთის-მშობელი საქართველომ იცნო პატრონად და მცველად სამშობლო ქვეყნისა, მამა-კაცი წმინდა გიორგი—მაგალითად მხნეობისა, ვაჟ-კაცობისა და გმირობისა ქართველ ხალხის თავისუფლებისა, ენისა და სარწმუნოების დაცვისათვის.

ამის შემდეგ სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობა, სარწმუნოებისა და ქვეყნის დაცვა მტრისაგან შეიქმნა მოვალეობად, როგორც კაცისა, აგრეთვე დედა-კაცისა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ქრისტიანობის მიღებით საქართველომ გადაიმტერა სპარსეთი. ჩავარდა საქართველო დიდს განსაცდელში. სპარსეთმა დაუწყო მას განუწყვეტელი ბრძოლა. ამ გარემოებამ გაჰყო ქართველთ დედა-კაცები და კაცები. იმათ გაინაწილეს შრომა სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის. კაცებმა მიიღეს თავისთავზე ქვეყნის მტრისაგან მახვილით დაცვის მოვალეობა, დედა-კაცებმა—ოჯახური და მოქალაქობრივი კეთილად ცხოვრებისა. ასე ამ სახით უნებლივად შეიქნა ქართველი დედა-კაცი მოქალაქობრივი ცხოვრების ბურჯად და

სვეტად. მის მოვალეობად შეიქმნა ქართველთ ოჯახობის სვიანობა და ბედნიერება. რადგან სამშობლო ქვეყნის ბედის ტვირთვა გაიყო ორად, ამისათვის დედა-კაცი გამოვიდა ახალ-თაობის განათლების ასპარეზზე, და უნდა გულ-წრფელად აღვიაროთ, რომ იმათ სასულიერო წოდებაზე, მეფითურთ თავად-აზნაურობაზე ნაკლები სამსახური არ მიუძღვით წინაშე სამშობლო ქვეყნისა. ამ აზრის დასამტკიცებლად ახლა ჩვენა გვსურს ავხსნათ შემდეგი კითხვები: შველოდნენ თუ არა დედა-კაცები მამა-კაცებს ერის განათლებაში და სამშობლო ქვეყნის პოლიტიკურად გაძლიერების საქმეში.

მატიანეთაგან სჩანს, რომ ქართველი ხალხი ორად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი, ხელ-მარჯვე, მუდამ მტერს ეომებოდა, მეორე—ხვნა-მთესველობას მისდევდა, რომ ქვეყანას არ მოჰკლებოდა საზრდო. მაშასადამე ასაკში მოსულ მამა-კაცობას სრულიად არ ეცალა წიგნის შესწავლისათვის: ამის გამო თავად-აზნაურობა ახალ-მოზარდ შვილებისაცა და ქალების აღმზრდელნიც იყვნენ: სასულიერო წოდება და დედა-კაცები. ამათ ხელში იყო ქართველ ხალხის სწავლა-განათლების საქმე. მეფე თავადსა, თავადი მეფესა, თავადი-თავადსა, აზნაური აზნაურსა და გლეხი-გლეხსა უზრდიდნენ შვილებს სამხედრო საქმეში. დედოფალი, თავად-აზნაურების ცოლები და გლეხთ დედა-კაცები კი განავითარებდნენ სწავლაში ერთმანერთის შვილებსა და ქალებს. „ხელი ხელს იბანსო“, რომ იტყვიან, იქნება, ამაზე იყო ნათქვამი. „ხოლო მისცა მეფემან მირდატ“, ამბობს „ქართლის ცხოვრება“, ძე თვისი ვახტანგი გორგასლანი საურმაგ სპასპეტსა აღსაზრდელად, „რამეთუ წესი იყო, რათა შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა იზრდებოდნენ“. (იხ. გვ. 110). მასთან ერთად იყო შეზრდილი აგრეთვე არტვაზ ერისთავი და იყო მეფის „ძუძუს-მტე“.

ეს ძველებური წესი აღზრდისა იმაში მდგომარეობდა, რომ ყმაწვილს წერა-კითხვას დედა-კაცი ასწავლიდა, სამხედრო საქმეს კი ამ მასწავლებელის დედა-კაცის ქმარი.

ამაზედ არის ნათქვამი, რომ „წიგნი დედა-კაცის საქმეა და არა მამა-კაცისაო“. მაგრამ ქართველი ხალხი იმისათვის კი არ ამბობდა, რომ წიგნი დედა-კაცის საქმეაო, რომ მისი სწავლა ვითომც კაცების მოვალეობად არ მიაჩნდა: ამ გვარი თქმულობის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ დედა-კაცები ასწავლიდნენ წიგნს თავადსაც, აზნაურსაც, გლეხსაც, ქალსაც და ვაჟსაც. არის საფუძველი ვიფქროთ, რომ საბეროდ და სამღვდელოთაც, თუ არა ყველას, მრავალს მაინც არის, დედა-კაცები ამზადებდნენ: ისინი ასწავლიდნენ ქართულს წერა-კითხვას, დავითნს, სახარებას, სამოციქულოს. მაგალითად სახელოვანი გიორგი მთაწმინდელი დედა-კაცისაგან იზრდებოდა სამცხეს ტაძრისის მონასტერში, რომელიც დედათ მონასტერი იყო. აქ მას ასწავლიდა მამიდა თეკლე. მერმე ცოტა რომ წამოიზარდა გიორგი, ასწავლიდნენ მას ბერები და მათ შორის ილარიონ ოულაელიცა. ბოლოს აქედგანაც გაიყვანეს ის და მისცეს აღსაზრდელად ვილაცა ფერიზა ჯოჯიკს [1]). ამ კაცის ცოლმა გიორგი წაიყვანა კონსტანტინეპოლში და მის მზრუნველობის ქვეშ ის სწავლობდა იქ მეცნიერებას თერთმეტი წლის განმავლობაში. ცხადია, რომ წერა-კითხვა და სწავლა-მეცნიერება მარტო დედა-კაცების საკუთრებას არ შეადგენდა. იმას სწავლობდნენ კაცებიცა, მაგრამ ამათი მასწავლებელნი ყმაწვილობაში იყვნენ დედა-კაცები. პირველ-დაწყებითი სწავლა მათს ხელში იყო. ჩვენ ძველებურ ქართველობას კარგად ესმოდა, რომ ყმაწვილს ისე ვერა-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 215.

ვინ აღზრდის, ისე კაცი ვერ მოუვლის და ვერ გასწვრთნის, როგორც დედა-კაცი. ამისათვის რომ დედა-კაცს დიდი გავლენა აქვს ყმაწვილზე. ამ ჭეშმარიტებას ევროპამ მხოლოდ ახლა მიაგნო და ჯერ კიდევ არ არის იგი ცხოვრებაში განხორციელებული. მხოლოდ საფრანგეთს ახლა მაგრად მოუკიდნია ხელი მისთვის. მათ სკოლებში ქალები მხოლოდ ახლა ასწავლიან. ძველებურს დროში ასე არ იყო იქ, ევროპაში. ჩვენში კი ეს ჭეშმარიტება ძველის-ძველიდგანვე მიღებული ყოფილა. თითქმის არა გვყავს არც ერთი სახელოვანი მეფე, რომელსაც რომ წიგნი დედა-კაცისაგან არ ესწავლოს, რომ მის გონებაგახსნილობას და პოლიტიკურს ნერგს მათს გვამში დედაკაცების მეცადინეობით არ ჰქონდეს ფესვი გადგმული. იმათ დიდი გავლენა ჰქონდათ მათს მოქმედებაზედაც და ქვეყნის ბედზედაც. საქართველოს მატიანენი, მაგალითად, მოგვითხრობენ, რომ ჩვენი პირველი მეფე ფარნავასი, როგორც უკვე ვსთქვით, აღზარდეს მისმა დედამ დებმა. მეფე ვახტანგ გორგასლანი მოქმედებს თავის დედისა და საგდუხტ დედოფლისა და დის ხვარანძეს დარიგებით. „კითხვითა დედისა შენისათა გამოირჩიე ერთი ვინმე ჩვენგანი წინამძღვრად სპისა ჩვენისა“, ეუბნება იმას ჯუანშერ სპასპეტი, და ჩვენ წარვიდეთ და ვიძიოთ შური ოვსთაგანო; ხოლო შენ იყავ შინა და განაგებდე მეფობასაო. ამ რჩევაზე ვახტანგი დედას ეკითხება: მაგრამ, როგორც ეტყობა, საოჯახო რჩევაში არც დედა და არც და ხვარანძე თანახმა არ გახდნენ. ამის შემდეგ ვახტანგი სწერს ანდერძს და აძლევს დედას: თუ ომში მე მომკლეს ოსებმა, ჩემმა დამ ხვარანძემ შეირთოს ქმრად მიჰრან და გამეფდეს ჩემს მაგიერო [1]). ასე, დედის ჩაგონებით ის თანახმა არ გახდა—ჯარები ჯუანშერისათვის ჩა-

[1]) იხ. ქარ. ცხოვ. გვ. 115.

ებარებინა და გაესტუმრებინა ოსეთში საომრად. იმან დასტოვა სამეფოს გამგებელად თავისი დედა საგდუხტი და და თვისი ხვარანძე და თვითონ გაილაშქრა [1]).

კავკასიიდგან გამარჯვებული რომ დაბრუნდა, დედამ შერთო ვახტანგს ცოლად სპარსეთის მეფის ასული ბალენდუხტი [2]). ერთის სიტყვით, როგორც სჩანს მატიანიდგან, მეფე ვახტანგი არას აკეთებს უდედოთა და უდაოთ. სპარსეთში, ანტიოქიაში და იერუსალიმში მოგზაურობის დროსაც დედა და და იმას თავისთანა ჰყავს. იმას ძლიერ უყვარს თავისი დედა და და ხვარანძე, რომელი «იყო ძლიერი და მშვენიერი«. ამათაც ისე უყვართ ვახტანგი, რომ მას მარტოდ არ სტოვებენ [3]). ყოველს საქმეში თან მიჰყვებიან და მრჩეველებათ არიან.

არც შეიძლება ვიფიქროთ,—გურანდურტს და ხვარანძეს მეფეზე ძლიერი გავლენა არა ჰქონოდესთ. ვახტანგის პატარაობაში დედა იყო სამეფოს გამგებელი. ამ დროს ისინი ზრდიდნენ იმას ქრისტიანულ წესზე. დედა იმოდენად განათლებული დედა-კაცი იყო, რომ მისი შვილზე გავლენის უარ-ყოფა არ შეიძლება, მას ახვევია სამშვილდეს ციხეში მსწავლულნი ეპისკოპოსნი და მათ შემწეობით მეცადინეობს შეიტყოს ქრისტიანობის უკეთესობა „ათაშ-ფარაშობასთან“ შედარებით. იმას ისე კარგად ესმის მნიშვნელობა სახარების ქართულს ენაზე გადმოლებისა, რომ ბრძანებს მის თარგმნას [4]). ამ ფაქტს ამტკიცებს პ. იოსელიანიც [5]), იქნება მართალი იყოს ის ჩემი ეჭვიც, რომ საგდუხტმა უფრო შვილისათვის ათარგმნინა სახარება, ვიდრე თავისთვის. მაგრამ ეს თუნდა

[1]) იხ. იქვე.
[2]) იხ. იქვე გვერდი 120.
[3]). იხ. იქვე, გვ. 121, 137, 138 და 144.
[4]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 110.
[5]) იხ. Описаніе г. Тиф. გვ. 96.

ასეც არ ყოფილიყოს, აქ შესანიშნავია და ღირსია სახსოვრად ის ფაქტი, რომ ქრისტიანობაც და ქრისტიანული ლიტერატურაც ჩვენში დედა-კაცებმა დაიწყეს: მათი შეცადინეობით აღვიდა ქრისტიანობა საქართველოს სამეფო ტახტზე. გაიხსენე წმ. ნინოს ცხოვრების აღწერაც სიდონია დედა-კაცისა და სალომე უჯარმელისაგან [1]). იქნება ამის მიზეზიც ის იყო, რომ სწავლა-განათლება დედა-კაცების ხელში იყო და მათთვის საჭირო იყო წიგნები სამშობლო ენაზე,— ამისათვის იწყეს იმათ წერაცა და მათი ბრძანებით ქართველმა ბერებმა საღმთო წიგნების თარგმნაც. არამც თუ დედა-კაცები ტახტის მემკვიდრეთა და სხვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ, ისინი პატრონობდნენ და იცავდნენ იმათ კიდეც. მეფე გიორგი I-სა ზრდიდა მისი მამიდა გურანდუხტი. ლიპარიტ ორბელიანმა გიორგი რომ ძალად წაიყვანა თავის სახლში სამხედრო და საპოლიტიკო საქმეებში აღსაზრდელად, იმას საპატრონებლად თან გაჰყვა გურანდუხტ დედოფალი. შემდეგში, როგორც ქვემოთ მოვიხსენებთ, ლიპარიტი იმან დააჭერინა თავადობას და, ბაგრატ მეოთხეს, თავის ძმას მისცა ხელში [2]). აგრეთვე დედა-კაცისაგან არის გაზრდილი მეფე გიორგი მესამე, მამა თამარ მეფისა. ის გაზარდა დავით აღმაშენებელის ასულმა თამარმა. ეს სახელოვანი მეფე ძლიერ მადლობელი იყო ამ თავის გამზრდელისა. როცა სომხეთში დაამარცხა მუსულმანების ამირები და ანის ქალაქში თავისი მომხრე კაცი დააყენა მმართველად და დაბრუნდა საქართველოში, მაშინ იმას მიეგებნენ, როგორც მტერზე გამარჯვებულს: ქათალიკოზი, ფილოსოფოსნი, თავისი ცოლი ბურდუხან და გამზრდელი თამარი. აქ ის პირველად მი-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 86.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 227.

ვიდა თავის გამზრდელისა მამიდის წინაშე და თაყვანი სცა, რის გამო სიხარულით თამარმა იტირა. ეტყობა გიორგი 'მეფე თავის ჭკუის გამჭრიახობას, პოლიტიკურად ქცევას და საქმის ცოდნას, ქვეყნისთვის კეთილად მოვლას და მუსულმანების ამირებთან თავის მედიდურად და მეფურად დაჭერას,—ყველა ამ ცოდნას,—თავის გამზრდელს მიაწერდა. ასე რომ არ ყოფილიყოს, ის თავის მამიდას პირველად არ მიესალმებოდა. აქ ის არც ქათალიკოზსა და არც თავის ცოლს ისეთს პატივს არ აძლევს, როგორც თამარს. მამიდასთან ამბორის-ყოფის შემდეგაო, ამბობს მატიანე, ის „ურცხვენელითა პირითა და ახოვანითა სახითა გარდაეხვია ცოლსა და აკოცაო [1]).

გიორგი მეფე უსამართლოდ მოიქცეოდა, ასეთი პატივი რომ არ ეცა თავის გამზრდელისათვის. თამარი, მართლაც, ღირსი იყო ამ გვარის პატივისა. ის ნამდვილი ქართველი ქალია და დედა. ის ცოლად ჰყავდა შირვან-შაჰს, სჯულით მუსულმანს, მაგრამ ქართველობა, თავისი დედ-მამის ენა, სამშობლო ქვეყანა და სარწმუნოება მან ქმარს არ ანაცვალა, არ დაივიწყა. ის უნერგავს თავის შვილს აღსართანს ქართველების სიყვარულს. ქართველი დედის ბუნება სძლევს მუსულმანი მამის ბუნებას. აღსართანი სულით და გულით ემსახურება საქართველოს კეთილ-დღეობას, სისხლსა ღვრის ომში მის მტრებთან. ამისათვის მეფე გიორგის უყვარს ის, როგორც ძმა, „რამეთუ მამიდისა მისისა თამარის ძე იყო.“ [2]). ის თუმცა იყო მთავარი შაქი-შირვანისა, მაგრამ ისე უყვარს დედეული სამშობლო, რომ სცხოვრობს ხან თბილისში, ხან თავის სამფლობელოში. მის დედას თა-

---

[1]) იხ. იქვე გვ. 268.

[2]) იქვე გვ. 272.

მარს თბილისში თავისი სასახლე ჰქონდა სამეფო სასახ-
ლის პირისპირ. ამ სასახლეში სცხოვრებდა აღსართანი,
თბილისში ყოფნის დროს. იქნება ამ სასახლეში აღზარდა
თამარმა მეფე გიორგი და თავისი შვილიცა. იქნება აქ
ჩაუნერგა დედამ შვილს ქართველების სიყვარული და
აგრეთვე ჩააგონა მას, რომ ქართველებთან ერთობა და
ძმობა ჰქონოდა. „ხე ნაყოფით იცნობებაო“. თამარის
ჭკუისაგან მოსალოდნელი იყო ასე მხნედ მეცადინეობა
ქართველთ დიდებისა და გაძლიერებისათვის. იგი იყო
შვილი საქართველოს უძლიერესი მეფისა დავით აღმაშენებ-
ლისა. თუ ვისმეზე შეიძლება ითქვას: „მამა ნახე, დედა ნახე,
შვილი ისე გამონახეო“, — უფრო სამართლიანად შეიძ-
ლება ეს ითქვას დავით აღმაშენებელის შვილებზე. მამა-
სავით ისინიც ქვეყნის აღმაშენებელნი არიან. თამარმა
ქართლში „აღაშენა თიღვას ჯვარის მონასტერი, გუმბა-
თიანი, დიდ-მშვენიერი, კეთილად ნაშენი და მრავალ
შენობიანი [1]). ის იყო დედათ მონასტერი. ის აღაშენა
თამარმა ქმრის სიკვდილის შემდეგ, შეიმოსა მონოზნობა [2])
და დასახლდა აქ. ამ მონასტრის გარემოს ახლა მრავალი შე-
ნობების ნამსხვრევები იპოვება. რას მოგვითხრობენ ისი-
ნი, თუ არ სკოლის ყოფნასა? ჩვენი ეჭვი მით უფრო
მართალია, რომ ყოველს მონასტერთან სკოლებიც იყო
გამართულიო, ამბობს გარდმონაცემი. თუ ასეა, მაშ თა-
მარსაც სკოლა ჰქონდა თავის მონასტერში, როგორც
„ოსტატ“ დედა-კაცს.

თამარსავით იქცევა ამისი დაი კატოცა. ეს იყო
გათხოვილი საბერძნეთში [3]). ამ დედა-კაცმა ქმარი და

---

[1]) იხ. გეოგრაფია ვახუშტისა, გვ. 264.

[2]) იხ. ქართლის ცხოვ. გვ. 264.

[3]) იხ. იმავე წიგნში გვ. 271 და 272.

შვილები ყველანი გააქართველა. მოხსენებულ გიორგი მეფის დროსვე ის მოვიდა შვილებით და ქმრით თავის სამშობლო ქვეყანაში. მეფემ აუშენებინა მას თბილისში სასახლე თამარის შვილის აღსართანის სასახლესთან, რადგან დეიდა-შვილები იყვნენ. ისინი აქ დასახლდნენ სამუდამოთ. იმათ მისცეს კახეთში აგრეთვე დიდი მამულები და ციხე-ქალაქები. ამ ქალის შთამომავალნი არიან ახლანდელნი ქართველთ თავადნი ანდრონიკაანი, რომ ეს ასე იყო, ამას ამტკიცებენ სხვა მწერალნიცა; აზრის გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ სხვები არ ამბობენ. — ანდრონიკაანთ დავით აღმაშენებელის ასულის კატოსაგან ჩამომავლობას. იმათი აზრი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ანდრონიკაანი ბაგრატიონების ნათესავნი არიანო. მაგრამ ეს როგორც გინდა იყოს, ჩვენ ამის დაწვრილებით გამოკვლევას არ შევუდგებით. ჩვენი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ ამ ფაქტზე ყურადღება მიგვექცია ქართველი ქალებისა და გვეთქვა, რომ ძველებური დედა-კაცები არა ჰგვანდნენ ახლანდელებს. ახლა ქართველი ქალები უცხო ტომის კაცს ქმრად რომ შეირთავენ, არამც თუ თავიანთ ქართველობას ივიწყებენ, არამედ მტრად უხდებიან იმასაც და ქართულს ენასაც. ისინი მეცადინეობენ ქართველებისა და ქართველთ ენის დამხობას. არ იქცევიან ისე, როგორც იქცეოდნენ ძველს დროში ქართველი ქალები. მაშინ, იმ ნეტარს ძველებურს დროს, როცა ქართველი ქალი უცხო ტომის კაცს გაჰყვებოდა, არ ჰკარგავდა არც თავის სარწმუნოებას, არც ენას, არც ქართველობას; ეძებდა სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობას, ესარჩლებოდა ქართველებს, თუ ვისმეს მათგანს ნახავდა თავის ქმრის ქვეყანაში მისულს. ასე იქცეოდა მაგალითად რუსუდან დედოფალი, დაი მეფე გიორგი მესამისა. ის იყო გათხოვილი მცირე-აზიაში და ჰყავდა ვილაცა მაჰმადიან სულ-

თანს, როგორც ამბობს „ქართლის ცხოვრება“ 271 და 292 კაბადონებზე. აგრეთვე ესარჩლებოდა ქართველებს მცირე-აზიის სულთანის ყიასდონის ცოლი თამარი, რომელსაც თათრები „გურჯი-ხათუნს“ ეძახდნენ [1]). იმას ქმარი სიკვდილს უქადის, მაგრამ ის მაინც არ იშლის ძმათათვის წასარჩლებას. ის ქრისტიანობს; იმას ოთახში უკიდია ხატი და ეეედრება ღმერთს ქრისტიანულად [2]).

რუსუდან დედოფალი, „სულთანის ცოლ-ყოფილი“, თავის ძმას, გიორგი მეფეს, შვილსაც უზრდის და დიპლომატობასაც უწევს. ის ზრდის სამშვილდოს ციხეში სახელოვან თამარ ღედოფალს და მის ქმარს დავით სოსლანს. მაგრამ, როცა საჭიროება მოითხოვს, ის გამოდის თავის სასახლიდგან და ერევა სახელმწიფო საქმეებში. 1162 წელს, როცა ამისმა ძმამ გიორგი მეფემ დაამარცხა მცირე-აზიის ემირები და სულთნები და ამით მოიმდურა სამაჰმადიანო ქვეყნები, მაშინ რუსუდანი გაერია ამ საქმეებში. სულთნებმა სთხოვეს ჩვენს მეფეს შერიგება. ამ თხოვნაზე მეფემაც თანხმობა განაცხადა. დაიწყეს მოლაპარაკება შერიგების პირობებზე. მეფემ დიპლომატად დანიშნა თავისი დაი რუსუდანი, ამისათვის რომ იმან კარგად იცოდა აზიის სულთანების წესი და რიგი [3]). დიდებული მანდილოსანი დატრიალდა ჯარასავით: შეარიგა მაჩხუბარნი და ასე დაამშვიდა ჩვენიცა და იმათი ქვეყნებიც.

რას ამტკიცებს რუსუდანის დიპლომატად დანიშვნა, თუ არა იმას, რომ ამ დროს კაცთაგან მასზე არც ჭკუიანი და არც სამეფო საქმის მცოდნე არავინ მოიპოვებოდა საქართველოში? დიაღ, მატიანე ამბობს, რომ მან

---

[1]) იხ. ქართლის ცხოვრება, გვ. 356.

[2]) იხ. იქვე, გვ. 366 და 367.

[3]) იხ. იქვე გვ. 291.

კარგად იცოდა აზიის სულთნების წესი და რიგი. იცოდა — საიდგან? განა იმისთვის იცოდა, რომ ის სულთანის ცოლ-ყოფილი იყო? მე არ ვყოფ უარს: იქნება იმასაც ჰქონდა მის სწავლა-ცოდნაზე გავლენა, მაგრამ არ არი საფიქრებელი, რომ ყოველი სწავლა მას ქმრის ხელში მიეღოს. „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, რომ ის ძლიერ განათლებული ქალი იყოვო“. რუსუდან დედოფალი, ყოვლითა სიბრძნითა აღსავსე, მოქმედებდა: აქეთ ბაგრატიონთ გვარ-ზეობითა აწყობდა რიგთა სახლისათა და ქვემოთ [1]) ხვარასნისა და ერაყისა სულთანთა - სძლობით გამეცნიერებული, ბუნებრივთა სახიობათა და შვებათა მოქმედებდაო“. იგივე ისტორიული აღწერა, 293 გვერდზე, ამბობს რუსუდანისაგან აღზრდილს დავით სოსლანზე: »თავის მოსვლის (საიდგან?) ერთი წლის შემდეგ დავითი ისე წაემჯობინა ყოველსა მშვილდონსა, ცხენოსანსა და კვირცხლსა, მოასპარეზესა და ხელოსანსა, ყოველისფერში განვითარებულ მწიგნობარსა, რომ გასაკვირია, შინათ ვინ ყოფილა ამისი მასწავლებელი და თანა მოსწავლე, და თუ გარედგან საიდანმე გამოჰყვა ეს სწავლა, მაშ სჩანს, იმის მასწავლებელზე უკეთესი შეცნიერებაში განვითარებული კაცი აღარავინა ყოფილა ქვეყანაზეო?“ უეჭველია, რომ ამ სიტყვებით მატიანე აქებს რუსუდანს, რომელმაც აღზარდა თამარი და დავითი. ის მართლაც, ასეთი განათლებული ქალი რომ არ ყოფილიყო, ვერც გაზრდიდა ისეთს მოწაფეს, როგორიც იყო საქართველოს მასახელებელი თამარ დედოფალი.

რუსუდანსავით მცოდნე და გამჭრიახი დედა-კაცი თითქმის სხვა აღარავინ მოიხსენება ჩვენს მატიანეში. იქნება მასზე უფრო განათლებულნი და მცოდნენი მანდილოსანნი კიდევ ბევრნი იყვნენ ძველს დროში, მაგრამ

---

[1]) იხ. ქართლის ცხოვრება გვ. 293.

შწერალთ, საუბედუროდ, არ მოუხსენებიათ. ვიცი მხოლოდ ერთი პირი კიდევ, რომელიც თუ არ აღემატება რუსუდანს, ნაკლები აღარ არის. ეს არის ბექა დიდის ჯაყელის ცოლი ვახახი. ის იყო ღვთისაგან გამოგზავნილი ხალხისათვის ნუგეშინის-მცემელად. მაგრამ მის საქვეყნო მოქმედებას ჩვენ მერმე ავსწერთ, ახლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ამ ვახახმა და მისმა ქალმა ნათელამ აღზარდეს სახელოვანი საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალე. 1289 წელს მეფე დიმიტრი თავდადებული მონგოლებმა რომ მოჰკლეს, მაშინ, ჯერ მცირე-წლოვანი, გიორგი და ნათელამ მოიტაცა [1]) და მოვიდა სამცხეში დედ-მამასთან. აი აქ შეუდგნენ გიორგის აღზრდას ბექა სამხედრო საქმეში, დედა და ბებია კი სწვრთნიდნენ სწავლა-განათლებაში [2]), ვახახი იყო აგრეთვე ობოლთა და უღონოთა აღმზრდელი. ანათ ყველას აღსაზრდელად ვახახმა მოიპატიჟა თავის სასახლეში, თუ კი სადმე საქართველოში „კეთილი და მოღვაწე და მეცნიერი ,ეპისკოპოზი, გინა მონაზონი“ მოიპოვებოდა და ასწავლებინებდა წერა-კითხვასა. ეს მოსწავლენი და მასწავლებელნიც იმის სახლში ყველანი იმისივე ხარჯით იკვებებოდნენ. ქვეყნისათვის ამ სასარგებლო მოქმედებას ვახახმა მაშინ უფრო მოუმატა, ამბობს მატიანე, როცა მას მოუკვდა ქმარი ბექა [3]).

დედა-კაცებმა აღზარდეს აგრეთვე სახელ-განთქმული მეფე ალექსანდრე I. ის აღზარდა „მრავლის ჭირნახულობითა“ ბებიამ ქუცნა ამირეჯიბის მეუღლემ [4]).

თუ საქართველოს სახელ-განთქმული მეფეების აღ-

---

[1]) იხ. ქართლის ცხოვრება გვ. 425.
[2]) იხ. იქვე გვ. 426.
[3]) იხ. იქვე გვ. 446.
[4]) იხ. იქვე გვ. 473.

მზრდელნი იყვნენ დედა-კაცები, ვიდა იყვნენ ერის განმანათლებელნი? ასწავლიდნენ თუ არა ამათაც დედა-კაცები? ამ კითხვის პასუხად მე მატიანებში არავითარი შენიშვნა არ აღმომიკითხავს. მაგრამ ვეჭვობ კი, რომ იყვნენ. ამ ეჭვს ვაფუძნებთ ხალხის გადმონაცემზე. დღე-ვანდლამდე ქართველი ხალხი ამბობს, რომ დედა-კაცების ხელში იყო ქალ-ვაჟთა სწავლებაო. ამ მასწავლებელ დედა-კაცებს ხალხი ეძახის „ოსტატებს". ხალხის სიტ-ყვით, არ იყო ისეთი სოფელი, რომ ოსტატ დედა-კაცებს სკოლა არა ჰქონოდათ. ისინი ასწავლიდნენ ქალებს და ვაჟებს ერთად; ვაჟებს წერა-კითხვას, ქალებს ამასთა-ნავე ჭრა-კერვასაც. გაზეთი „დროება„ 1880 წელს მე-119 №-ში ამბობს: „ჩვენში ძველადგანვე სწავლა-განათ-ლების საქმე თითქმის ქალების ხელში ყოფილა. პირ-ველნი გამავრცელებელნი წერა-კითხვისა ხალხში ქალები ყოფილან. ყველას ახსოვს ის დრო, როდესაც სოფლებ-ში და ქალაქებშიაც ზოგიერთ დარბაისელ დედა-კაცებს სასწავლებელი პატარა პანსიონსავით ჰქონდათ გამართუ-ლი და თვითოეული ამათგანი ათს, ოცს, და ხან მეტს შეგირდებს (ქალსა და ვაჟსა) მიიბარებდნენ ხოლმე და ქართულ წერა-კითხვას და საღმთო წერილს ასწავლი-დნენ...“ „სულ ძველათაო, ამბობს იგივე გაზეთი იმავე №-ში, ჩვენს ისტორიულს ცხოვრებაში, როდესაც კაცე-ბი—მამები, ქმრები და ძმები მუდამ ლაშქარში და ომში იყვნენ მტრის მოსაგერებლად და სამშობლოს დასაცვე-ლად, მაშინ გავრცელება ჩვენებური წერა-კითხვისა და მწიგნობრობის საქმე ქალების მოღვაწეობით მიდიოდაო, და იმ დროს ჩვენში ქართული წერა-კითხვა ერთი-ორად უფრო ყოფილა გავრცელებული, ვინემ ახლა არისო“. უწინდელ დროში, ამბობს ალექ. ჯამბაკურიან-ორბე-

ლიანი [1]), ქალების ენტართ მიწერ-მოწერა ერთმანერთან, უპირველესი სვეტი იყო ქართული ენის სიტყვიერებისა, იმათი მდაბიური მიწერ-მოწერა ასეთი სასიამოვნო ქართული იყო, რომ მეტად საუცხოვოდ გამოსთქმიდნენ თვისსა აზრსა“. რომ დედა-კაცები ასწავლიდნენ ქალ-ვაჟთა, ამის საბუთად, გარდა იმისა, რაცა ვსთქვი, მოვიხსენიებ იმ წესსა და ჩვეულებასაც, რომელიც დღესაც არსებობს გლეხთ ოჯახობაში. ვგონებ ჩვენში არ არის ისეთი ქართველი, რომელმაც თუ ცოტაოდნად მაინც არის იცის ქართველთა ჩვეულებები, არ იცოდეს, რას ეძახიან გლეხობაში „სადედოს“, როცა ისინი ქალებს ისტუმრებენ ქმართან: და თუ ვინმემ არ იცის, ამათთვის ვიტყვით, რომ „სადედო“ არის ფასი შრომისა, რომელსაც პატარძლის აღმზრდელი დედა-კაცი სთხოვს სასიძოს. ანუ უკეთა ვსთქვათ: დედა-კაცმა, რომელმაც ასწავლა ქალს წერა-კითხვა, მოამზადა საოჯახოდ, ჩააგონა ქმრის ოჯახის მოვალეობა, პატიოსნური და დარბაისლური ქცევა,—აი ის დედა-კაცი ითხოვს სასიძოსაგან შრომის ფასსა, ესე იგი „სადედოს“, რადგან მის მიერ აღზრდილმა ქალმა გათხოვების დღიდგან თავისი ღონე და შეძენილი სწავლა და ცოდნა ქმრის ოჯახს უნდა მოახმაროს. ეს ჩვეულება დღესაც არსებობს იმ გლეხებში, რომლებსაც „ოჯახიშვილებს“ ეძახიან. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ეს ძლიერ ჩინებური და სასარგებლო ძველებური ჩვეულება ჩვენ დროს ისპობა, ანუ სრულიად მოისპო, რის გამო გლეხთ დედათა შორის წერა-კითხვამაც იკლო.

საიდგან წარმოსდგა ეს ჩვეულება, თუ არა იქიდგან, რომ ძველებურს დროში ქალ-ვაჟთა ასწავლიდნენ გლეხთა ცოლებიცა? საიდგან აიღეს გლეხის დედა-კაცებმა

---

[1]) იხ. ამის ნაწერში 128 გვ., გამოცემა 1879 წ.

ამის მაგალითი? ვინ ჩააგონა იმათ, რომ ისინი ასე მოქ-ცეულიყვნენ და ესწავლებინათ ქალებისათვის ჭრა-კერვა და ქართულს ენაზე წერა-კითხვა? უეჭველია, რომ ოს-ტატობა დედა-კაცებს ძველის-ძველადგანვე ჰქონდათ შეთ-ვისებული. თვით თამარ-მეფესაც ჰყვანდნენ თავის სა-სახლეში ქალები, რომლების ზედამხედველი იყო „დია-სახლისა“. ეს ასწავლიდა აქ ქალებს წერა-კითხვას და ჭრა-კერვას, თუ არა, არა სჩანს მატიანიდგან. მაგრამ აქ ჰკერავდნენ ეს ქალები ეკლესიებისათვის შესამოსლებსა. თვითონ თამარიც სასახლეში უსაქმოდ არ იყო. ის მუ-დამ ხელ-საქმობდა და თავის „ხელთ-საქმარი განყიდისა, და ეგოდენი ფასი გლახაკთა მისცის“ [1]). მან შეჰკერა აგ-რეთვე თორმეტის ეკლესიისათვის შესამოსლები და შეს-წირა მათ [2]).

დედა-კაცები არამც თუ შველოდნენ მამა-კაცებს— სასულიერო პირთ—ხალხის განათლებაში, არამედ ისინი იყვნენ აგრეთვე შინ მშვიდობიანობის დამცველნი, ისინი იყვნენ ქართველთ ტომთ შორის ერთობის დამამყარე-ბელნი და საქართველოს კეთილ-დღეობისა და ძლიერე-ბის მოწადინენი. მართლა რომ ასეთნი იყვნენ ისინი, ამას ამტკიცებს:

1) დედა-კაცთ ისეთი პატივი ჰქონდათ. დამსახურე-ბული ქართველ ხალხში, რომ ორთ-მტერთ ანუ მაჩხუ-ბართ შუა თუ შემოვიდოდა დედა-კაცი და ითხოვდა ერთმანერთისთვის შენდობას და შერიგებას, უარის თქმა არ შეიძლებოდა. მეფესთან საომრ-დ რომელიმე მიზეზი-სა გამო გამზადებულნი მაშფოთარნიც კი ხმალსა სტო-ვებდნენ, თუ იმათ დედა-კაცი სთხოვდა. აგრეთვე მეფე არასოდეს უარს არ ეტყოდა დედა-კაცს, თუ ის სთხოვ-

[1]) იხ. ქართლის ცხოვრება გვ. 312.

[2]) იხ. იქვე გვ. 311.

და პატივებას დამნაშავესათვის. აი მაგალითად: თამარ დედოფალმა მეფური გვირგვინი რომ იკურთხა, იმ დღეებში დიდი აღრეულობა მოჰხდა თბილისის სატახტო ქალაქში. მაგრამ ამ საქმეში დედა-კაცები გაერევნენ და დაამშვიდეს მაშფოთრები. „თამარ მშვიდმან და მშვიდობის მეძიებელმან გაუგზავნა მაშფოთრებს ორნი საპატიონი დიოფალნი, რომელი იყო ერთი ხვაშაქი ცოქელ, მეორე კარავ-ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა". ამათ ჩაგონებით იმათ ხელი აიღეს წინააღმდეგობაზე, მით უფრო დიდის ხალისით, რომ ისინი თავდებათ დაუდგნენ, რომ არა ევნებათ-რა. „ხოლო იხილეს რა ესე განდგომილთა მათ, მაშინვე მოჰყვეს დიდებული ბძანებასა პატრონისასა, მოვიდეს წინაშე თამარისა და დავრდომით თაყვანი სცეს, და აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს პირი ერთგულების, და ნების-ყოფისა მისისა" [1]).

მეფე ქართლისა სვიმონ I დაუძინებელი მტერი იყო სპარსელებისა. იმან მათი ხსენება გასწყვიტა თითქმის საქართველოში. მაგრამ 1569 წელს კახაბერ ყორღანაშვილის ღალატობით მეფე დაიჭირეს სპარსელებმა ერთს ომში და ტყვედ წაიყვანეს, სადაც შახად იჯდა შახუდაბანდა. ამის დედა იყო ოთარ შალიკაშვილის ქალი. აი ამ დედოფალმა, „ვითარცა წესი [2]) იყო ქართველთა, დაახვივა ხმალსა ლეჩაქი და წარმოუგზავნა სვიმონ მეფესა". ქართველთ ჩვეულებით ეს ნიშნავდა: გთხოვ შეურიგდე ჩემს შვილს, სპარსეთის შაჰს, აიღო ეს ხმალი და ებრძოდე ოსმალეთს, და რომ სპარსეთისაგან აღარა გევნება-რა, ამის თავდებად ჩემს ლეჩაქს გაძლევ. ამავე სვიმონ მეფის ცოლმა ნესტან-დარეჯანმა გადააარჩინა სიკვდილს: ვახტანგ მუხრან-ბატონი, ბარძიმ ამილახორი და

---

[1]) იხ. ქართლის ცხოვრება გვ. 281 და 282.

[2]) იხ. იქვე გვ. 28 და 520, მეორე ნაწილისა.

და ქსნის ერისთავი ელისბარი. „შეიწყალა დედოფალმან და ევედრა მეფესა შენდობისათვის, შეიწყალა მეფემანცა და აფიცა ერთგულებასა ზედა და განუტევა [1]). „განუტევა“—რათა? განა იმისათვის რომ მსუბუქი დამნაშაობა ჰქონდათ? სრულიადაც არა! იმათ ისე მძიმეთ აწყენინეს მეფის ცოლსა და მაშასადამე მეფესაცა, ვითარცა ქმარსა, რომ პატივება არ შეიძლებოდა [2]). მაგრამ დედა-კაცის შუამდგომლობა ისე მიღებული იყო ჩვენში, რომ პატივების უარ-ყოფა დამნაშავობად ითვლებოდა. იმის დედობრივ თხოვნას ისეთი სიძლიერე ჰქონდა, რომ მეფის გარდაწყვეტილებაც უქმდებოდა. 1634 წელს კახეთის მეფემ თეიმურაზმა მისთვის ღალატობისა და როსტომ მეფის მხარის დაჭერისათვის ბარათაშვილების ცოლთა (რომელნიც თეიმურაზს მძევლათა ჰყვანდა) ცხვირ-პირის დაჭრა გარდასწყვიტა; მაგრამ ხვარაშან დედოფალმა ნება არ მისცა ქმარს [3]). ივივე ხვარაშან დედოფალი წარსდგა 1648 წელს წინაშე როსტომ მეფისა, რომელსაც მისი ქმარი თეიმურაზი ებრძოდა, მაგრამ პირველმა ის დაამარცხა და მოამწყვდია თიანეთში დასაჭერად,—და სთხოვა ის არ დაეჭირა და მიეცა მისთვის გზა იმერეთში წასვლისა. როსტომმა აღუსრულა დედოფალს თხოვნა, მისცა ცხენნი და ჯორნი, წარუძღვანა ქათალიკოზი და გაისტუმრა იმერეთში [4]). აგრეთვე მოიქცა მეფე ვახტანგ მეხუთე, როცა ერეკლე პირველი მას ებრძოდა კახეთის ტახტისათვის. „დედამან ერეკლესმან მოუგზავნა მეფესა ვედრება, რათა განუტევოს ფარულად, რამეთუ უჯერო არს შენდა ტყვეობა და მაჰმადიანობა ჩვენიო, ეუბნება ის

[1]) იხ. იქვე გვ. 29.
[2]) იხ. იქვე გვ. 27.
[3]) იხ. იქვე გვ. 46.
[4]) იხ. იქვე.

მეფეს. ვერც მაჰმადის რჯულმა, რომელიც ვახტანგ მეფეს ეჭირა, ვერც შაჰის თხოვნამ დააჭირა ერეკლე და გაეგზავნა მასთან, ვერც მტერობამ, ვერ დაამარცხეს ძლიერება დედა-კაცის შუამდგომლობისა, რადგან ჩვეულებისა გამო დედა-კაცის თხოვნის გატეხა უფრო უდიდეს დამნაშაობად ითვლებოდა. „უსმინა მეფემან და განუტევა ფარულად და წარვიდა ერეკლე თუშეთს“ [1]). აგრეთვე 1716 წელს ვახტანგ მეექვსეს ცოლმა რუსუდანმა სასიკვდილოდ დასჯისაგან იპატივა სპასპეტი იესე მეფისა და ქათალიკოზი დომენტი, რომელთათვისაც ბაქარს თვალების დათხრა ეწადა [2]).

2) დედა-კაცების მეცადინეობით ქართლი, კახეთი და აფხაზ-იმერეთი შეერთდნენ ერთ სამეფოდ. ეს საქმე დაიწყო პირველად იმერეთის მეფის გიორგი ლეონიძის ცოლმა (სახელი არ არის მოხსენებული). ამის ქმარმა მეფე გიორგიმ დაიჭირა ქართლი და ერისთავად დასვა თავისი ძმის დიმიტრის შვილი ტინენი. მაგრამ 878 წ. გიორგი მოკვდა და გამეფდა მისი შვილი იოანე. მაშინ დედოფალმა დაიჭირა ტინენი და მოჰკლა, ამისი მცირე წლოვანი ძმა ბაგრატი კი მისმა თანაგანმზრახმა მთავარმა შავლალიანმა შავ ზღვაში ჩააგდებინა.

3) ამ მეფეების გვარი არ არის მოხსენებული. მაგრამ რადგან იმათ პაპას ერქვა ლეონი, ამისათვის დავარქვი „ლეონიძე“. ვახუშტი იმათ ბაგრატიონებად არ იცნობს [3]). ამის შემდეგ იმერეთის მეფეები დაუცხრომელად მეცადინეობდნენ ქართლისა, იმერეთისა, კახეთისა და ჰერეთის შეერთებას. 906 წელს იმერეთის ტახტზე რომ

---

[1]) იხ. იქვე გვ. 52.

[2]) იხ. იქვე გვ. 78 და 79.

[3]) იხ. ქართ. ცხოვ I ნაწ. გვ. 191 და 192 და ნაწ. მე-II გვ. 179.

დაჯდა კოსტანტინე, ქართლი ხელში ეჭირა, და მოინდომა კახეთისა და ჰერეთის დაჭერაც. ის უეცრად გადმოვიდა კახეთში და კვირიკე ქორეპისკოპოზი დაუმორჩილა თავის ტახტს. ამის მერმე შეება ჰერეთის მეფეს ადარნასეს, დაამარცხა, ჩამოხადა მეფობის სახელი, გახადა მორჩილად და დაბრუნდა იმერეთში. მაგრამ ეს მორჩილება მხოლოდ სიტყვით იყო და არა საქმით. კახეთისა და ჰერეთის მთავრები, როგორც კი დაიდასტურებდნენ დროს, მაშინვე თავის-თავს ისევ დამოუკიდებელ მეფეებად აღიარებდნენ. არ იყო აგრეთვე სამუდამოდ დაჭერილი ქართლიც.

921 წელს მეფე აფხაზ-იმერეთისა კოსტანტინე მოკვდა. მეფედ დაჯდა მისი შვილი გიორგი. ამან ქართლის გამგებლად დასვა თავისი უფროსი შვილი კოსტანტინე. მაგრამ იმან მამას ულალატა. მამასავით ამასაც ეწადა ქართლ-იმერეთის შეერთება, მაგრამ არ უნდოდა, რომ მეფედ თავისი მამა ყოფილიყო. ამისათვის ის დაიჭირეს, ჯერ თვალები დასთხარეს, მერე დაასაჭურისეს. ქართლის ერისთავად გიორგიმ ახლა თავისი მეორე შვილი ლეონი დასვა. ეს კაცი მშვიდობის მოყვარე კაცი იყო, მაგრამ შორს-მხედველი პოლიტიკოსი. იმას ეწადა საქართველოს შეერთება სისხლის დაულვრელად მომხდარიყო. ამ განზრახვით ის უშლიდა თავის მამას, ნუ იჭერ კახეთის ქორეპისკოპოზს კვირიკესო, და თუ დაატუსაღე, ნულარ უშვებო [1]). მაგრამ მამამ იმას არ გაუგონა და მით შეერთების საქმეც ჩაიშალა და საქვეყნო, საკეთილო საქმეც დაირღვა. შემდგომ გიორგიმ ბევრი ინანა, მაგრამ ამით ხომ საქმე არ გაკეთდებოდა?! კვირიკემ დაიჭირა ისევ კახეთი და გამოაცხადა თავისი თავი მთავრად. ამის გამო ისევ საჭირო გახდა კახეთის ხმლით დაჭერა. ზამთარი გა-

---

[1]) იხ. ქართ ცხოვ. გვ. 203.

ვიდა, დადგა გაზაფხული. გიორგიმ უთავა ჯარებს თავისი შვილი, ქართლის ერისთავი, ლეონი და უბრძანა კახეთის დაჭერა. ომი კიდევ დაიწყეს. უეჭველია, რომ ლეონი დააძარცხებდა კვირიკეს; მაგრამ უეცრად იმას ამბავი მოუვიდა იმერეთიდგან, რომ მამა შენი, მეფე გიორგი, მოკვდაო. რა უნდა ექნა ეხლა ლეონს? საქმე გაჭირდა. საჭირო იყო კვირიკესთან საქმის გათავებაც და იმერეთში წასვლაც. საჭირო იყო აგრეთვე კვირიკეს არა სცოდნოდა სიკვდილი გიორგისი, ვიდრე შერიგება მოხდებოდა. ამ მიზეზისა გამო დაუყოვნებლივ სთხოვა ლეონმა იმას — შევიყარნეთ ბაზალეთის ტბის პირს თითო ცხენოსნის კაცითა და მოვილაპარაკოთ შერიგებაზედო. ლეონმა ჩამოართვა კვირიკეს პირობა, რომ ის იქნება მორჩილი იმერეთის მეფისა, ექნება ერთობა და სიყვარული. მაგრამ რომ მკვიდრი იყოს ეს ერთობა და ოდესმე მოხერხდეს კახეთის სრულიად შეერთება იმერეთთან და ქართლთან, ის დაჰპირდა კვირიკეს, — ჩემს ასულს შენს შვილს ცოლად მივსცემო. „ვითარ ესმა ესე კვირიკეს, გარდახდა ცხენისაგან და თაყვანისცემით მოიკითხა და მისცა მადლი, განიხარა ზავი და სიყვარული, და უფროსად პირი მზახლობისა“ [1]). ლეონი ჰფიქრობდა თავის ასულის შემწეობით, ანუ ამის შვილების შემწეობით, სრულიად მოესპო კახეთის სამთავრო. ამას ამტკიცებს მისი მოქმედება შემდეგ ქალის სიკვდილისა უშვილოდ. ვიდრე ქალი ცოცხალი ჰყვანდა, ჩუმად იყო და არ ემტერებოდა კახეთს, მაგრამ ის მოკვდა თუ არა, ისევ დაემტერა,

ასე, 955 წელს გიორგი მეფე მოკვდა; ამის გამო ლეონიც შეურიგდა კახეთის მთავარს კვირიკეს და ლაშქრით გამობრუნდა ისევ ქართლში. აქ იმან დასტოვა გამ-

---

[1]) იხ. იქვე გვ. 203.

ებლად თავისი და გურანდუხტი. ეს იყო ცოლი გურ-
გენ მეფეთ მეფისა. ამისი მამა, რეგვენი, მეფე იყო
თრიალეთისა, ჯავახეთისა და სომხით საბარათიანოსი.
ამასაც თავის მხრით ეწადა იმერეთის მეფეებისათვის ახ-
ლანდელი ქართლის წართმევა, მაგრამ ისინი არ უთ-
მობდნენ. ბოლოს ეს საქმე ლეონმა გადასწყვიტა. რად-
გან ქართლისათვის ბაგრატ რეგვენისა და იმერეთის მეფეთ
შორის დავიდარაბა არ თავდებოდა, ამისათვის ჩემის ფიქ-
რით, იმან ქართლი თავის დას გურანდუხტს ამზითვა,
მზგავსად იმისა, როგორც ერთ დროს საბერძნეთის იმ-
პერატორმა ლეონმა [1]), დავის გასათავებლად, თავის
ასულს ვახტანგ გორგასლანის ცოლს, ამზითვა მთლად
აფხაზეთი, და აგრეთვე მეცამეტე საუკუნეში რუსუდან
დედოფალმა,—ისევ ჩხუბის მოსასპობლად, მცირე-აზიის
სულთანს ყიასდინს თავისი ქალი თამარი რომ მიათხო-
ვა,—მთელი აწყვერის ეპარქიაც ქალს მზითევში გა-
დასცა [2]); მაგრამ ამ შემთხვევაში პირობა იყო, რომ გამ-
გებელიც გურანდუხტი ყოფილიყო, და არა მისი ქმარი
გურგენი, ანუ მამა-მთილი მეფე ბაგრატ რეგვენი. ამაზე
გურგენი, ქმარი გურანდუხტისა, თანახმა გახდა, ბაგრატ
რეგვენმა კი იწყინა. ეს არის მიზეზი, რომ მამა-შვილნი
და შვილის-შვილი ბაგრატ მესამე ერთმანერთს ებრძვიან.

მზითვის სახედ ქართლის დაბრუნებით ბაგრატიო-
ნებისათვის, არც შამფური იწოდა, არც წვადი, არც
არა-რა ლეონიძეებს ღირსებას ევნებოდა ამით, არც
რამე პატივი ემატებოდა ბაგრატიონთ გვარს.

ამ გვარად საქმის გარიგების შემდეგ ლეონი წავიდა
იმერეთში და „გამეფდა. გურანდუხტი დარჩა გამგებლად
ქართლისა. აი ამ მიზეზით არის ნათქვამი ქართლის

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 132.

[2]) იხ. იქვე გვ. 352.

ცხოვრებაში, რომ „მას ჟამსა შინა ეპყრა ქართლი და უფლის-ციხე გურანდუხტ დედოფალსაო [1]), და თუმცა აზნაურნი ქართლისა თვითოეულად განაგებდნენ ქართლის საქმეთა, მაგრამ იყვნენ გურანდუხტ დედოფლის მორჩილების ქვეშაო [2]). აქ ისტორიკოსი ბარათაშვილი ჰკითხულობს: სად იყვნენ ამ დროს ბაგრატ რეგვენი და გურგენიო, რომ ქართლს განაგებენ არა ესენი, არამედ გურანდუხტიო [3])? რასაკვირველია, ბაგრატ რეგვენი თავის ერთ მუჯა სამეფოში არის; გურგენი, ამისი შვილი ბაგრატი და გურანდუხტი კი არიან ქართლში, მაგრამ იმათ არა აქვთ უფლება ქართლის გამგეობისა. ისინი სცხოვრობენ უფლის-ციხეში [4]), და ქართლს განაგებს გურანდუხტი თავის ძმების მფარველობის ქვეშ.

ლეონის განზრახვა ამ შემთხვევაში ის არის, რომ შეაჩვიოს იმერეთი და ქართლი ერთობას, ძმობას და სიყვარულს. იმას შეეძლო თავისი და გურანდუხტი არ დაეყენებინა ქართლის გამგედ, და მიეცა გამგეობა თავის ძმის დიმიტრისათვის; მაგრამ ის ძმას ვერ ენდობა. რადგან არც ლეონს და არც დიმიტრის შვილი არა ჰყავთ, ამისათვის ორივენი თანხმობით მეფობენ იმერეთში [5]), და ქართლიც ხელში უჭირავთ. იმედი აქვთ, რომ და იმათ არ უღალატებთ; იმედი აქვთ, რომ ის უფრო ეცდება ერთობას. მით უფრო უმეტეს არ ეშინიანთ დისა, რომ იმას ერთი შვილი ჰყავს ბაგრატი და ისიც შვილად აუყვანია ტაო-კლარჯეთის მეფეს დავით კურატპალატს, რადგან იმასაც შვილი არა ჰყავს, და თავის მემკვიდრედ დაუსახელებია. ის არის ახლა ა) მემკვიდრე

---

[1]) იხ. გვ. 207.

[2]) იხ. გვ. 208.

[3]) იხ. მე-III რვეული, გვ. 32.

[4]) იხ. ქართ. ცხოვრ. გვ. 207.

[5]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 204.

ტაო-კლარჯეთისა, ბ) ბაგრატ რეგვენის სამეფოსი, გ) ქართლისა და დ) აფხაზეთ-იმერეთისა, რადგან არც ლეონს, არც დიმიტრის შვილი არა ჰყავთ. მთელი საქართველოს თვალი ახლა ბაგრატზეა მიქცეული. მაგრამ არის ერთი პირი, რომელიც აწუხებს დიმიტრი მეფეს. ეს არის თევდოსი, იმისი უმცროსი ძმა, რომელიც საბერძნეთში სწავლობდა და ლეონი რომ მოკვდა, მეფობა მოინდომა იმერეთში. დიმიტრი იმის განზრახვას წინააღუდგა. მოტყუებით, ქათალიკოზისა და სხვა წარჩინებულთა პირთ თავდებობის ქვეშ, იმან ფიცით შეირიგა ძმა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაიჭირა თევდოსი და თვალები დასთხარა, რომ მას აღარ შესძლებიყო მეტოქეობა, და 979 წელს თვითონაც მოკვდა უშვილოდ. მაშინ ხალხმა გაამეფა იმერეთში უსინათლო თევდოსი, რომელსაც სრულიად არ შეეძლო სამეფოს გამგეობა. ის მეფობდა ექვსის წლის განმავლობაში, მაგრამ ვაი იმ მეფობას! ხალხმა უწოდა თევდოსის »ჩალა-მეფე« [1]), რადგან იმას მხოლოდ სახელი მეფობისა ჰქონდა და ქვეყნის მმართველნი კი სხვები იყვნენ, რის გამო »შეიცვალა ყოველი წესი აფხაზეთ-იმერეთისა და განგება პირველთა მეფეთა განწესებული«. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ თევდოსის შვილი არა ჰყვანდა!

იმერეთის მეფის სისუსტემ ქართლზედაც იქონია დიდი გავლენა. მართველად თუმცა გურანდუხტი ირიცხებოდა, მაგრამ ნამდვილი გამგებელი იყო იოანე მარუშიძე. მან იტვირთა ქართლის ერისთავობა, და დაიწყო სხვის დაუკითხავად მოქმედება. 979 წელს სთხოვა დავით კურატ-პალატს, რომ მოვიდეს და ან თვითონ დაიჭიროს ქართლი, ან არა და მისცეს იგი გურანდუხტის შვილს ბაგრატს, რომელიც მან აღზარდა თავის

[1]) იხ. გვ. 205.

მემკვიდრედ. დავით დათანხმდა: მოვიდი ლაშქრით ქართლში, ჩამოჰხდა უფლის-ციხეში და დაუმტკიცა ქართლის მემკვიდრეობა [1]) ბაგრატს, მაგრამ გამგეობა ქვეყნისა ისევ გურანდუხტის ხელში დარჩა, რადგან ამ დროს ბაგრატი ჯერ მცირე წლოვანი იყო.

აი ახლა ძლიერ შარჯვე დრო იყო სამცხე-კლარჯეთისა, ქართლისა და იმერეთ-აფხაზეთის შეერთებისათვის. ამ გვარ გარემოებათა გამო იმერეთისა და ქართლის თავად-აზნაურობა მოძრაობაში მოვიდა. იმერეთის თავად-აზნაურობა ძლიერ სწუხდა, რომ თევდოსის არ შეეძლო მეფობა და არც მემკვიდრე ჰყვანდა. მისი მემკვიდრე იყო მხოლოდ მისი და გურანდუხტი, რომელიც ქართლის გამგეობაზე ხელს არ იღებდა და ჰსურდა, რომ იმერეთშიაც მისი შვილი ბაგრატ გამეფებულიყო. „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობიდგან შესაძლებელია მიხვდეს კაცი, რომ ამ დედოფალს და მარუშიძეს ერთი პირი აქვთ. მარუშიძე გამოელაპარაკა იმერეთის თავად-აზნაურობას ბაგრატის გამეფებაზე. ეს აზრი მოეწონა იმერეთს. „მაშინ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისამან გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურატ-პალატისაგან“. დავით ჯერ განგებ არ თანხმდებოდა. მე უშვილო ვარ და ჩემის სამფლობელოს მემკვიდრედ გამიზდიაო. მაგრამ რადგან მარტო ბაგრატი იყო მემკვიდრე ტაოსი, კლარჯეთისა, ქართლისა და იმერეთ-აფხაზეთისა, ამისათვის ბოლოს თანხმობა გამოაცხადა, ვითომ და ძალიან მიმძიმს, რომ ვთანხმდებიო. ბაგრატი გახდა მეფედ. დავითმა გამოუცხადა ხალხს: „ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და

---

[1]) იხ. იქვე გვ. 206 და 207.

გაზდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე: ამას დაემორჩილენით ყოველნი“ [1]).

მაგრამ ყოველს კეთილს საქმეს ქვეყანაზე ბოროროტიც თანა სდევს და მტერი არ დაელევა ხოლმე! ახლა ამ ერთობის საქმესაც აღმოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი ქართლშიაც და იმერეთშიაც. ქართლში მისი მოწინააღმდეგე იყო ქავთარ ტბელი. ამ კაცმა მიიმხრო სხვებიც და უარ-ჰყო ერთობა და ბაგრატის მეფობა. მაგრამ უკანასკნელმა ის დაამარცხა; მის მომხრეთაგანი „რომელნიმე დახოცეს, რომელნიმე შეიპყრეს, და სხვანი, კვალად მეოტნი, გარდაიხვეწნეს და დაიფანტნეს“. ამის შემდეგ მან დააყენა ქართლის გამგებლად თავისი მამა გურგენი და თვითონ წავიდა იმერეთში.

ამ დრომდე, ორის წლის განმავლობაში, ბაგრატ მეფეს არავითარი განკარგულება არ მოუხდენია, რადგან იმერეთშიაც ჰყვანდნენ მოწინააღმდეგენი. სამეფოს გამგეობა მან მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა დედა იმერეთში წაიყვანა. ამის მიზეზი ის იყო, რომ დედამ, როგორც იმერეთის შვილმა, კარგად იცოდა აქაური ხალხის ზნე, ჩვეულება და წესი. იმერეთი გურანდუხტს უფრო გაუგონებდა, როგორც ტახტის მემკვიდრეს, ვიდრე ბაგრატს; არ იწყენდა მის განკარგულებას და ყველაფერს შის დედას მიაწერდა. აი ეს იყო მიზეზი, რომ დედა წაიყვანა თუ არა იმერეთში, მაშინვე თავისი ბიძა, ძმა დედისა, თეოდოსი დაიჭირა და გაუგზავნა ტაოში დავით კურატ-პალატს, რომ მას თავისთან ჰყოლოდა და არსად გაეშვა. „ესე საქმე გამონახა უმჯობესადო, ამბობს „ქართლის ცხოვრება«, რათა ყოველმა კაცმა, დიდმა და პატარამ იცოდეს, რომ მეფედ ბაგრატი არის და მისი შიში და მორჩილება ჰქონდეთ“ [2]). მოვიდა ბაგრატი

---

[1]) იხ. გვ. 205, 206, 207 და 208.

[2]) იხ. იქვე გვ. 208.

უფლის-ციხეს, სწერია იქვე, აიღო ციხე თავის დედისაგან, დარჩა რამდენიმე დღე ქართლში, მოაწყო ქართლის გამგეობა, წარიყვანა დედა თვისი და წავიდა იმერეთში; აქაც, როგორც კარგად გამოცდილმა ქვეყნის გამგებელმა, ისე მოაწყო საქმე იმერეთისა: ყველას, ვინც იყო ურჩი, მცირედ ამხილა და მათ ნაცვლად დააყენა ისეთნი გამგებელნი, რომელნიც მისი ერთგულნი იქმნებოდნენ [1]).

ახლა ვიკითხოთ, რატომ ასე არ მოიქცა ბაგრატი, ვიდრე დედა მოვიდოდა იმერეთს? ვიდრე დედა არ მივიდა იმერეთში, ბაგრატმა რა მიზეზით არ დაიჭირა აქაური მეფე თევდოსი, არ დაატყვევა და არ გაუგზავნა დავით კურატ-პალატს? რა აბრკოლებს ამ დრომდე იმას? რასაკვირველია, აბრკოლებს ის მიზეზი, რომ ზოგიერთს იმის მეფობა არ ჰსურდათ იმერეთში. იმას ამ მოწინააღმდეგეთი ერიდებოდა და ამისთვის ჯერჯერობით წყნარად იყო. მაგრამ დედა რომ მივიდა, ის გაცოცხლდა, გამხნევდა, დაიწყო გაბედვით მოქმედება. მხოლოდ მაშინ დაიჭირა იმან თევდოსი. მაშინ იმას აღარავისი ეშინიან. ის მოქმედებს დედის სახელითა. ასე რომ არ ყოფილიყო თევდოსის დაიჭერდა დედის იმერეთში მისვლამდე და გაგზავნიდა ტაოში; ასე რომ არ ყოფილიყო, ის დედის მისვლამდე გამოსცვლიდა ურჩს მოხელეებს და გამგებლებს. ყველა ამ ფაქტებს კრიტიკულად რომ ვარკვევთ, ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ საქართველოს შეერთების მანქანებაც და ამ საქმეების მომხდენიც გურანდუხტ დედოფალია. მისი მოქმედება შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს: იმას ერთი შვილი ჰყავს, მაგრამ ის უშვილობებს მას დავით კურატ-პალატს. ამით იტკბობს და ალმობიერებს მას და თავის შვილს იმის მემკვიდრედ

---

[1]) იხ. გვ. 208 და 201.

ხდის, რადგან დავით უშვილოა. ამ დროს თვითონ ქართლშია და განაგებს მის ბედს; თუმცა ქმარიცა ჰყავს და მამამთილიც, მაგრამ ქართლის თავადობა მას ემორჩილება, და არა იმათ. ამავე დროს მას სწადიან იმერეთიც შვილის სამკვიდრებლად გახადოს. მარუშიძის შემწეობით მისი შვილი ბაგრატი მეფედ ჯდება აქაც. ამასობაში მისი მამამთილი ბაგრატ რევვენიც კვდება. მაშინ ის სტოვებს ქმარს ქართლში და მიდის იმერეთში. მისვლისათანავე იჭერენ დედა-შვილნი თევდოსის და გზავნიან ტყვედ ტაოში, და ვინც ბაგრატის ურჩი მოხელე არის, ყველას სცვლიან. ამ სახით იმერეთი და ქართლი ერთ სამეფოდ კავშირდებიან. გურანდუხტის შვილის ბაგრატის გამგეობის ქვეშ. ამ სახით იმერეთი და ქართლი დედა-კაცის მოხერხებულ მანქანებით და ჭკუის გამჭრიახობით უერთდებიან ერთმანეთს და შეადგენენ ერთ სამეფოს. მართალია, »ქართლის ცხოვრების« თქმულებიდგან სჩანს, რომ ამ შეერთების საქმეში მონაწილეობა მიუღიათ იოანე მარუშიძესა და დავით კურატ-პალატსაც, მაგრამ ამ საქმის კეთილად დამაგვირგვინებელი არის გურანდუხტ დედოფალი. ის თავის ძმასაც არ ზოგავს საქართველოს შეერთეებისა და გაძლიერებისათვის. იმერეთშიაც და ქართლშიაც არიან თავადნი, რომელნიც ეწინააღმდეგებიან შეერთებას, მაგრამ გურანდუხტ დედოფალი არის ისეთი მძლავრი და ჭკვიანი მომხრე შეერთებისა, რომ მოწინააღმდეგეთ მოქმედება უქმად რჩება.

ამავე დროს კახეთის ერთ ნაწილში, რომელსაც ეწოდებოდა ჰერეთი, მოქმედებს დინარ დედოფალი. ეს დედა-კაცი მეცადინეობს შეაერთოს ჰერეთი ქართლთან და იმერეთთან. ჰერეთელი ქართველები, მართალია, ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ქრისტეს სჯულს აღვიარებდნენ არა ისე, როგორც სხვა ქართველები, არამედ სხვა

წესით და სხვა დოღმატებით [1]). ქართველები ძალიან სწუხდნენ ამ სარწმუნოებრივს განხეთქილებაზე, რომელიც ჩამოვარდა მათ შუა, მაგრამ ვერას მხრით ვერ

[1]) ჰერეთში ამ დროს ქართველები აღვიარებდნენ მანიხეების მწვალებლობას. როცა 227 წელს სპარსეთის ტახტზე აღვიდა მეფედ სასსანიდების გვარი, მაშინ აქაურმა მოგვებმა მოიწადინეს აღდგენა ზოროასტრის სარწმუნოებისა იმ სახით, რა სახითაც ის ძველის-ძველადგან ყოფილა. ამ სურვილმა დაჰბადა ორი თარაფი. ერთი ამტკიცებდა, რომ ორმუზდ (ღმერთი კეთილისა) და არიმან (ღმერთი ბოროტისა) ერთს უმაღლესს ზენაარს ემორჩილებიანო, მეორე კი ამბობდა, რომ არის ორი ღმერთი—ღმერთი კეთილისა და ღმერთი ბოროტისაო და ისინი ერთმანერთის მორჩილნი არ არიანო. ამ მეორე თარაფს ეკუთვნოდა მანეხი, რომელმაც გამოიგონა მანიხეების მწვალებლობა. იმან ჯერ ქრისტიანობა მიიღო, მერმე შეუდგა ზოროასტროს სარწმუნოებისა და ქრისტიანობრივი დოღმატური სწავლის შეთანხმებას და შეწყობას. წაქეზებული სპარსელ მეფეების ქომაგობით, იმან დაიწყო დამტკიცება, რომ ზოროასტრის სარწმუნოებრივი სწავლა და ქრისტიანული ურთი-ერთის წინააღმდეგნი არ არიანო. ორი ღმერთი არისო, ქადაგებდა ის, ერთი კეთილი, მამა იესოსი, მეორე—ბოროტი. პირველმა მოგვცა „ახალი აღთქმა“, მეორემ—„ძველიო“.

ამ გვარის მოაზრებისა გამო ქრისტიანებმა მანეხი გაჰკვეთეს ეკლესიისაგან და შეაჩვენეს მისი სწავლა. მაგრამ სპარსეთის მეფე საპორ პირველი გახდა მისი მოსარჩლე; კარგის თვალით უყურებდა მას აგრეთვე მისი მემკვიდრე გორმიზდოცა. ეს წყალობა იყო იმის მიზეზი, რომ 276 წელს მანეხი თუმცა მოკვდა, მაგრამ მის სარწმუნოებრივს სწავლას ამით არა დააკლდა-რა. იგი გაძლიერდა და დამკვიდრდა სპარსეთის ქრისტიანეთა შორის. მეოთხე და მეხუთე საუკუნოებში ისე გაძლიერებული იყო, რომ ქრისტიანეთა ხელმწიფენი იძულებულნი გახდნენ გამოეცათ მანიხეების წინააღმდეგ სასტიკი კანონები. მაგრამ ამ გვაოის დევნით მანიხეებს ვერა დააკლეს-რა, რადგან იმათ ჰშველოდნენ სპარსეთის მეფენი და ეწადათ ქრისტიანი მეფეების ძლიერების შესუსტება ერთ-მორწმუნე ხალხთა შორის განხეთქილების ჩამოგდებითა. ამ განზრახვით ისინი ყველა მწვალებლებს კეთილის თვალით უყურებდნენ და იწვევდნენ სპარსეთში. მათ მფარველობით სარგებლობდნენ მაგალითად, ნეს-

მოახერხეს ჰერეთელების სარწმუნოებრივი განცალკევება მოესპოთ და შემოიერთებინათ. 239 წლის განმავლობაში ისინი აღვიარებდნენ მანიეხეების მწვალებლობას. ვიდრე დედა-კაცმა არ მოჰკიდა ხელი ამ შეერთების საქმეს, ყოველი მეკადინეობა სულიერთა მაჰათა და მეფეთა უქ-

---

ტორიანები, გნოსტიკები, იაკოვიტები, მანიხეები და სხვანი. ერთის სიტყვით იმათ უნდოდათ ქრისტიან ერთა შორის სარწმუნოების განსხვავებით მტრობა ჩამოეგდოთ. ამ განზრახვით იმაი, უბრძანეს სომხებს მიეღოთ იაკოვიტების მწვალებლობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ ყველას გადასახლებას სომხეთიდგან სპარსეთში. ამ მუქარით შეშინებულმა სომხებმა მართლაც მიიღეს იაკოვიტების მწვალებლობა და ამ მიზეზით ქართველთა და სომეხთ შორის დაირღვა სარწმუნოებრივი ერთობა და ჩამოვარდა განხეთქილება. ამავე დროს კახეთში ჰერეთელ ქართველებს, ეს-ე იგი, სიღნაღისა, ზაქათალის და ნუხის მაზრებში მცხოვრებ ხალხს მიაღებინეს მანიხეების მწვალებლობა. ეს ამბავი მოხდა ქასრე ამბარვეზის (ნუშირვანის დროს. „იყო ჰერეთი მწვალებელი ქასრის ჟამიდამო“, ამბობს ვახუშტი. ვახუშტი არ იხსენიებს მიზეზს, რომლისა გამო ქასრე ნუშირვანმა მოიწადინა, რომ ჰერეთის ქართველებს მანიხეების მწვალებლობა მიეღოთ. მაგრამ ეს მიზეზი ცხადია. იმას ეწადა ქართველებშიაც სარწმუნოებრივი განხეთქილება ჩამოეგდო. რადგან ჰერეთელი ქართველები ქრისტიანობაზე ხელს არ იღებდნენ, ამან ნება მისცა იმათ ამ სარწმუნოების აღვიარებისა, მაგრამ იმ პირობით, რომ მიეღოთ მანიხეების მწვალებლობა; რადგან ამისი დოღმატური სწავლა ეთანხმებოდა ზოროასტროს სარწმუნოების სწავლასა.

ამ განზრახვის აღსასრულებლად სპარსეთის მეფემ ურმიზდმა დანიშნა რანისა და მოვაკანის (განჯა და შირვანი) გამგებლად თათავისი შვილი ქასრე ნუშირვანი, კაცი სახელოვანი ჭკუიერ და პოლიტიკურის გამჭრიახობით. იგი გამოელაპარაკა ჰერეთის ერისთავებს, დაჰპირდა მათ დიდს წყალობას, თუ რომ იქმნებიან მორჩილნი სპარსეთის მეფისა და ქართველთ მეფესთან გასწყვეტენ კავშირს. დაუწესა მათ საერისთავო მამულები საშვილი-შვილოდ, და დაავალა ხარკის მიცემა სპარსეთის მეფისათვის. ამ გვარის ლაქუცით მიიმხრო ქასრემ ჰერეთის ქართველები (იხ. ქართ. ცხოვრება 161 და 164).

მად რჩებოდა. ეს დედა-კაცი იყო დინარ დედოფალი. მამამთილი და ქმარი რომ დაეხოცნენ, დინარმა თვითონ მიიღო სამფლობელოს გამგეობა, რადგან შვილი იშხანიკი ჯერ მცირე წლოვანი იყო. აი ამ თავის გამგეობის დროს ის შეუდგა ჰერეთულ ქართველების მოქცევას მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოებაზე. იმან ჯერ თავისი შვილი მოაქცია, მერმე მთელი ხალხი. ამ სახით ჰე-

---

აი ამ დროს შეადგინეს ჰერეთის ქართველებმა დამოუკიდებელი პოლიტიკური საზოგადოება, და ჰყვანდათ საკუთარი სასულიერო წოდება და ქათალიკოზი მეათე საუკუნემდე, როგორც ამბობს პლ. იოსელიანი (იხ. Ист. Груз. Церк. стр. 52).

ამავე დროს ქასრე ნუშირვანმა დააფუძნა კავკასიაში სამი სახანო: თაბასარანისა, დერბენტისა და შირვანისა (იხ. Исторія Грузіи Баратова. тетр. II, стр. 55 და 66). ყველა ეს ცვლილებანი მოახდინა (საქართველოს აღმოსავლეთ მხარეს ქართველ ხალხის ცხოვრებაში სახელოვანმა) ნუშირვანმა 485 წლიდგან 531 წლამდე.

მაგრამ ჰერეთი არ იყო ნაწილი შირვანის სახანოსი. ის შეადგენდა თავისუფალს პოლიტიკურს საზოგადოებას. აქ არ იყო ამ დროს დაყენებული მეფე. ნუშირვანმა განათავისუფლა აქაური თავადობა მხოლოდ ქართველთ მეფეთა დამოკიდებულებისაგან და მისცა ყველას ნება, ვისაც როგორც სურს, ისე განაგებდეს თავის წილხდომილ მიწა-წყალზე მცხოვრებ ხალხსაო.

მაგრამ 787 წელს, ქართლ-კახეთის მეფე ჯუანშერი რომ მოკვდა, აქაურმა ერისთავთ-ერისთავმა, გვარად ბაგრატიონმა, დაიჭირა სრულიად ჰერეთი და მეფედ დაჯდა. ამის სამეფოს შეადგენდა ოთხი მაზრა: 1) საერისთავო ხორნაბუჯისა, 2) ვეჯინისა, 3) მაჭისა და 4) შტორისა. პირველი შეიცავდა ქიზიყს და გარეთ კახეთს, ალაზანსა და მტკვარს შიგნით; მეორე—ქიზიყის საზღვარს ზეით მიწა-წყალს თურდოს ხევამდე, ალაზნის გამოღმა მხრივ, რომელსაც შიგნით კახეთს ეძახიან ველისციხითურთ: მესამეს შეადგენდა მაზიმჩაის ქვეით (მაჭის წყლის) ალაზნის აღმოსავლეთი მხარე და აგრეთვე შექი (ანუ შაკიხი) და ხუნზახი; მეოთხეს—მიწა-წყალი შტორის ხევიდგან მაჭის წყლამდე, რომელსაც აგრეთვე გაღმამხარს ეძახიან და აგრეთვე დიდოეთი ანუ ლაგოდეხი ჰიაურითურთ.

რეთელები შეერთდნენ ქართლ-იმერეთის ქართველებთან სარწმუნოებით და მოისპო მათ შორის სარწმუნოებრივი შტრობა.

ამ სარწმუნოებრივს შეერთებაში რა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა სამღვდელოებამ და თავად-აზნაურობამ, ამაზე არა არის-რა მოხსენებული მემატიანეთაგან; მაგრამ უეჭველია, რომ არც უიმათოდ მოხდებოდა ეს შეერთება. ხალხის სურვილი თუ არ ყოფილიყო, მარტო დინარ დედოფალი ვერას გაარიგებდა. სარწმუნოებას ისეთი ძალა აქვს, რომ მთელ ქვეყანას შესძრავს ხოლმე. მისი გამოცვლა ხალხის მიერ ადვილი არ არის. ხალხს შეუძლიან გულ-გრილად მოექცეს მძლავრს, რომელიც მას პოლიტიკურს თავისუფლებას ართმევს, მაგრამ სარწმუნოების წართმევას ვერ მოითმენს უიმისოდ, რომ მჩქეფრად სისხლი არ დაიღვაროს ადამიანისა. ჩვენი მემატიანენი კი არას ამბობენ ხალხის უკმაყოფილებაზე ამ შემთხვევაში. ეტყობა, დინარ დედოფალი ძალიან გონივრულად მოქმედებდა ამ საქმის დასაბოლოვებლად. ეს ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი მშვიდობიანად და ნებაყოფლობით ჰერეთელ ქართველების შეერთების მართლ-მადიდებელ ეკლესიასთან ის იყო, რომ მეათე საუკუნის დასაწყისამდე გაჰქრა სპარსეთში მანიხეების მწვალებლობა.

რაკი მანეხის მწვალებლობა (მანიხეობა) არაბების შემოსევის შემდეგ მოისპო სპარსეთში, საქართველოშიაც მან თავი ველარ დაიჭირა და ქართველი ხალხი შემოუერთდა დინარ დედოფალის ჩაგონებით მართლ-მადიდებელ ეკლესიას. მაგრამ ერთნაირი სარწმუნოება პოლიტიკურ ერთობას არ ნიშნავს. ქართველები ამ დროს, თუმცა ერთის სარწმუნოებისანი იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური ერთობა კი არ ჰქონდათ. სარწმუნოებრივს ერთობას არ შეუძლიან პოლიტიკურის ერთობის ჩამოგდე-

ბა. ამისათვის მოიწადინა დინარ დედოფალმა ჰერეთის პოლიტიკურადაც შეერთება საქართველოსთან. მით უფრო რომ მას აღარც ქმარი ჰყავდა ცოცხალი და აღარც შვილი. ამ განზრახვით მიიწვია იმან ჰერეთში მეფე ბაგრატი, ეს მივიდა თავის ჯარებით, დაიჭირა ჰერეთი და დააყენა მთავრად თავისი მომხრე აბულალი, და აქვე დასტოვა დინარიცა. მაგრამ ადგილობრივ თავად-აზნაურობას არ ეჯაშნიკა აბულალის გამგეობა და ამისათვის, წავიდა თუ არა მეფე, მაშინვე ის გააგდეს და შეუერთდნენ კახეთის მთავარს დავითს. დინარი დარჩა ისევ ჰერეთში.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ კიდევ შეჰყარა ჯარები და გაილაშქრა ისევ კახეთის წინააღმდეგ. იმან დაამარცხა ქორ-ეპისკოპოზი კვირიკე, დავითის მოადგილე, დაიჭირა ხელმეორედ ჰერეთი და დააყენა ერისთავებად თავისი სანდო პირები. როცა დაბრუნდა, თან წაიყვანა იმერეთში ტყვედ კვირიკეც, და თავის სასახლეში ჰყვანდა დამწყვდეული. მან აგრეთვე წაიყვანა დინარ დედოფალიცა, რომელმაც, ვგონებ, თვითონ აღარ ისურვა ჰერეთში დარჩენა და, როგორც ნათესავს, მეფეს თან გაჰყვა.

ასე ამ სახით დაგვირგვინდა სარწმუნოებითა და პოლიტიკურად შემოერთება ჰერეთისა საქართველოსთან დინარ დედოფლის გამჭრიახობით. რაც მამა-კაცებმა ვერ მოახერხეს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ის ერთმა დედა-კაცმა მოაგვარა, თუმცა კი მის განზრახვას ჰერეთის თავადობა ეწინააღმდეგებოდა (იხ. ქართ. ცხოვ. I ნაწ. გვერ. 197 და 210; II ნაწილი გვ. 97. ასრეთი ძლიერი იყო უწინდელი ქართველი დედა-კაცი; ასეთი მოსურნე იყო ის სამშობლო ქვეყნის დიდებისა და კეთილ-დღეობისა; ასეთი ძლიერი მოწადინენი იყვნენ ქალები ქართველი ხალხის ერთობისა, რომ ერთობით გამ-

ტიცებული ხალხი და მისი სამშობლო ქვეყანა შეურყეველი ყოფილიყო მტრისათვის.

ქართლი, კახეთი, იმერეთი და აფხაზეთი რომ შეერთდნენ და ასე ამ სახით საქართველო რომ გაძლიერდა, მაშინ საბერძნეთს ელდა ეცა. იმას არ ეჭაშნიკა ქართველების ერთობა და კეთილ-დღეობა. ვასილიმ და კოსტანტინემ დაუწყეს საქართველოს მტერობა. ასტყდა ბერძნებსა და ქართველთ შორის ბრძოლა. დიდ ხანს ჟლიტეს ერთმანერთი. ბოლოს დაჯდა იმპერატორად რომანოზ აგრირი. იმან დაატყო, რომ ქართველები არ უთმობენ და გაიყვანა საქართველოდგან თავისი ჯარები. მაგრამ ეს დროებითი მშვიდობიანობა არ იყო საკმაო. საჭირო იყო მკვიდრი ერთობა ქართველებსა და ბერძნებს შუა. ამ საქმეს შეუდგა ბაგრატ მეფის დედა მარიამი. »შეიმოსა სიმხნე და ახოვნება და წარვიდა კოსტანტინეპოლს წინაშე რომანოზ იმპერატორისა“. აი რას ეუბნება იმას მარიამი: ვთხოვ და გევედრები, ხელმწიფეო, ინებოთ და ბრძანოთ, რომ აღარ იყოს ბრძოლა ქართველებსა და ბერძნებს შუა. ჩვენც ქრისტიანები ვართ, მართლ-მადიდებელი, თქვენცა. სჯულის წინააღმდეგია ჩვენ მიერ ერთმანერთის ხოცვა. რა კეთილი დაეყრება ან თქვენს ხალხს, ან ჩვენსას, ჩვენს შორის რომ ბრძოლა იყოს. სჯობს დაამშვიდოთ საბერძნეთი და საქართველო. ჩვენ ურთი-ერთ შორის ბრძოლით გლახაკთა და დავრდომილთაც ვუშლით მყუდროდ ცხოვრებას. ეს არ არის კარგი: წინააღმდეგია ჩვენის სჯულისა, რომელიც გვიბრძანებს მივცეთ გლახაკთა და ღარიბს ხალხს შემწეობა, რომ იცხოვრონ მშვიდობიანად. დააწყნარეთ, დაამშვიდეთ ორივე სამეფო, რომ ხალხმა იშრომოს და იცხოვროს ქრისტიანულად. თუ კი წინათ ქართველთა და ბერძენთ შორის ძმობა და ერთობა იყო, რატომ ახლა აღარ შეიძლება ეს სასურველი მშვიდობიანობა ჩვენ შო-

რის? უბოძეთ ჩემს შვილს კურატ-პალატობა, როგორც ძველად იცოდნენ ხოლმე იმპერატორებმა და ჩამოაგდეთ ერთობა; და რომ ერთობა უფრო მტკიცე იყოს ჩვენ შორის, გთხოვ აგრეთვე ბაგრატ მეფეს მისცეთ ცოლად ასული ვასილი იმპერატორისა.

იმპერატორს მოეწონა დედოფლის რჩევა და მოხდა შერიგება, ბაგრატს მისცეს კურატ-პალატობა და დანიშნეს ელენეზე, რომელიც ამავე წელს მოვიდა ქუთაისში და 14 წლის მეფეზე ჯვარი დაიწერა; მაგრამ საუბედუროდ მალე მოკვდა. ეს ამბები მოხდა 1032 წელს.

მაგრამ მარიამ დედოფლის მოქმედება ამით არ თავდება. ამის შემდეგაც ის ზრუნავს საქართველოს გაძლიერებისა და დიდებისათვის.

1045 წელს ბერძნებმა მოიწადინეს სომხეთის დაჭერა. იმათ გაიტყუეს კოსტანტინეპოლში სომხების მეფე გაგიკი მეორე და აღარ გამოუშვეს თავის სამეფოში. სომხებმა რომ შეუტყვეს ბერძნებს სურვილი მათი ქვეყნის დაპყრობისა, სამს თარაფად გაიყვნენ. ერთს უნდოდა დავითი უმიწა-წყლოსი გამეფება, მეორეს — აბულ-სევარისა, რომელიც სიძე იყო დავითისა; მესამეს სურდა ბაგრატის მეფობა. უკანასკნელმა გაიმარჯვა. ნოვიდნენ საქართველოში ბაგრატთან სომხების ვექილები (დეპუტაცია). მეფემ მაშინვე გაგზავნა ჯარები და დაიჭირა ანის ქალაქი. აი აქ ჯარებ უკან გაჰყვა მარიამიცა. ამან აუხსნა სომხებს, რომ ბაგრატს უფრო ეკუთვნის სომხების მეფობა, ვიდრე სხვას ვინმეს, ამისათვის რომ ის ნათესავია სომხეთის მეფეებისაო.

სომხეთის საქართველოსთან შემოერთების მიზეზისა გამო კიდევ დაიწყო მტრობა ბერძნებსა და ქართველთ შორის. მაგრამ საბერძნეთი იმოდენად ვერ ავნებდა საქართველოს, როგორც ლიპარიტ ორბელიანი, რომელიც ჩამოემტერა ბაგრატ მეფეს იმ მიზეზით, რომ უკა-

ნასკნელმა თათრების ემირს ჯაფარს არ წაართვა თბილისის ქალაქი. ბერძნებს თვითონ რომ არ შეეძლოთ ევნოთ რამე ბაგრატისათვის, ლიპარიტს აქეზებდნენ და ჯარითაც შემწეობას აძლევდნენ, რომ მას ჩამოეგდო სამეფო ტახტიდგან ბაგრატი და გაემეფებინა მისი ძმა დიმიტრი, გიორგის მეორე ცოლისაგან ნაყოლი. ქართველები იბრძოდნენ მათის მეოხებით, მაგრამ ხან ერთი მხარე სძლევდა, ხან მეორე. ამ გვარმა ყოფა-ცხოვრებამ ძალიან შეაწუხა საქართველო, მით უმეტეს რომ ბრძოლა დიდ ხანს გაგრძელდა და ბოლო არ ეღებოდა.

რადგან ამ ძმათა ურთი-ერთ შორის ბრძოლაში ბერძნები ძლიერ შველოდნენ ლიპარიტს, ამისათვის 1050 წელს მარიამ დედოფალმა აიყვანა თავისი შვილი ბაგრატი და წავიდა ხელმეორედ კონსტანტინეპოლში. იმპერატორმა კოსტანტინე მონომახმა ისინი პატივით მიიღო, მაგრამ არც თხოვნა აღუსრულა მათ, აღარც საქართველოში დაბრუნების ნება მისცა სამი წლის განმავლობაში.

საქართველოში მიჰხვდნენ, რომ მეფესა და დედოფალს ბერძნები სამშობლოში დაბრუნების ნებას არ აძლევდნენ და ლიპარიტის მხარე უჭირავთ. მაშინ ბაგრატის ცოლმა დედოფალმა ბორენამა, მისმა დამ გურანდუხტმა და იმერეთის თავადობამ ლიპარიტი შეირიგეს. იმას მისცეს მეფის შვილი გიორგი და თან გააყოლეს საპატრონებლად და აღსაზრდელად მამიდა გურანდუხტი; მაგრამ მიიყვანეს თუ არა ის ქართლში, ლიპარიტმა აღარც აცივა და აღარც აცხელა საქმე, მაშინვე გიორგი მეფედ აკურთხებინა რუსის საყდარში.

მაგრამ ბაგრატის ცოლისა და დის შერიგება გულითადის სურვილის შედეგი არ იყო. მათ ჰსურდათ დროებით დაემშვიდებინათ ლიპარიტი და მეფე და მისი დედა მარიამი როგორმე დაებრუნებინათ საქართველო-

ში. იმათ წინათვე შეადგინეს ქართლისა და მესხეთის თავადობასთან შეთქმულობა, რომ დაბრუნდეს თუ არა საბერძნეთიდგან მეფე, მაშინვე დაიჭირონ ლიპარიტი და მისი შვილი იოანე და პყრობილი წარუდგინონ მეფეს.

ლიპარიტმა, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ ეს ხაფანგი მისთვის იყო დაგებული. იგი სრულიად დამშვიდებულს, კმაყოფილებით სტკბებოდა, რომ ბაგრატს მტრობა გაუწია: ჩამოაგდო ქართლის ტახტიდგან და გაამეფა მისი შვილი.

როცა ასე დამშვიდდა ის და დაარხეინდა, მაშინ გურანდუხტმა, რომელიც ქართლში იყო გიორგისთან მის ყურის-საგდებლად, მისწერა მალვით წერილი იმპერატორს კოსტანტინე მონომახს, შევრიგდით ლიპარიტთან და მეფეთაც ქართლში მისი შვილი გიორგი დავსვითო: ახლა გთხოვთ ბაგრატი და მარიამი გამოუშვათო. იმან აღუსრულა სურვილი. ბაგრატი განთავისუფლებული იქმნა და მოვიდა იმერეთში თავის დედითურთ.

ამის შემდეგ სულა კალმახელმა და მესხეთის თავადაზნაურობამ დაიჭირეს ლიპარიტი და მისი შვილი იოანე. გურანდუხტმა რომ შეიტყო მისი დაჭერა, ბრძანა მისი ახალქალაქში მიყვანა და იქ დამწყვდევა. მერე თითონაც და გიორგიც იქ მივიდნენ და დაიბარეს მეფე ბაგრატი, რომელიც დაუყოვნებლივ მივიდა და ჩაიბარა ლიპარიტი და იმისი შვილი.

ასრე დაიხსნეს დედა-კაცებმა თავიანთი მეცადინეობით საქართველოს ერთობა ხიფათისაგან; მაგრამ მათი სამსახური სამშობლოს წინაშე უფრო მეტის ყურადღების ღირსად გვეჩვენება, უკეთუ წარმოვიდგენთ, რომ თუ გურანდუხტი არ გარეულიყო ბაგრატ მეფისა და ლიპარიტის ბრძოლაში, საქართველო ორად გაიყოფებოდა. ქართლ-კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მეფედ გახდებოდა გიორგი, როგორც ეწადა ლიპარიტს, იმერეთ-აფხაზეთი-

სა—ბაგრატი და ასრე დაირღვევოდა კაცებისაგან ის ერთობა ქართველთა ერისა, რომელიც დედა-კაცებმა დიდის ხნის მეცადინეობის შემდეგ დააგვირგვინეს ბაგრატ მესამის დროს, რომელიც პაპა იყო ამ ბაგრატ მეოთხისა [1]).

ამის შემდეგ საქართველო უფრო და უფრო ძლიერდება. მის სამეფო ტახტზედ აღვიდა ახლა ძლიერი დედა-კაცი თამარი. ის იყო საქართველოს მთიები და დიდება. მის დროს საქართველოში აენთო ისრეთი ლამპარი განათლებისა, რომლის მსგავსი კავკასიის ერს სხვა დროს არ უნახავს. სამეფო გაძლიერდა პოლიტიკურად, სწავლა-განათლება აღორძინდა და ცხოვრება გაიფურჩქნა ტურფად შემკულ თაიგულივით. მაშინდელი წესი და წყობილება, მაშინდელი დიდება საქართველოსი დღესაც სასიქადულო მოსაგონია ჩვენთვის. დღესაც ოხრავს ქართველი კაცი და ქალი მაშინდელი დროისათვის: სწადიან დაიბრუნოს იგი დრო ნეტარი, დრო ქართველთ დიდებისა, თავისუფლებისა, განათლებისა, მაგრამ გაჰქრა ის დრო და სრულიად მოგვიკლა სიცოცხლის ძალა კორთების ქვეშ დაჩაგრულ ბედმა. აღარ ანათებს ქართველთ სამშობლოს ქრისტიანული სწავლა-განათლება ქართულს ენაზე; ყველა ჩანელდა, ჩაჰქრა და მხნეობა ქართველთა ერისა თითქმის დადუმდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამქრალი და წაშლილი კვალი თამარ დედოფლის დროინდელი ზნისა და მიმართულებისა. გაღვივებული ცხოვრების ალი, მართალია ჩანელდა, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიად არ გამქრალა. წარსულ ცხოვრების ღველფში მოიძებნება კიდევ ნაპერწკლები, რომლითაც შეიძლება ისევ აენთოს დიდებულის ცხოვრების ლამპარი. და უკეთუ ბედი ისე დაგვჩაგრავს, რომ შეუძლებელი გახდება

---

[1]) იხ. „ქართ. ცხოვ.“, კაბადონები 221, 226, 227 და 228.

ძველებური ქებური მხნეობა და ქველობა კვლავ აღსდგეს ჩვენში, ძლიერმა ეროვნულმა გრძნობამ კვლავ თავი იჩინოს, იმას მაინც უნდა ვცდილობდეთ, რომ შევიტყოთ, როგორი იყო ეს ნაქები ცხოვრება ქართველთ ერისა. რა მიმართულება ჰქონდა თამარ დედოფალის დროინდელს საზოგადოებას საქვეყნო საქმეში, ქართველს ქალსა და კაცსა. მართალია, რაც აქამომდე ჩვენ ვთქვით დედა-კაცებზე და, რაც ისტორიული ცნობანი მოვიხსენიეთ, საკმაოდ არ მიგვაჩნია დასახატავათ ქართველის ქალის პოლიტიკურ ცხოვრების სურათისა; მართალია, ამისათვის საჭიროა ფაქტები, რომელნიც, სამწუხაროდ, ჯერ-ჯეროობით საკმაოდ არა გვაქვს; მაგრამ, რაცა გვაქვს, ჩვენ ვგონებთ საკმაოდ გვიჩვენებს დედა-კაცების მიმართულებას, მათს ზნეს, ლტოლვილებას, საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას და მათს გამჭრიახობას. ხოლო პირველ-ხანობით ესეც უნდა ვიკმაროთ ჩვენის ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

რომ კარგად გავიგოთ თამარის ჭკუის გამჭრიახობა და სახელმწიფო ნიჭი, უთუოდ საჭიროა შევიტყოთ, რა მდგომარეობაში იყო საქართველო იმ დროს, როცა იმას სამეფო ტახტი გადასცეს. რა იყო მართლაც ამ დროს საქართველო? რა იყო და ის, რომ ამ ქვეყნის ყოველი კუთხე მოფენილი იყო ეკლესიებითა, ყოველს ხეობას ჰყვანდა თავისი ეპისკოპოზი, ერისთავი. ყოველ კუთხეში იყვნენ მთავრები და მოხელეები. ამ მთავრებს ჰყვანდათ თავისი ჯარი და კარის მღვდელი; ჰქონდათ საკუთარი ეკლესია, სასაფლაო, მონასტერი და უფლება ბატონობისა და თავის წილ-ხვედრ სამფლობელოში მეფის დაუკითხავად საქმის დაჭერისა და გამგეობისა [1]). მეფე იყო ერის მოთავე და ბატონი ბატონთა შორის. მას ემორჩი-

[1]) იხ. ვახუშ. გეოგრაფია, გვერ. 12.

ლებოდნენ მთავარნი ისრე, როგორათაც ევროპაში ვასალები კოროლებს. მეფის სახელი, როგორც ერის მოთავისა, მხოლოდ მაშინ ისმოდა ხმა-მაღლა ხალხში, როცა გარეშე მტერი ემუქრებოდა სამეფოს, რომლის ნაწილს შეადგენდა თავადთა დედულ-მამულიცა. მხოლოდ მაშინ გამოდიოდნენ მთავარნი თავის ჯარებით და ბარგი-ბარხანით (მარქაფით) და უერთდებოდნენ მეფის ჯარებს, რომლის რიცხვიც შეადგენდა სამოც ათასსა, რომ საზოგადო მტერი აეშორებინათ ხოლმე თავიდგან სამშობლო ქვეყნისათვის [1]. მართალია, ისინი ემორჩილებოდნენ მეფეს და აძლევდნენ ხარჯს, მაგრამ ამის გარეშე ისინი დამოუკიდებელნი იყვნენ თავიანთ სამფლობელოში. მათ ხელში იყო ქვეყნის გამგეობა, სამართალი და ლაშქარნი. ყველა მედიდურობდა და თავის თავს ქვეყნის ბატონათ რაცხდა. აი ეს იყო მიზეზი, რომ უცხო ქვეყნებში მთავრებს მეფის პატივს აძლევდნენ. »ამისათვის, ამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი, „მრავალნი ისტორიკოსნი ძველნი შესცდეს და ევრიის მამასახლისთა რომელთამე სწერდეს მეფობის სახელით და სხვათა მთავრებად" [2]. ერთის სიტყვით საქართველოში იყო უმაღლესი მაგისტრატურა და მოთავედ ითვლებოდა ის კაცი, რომელსაც ერქვა მეფე; მაგრამ ზნეობითი და პოლიტიკური კავშირი მაზრებისა ძაფზე ეკიდა. ამის დარღვევას ერთი შებერვის მეტი არა უნდოდა-რა.

ამ გვარი სამეფო წყობილება იყო იმ დროსაც, როცა თამარი გამეფდა. მთავრებსა და მეფეთა შუა ისეთი მტრობა იყო ჩამოვარდნილი, რომ საჭირო იყო ძლიერი მკლავი, რომელსაც უნდა აელაგმნა გაბრაზებული თავადობა და არ მიეცა ნება მათთვის ერთმანეთის

---

[1]) იხ. გეოგრ. ვახუშ. გვ. 10, 12 და 14.

[2]) იხ. ისტორ. მისი გვ. 87.

ულეტისა და ამასთანავე დაეცვა მეფის სახელი და ღირსებაცა. მეფეს თავგასული თავადობა ეჯავრებოდა და ემტერებოდა მას, თავადთ კიდევ-- მეფეცა და ერთმანეთიც,—ამისათვის რომ მათ შორის ერივნენ მეფის მომხრენიც.

ეს მტრობა დაიწყო მეფე ბაგრატ მესამიდგან. იმან დაამცირა რატი ორბელიანი, ქავთარაძე და მრავალნი სხვა ქართლის თავადნი, და წინ წამოსწივა თავის მომბრე მაშურიძე და მისი ავან-ჩავანი. ამას შეუდგა მეფეთა და თავადთ მტერობა და გადაეცა შთამომავლობას. გამეფდა ბაგრატ მეოთხე. მოუვიდათ ჩხუბი ახლა ამას და ლიპარიტ ორბელიანს, რომელს ბრძოლაშიაც ისევ ორბგლიანნი დამარცხდნენ. გამეფდა დავით შესამე აღმაშენებელი. ისევ დაიწყეს ბრძოლა ორბელიანებმა და მეფემ. ისევ პირველებმა დასცეს ზურგი მიწას. მოკვდა დავითი და გამეფდა მისი შვილი დიმიტრი. ორბელიანთ არც ამას მისცეს მოსვენება. იმათ ეწადათ თავისი გაეყვანათ. ასტყდა ისევ გვართა ბრძოლა. დიმიტრი მეფემ გაჟლიტა თავადობა და ორბელიანნი, და თავისი გაიყვანა. მაგრამ ამით კიდევ არ გათავდა შფოთი და ცემატყეპა. მოკვდა დიმიტრი, გამეფდა ამისი შვილი დავითი მეოთხე. მოკვდა ესეც. გამეფდა ძმა ამისი გიორგი. აუტეხეს ორბელიანთ ამასაც მტრობა. მიიმხრეს სხვა თავადობაც და მოიწადინეს გიორგისათვის ტახტის ჩამორთმევა. გიორგიმ ეს იწყინა და მთლად გაწყვიტა ორბელიანნი, გარდა სამი პირისა: ლიპარიტ ორბელიანისა, ელიგუმისა და იოანესი. ამავე დროს გიორგიმ დაამცირა სხვა გვარეულობაცა, რომელთ შორის ერივნენ ორბელიანთ მეგობარნი მხარ-გრძელნიცა [1]); გარეკა მოღალატე

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 273.

გვარეულთაგან მყოფი მოხელეები და თავისი მომხრე კაცები დანიშნა მინისტრებათ და მოხელეებად. აი რა იყო ამის მიზეზი:

თამარის მამა გიორგი მესამე არ იყო ტახტის მემკვიდრე; მაგრამ მისი ძმა, მეფე დავით მეოთხე რომ კვდებოდა, შვილი დიმიტრი ჯერ სამი-ოთხი წლის ბავშვი იყო. ამისათვის სიკვდილის დღეს, იმან მოიწვია თავადაზნაურობა, სამღვდელოება და თავისი ძმა გიორგი და უთხრა: ვიდრე ჩემი შვილი გაიზრდებოდეს, სამეფოს გამგეობას, ჩემს სიკვდილის შემდეგ, ვაძლევ ჩემს ძმას გიორგის. მაგრამ როცა ჩემს შვილს შეეძლება მეფობა, მაშინ ბიძამ უნდა დაუთმოს იმას ტახტი. ხოლო სრულს ასაკში მოსვლამდე ჩემს შვილს დიმიტრის ვაბარებ ივანე ორბელიანს: მოუაროს და აღზარდოს სამეფოდ. ამის შემდეგ აიყვანა ყრმა ხელში, აკოცა, გამოეთხოვა და გარდასცა ორბელიანს.

აი ეს ანდერძი დავით მეფისა შეიქმნა მიზეზად გიორგი მეფისა და თავადების ერთმანერთზე გადაკიდებისა. 1177 წელს ივანე ორბელიანს მიადგნენ კარზე რამდენიმე წარჩინებულნი და მოაგონეს ფიცი და ანდერძი მეფისა შესახებ ტახტისა. რჩევა მოახდინეს და გადასწყვიტეს: ვიდრე გიორგი შეიტყობდეს მათს განზრახვას, დაიჭირონ იგი და ძალ-დატანებით ხელი ააღებინონ ტახტზე. ამ შეთქმულობაში ერივნენ: ორბელიანი, ჯავახიანი, გამრეკელი, ჯაყელი, აპირატიანი, მხარგრძელი და ასათ გრიგოლიძე. მაგრამ გიორგიმ მალე შეიტყო, მოემზადა, შეება, დაამარცხა და ორბელიანთ გვარი გასწყვიტა. დანარჩენები, თუმცა არ დახოცა, მაგრამ არც კეთილი დააყარა. იმათ ჩამოართვა ზოგიერთი მიწა-წყლები და სამსახურისაგანაც განდევნა. იმათ მაგიერად წინ წამოსწია ისეთი კაცები, რომელთაგან ზოგიერთნი მისივე აღზრდილნი იყვნენ და სწამდა მათი ერთგულება. ესენი

იყვნენ: 1) ვაზირი და მწიგნობართ-უხუცესი ანტონი, 2) ამირ-სპასალარი ყუბასარ (ყიფჩაყელი თათარი), 3) მეჯინიბეთ უხუცესი აფრიდონ (აზნაური [1]), 4) მეჭურჭლეთ-უხუცესი ვარდან, 5) მდივანი ჩუნჩერახი ჭიაბერი და 6) მსახურთ-უხუცესი იოანე.

აი ასეთი არეულ-დარეულნი და ერთმანერთის წინააღმდეგ ამხედრებულნი თავადნი გადასცა გიორგი მეფემ თავის ქალს თამარ მეფეს. ესენი ყველანი მზად იყვნენ ერთმანერთს შეჰხეთქებოდნენ და დაემსხვრიათ ურთიერთისათვის ცხვირ-პირი.

აბა, აი აქ იყო ახლა საჭირო ჭკუა და გონება, რომ სამეფო დამშვიდებულიყო. ახლა იყო საჭირო მეფე გენიოსური ჭკუით შეჭურვილი, რომ შეერიგებინა თავადნი, დაეწყო, დაეწყნარებინა და მიემართნა სრულად ერის ძალ-ღონე ქვეყნის კეთილ-დღეობისა და გარეშე მტრის მოგებისათვის.

სწორედ ამნაირ მეფედ აღმოუჩნდა საქართველოს დედა-კაცი, რომელსაც ერქო სახელად თამარი და რომელმაც აღუშენა ქართველებს ისტორიულ დიდების ძეგლი.

აღვიდა თუ არა სამეფო ტახტზე ზედა „მზე-იგი მზეთა და ნადელი ნათელთა ელვარება, და მზეებრ მაშუქებელი სხივ-კამკამებითა“ დიდებული მეფე თამარი. მაშინვე მოახდინა მთავართა, თავადთა და სულიერ მამათა კრება და უთხრა სატახტო სიტყვა, რომელშიაც გამოხატა თავისი სურვილი და უჩვენა ერს გზა სამეფოს გამგეობისა და საქმეთა წარმოებისა, რომელსაც ის დაადგება თავის მეფობაში.

„შიშველი გამოველ დედის მუცლიდგან და შიშველსა მეგულვების ამ წუთის სოფლიდგან გასვლა“, — სთქვა მან სხვათა შორის. ასე ფიქრობდა თამარი. მე მეფე ვარ, იტყოდა იგი კვალად, მაგრამ, იცოდეთ, მე დიდების და პატივის-მოყვარეობისათვის არ მიმილია სამეფო გვირგვინი. ჩემი გულითადი წადილი არის ერის

[1]) ესენი სამივენი მეფის აღზრდილნი იყვნენ.

კეთილ-დღეობა. მე მსურს, ყველას ცხოვრება იყოს დამ-ტკბარი, ყველა იყოს გამძღარი და ქონების პატრონი; არავინ არ იყოს უსამართლოებით დაჩაგრული; ყველა სიმართლით იყოს დაჯილდოვებული. მეფესაც და მთა-ვარსაც, ღარიბსაც და მდიდარსაც, ერსაც და სულიერთ მამათაც დამნაშაობისათვის კანონი ერთ-ნაირად უნდა სჯიდეს. „თქვენ, წმინდანო მამანო, უთხრა იმან ახლა სულიერ მამათ, „ყველაზე უფრო უმეტესად ვალდებულ-ნი ხართ ღირსეულად, კეთილად და სამართლიანად მოქ-მედებდეთ. ღვთის განჩინებით თქვენ ხართ მოძღვრად ჩვენდა დადგენილი. თქვენ უნდა პასუხი გასცეთ საიქიოს გამჩენს, თუ ვინმე ჩვენთაგანი თქვენის დაუდევრობით სულს წაიწყმედს. თვალ-ყური ადევნეთ კეთილ საქმეს, გამოიძიეთ, გამოიკვლიეთ ბეჯითად თქვენი სამწყსოის ყოველი ნაბიჯი. სიმართლე დაამტკიცეთ, უსამართლობა განდევნეთ. ბოროტ-მომქმედნი პირნი არ უნდა დარჩნენ დაუსჯელნი. იწყეთ მართლ-მსაჯულება პირველად თუნდა ჩემზედა, თუ რომ ვარ დამნაშავე რასმეში. გვირგვინი, რო-მელიც მე მადგია თავზე, არის ნიშანი მეფობისა და არა ღვთის წინააღმდეგობისა და უსამართლობისა. ნუ მიხე-დავთ ნურც გვარს, ნურც მთავართ დიდ-კაცობასა: ყვე-ლას სიმართლით მოეპყარით, გლეხსაც და თავადსაც; ვიმოქმედოთ ყველამ ერთად ქვეყნის საერთო კეთილ-დღეობისთვის: თქვენ სიტყვით, ხოლო მე საქმით, თქვენ დარიგებით, მე აღსრულებინებით და გაწვრთნით, რო-გორც რიგია და როგორც უნდა. იმოქმედეთ თქვენ, ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე, ვითარცა მეფე. თქვენ ვითარცა მოძღვარნი, ხოლო მე ვითარცა აღმასრულე-ბელი თქვენის დარიგებისა. და რომ ყველამ აღასრუ-ლოს კანონი, ჩვენ უშიშრად ხელი მივსცეთ ერთმა-ნერთს და თვალ-ყური ვადევნოთ სამართალის აღსრუ-ლებას“ [1]).

---

[1]) იხ. ქართ ცხოვ. გვ. 279 და 280.

კრებას ძლიერ მოეწონა მეფის სურვილი, სულიერ მამათ მაშინვე მოახდინეს სჯა საეკლესიო საქმეებზე, »და ვინმე ეპისკოპოსნი შესცვალეს, და მათ-წილ საღმრთონი კაცნი და მეცნიერნი სჯულისანი დასხნეს და საეკლესიონი წესნი გამართეს«. თამარმა დააშტკიცა კრების განჩინებანი და განათავისუფლა სასულიერო წოდება ხარჯ-ბეგარისაგან; და მერმე შეუდგა სხვა საქმეებს.

საფრანგეთის კოროლებს ჩვეულება ჰქონდათ— ტახტზე ასვლის დროს, ხალხს ოქროსა და ვერცხლს ურიგებდნენ ხოლმე. ეს ჩვეულება ჰქონდათ ქართველთ მეფეთაც. ამით ისარგებლა თამარმა: გახსნა ხაზინა, გამოიტანა »საუნჯენი მამა-პაპისანი« და მისცა ხალხს შემწეობა. „გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი«. „არა დაარჩენს ცარიელსა, არც ყრმასა და არც ქალსა“ [1]) ის ასრე მოიქცა მარტო ამისათვის კი არა, რომ აესრულებინა მამა-პაპათა ჩვეულება, არამედ—ხალხის გულის მოსაგებლად. »ერთგულთა და ორგულთა დახსნა წყალობა უხვებით, რათა ჟამთა საქმეთასა ერთგულნი ერთგულობითა მადრიელობდნენ, ხოლო ორგულნი უსიტყველ იყვეს მიგებისათვის უშურველად წყალობათასა“. „უხვსა მორჩილებს ყოველი, იგიცა, ვინც ორგულია“. დიახ! ის კეთილ-გონიერად და პოლიტიკურად მოიქცა. მან »ღონიერ ჰქმნა გლახაკნი და ღონიერნი მდიდარ, მისცა ობოლთა და ქვრივთა კმა-საყოფელი მათი« და მით მოიგო მან ყველას გული, გაიერთგულა და შეაყვარა თავი.

ხალხის გრძნობა რომ მიმართა თავის ერთგულებაზე, თამარი ახლა შეუდგა სამეფოს გამგეობაში სხვა-დასხვა ცვლილების მოხდენას. როგორც ახლანდელ მეფეებს ჩვეულება აქვთ თავის გამეფების შემდეგ გამგეო-

---

[1]) თხ. ქართ. ცხოვ. გვ. 279; გეოგ. ვახუშ. გვ. 22 და ვეფხვის ტყაოსანი, გვ. 9 და 10.

ბაში ცვლილების მოხდენისა,— სწორედ ამ ნაირად მოიქცა იგიცა. შესდგა ახალი სახელმწიფოს გამგეობა, სამინისტრო: 1) ამირ-სპასალარობა (ყველა ჯარების უფროსობა და სამხედრო მინისტრის თანამდებობა) მისცა სარგის მხარ-გრძელსა; 2) მანდატურთ-უხუცესი იყო ჭიაბერი; 3) მეჭურჭლეთ-უხუცესი (სახაზინო ანუ ქონებათა მინისტრი) იყო კახაბერ ვარდანის ძე; 4) მსახურთ-უხუცესი ვარდან დიდი დადიანი; 5) ჩუნჩერახი—მარუშიძე, 6) ამილახორი—თორელი გამრეკელი. ჭიაბერს მისცა უფლება პორფირის წამოსხმისა, ხელში ოქროს კვერთხის დაჭერისა და სახელმწიფო თათბირში ოქროთ მოჭედილ სელზე ჯდომისა. ოქროს სელზე ჯდომის ნება უკვერთხოდა ჰქონდათ სხვებსაცა, მაგრამ ყველას კი არა. ზოგნი ისხდნენ ძირს მუთაქაზე, მეფის ტახტის მარცხნივ და მარჯვნივ.

ერისთავებად ანუ გუბერნატორებად დასვა: 1) სვანეთში ბარამ ვარდანიძე, 2) რაჭაში კახაბერი კახაბერისძე, 3) აფხაზეთში დოთახოს შარვაშიძე, 4) სამეგრელოში და იმერეთში ბედიანი ამუნელისძე, 5) ქართლში რატი სურამელი, 6) კახეთში ბაკურმა ძაგონისძე, 7) ჰერეთში ასათ გრიგოლისძე და 8) სამცხე-ჯლარჯეთში ბოცო ჯაყელი და ამასვე მისცა აქაური ჯარების სპასალარობაცა.

მეფემ მოინდომა მიქაელ ქათალიკოზის გამოცვლაცა, მაგრამ საეკლესიო კრებამ ვერას გზით ვერ მოახერხა მის გადაყენება. მისი გამოცვლა ამისათვის ეწადათ, რომ იმან მეფე გიორგის დროს, კარის-კაცების შემწეობით ჭყონდიდის ეპისკოპოსი ანტონი გელოვანი დაითხოვა და საქათალიკოზო ეპარხიათ აქცია იმ განზრახვით, რომ მწიგნობართ-უხუცესობა უნდა ჩაეგდო ხელში, მაგრამ ეს ეკლესიის წესის წინააღმდეგი იყო, ამისათვის სასულიერო წოდებასაც და ხალხსაც ძალიან

სწყინდა ეს საქმე. ჭყონდიდის ეპარხიას წინად მუდამ თავისი საკუთარი დამოუკიდებელი ეპისკოპოსი ჰყვანდა. ამ კათედრაზედ ამწესებდნენ იმისთანა კაცს მღვდელმთავრად, რომელიც შედარებით ყველა ეპისკოპოზებზე უფრო განათლებული იყო. ასეთი იყო ანტონი. „იგი იყო ბრძენი და გონიერი“; მაგრამ მტერობით, თუ უფლების მოყვარეობით ჭყონდიდლობა და მწიგნობართუხუცესობა მიითვისა მიქაელ ქათალიკოზმა, რომელიც იყო ქართველი და გვარად მირიანისძე [1]). არც მეფე თამარს, არც ხალხს, არც სასულიერო წოდებას ის არ უყვარდათ. ამის გამო მისი სიკვდილი ყველას გაუხარდა, როცა ის მოკვდა ორის წლის შემდეგ, თამარის გამეფებისა. მაშინ მეფემ ისევ აღადგინა ჭყონდიდლის ეპარხია და დანიშნა ეპისკოპოსათ ისევ ანტონი, „კაცი ღირსი ქებისა, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე, ტკბილი, მდაბალი და ერთგული მეფისა“. ის იყო გიორგი მეფის გაზრდილი და ამ დროს სცხოვრობდა დავით გარეჯის მონასტერში. როგორც წესი იყო ძველადგანვე, ამასვე მისცა მეფემ თანამდებობა მწიგნობართუხუცესობისა. ეს თანამდებობა უდრიდა ახლანდელს სასულიერო საქმეთა ანუ განათლების მინისტრის თანამდებობას [2]).

ხსენებულ კაცთა გვარნი, რომელნიც მოიწვია თამარმა თანამდებობაზე სამეფოს გამგეობისათვის, საქართველოში თუმცა წარჩინებულნი იყვნენ, მაგრამ ნამდვილია, რომ გვარიშვილობით ამათზე ნაკლებ წარჩინებულნი არ იყვნენ შემდეგნი პირნი, მაგალითად: გრიგოლიძე, აბეზაძე, აბულელი, ადარნასიანი, ასათიძე, ბაკურიძე, ბურსელი, გაგელი, ჯავახიანი, ჯუანშერიანი,

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 280.

[2]) იხ. იქვე გვ. 293.

დანაური, ირუფაქიძე, კავკასიძე, კარიჩიძე, კოჩიბაძე, ქობულიძე, კორინთელი, ქვენაფლაველი, ნერსიანი, ორბელიანი, სამძივარი და კიდევ სხვანი.

მაგრამ თამარმა გვარეულობას კი არ მიხედა, სახელმწიფო თანამდებობაზე რომ ნიშნავდა ახალს პირებს, არამედ ჭკუას, ცოდნას და გამოცდილებას, თუნდა რომ დაბალი გვარისაც ყოფილიყვნენ ისინი. ასეთი დაბალი გვარისა იყო მაგალითად აზნაური აფრიდიონი, რომელსაც თამარმა მსახურთ-უხუცესობა არ ჩამოართვა, მაგრამ თავადებმა შურით ის მაშინვე მოჰკლეს.

რამ გამოიწვია თამარი ამ გვარ მოქმედებაზე? რამ დაატანა იმას ძალა, რომ მოეხდინა ცვლილება ადმინისტრაციაში? ნუ თუ ის თავის ჭკუით მიჰხვდა, რომ ქვეყნის საკეთილდღეოდ უთუოდ ასე სჯობს მოქცევაო? „ქართლის ცხოვრება" ამბობს, რომ მან გადაავლო თვალი სამეფო საქმეებს და მიხვდა, რა ესაჭიროებოდა სამეფოს, "თავის გონების სივრცით შემოიკრიბა იმან სამღრთო და საერო წესნი და იყო განგებიდ, ვითარცა— იგი მოჰბეოვიდა სული; მიმოიხილა მახვილის ცნობითა გარემოს ყოველი, და მყის შეემეცნა, რა იყო საჭირო, რომ ყველანი ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობასაო" [1]).

ჩვენ უარს არა ვყოფთ თამარის გონიერებას, მის ჭკუის გამჭრიახობას, მის სამეფო ნიჭს, მაგრამ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ თამარის მოქმედება გამოიწვია მაშფოთარმა თავადობამ.

ვიდრე გიორგი მეფე ცოცხალი იყო, დამდაბლებულნი თავადნი შიშით ხმას ვერ იღებდნენ, მაგრამ მოკვდა თუ არა, მაშინვე აიხსნეს აღვირი და დაიწყეს მოკლებულ დიდების ძებნა. ჯერ მეფე თამარი დასვეს ტახტ-

[1]). იხ. გვ. 279.

ზე, მერმე შეიყარნენ და უთხრეს: აღარ დავემორჩილებით ძველთა ხელის-უფალთა (ჩინოვნიკობას), რადგან მათგან დაძვრცილნი და უპატიოდ დასულნი ვართ, და გვარიანნი და თვით მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახოდ განსულ ვართ უგვაროთა და უხამთაგან« [1]). მაგრამ საქმე ამით კიდევ არ დაწყნარდა.

1177 წელს გიორგიმ ღალატობისათვის ძველი მოხელეები რომ გამოცვალა და ამირ-სპასალარობა და მანდატურთ-უხუცესობა მისცა თავის გაზრდილს ყუბასარს, აი ეს კაცი თუმცა ჯერ ჭაბუკი იყო, უეცრად ფილენჯად ჩავარდა; ველარ ხმარობდა ვერც ენასა, ვერც ხელსა და ვერც ფეხსა, და ამისათვის ეუბნებოდნენ აჯანყებულნი თავადნი თამარს: გამოართვი რაც რამ ქონება აქვს, უძრავი თუ მოძრავი, და ჩვენ მოგვეცით. მეფეს არ უნდა, მაგრამ ძალა-უნებურად ამოქმედებენ იმას. იმან ჩამოართვა ყუბასარს ლორე-სამთავრო და სათავადო და მისცა სარგის მხარგძელს; ამასვე მისცა თანამდებობა ამირ-სპასალარობისაცა.

ამგვარმა მეფის მოქმედებამ ახლა სხვები ააღელვა. ამათი მოთავე იყო ყუთლუ-არსლან, რომელიც, როგორც ეტყობა თათრულს სახელზე, იყო ყუბასარის ან შვილი ან ნათესავი. იმან ჯარის შემწეობით ძალად დაიჭირა ამირ-სპასალარობა და ეწადა ლორეს სამთავროც ჩამოერთმია სარგის მხარგრძელისათვის და გამხდარიყო სომხეთის მეფედ ლორეში და ვასსალად თამარ მეფისა. ამას და ამის თანამოაზრეთ ეწადათ სამუდამოთ გახსნა აგრეთვე იმისთანა სასამართლოსი ანუ კამისიისა, რომლის მოვალეობა უნდა ყოფილიყო გამოეკვლია, ვის რა მიწა-წყალი ეკუთვნის, ვინ არის უფრო ნამსახური, ვის რა ჯილდო ერგება, და მერმე ყველა ესეები უნდა და-

[1]) იხ. გვ. 281.

წერილიყო და წარდგენილიყო თამარ მეფის წინაშე დასამტკიცებლად; ასე რომ ყოველი ამ გვარი საქმე მეფის ხელ-მოწერით უნდა გათავებულიყო. ასე სწადდათ მათ.

როგორც სჩანს მატიანიდგან, ბევრს არ ეჭაშნიკა ასეთი სურვილი. ეს განზრახვა ეუცხოვა თვით თამარსაც. „ესე ვითარ საწყენიცა იყო და ვითარცა შვენოდა მისსა ხელმწიფებასა, და სიბრძნესა და მეცნიერებასა, ეგრე ეწყინა და გაიკვირვა«, სწერია „ქართლის ცხოვრებაში“. თვით მემატიანეც თავის მხრით ამბობს, რომ ეს წესი არის საქმე გონება-მაღლობისა და სილაღით ქცევისაო“ [1]). ამ გვარი შეხედულობისა გამო თამარმა მაშინვე მოახდინა სახელმწიფო თათბირი თავის ერთგულ კაცებთან და გადასწყვიტეს ყუთლუ-არსლანის დატყვევება. ის კიდევაც დაიჭირეს. მაშინ ჯარი აღელდა. მოინდომეს სასახლისათვის გარს შემოდგომა და ძალა-უნებურად განთავისუფლება მოთავისა. ამათ შეჰფიცეს ერთმანერთს კიდეცა. მაგრამ წადილი მაინც არ აღუსრულდათ. მშვიდმა და მშვიდობის მაძიებელმა თამარმა გაუგზავნა აჯანყებულებს ორნი საპატიო დედა-კაცნი: ქართლის ერისთავის რატის დედა ხვაშაქი წოქელ, მეორე — კარაკ ჯაყელი, რომელიც იყო დედა სამძივრისა, და უბრძანა, რომ ფიცით მიენდოთ ისინი და დაერწმუნებინათ, რომ არავის მათგანს არას ავნებს. „ხოლო იხილეს რა ესე განდგომილთა მათ, მაშინვე მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა, მოვიდეს წინაშე თამარისა და დავრდომით თაყვანი სცეს, და აღიღეს ფიცი პატრონისაგან, და მისცეს პირი ერთგულობისა, და ნების ყოფისა მისისა“ [2]).

აი ეს ისტორიულნი გარემოებანი და თავადთა უკ-

---

[1]) იხ. გვ. 281.

[2]) იხ. იქვე გვ. 282.

მაყოფილება იყო. იმის მიზეზი, რომ თამარმა ძველებური, თავის მამის დროინდელი, მოხელეები გამოცვალა და ახლები დააყენა; გამოიკვლია თავადთა უკმაყოფილების მიზეზები და ყველა დააკმაყოფილა და დაამშვიდა. მას არ შეეძლო მომდურება უმაღლესი არისტოკრატიული გვარებისა, რადგან მათ ხელში იყო ძალა და იმათ კარგად ყოფნას და კეთილ-დღეობას მოსდევდა ქვეყნის მშვიდობიანობაცა. საქართველოს მიწა-წყლის მომეტებული ნაწილი იმათ ხელში იყო. მეფეს და ხაზინას არ ჰქონდათ იმდენი მიწა, რამდენიც თავადებს ყველას ერთად. ამისათვის ისინი ძლიერ თავ-გასულნი იყვნენ. ისინი მეფესთან ერთად უვლიდნენ და განაგებდნენ ქვეყნის საქმეს; ისინი იცავდნენ სამშობლო ქვეყანას გარეშე მტრისაგან მეფის ერთობილა. უიმათოთ მეფეს არაარაფერი შეეძლო. ამისათვის ის ერიდება მათთან ჩხუბსა, უკმაყოფილებას და მათს წყენასა. ერთს იმათგანს მიწა-წყლის მფლობელობის უფლებას რომ ჩამოართმევდა, სხვები ამის წინააღმდეგნი ხდებოდნენ, რომ ერთისთვის სამფლობელოს ჩამორთმევით ჩვენზედაც ხიდი არ გაიდოსო, და ამისათვის, რაგინდ დამნაშავენი ყოფილიყვნენ, მეფე არ შეეხებოდა მათს სამიწა-წყლო მფლობელობის უფლებას, მხოლოდ თანამდებობიდგან გადააყენებდა და სხვა ამ გვარ ღონისძიებათა მიმართავდა მათ საწინააღმდეგოთ. სხვაფრივ კი თამარი თავაზიანად ეპყრობოდა მათ. მის მამისაგან დამცირებულნი თავადნი ახლა ისევ წინანდელ პატივში და უფლებაში შეჰყავს. ამით იგებს მათს გულს, იერთგულებს და აყვარებს თავს. ამასთანავე მეცადინეობს, შეარიგოს მტრად გადაკიდებულნი თავადნი; უნდა ყველა დააწყნაროს და ჩამოაგდოს მშვიდობიანობა, რადგან მყუდროება ესაჭიროება საქართველოს საერთო კეთილ-დღეობის საქმეს. ერთის სიტყვით. იმას ჰსურს მოსპოს უთანხმოება და მტრობა

თავადობაში და გახდეს სვეტად, რომელზედაც შესაძლებელ იქმნას დამყარდეს ბურჯი ქართველთ პოლიტიკური და სამოქალაქო ცხოვრებისა და ერთობისა.

ზოგიერთნი ჩვენში ამბობენ, რომ თამარს არა გაუკეთებია-რაო: იმან ის მომკა, რაც სხვებმა დასთესესო. მაგრამ ეს აზრი უსაბუთო და შემცდარი აზრია. ამ დროს ქართველთ საზოგადოების მიმართულება ისეთი იყო, რომ თუ იმას ძლიერი პატრონი მკლავით, ჭკუით, გამოცდილებით და მხნეობით თავს არ დასდგომოდა, არ შეეძლო მშვიდობიანად, ერთგულობით ეცხოვრნა და ემოქმედნა. თამარის გამეფებამდე ქართველთ საზოგადოება ბედის მფარველობით ძლიერ თავს გასული იყო. ამაყი სული ქართველი კაცისა იყო გართული სამშობლო ქვეყნის სიმშვენიერითა და წინაპართა ვაჟკაცურის ცხოვრებითა. იმათ წინაპართ ისე დაშინებული ჰყვანდათ გარეშე მტერნი, რომ ამ ჟამად ქართველობას „ცა ქუდათ მიაჩნდა, დედა-მიწა ქალამნად“. იმას მოსწონდა თავისი თავი და თაყვანსა სცემდა მამა-პაპის ვაჟკაცობას. თავადობა სცხოვრობდა ქალაქებს გარეთ კოშკებში და სცხოვრობდა „არიარალითა“, და ახსოვდა მხოლოდ ხმალი, ხანჯალი და ცხენი. ახალგაზრდანი გატაცებულნი იყვნენ თავის ოცნებებითა. ისინი ეჯიბრებოდნენ ერთმანერთს კარგის ტანისამოსით, მარჯვე ქცევით, აღტაცებულის საუბარით, და ეძებდნენ შემთხვევას, რომ გამოეჩინათ სიმარდე, სიცქვიტე და სიყოჩაღე. ყოველს გასაჭირს შემთხვევაში ამ დროს ქართველი ჭკუას არ ეკითხებოდა. როგორც გული ეტყოდა, ისე მოქმედებდა მისი ჭკუა, ფეხ-მარდობა და მკლავის სიმარჯვე ჯირითობა და ბურთაობა, კარგი ცხენი და იარაღი, გულოვნება და ვაჟკაცობა, უშიშრობა და მტრის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლა იყო პირველი გულითადი სურვილი ქართველი კაცისა. ყველა ეძებდა შემთხვევას, რომ

თავი ესახელებინა და თავი გამოეჩინა თვის ტოლ-ამხანაგობაში, და ღირსი გამხდარიყო ტაშის კვრისა და ქებისა.

ხალხის ამ გვარს მიმართულებას ესაჭიროებოდა გზა გასავალი. საჭირო იყო ძლიერი ჭკუის პატრონი, რომ ასე თავ-გასული ხალხი ჯერ შეეყარა ერთად, ჩაეგონებინა ყველასთვის სარგებლობა თანახმად ერთად მოქმედებისა, დაერწმუნებინა ყველა, რომ ქვეყნის კეთილდღეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ისინი ძმურად იმოქმედებენ საყოველთაო ბედნიერებისათვის. მერმე მიემართა ეს შეერთებული ძალა ბამაცი ხალხისა სამეფოს გასაძლიერებლად. ასეთი პირი იყო მეფე თამარი, იგი იყო ბურთი, რომელსაც გარს შემოეხვია ქვეშევრდომთ ერთგულება და სიყვარული. იგი იყო სვეტი, რომელზედაც დამყარდა ბურჯი ქართველ ხალხის ერთობისა. მან ისეთი გავლენა იქონია ხალხზე თავის წყნარის ხასიათით, კაცთ-მოყვარეობით, დამნაშავეთ შეწყნარებით, გულ-კეთილობით, ღარიბ ხალხისთვის შემწეობის მიცემით, ჭკუით და სამართლიანობით, რომ ყველა ერიდებოდა ცუდ-კაცობას, რომ ეს საწყენოდ არ დარჩენოდა მისგან გალმერთებულ მეფეს.

აი აქ არის თამარის დიდება, აქა სჩანს მისი ჭკუა და გამჭრიახობა, ის ძალა, რომელმაც აღაყვავა მის დროს საქართველო. მისი გენია მიხვდა, რანაირად უნდა მოქცეულიყო, რომ ქართველ ხალხის მიმართულებას ეპოვნა გასავალი გზა, რომ იგი შესდგომოდა სახელმწიფო ინტერესების დაცვას, ეროვნული ცხოვრების აღყვავებას, სამეფოს გაძლიერებას და დიდებას. აი აქ არის მისი გენიოსობა და ის ჯადოქრობა, რომელიც ამოქმედებს ქართველებს ერთად მტრის წინააღმდეგ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ქართველთა სიამაყე უფრო განცხოველდა, როცა აღვიდა მზეთ-უნახავი თამარი სამეფო ტახტზე, როცა ის

შეიმოსა მეფურის პორფირითა. მისმა მშვიდობიანმა, წყნარმა ხასიათმა, კაცთ-მოყარეობამ, მშვიდობიანობის და ერთობის მეძიებლობამ და მთვარესავით გაბადრულმა მისმა სახემ ქართველებს თავ ბრუ დაჰხვია. იმან შეჰყარა თავის სასახლეში დიდებულთ კაცთ ცოლები, პოეტნი, ეპისკოპოსნი, წარჩინებულნი და დიდებულნი კაცნი, და ახალგაზდობას თავზე ხელს უსვამდა. მას ჰყვანდა სასახლეში აგრეთვე მრავალნი თავადნი და აზნაურნი, რომელნიც „დარბაზის ყრმად“ იწოდებოდნენ [1]). სასახლეში ჰყვანდა აგრეთვე მრავალნი ქალნი, რომელთაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ჭრა-კერვას. ამათი ზედამხედველი იყო „დიასახლისა“ [2]).

ეს ახალგაზდობა ეძებდა შემთხვევას მამაცობა გამოეჩინა, რითიმე თავი ესახელებინა და ღირსი გამხდარიყო თამარის ლამაზის ხელებით ტაშის კვრისა და ქებისა. იქნება თვით თამარიც თავის მხრით ეძებდა ქებას და ბადლობას თავის ქვეშევრდომთაგან. მასი ჭკუა-გონება იყო დატვირთული იმ ცოდნითა, სწავლითა, გამოცდილებითა და ზნითა, რაც იყო ამ დროს ქართველობაში. ის მოწამეა მამის დროინდელი ცხოვრებისა; და აქ გამოიკვანძა მისი მსჯელობა, რწმუნება, ხასიათი და მიმართულება. ამისათვის ყველასათვის უეჭველი უნდა იყოს, რომ ყოველი მოქმედება, განკარგულება, განჩინება და ცვლილება სამეფოს ცხოვრებაში იყო გამოწვეული საზოგადოების მდგომარეობისა, მიმართულებისა და მოთხოვნილებისაგან.

თამარმა რომ დაამშვიდა საზოგადოება, შეარიგა გადამტერებულნი თავადნი, გაარიგა შინაური საქმეები, შეარიგა და შეარიგა ყველანი და შეაყვარა თავი, ჩაუნერგა ყველას ტახტის ერთგულება და თანხმობით ერთად მოქმედების სურვილი სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისა და დიდებისათვის, მაშინ მიაქცია ყურადღება

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 288.
[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 282.

სამეფოს საშძღვრებს და მტერთ შეშინებას და ქართველთადმი პატივის-ცემის ჩაგონებას. მაგრამ აი აქედგან შეუდგა იმას ცხოვრებაში დავიდარაბა და სამეფოში ღალატობა და შფოთი. ის იყო დედა-კაცი და ლაშქრიანობაში ვერ ბიტანდა იმდენ ჯაფას, რამდენსაც კაცები. მის ნაზს ბუნებაში იყო გენიოსური ჭკუა, იგი თავის გავლენით ყველას ერთად აკავშირებდა, მაგრამ ბრძოლაში კი მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. ამ მიზეზისა გამო 1189 წელს შეიყარა ჯარი, თავადობა, კარის-კაცნი, მღვდელ-მთავარნი და უთხრეს თამარს: რადგან ჩვენს მეფეთა გვარში შენს მეტი აღარავინ დარჩენილა, და შენც ჯერ არც ქმარი გყავს და არც სხვა ვინმე მამა-კაცთაგან ნათესავი, რომ ჯარს წინ მიუძღოდეს მტრის დასამარცხებლად, ამისათვის გთხოვთ ქმარი შეირთოთ და მოგვცეთ წინამძღვრად ჩვენდა. ეს მათი განზრახვა მან ძლიერ შორს დაიჭირა და ძლიერ გაუკვირდა. იმან ისეთი გონიერება გამოიჩინა ამ შემთხვევაში, რომ ქართველობაში მისებრი გონიერი ამ დროს არავინა სჩანს. ის ყველასა სჯობია ჭკუით, გონიერებით და ცოდნით. ქართველებს ჯერ სასიძო არ უნახავთ და ეუბნებიან იმას: შეირთე ქმრად რუსთ-ხელმწიფის შვილი გიორგიო; მაგრამ ის უპასუხებს: კაცნო! ვითარ ღირს, შეუტყობლად ესე ვითარისა საქმისა ქმნად, არა ვიცით კაცისა ამისთვის უცხოსა, არცა ქცევა, არცა საქმე, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მხედრობისა და სიქველისა; მაცადეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე გინა სიდრკვე მისიო«. ამ მშვენიერმა სიტყვებმა იქონიეს გავლენა. შეერყათ სურვილი რუს გიორგის ქმრად მოყვანაზე. მოიწადინეს საბერძნეთის იმპერატორის ძმის-წულის ალექსიზე ჯვარის დაწერა შისი. ეს პირიც ამ დროს საქართველოში იყო, მაგრამ ეს აზრი ბოლოს უარ-ჰყვეს, ამისათვის რომ იგი ნათესავი იყო თამარისა. ამავე დროს

აქ იყვნენ ოვსთა მეფის შვილნიცა. დაუბრუნდნენ ისევ რუს გიორგის, მოიყვანეს ყიფჩაყიდგან და ჯვარი გადასწერეს თამარს. თავისუფალს მეფეს ამ შემთხვევაში არ შეეძლო თავისუფლად და თავის ნებაზედ მოქცეულიყო, რადგან ქმრის შერთვას სთხოვდა მთელი ერი. იმას უნდა აესრულებინა ერის სურვილი სამაგალითოდ თვის ქვეშევრდომთა, რომ მცირენი უფროსთ ემორჩილებოდნენ და შვილნი მამათ წინააღმდეგნი არ იყვნენ. იმას, მართალია, აოც მამა და აოც დედა ახლა ცოცხალი აღარ ჰყვანდა, მაგრამ მათ ნაცვლად იყვნენ მთელი ერი და ქათალიკოზი. ესენი სთხოვდნენ მორჩილებას და ისიც, თუმცა არა ჰსურს გიორგი ქმრად, ემორჩილება დროებით საზოგადო სურვილს, ითრგუნავს საკუთარს გრძნობას და აღიარებს ერის უფლებას უმაღლეს ხელმწიფეფებად. მაგრამ საზოგადოება ტყუოდა წინაშე თავის მეფისა. მალე დამტკიცდა, რომ იგი საზოგადოება, სცდებოდა, როცა ერის სურვილს უმორჩილებდა კერძო ადამიანის გრძნობას—სიყვარულს. თამარ „წყნარი, ნარნარი, ცნობიერი და გონიერი“ სასტიკად დასჩაგრა საზოგადოების დაჟინებულმა თხოვნამ, შეერთო მას ის, ვინც არ ეპრიანებოდა. არ შეიძლებოდა კაცის მიმართულების შეუტყობლად მასზე ჯვარის დაწერა. ორი წლის ნახევრის განმავლობაში რუს გიორგიმ გამოიჩინა თავისი ბუნების და ჭკუის მიმართულება. იმან დაიწყო მთვრალობა, ბოროტ საქმეთა ჩადენა, ჩხუბი და უწესობა და „სოდომურიცა ქცევა მოიპოვა“. თამარმა ბევრს ხანს უთმინა და მიუჩინა ქათალიკოზი და წარჩინებულნი კაცნი, რომ დაარიგონ და მოაქცინონ კეთილს გზაზე, მაგრამ ვერას გზით ვერ გააკეთილშობილეს მისი ქცევის გზა-კვალი. ამისათვის ჰრცხვენოდათ თამარისა იმათ, ვინც მას პირველში ძალა დაატანა გიორგი რუსის ქმრად შერთვაზე; ერთმანერთს აყვედრიდნენ და ემდუროდნენ, რომ

არ გაუგონეს პირველში თამარს, რომელიც კიდევ ითმენდა ავს ქმარს. ბოლოს თამარი, როცა ორი უბრალო კაცი დასაჯა გიორგიმ, მოთმინებიდგან გამოვიდა და განკიცხა ის თავის სახლში და მერმე ასე უთხრა: „თუმცა ვიცი საღმრთო წერილით, რომ ცოლი არ უნდა გაეყაროს ქმარსა, მაგრამ შენ არცხვენ და ჰბილწავ კაცის გვამს, რომელიც არის ტაძარი ღვთისა; და მე არ შემიძლიან მრუდის ხის აჩრდილის გასწორება, და უბრალოდ განვიყრი ტვერსაცა, რომელიც აღმეკრა შენ მიერ". ხალხმა გიორგის მოკვლა მოინდომა, მაგრამ თამარმა დაატუსაღა გარყვნილი ქმარი, მისცა საგზალი, ჩასვა ნავში და შავ-ზღვიდ გაგზავნა საბერძნეთში ტუსაღად (1192 წელს).

თუ მართლაც, როგორც ამბობს „ქართლის ცხოვრება", ისრე აღელვებული, გაბრაზებული და გაჯავრებული იყო თავადობა და ერი გიორგიზე, რომ მისი ნაკუწ-ნაკუწად ქცევა უნდოდა, მაშ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მომეტებულმა მისმა ნაწილმა, ჯერ არ იყო გასული ერთი წელიწადიც მას აქეთ, რაც გიორგი გაგდეს, თამარს უღალატა და მოინდომა ისევ რუსის გამეფება, როცა ეს უკანასკნელი, ტყვეობიდგან გამოქცეული, მოვიდა საქართველოს საბერძნეთის ჯარით და და ლამობდა დაკარგული ტახტის დაბრუნებასა. რა იყო, ან ვინ იყო ამის მიზეზი? ნუ თუ თამარი სტყუოდა გიორგის წინაშე? რით დაამტკიცა თამარმან, რომ გიორგი მართლაც დამნაშავე იყო? ქართლის ცხოვრება ამბობს: „ვაზირთა და დიდებულთა უგრძნეს ესე" გიორგისო. საიდგან? როგორ? ნუ თუ იმით მიჰხვდნენ გიორგის ცუდად ქცევას, რომ ორი წლის ნახევრის განმავლობაში თამარს შვილი არ გაუჩნდა? სრულიადაც არა. ამაში დამნაშავე თვითონ თამარი იყო. იმან გიორგი არ მიიკარა

ახლოს. იმას ეწადა, როგორც სთქვა პირველშივე, ჯერ შეეტყო გიორგის მიმართულება, ხასიათი, ჩვეულება და ზნე და მერმე, თუ მოეწონებოდა, ქმრად ეთვისა. ამის მოწადინე იყო მისი გამზრდელი რუსუდანიცა, მისი მამიდა, რომელსაც, ჩემის აზრით, არ ეწადა პირველშივე გიორგის მოყვანა თამარის ქმრად. არ უნდოდათ აგრეთვე იმ თავადთაცა, რომელთაც საბერძნეთის პრინცის ალექსის ქმრობა ჰსურდათ. რუსუდანს კი არც ალექსი უნდოდა, არც გიორგი და ეწადა თამარის ქმრად თავისი შვილობილი დავით სოსლანი, გვარად ბაგრატიონივე, რათა? რისთვის? პირველად ამისათვის, რომ ამ დროს თამარს არავინ არა ჰყვანდა მამა-კაცთაგან ნათესავი თავის გვარისა და ეს იყო მემკვიდრე საქართველოს ტახტისა, მეორედ—ის იყო მოყვანილი საქართველოში გიორგი მეფის სურვილით, რომ მეფედ დაესვათ, ამ მიზეზით ამ დროს ოსეთიც საქართველოს სამეფოს შემოუერთდა [1].

---

[1]) ვეფხვის ტყაოსანის მეხუთე თავში ნათქვამია:
„ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა, მზისა დარსა,
ჰმუნვა ჰქონდათ, ჟამი იყო, მით აეხვნეს სპანი ზარსა.
ვაი კრული დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა“
მეფემან ჰსთქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“.

„მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად.
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად ხელმწიფეთა ქცევა ქმნათად.
და მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“.

აი ეს დავით სოსლანი—ტარიელი უნდოდა რუსუდანს თამარის ქმრად და ამასაც ეს ეწადა, ამისთვის რომ მამა-კაცთაგან ბაგრატიონთ გვარში ეს იყო საქართველოს ტახტის მემკვიდრედ. თვითონ დავითიც ამის მოწადინეა.

„ერთი-ღა მე ვარ მემკვიდრე, ყველა თქვენ მოგხდომია;
ამოსწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;
დღესამდი ტახტი უჩემოდ არავის არ მოგნდომია“.

რადგან ასრეთი სურვილი ჰქონდა რუსუდანს, და პირველში არ აღუსრულდა, ამისათვის გიორგის ქორწილში არ დაესწრო, და გიორგი რომ გააგდეს, მერმე ის საიდაღაც მოიყვანეს და სთხოვეს,

აი ეს დავით სოსლანი ეწადა თამარსა და ამისთვის გიორგი არ მიიკარა ორი წლის ნახევრის განმავლობაში, რის გამო იმას არც შვილი გაუჩნდა. იმას უნდა ეცადნა სამი წელიწადი, როგორც სწერია ვეფხვის ტყაოსანში, შეენახა თავისი თავი უმანკოდ, რომ დაუჭკნობელი შეჰყროდა თავის საქმროს—დავითს. ხალხის გადმონაცემი ამბობს, რომ ვიდრე თამარი მეორე ქმარს შეირთავდა, ისრეთი წმინდა და უმანკო იყოვო, რომ ლოცვის დროს მიწიდგან ერთ არშინზე მაღლა ჰაერში იდგაო. მისი ქალწულება, ვგონებ მოჩანს იმის (თამარის) ამ სიტყვებშიაც: »მოწამე არს ჩემდა ღმერთი, არაოდეს ყოფილა გულსა ჩემსა წადილი ქმროსნობისა და ქორწინებისა. არცა პირველ და არცა აწ, რომ იყოს ვინმე მკვიდრი საყდრისა ამის ჩემისა, რომელი მერწმუნა პირველ ღვთისაგან დი მერმე მშობელთა ჩემთაგან, არც ახლა ვისურვებდი, და კიდევაც ვარ ამისი მოაჯე“ [1]).

ერთის სიტყვით თამარი რომ მართალი ყოფილიყო იმაში, რაშიაც გიორგის ამტყუნებდა, მაშინ თავად-აზნაურობა მას არ უღალატებდა. მართალია, გიორგი იქნება მართლაც ითვრებოდა, როგორც რუსი კაცი, იქნება სასტიკიც იყო, იქნება უწესოთაც იქცევოდა, მაგრამ, ვგონებ ამის მიზეზი თვითონ თამარი იყო. გიორგი არ უყვარდა იმას და ამისათვის, როგორც უბედურ კაცმა დაიწყო სიმთვრალე და უწესობა. გიორგი რომ სრულიად მტყუანი არ იყო, ამას ამტკიცებს თავად-აზნაურობის ღალატობა. ჯერ ერთი წელიწადი არ იყო გა-

---

რომ თამარისათვის დავითი ქმრად შეერთო. ის მაშინვე თანახმა გახდა, ჯვარის დასწერა თამარს თავის გაზრდილზე, ქორწილი გადახადეს დიდუბეში, მასპინძლად იყო თვით რუსუდანი, რომელმაც პირველ ქორწილში მონაწილეობა არ მიიღო. (იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 285, 286, 291, 292 და 293).

[1]) იხ. გვ. 292

სული, რაც თამარმა დავითზე ჯვარი დაიწერა, შავ-ბედით გიორგის აღმოუჩნდნენ მომხრენი. ის რომ სრულიად მტყუანი ყოფილიყო, იმის დაბრუნებას და გამეფებას არ მოიწადინებდნენ: იმერეთი, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, შავშეთი და კლარჯეთი. ეტყობა მთლად არ იყო მართალი თამარიცა. მართალია, მოთავე ამ საქმისა იყო გუზანი, აბულ ასანის შვილი, იმ აბულ-ასანისა, რომელმაც პირველად ურჩია ქართველებს გიორგის თამარისთვის ქმრად მოყვანა ყიფჩაყეთიდგან და იქნება თავდებადაც დაუდგა, რომ არა გევნება-რაო, ოლონდ კი მოდი თამარზე ჯვარი დაიწერეო, და ახლა, ის რომ გააგდეს, წაესარჩლა, მაგრამ მაინც არ არის დასაჯერებელი, რომ თვალი დაეხუჭა ქართველობას და ისრე მიმხროდა გუზანს ყოველისფრით გარყვნილი კაცის გასამეფებლად. ეტყობა გიორგისაც ჰქონია რაიმე სიმართლე და სიკეთე. თამარის მოღალატეთ ის მოიყვანეს იმერეთში და გეგუთში სამეფო ტახტზე დასვეს.

რუსის პარტიას შეადგენდნენ გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, ბოცო ჯაყელი, რომელსაც სამცხის სპასალარობა ჰქონდა, მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი, ორბელიანი, პატრონი ორბეთისა და კაენისა, სვანეთის ერისთავი ბარამ ვარდანის ძე, რაჭის ერისთავი კახაბერი კახაბერის ძე, აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძე და აგრეთვე იმერეთი.

გუზანი, აბულ-ასანის შვილი, ვსთქვათ, როგორც ყიფჩაყელი თათარი, მიემხრო გიორგის ამისათვის. რომ ისინი ორივენი ერთის მხრის კაცები იყვნენ და გიორგის საქართველოში მოსვლაც მისის მამის აბულ-ასანის რჩევით მოხდა [1]). მაგრამ რა მიზეზით ულალატეს თამარს ქართველებმა? რაში ამტყუნებდნენ თამარს? ისისი თამა-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 284, 286, 294 და 297.

რისაგან დიაღ ამაღლებულნი და დასაჩუქრებულნი იყვნენ მიწა-წყლითა, და ამ მხრით არ შეეძლოთ იმათ სამდურავი ეთქვათ. რაღაცა სხვა მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ ღალატობისა; მაგრამ ამაზე ლაპარაკს ვსწყვეტ ახლა და გადავდივარ იმ კითხვაზე: როგორ მოიქცა თამარი ამ გასაჭირს დროს?

თამარმ, რომ შეუტყო ღალატობა, არ დაჰკარგა ჭკუა-გონება, ის არ შეშინდა და არ გაიქცა მთებში. ის მხნედ და უშიშრად დაუდგა წინ განსაცდელს. დაიწყო აჯანყებულთ დამშვიდების ღონისძიება. გულ-დამშვიდებით, აუჩქარებლად იმან შემოიკრიფა ჭკუა-გონება და შეუდგა აჯანყების მიზეზების გამოკვლევას. „სიტყვითა ოქრო-ნეტარითა მართლად იკითხევდა მიზეზსა«, ამბობს „ქართლის ცხოვრება«. ის უგზავნიდა მაშფოთრებს ხან თევდორე ქათალიკოზს, ხან ანტონ ქუთათელს და ჰკითხავდა იმათ ღალატობის მიზეზს; გზავნიდა აგრეთვე სხვა ეპისკოპოსებს, თავის ვაზირს ეჯიბს (ადიუტანტს) და მესტუმრეს (ცერემონმეისტერი); მაგრამ მოღალატენი არავითარს მიზეზს არ ამბობდნენ.

ამის შემდეგ თამარი შეუდგა აჯანყებულების დამშვიდების საქმეს ხმლის ძალითა. იმან უბრძანა ამირსპასალარს გამრეკელს საჩქაროდ შეეყარა ერთგული ჯარები. ასეთივე ბრძანება გაუგზავნა ოთხთავე ძმათა მხარგრძელებს, თორელებს და კიდევ სხვებს, ვინც თავის ერთგულად მიაჩნდა. ამავე დროს თამარის ქმარმა, დავით სოსლანმა, საჩქაროდ შეადგინა თავისთვის ლაშქარი კახეთისა და ჰერეთის თავად-აზნაურთაგან; ამათში ერივნენ ყიფჩაყელნი თათარნიც, რომელნიც შეჰყარა ქართლის თავადობამ და აგრეთვე იყო დიდი გუნდი მთელი კავკასიის მთიურ ხალხებისა. ჯარები ჯერ შეგროვდნენ ჯავახეთში, საიდგანაც, თამარის ბრძანებით, უნდა შეეტყოთ წინააღმდეგთა ძალა, მერმე მოვიდნენ და დადგნენ ბორჯომის ხეობაში ერთის მტკვარზე გადებულის ხიდის

ყურზე, სადაც ხეობა თავდება და ქართლი იწყობა. ხიდის ერთი მხარე დაიჭირეს თამარის ჯარებმა, მეორე — მისმა მოღალატეებმა. აქ მოუხდათ ომი, მაგრამ იმ დღეს ღამემ მოუსწროთ „და წყლისა შუა-ყოფამან“ გააშველა. იმ ღამეს მოღალატეთ ითათბირეს და გადასწყვიტეს, რომ თამარის დამარცხება არ შეგვიძლიანო და ამისათვის უკან უნდა დავიხიოთ, დავიჭიროთ კარგი მაგარი ადგილები და მერმე როგორმე ღალატობით დავამარცხოთ მისი ჯარები. მაგრამ დილით თამარის ჯარებმა რომ ნახეს მტრის უკან დაწევა, გაიარეს ხიდი, გაედევნენ უკან და თმოგვსა და ერუშეთს შუა ნიალის ველზე შეიქნმნა კიდევ ომი. დააყარეს ერთმანერთს ისრები, წაუშინეს ხმლები და ახეთქეს ჰოროლები. თუმცა ორივე მხარე თავგანწირულად და გაბრაზებიდ იბრძოდა, მაგრამ მხნე გამრეკელმა და მხარ-გრძელებმა, რომელთაგან ივანე დაიჭრა, დაამარცხეს მეფის მოღალატენი და მრავალი მათგანი დაატყვევეს; მაგრამ თამარმა „არა-რაი ავნო, არცა სიკვდილითა და არცა დაკოდითა“.

თვითონ თამარი ამ დროს, როცა ესენი იბრძოდნენ, თავის ქმრის დავითისაგან ქართველებისა, კახელებისა, ჰერეთელებისა, ყიფჩაყელებისა და კავკასიის მთიურ ხალხებისაგან შედგენილ რაზმით, სადღაც მაღლობლად იდგა. აი აქ მოაჭენა ცხენი სარგის ვარდანისძემ და ახარა თამარს მოწინააღმდეგეთა დამარცხება და სრულიად გაბნევა მათის ჯარებისა. მეფე დიდს აღტაცებაში მოიყვანა ამ ამბავმა და „მიმცემელმან ღვთის ჯეროვანისა მადლობისამან, ნახნა თვისნი მოყმენი პირითა ბრწყინვალითა და გულითა სახიერითა და თვალითა ტკბილითა“. მაგრამ დიდხანს არ გასტანა სიხარულმა. თურმე ნუ იტიტყვით, იმ რაზმს, რომელიც თამარს გარს ეხვია მცველად, განზრახვა ჰქონდა, თუ ვიორგი გაიმარჯვებდა, აეკლოთ მთლად ქართლი და თამარი და დავითიც გაე-

ტაცნათ კავკასიის მთებში. პირველად თამარმა ეს ვერ შეატყო იმათ, და სიხარულით არც ყურადღება მიუქცევია ჯერ-ჯერობით იმათთვის, მაგრამ მერმე რომ შეჰხედა იმათ და ნახა, რა მწუხარება იხატებოდა მათ პირის სახეზედ, ძლიერ შეწუხდა, ჩაჰკიდა თავი, აღარა უთხრა-რა, და დაითხოვა ეს ძნელად მისანდობელი გუნდი კავკასიის მთიურ ხალხებისა და სხვათა ახალთა მოღალატეთა [1]).

თამარისაგან მოღალატე ჯარების დამარცხებას ახლა სხვა ცუდი საქმეები მოჰყვა. მოღალატეთ ერთმანერთს დააბრალეს შეცდენა, მოუვიდათ ჩხუბი: ზოგმა თავისი ღვიძლი ბიძა მოკლა, ზოგმა დასტოვა თავისი მამულ-დედული და ციხე-სიმაგრეები და გადიხვეწა უცხო ქვეყანაში; ზოგმა სჯულზე ხელი აიღო და გადიკარგა სამშობლო ქვეყნიდგან, ზოგნი ყელზე საბელ მობმულნი მოვიდნენ და შეეურიგდნენ მეფე თამარს [2]).

ნურავინ იფიქრებს, ვითომც თამარი სასტიკი ყოფილა, არა ჰქონია დედობრივი გულ-შემატკივარი გრძნობანი, უწყალოდ უტანჯნია თავისი მოღალატენი და ამისათვის, ვითომც ისინი ეხვეწებოდნენ იმას და ეაჯებოდნენ შებრალებას. სრულიადაც არა. „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, რომ თამარის დროს „არცა-ვინ დასჯილი სიკვდილის ღირსთაგანი, არცა-ვის, სამშობლოდგან განდევნის ღირსთა, ჩამორთმევიათ ღირსება, (?) არცა-ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოკვეთილ იქმნა, არცა სიბრმითა დაისაჯა, ამისათვის რომ ის ვერაგობით არ განაგებდა სამეფოს, არამედ სიბრძნისა წინაძღომითა, სიმართლითა და უმანკოებითა, იაკობის სიმშვიდითა და აბრაა-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 296.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 296.

მის სიუხვითა, მოწყალებითა იესო ღვთისა მსგავსითა, და სამართლისა მისისა მობაძვითა» [1]).

თამარის ასრეთს ტკბილს და კაცთ-მოყვარე ხასიათს ამტკიცებს თვით მოპყრობაც მოღალატეებისადმი. მე არ მახსოვს კაცობრიობის ისტორიაში ისეთი მეფე, რომ თამარზე უფრო სულგრძელი ყოფილიყოს. გასაკვირველია, მაგალითად, რომ თამარმა დაიჭირა გიორგი რუსი, მაგრამ არაფერი ცუდი არ შეამთხვია და დიდის დიდებით გაისტუმრა ისევ საძეფოდგან. აგრეთვე არავითარი ვნება არ მისცა იმერეთს, აფხაზეთს, სამეგრელოს, სვანეთს, რაჭას, გურიას, რომელთაც თამარს უღალატეს, გიორგი რომ დამარცხდა. ამ მაზრების მცხოვრებნი მოვიდნენ და შეურიგდნენ თამარს, ისეთი ჭკვიანი და გონიერია ძლევამოსილი თამარი, რომ ამ შერიგებას ის თვითონვე სთხოვს დამარცხებულთ მოღალატეთ. ის მოდის გორის მაზრაში, ნაჭარმაგევს, რომელიც ძველადგანვე მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია იყო და ახლა სოფელია და სახელად ჰქვიან კარალეთი [2]). აქ მოდიან მასთან მოღალატე თავადთაგან კაცნი და სთხოვენ შერიგებას. შუაში შემოდიან დედოფალი რუსუდანი, თამარის გამზრდელი, ქათალიკოზი, ჭიაბერი მანდატურთ-უხუცესი და „სხვა ეპისკოპოსნი“. ესენი თავდებად უდგებიან მოღალატეთ, რომ არ გევნებათ-რაო და ისინი მოდიან ნაჭარმაგევს და ურიგდებიან სულს-გრძელს, მშვიდობის მოყვარეს და სამშობლო ქვეყნის ბედნიერების მსურველს მეფე თამარს. „შეიქმნა მშვიდობა, და ერთობა და სიხარული, რომელი არასოდეს ვის უხილავს“ [3]).

მაგრამ ერთად ერთი კაცი კიდევ არ ისვენებდა და

---

[1]) იხ. იქვე გვ. 324.

[2]) იხ. ვახუშტის გეოგ. გვ. 250.

[3]) იხ. გვ. 297.

არღვევდა მშვიდობიანობას და ამწარებდა თამარს. ეს კაცი იყო გუზანი, რომლის მამასაც თამარმა, როცა გამეფდა, მისცა ქართლისა და თბილისის ამირობა [1]). ამ კაცს, თუმცა თამარმა დიდი სიკეთე უყო: „ძველთა მეფეთა და ტაოელთა დიდებულთა ადგილთა დაადგინა“, მაინც კიდევ უღალატა. ის თუმცა მოინათლა, გული მაინც თათრისა ჰქონდა. მას რაღაცაზე გული ეთანალრებოდა: „განდგა, და გაიტანა „ტაოს-კარი, ვაშლოვანი და სხვანი ციხენი მრავალნი და წარვიდა (მცირე აზიაშია) ქვეყანასა შაერმანისასა“. შაერმანმა გუზანი პატივით მიიღო, რადგან იმას ეწადა ტაო-კლარჯეთის გადაქცევა თურქების სავასალო სამფლობელოდ. ამის თანახმა იყო სვე-უბედური გუზანიცა. შაერმანმა გამოგზავნა კიდეც თათრის ჯარები კლარჯეთის ციხეებში ჩასაყენებლად. მაგრამ თამარ ფხიზელმა არ მოითმინა ეს საქმე. გაგზავნა იქ მაშინვე სარგის თმოგველი ჯარებით, რომ მან არ შემოუშვას თათრები. ამან დაამარცხა მცირედის რაზმით შეარმანის ჯარები და გუზანის ცოლ-შვილიც დაატყვევა. ამის გამო ასტყდა მცირე აზიის თურქებისა და თამარს შუა მტრობა, და რით გათავდა ის, ამას მერმე მოვიხსენებთ, ახლა კი დავასრულებ გუზანის ამბავს. ამან თავისი წადილი ვერ აისრულა და ცოლ-შვილიც წაართვეს, და დაიწყო „კოლას სადამე მთათა შინა ავაზაკობა მალვით“, ერთხელ იმას მოასწრეს ბალახის მთიბავებმა, დაიჭირეს და მოიყვანეს დავით სოსლანთან. რადგან ამან იცოდა თამარის დიდი შებრალება და მოწყალება, ამისათვის აღარ დაეკითხა იმას და თვალები დასთხარა, და ამით დასრულდა მისი ისტორიული მნიშვნელობა [2]).

---

[1]) იხ. გვ. 284.

[2]) იხ. გვ. 324.

ამ კაცის ისტორიულ ასპარეზიდგან ჩამოცლის შემდეგ თამარს შინაური მტერი აღარა ჰყავს. საქართველო დამშვიდდა. ყველამ გაიგო და იცნო მეფის ძალ-ღონე და სიძლიერე. მართლაც რომ გასაკვირველია ამ დედაკაცის საქმე. აღვიდა სამეფო ტახტზე თუ არა, მაშინვე თან აჰყვა მას უბედურება. მან ნახა მრავალჯელ ღალატობა. მას არ აკლდა ოჯახშიაც, როგორც უკვე ვნახეთ, უბედურება, სიმწარე და უსიამოვნება. რა ძალა, რა ზნე, რა მიმართულება და ხასიათი ჰქონდა ისეთი, რომ მან ყველა აიტანა, გული არ გაუტყდა, არ დაიჩაგრა და ბოლოს ყოველს ბრძოლიდგან ძლევა-მოსილი გამოვიდა. ის იყო ობოლი. იმას ახლო აღარა ჰყვანდა არც მამა, არც დედა, არც ძმა, არც ბიძა და არც არავინ სხვა თავის გვარის კაცი—ნათესავი, გარდა მოხუცებული რუსუდან დედოფლისა, რომელმაც გაზარდა და ახლა დედობას უწევდა. არის კიდევ ერთი ვიღაცა დედაკაცი ხასისაგან ნაყოლი და „რეცა სახელ-დებული შვილად მეფისა", მაგრამ რა არის თამარისა, არა სჩანს. მხოლოდ იმ დროს, როცა თამარს ლაშა-გიორგი გაუჩნდა, მაშინ ვიღაცა ქალმა ძღვენი მოართვა რუსუდან დედოფალთან ერთად და აი აქ არის ის წოდებული უსახელოდ თამარის დათ [1]). მაგრამ ჰშველოდნენ თუ არა ესენი იმას სახელმწიფო საქმეებში, არა სჩანს. მართალია, პირველში რუსუდანი მხურვალე მონაწილეობას იღებდა საქმეებში, მაგრამ, რამდენადაც დრო გადის, იმდენად ის მოხუცებაში შედის და აღარა სჩანს ისტორიულს ასპარეზზედ. რჩება მარტო თამარი და ის თავის ღონიერის ჭკუითა და მხნეობით იცავს სახელმწიფოს ერთობას. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, რომ „დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვერ აჯობებსო". არამც თუ

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 290 და 298.

»ცხრა უღელა ხარმა, არამედ მთელმა სახელმწიფოებმა და შინაურმა მოღალატეებმა თამარი ვერ დაამარცხეს და გული ვერ გაუტეხეს. იგი დიდის ჭკუითა და კეთილგონიერებით, დარიგებითა და შენდობით ებრძოლა შინაურს მტერს; დაამარცხა, შეარიგა ყველანი და ჩამოაგდო ერთობა და ძმობა. არასოდეს არც ერთ მეფის დროს არ ყოფილა იმდენი შინაური ღალატი, აღრეულობა და შფოთი, რამდენიც იყო თამარის დროს. ამასთანავე შეთქმულობა და ღალატი, რომელიც მის დროს მოხდა, განირჩევა წინანდელსა და შემდგომს ამ გვარს შემთხვევათაგან მით, რომ იგი შეთქმულობა და ღალატი, დიდის წინდახედულობით იყო შემდგარი. ამას წინაც და მერმეთაც, მართალია, თითო-ოროლა თავადიშვილი ტურასავით გამოვარდებოდა ბ ამღვრევდა საზოგადო ცხოვრებას და არც საშიშო იყო ხოლმე, ხოლო მაშინდელ ღალატობაში მონაწილეობას იღებენ მცირე-აზიის თურქთა სულთნები და საქართველოს წარჩინებულნი და სახელოვანი პირნი, როგორნიც იყვნენ მაგალითად: დადიანი ვარდან, სპასალარი ბოცოს ძე ბოცო ჯაყელი, გუზანი, ერისთავი კლარჯეთისა და ტაოსი [1]). მაგრამ თამარს მაინც ვერაფერი დააკლეს აჯანყების მომხრეებმა. იმან ყოველიფერი აიტანა, არ დაუთმო არავის ტახტი, არ მისცა ნება საქართველოს ერთობის დარღვევისა; ყველა მაგრა მობლუჯა მეფურის უფლებით შეჭურვილ და შემოსილ მკლავის სიძლიერითა.

აბა ვინ იტყვის, ამაების ჩამდენს დედა-კაცზე, რომ იგი არ იყო ძლიერი, დიდი და სახელოვანი მეფეო; რომ მას თვითონ არაფერი გაუკეთებია: იმან მომკა მხოლოდ ის, რაც მისმა წინაპრებმა დათესესო. ამის თქმა ცოდვაც იქნება და უსამართლობაც. მას გადმოსცეს არა კე-

---

[1]) იხ. გვ. 312.

თილად გაწყობილი სამეფო, არამედ დომხალივით არეულ-დარეული წყობილება სამეფოსი, სადაც ერთი აღმა ჰხნავდა, მეორე—დაღმა, ერთი წაღმა, მეორე—უკუღმა. მაგრამ თამარის ღვაწლი და დიდება ჯერ კიდევ სად არის სრულად მოხსენებული. როცა შინაური ცხოვრება დააწყნარა, ჩამოაგდო ქართველობაში ერთობა, ძმობა და სიყვარული, მაშინ მან მიაქცია თავისი გამჭრიახი გონება სამეფოს კეთილ-დღეობას და გაძლიერებას, ანუ უფრო უკედ რომ ვსთქვათ, მიაქცია ყურადღება სამეფოს სამძღვრებს და გარეშე მტრებს.

ვიდრე თამარი მოუცლელი იყო შინაურ საქმეთა და შფოთთაგან, სამეფოს მონაპირედ მცხოვრები მუსულმანები ძალიან თავს გავიდნენ და ავაზაკობითა და ქურდობით იკლებდნენ მცხოვრებლებს. ამისთანა მოუსვენარნი იყვნენ ბარდავ ქალაქის მცხოვრებნი. ბარდავი იყო განჯის (ალექსანდროპოლის) მახლობლად. ეს იყო ერთ დროს მონგოლთ ხანების რეზიდენცია. აქაური მცხოვრებნი ისე თავ-გასულნი იყვნენ, რომ ყურ-ქვეშაც არ მოსდიოდათ, იყო სადმე მეფე თამარი თუ არა. საჭირო იყო ამათი დასჯა და თამარის გაცნობა მათ მიერ.

1195 წელს თამარს ლაშა-გიორგი რომ გაუჩნდა, ღვთისათვის მადლობის გადასახდელად მოიწადინა ამ ავაზაკის ხალხის დასჯა, მოჭკვიანება და კეთილს გზაზე დაყენება თავის ახლად დაბადებულის შვილის ბედნიერებისა და დღეგრძელობისათვის; მოიწადინა, რომ ამ თავგასულს ხალხს აღარ შეეწუხებინა მშვიდობიანი მცხოვრებლები. უბძანა მან თავის ჯარებს ამ ქალაქში ჩამდგარიყვნენ; მაგრამ მის მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. მაშინ ქართველებმა ის დაიპყრეს ხმლით და აიკლეს ქალაქი, დაატყვევეს და დიდად დასაჯეს მოთავენი, მაგრამ სამს ღრმად მოხუცებულს კაცს არა აწყინეს-რა და თამარისა მისის შვილის სადღეგრძელოთ არ დაატუსაღეს.

ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე, რომ თამარმა უბძანა დავით სოსლანს გალაშქრება და მოოხრება ყარსისა, კარნუ ქალაქისა და არზრუმისა. ვიდრე მიადგებოდნენ ამ ქალაქებს, გზაზე ბევრგან მტერი დაჰხვდა ქართველებს. მაგრამ ესენი ხმალ-ამოღებულნი ჰკაფავდნენ და არღვევდნენ მტრის რაზნებს და მიდიოდნენ ქალაქებზე. იმათ დაიჭირეს სამივე ქალაქები, ააოხრეს და აიკლეს. ყარსის აღებაზე დიდი და ძლიერი ომი გადაიხადეს; მაგრამ არც ეს ქალაქი და არც სხვები ქართველებმა ამ დროს არ შემოუერთეს სამეფოს. ამათი განზრახვა იყო მხოლოდ იმათი აკლება და დაშინება მუსულმანებისა, რომ კვლავ აღარ გაებედნათ გუზანისთანა მეფის მოლალატე კაცების თავის მფარველობაში მიღება. მართლაც ისინი ისე დაშინდნენ, რომ ამბობდნენ: „ვინ დაგვწყევლა ასე დიდად, რომ ასეთს ოხრებას მიეცა ჩვენი ქვეყანა ქრისტიანებისაგანაო, რომელნიც წინად არავის უნახავს ჩვენს არე-მარეშიო“ [1]).

ახლა თამარი უფრო გაძლიერდა და გაითქვა მისი სახელი. „განისმა ზარი და შიში ყოველთა კიდეთა აღმოსავლით და დასავლით, ჩრდილოთ და სამხრით, და ყოველნი მორჩილობდეს და ძღვნითა მრავლითა მოიკითხვიან“.

მას ჰყვანდა მხოლოდ ერთი მტერი, რომელიც დიდგულობდა და ემუქრებოდა მას. ეს კაცი იყო სპარსეთის მეფე ამირ-ბუბაქარ. მაგრამ ამ მუქარის მიზეზიც თვითონ თამარივე იყო. ამირ-ბუბაქარს ორი ძმა ჰყვანდა. იმან უფროსს და უმცროსს ხმლის ძალით წაართვა სამფლობელოები და უმცროსი ამათგანი, რადგან სიძე იყო შირვან შაჰისა, შეეხიზნა სიმამრს. ამისათვის ამირ-ბუბაქარმა ამასაც აუტეხა ბრძოლა, დაამარცხა და მისი სამკვიდრე-

---

[1]) იხ. იქვე გვ. 299.

ბელიც თვითონ დაისაკუთრა. მაშინ შირვან-შაჰი აღსართანი [1]) და მისი სიძე ამირ-მირანი, ძმა ამირ-ბუბაქარისა, თამარს შემოეხიზნენ და სთხოვეს მფარველობა. რადგან პირველი ამათგანი ჯერ თამარის ვასალი იყო, მერმე ნათესავი, დავით აღმაშენებელის ასულის მარიამისაგან ჩამომავალი [2]), მან კარგად მიიღო ისიცა და მისი სიძეც; მაგრამ ეს წასარჩლება თამარისაგან იწყინა ამირ-ბუბაქარმა: გამოუგზავნა კაცი და შემოუთვალა: დაუყონებლივ ისიც დამორჩილებოდა და ხარჯიც ეძლივა.

ამ მუქარის პასუხად თამარმა შეჰყარა ლაშქარი და გაისტუმრა სომხეთისაკენ. მტკვრის პირი, ალგეთის პირი, ქციის პირი და ქურდ-ვაჭრისა ყარაღაჯამდე აივსო მისის ჯარებით.

ამის შემდეგ ის თვითონაც წავიდა თავის შვილითა და ქმრით და გზაზე გავლაში ნახა: პირველად ოსებისა და ყივჩაყელების ჯარები, ძველები და ახლები, მერმე კახეთისა და ჰერეთის რაზმები, შემდგომ ქართლისა, მესხეთისა, თორელები და შავშ-კლარჯ-ტაოელები, ამათ მერმე სომხითისა, სვანეთისა, სამეგრელოსი, აფხაზეთისა და რაჭა-თაკვერ-არგვეთის ლაშქრები. ეს ჯარები იყო საკუთრად მეფისა და იმათ ერქოთ სეფე-წულნი [3]). ამის შემდეგ ის მოვიდა ყარაღაჯში თავის შვილითა და ქმრით. აქ დახვდნენ იმას შირვან შაჰი, აღსართანი და ამირ-მირანი დედითა და ერთგულ მხლებლებით. აქვე უცდიდნენ იმას ხელის-უფალნი და სეფე-წულნი. ესენი აქ ყველანი ნახა და მოიკითხა. მერმე დიდის დიდებით დაუდ-

[1]) როცა თამარისათვის ქმარს ეძებდნენ, ეს აღსართანი მოვიდა თბილისში, საცა იმას სახლი ჰქონდა (იხ. გვ. 272), ვითომც სტუმრადაო, მაგრამ გულში კი თამარის ცოლად შერთვა ედო. (იხ. გვ. 299).

[2]) იხ. იქვე გვ. 272 და 290.

[3]) იხ. გეოგ. ვახუშ. გვ. 14.

გეს თამარს ოქროს ქსოვილი კარავი და ოქროს ტახტი. ის შევიდა იქ და მას შეჰყვნენ შვილი და ქმარი. დასხდნენ ისინი თავ-თავიანთ ალაგზე და მათ გარს შემოეხვივნენ წარჩინებულნი პირნი. მერმე მიიწვიეს სტუმრები. პირველად შევიდა აღსართანი, როგორც მეფის ნათესავი, თავი დაუკრა თამარს, მისცა სალამი და დაჯდა წინათვე მომზადებულს თავის ალაგს. მას მიჰყვა ამირ-მირანი, ამისი დედა, შვილები და სხვა მხლებლები. ყველამ მოიკითხეს თამარი, მისცეს სალამი მოწიწებით და პატივით, და დასხდნენ თავიანთ ალაგას.

ამის შემდეგ თამარმა მოითხოვა სადილი, რომელზედაც მიიწვია მთელი ეს კრებაც. აქ იმას ყველანი განცვიფრებით უყურებდნენ. ის მხიარულად ემუსაიფებოდა ყველას და დედობრივის ტკბილის ენით ამხნევებდა და აქებდა მომავალის ომისათვის. აქ იყო აგრეთვე რუსუდან დედოფალიც, მამიდა თამარისა და იმის ქმრის აღმზრდელი. »ქართლის ცხოვრება“ აქებს იმას, რომ ის მედიდურად, დიდის გამოჩინებით და ბრწყინვალებით დაუხვდა სტუმრებსო[1]), როცა ისინი მოვიდნენ საქართველოში და მფარველობა ითხოვესო.

რადგან თამარი თვითონ აპირებდა სპარსეთისათვის თავდაცემას, ამისათვის არ ეჩქარებოდა. იმან შვიდ დღეს მოიცადა ყარაღაჯში. ყოველ დღეს აქ ჰქონდა მას წვეულობა და სიხარული: »სპარსთაგან ძღნობა და ამათგან ბოძება, ნადირობა და ბურთობა“. ასეთს ლხინს და დროს გატარებაში რომ იყვნენ ქართველები, ამირ-მირანმა და სპარსეთის დიდებულმა კაცებმა, რომელნიც ამას თან ახლდნენ დაიწყეს კვეხნა, რომ მთელს ერაყში, ადერბეჯანში და თეირანში ჩვენსავით მობურთალი კაცი ალარავინ დარჩენილაო. ეს კვეხნა თამარს ეწყინა და უბძანა

---

[1]) იხ. გვ. 302.

ზაქარია ამირ-სპასალარს, მსახურთ-უხუცესს ივანეს [1]) და ჰერეთის ერისთავს გრიგოლს (ინგილოს) და სხვათა მოყმეთა ჩასულიყვნენ მეიდანზე საბურთაოდ. მეორე მხრით ჩამოვიდა ამირ-მირანი თავის მხლებლებით, სპარსეთის თავადებით და მონებით. ამ დროს თვით თამარიც გამოვიდა მეიდანზე სეირის საყურებლად, სპარსელებს ეგონათ ჩვენ ვაჯობებთო, მაგრამ დაიწყეს თუ არა, მაშინვე დაამარცხეს ქართველებმა, რის გამო სპარსელებს ძლიერ შერცხვათ.

სპარსეთის საომრად მომზადებული თამარი, ვიდრე ამ ვვარს შექცევაში იყო, ამირ-ბუბუქარიც თურმე დიდს ჯარებს ამზადებდა. რადგან თვითონ იმედი არა ჰქონდა თამარის დამარცხებისა, იმან თურმე სთხოვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალიფას, შემწეობა მიეცა მუსულმანობის დასაცველად თამარის მძლავრობისაგან. ამავე დროს კავკასიაში მცხოვრებ მუსულმანებმა გაგზავნეს ხალიფასთან თხოვნა, რომ მოგვეშველევით, თორემ ქართველებმა დაგვღუპესო. თხოვნის მიმტანთ შეიღებეს სამოსელი და პირი ტანჯვისა და მწუხარების ნიშნად და სთხოვეს მას უბრძანოს მთელს სპარსეთს ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ. ხალიფამ აღუსრულა თხოვნა. დაუყოვნებლივ გამოუგზავნა ამირ-ბუბაქარს დიდძალი ხაზინა და უბძანა ინდოეთიდგან და სამარყანდიდგან მოკიდებული ვიდრე ტიგრის მდინარემდე შეეყარა ლაშქარი მის ხარჯით და დასცემოდა საქართველოს. გამოუგზავნა აგრეთვე მაჰმადის დროშაც, რომლის „თავსა ზედა იყო ოქრო ათასისა ხალიფაურისა“. შეიყარა მართლაც ურიცხვი ლაშქარი, მოგროვდა ადერბეიჯანში და გამოაცხადეს ომი.

თამარმა რომ შეიტყო ეს ამბავი, მაშინვე რჩევა მო-

---

[1]) იხ. გვ. 296.

ახდინა თავის ვეზირებთან. არჩიეს და გადასწყვიტეს მტერთან ბრძოლა. გამოიტანეს ხაზინიდგან ფული, დაურიგეს ხალხს, რომ შინაურობა იოლად წასულიყო, ხოლო მამაკაცნი კი ყველანი გამოსულიყვნენ მტერთან საბრძოლველად. ამასთანავე მისცეს ღარიბებსა და გლახებს მოწყალება, რომ მათ მოცლა ჰქონოდათ და ლოცვა აღევლინათ წინაშე ღვთისა, რათა თამარის ჯარს გამარჯვება მისცემოდა. „ესე ბძანა არა დედა-კაცურითა სიტყვითა და ბძანება საქმე იქმნა“. ოთხ დღის განმავლობაში საქართველოს ყოველს კუთხეში შეიკრიბა ჯარები და, ვითარცა „გროვა შავარდენთა, მოჰფრინდა წინაშე თამარისა“ ყარაღაჯში. თამარმა ჯერ დახედა ჯარებს, მერმე შეევედრა ღმერთს მუხლ-მოყრილი, წამოდგა ფეხზე და ასე უთხრა მეომართ: „ძმანო! ნუ შეშინდებით, რომ თქვენ ცოტანი ხართ და ისინი ბევრნი. ღმერთი ჩვენთან არს. ღვთის ძალით გედეონმა სამასის კაცით რამდენიმე ათასი მტერი დაამარცხა. როგორც ერთხელ ეზეკია მეფის დროს ანგელოზმა მტრის ბანაკი გამუსრა, სწორედ ასევე იგივე ანგელოზი იქნება თქვენი შემწეცა. მხოლოდ იქონიეთ ღმერთზე, ღვთის მშობელზე და ჯვარზე სასოება. უშიშრად და საჩქაროდ შედით მტრის ქვეყანაში და იმედი მაქვს ძლევა-მოსილნი გამოხვალთ იქიდგან [1]) მერმე ილოცა კიდევ თამარმა, შეავედრა მთელი ჯარი ღმერთს, მისცა ანტონ ჭყონდიდელს ჯვარი, გაისტუმრა, და თვითონ დაბრუნდა თბილისში, და მეტეხის ეკლესიაში ფეხ-შიშველი იდგა ღვთის-მშობლის წინ და მხურვალე გულით სთხოვდა მტრის დამარცხებას.

მტრისა და თამარის ჯარები შამქორში შეიყარნენ. პირველი ველზე გამოსულიყო, რადგან იმედი ჰქონდა, ბევრნი ვართ და დავამარცხებთო, მაგრამ გაუცრუვდა იმედი. ქართველთ ჯარები საჩქაროდ გაეწყვნენ რაზმებად და დაიჭირეს თავ-თავიანთი ადგილები. დავით სოს-

[1]) იხ. გვ. 304.

ლანმაც მოამზადა თავისი ცხენოსანი ჯარი. შეჯდა თვითონაც თავის შესანიშნავს ცხენზე, რომელიც ვახტანგ ხაჩინელისაგან ეყიდნა და ფასად მიეცა ერთი ციხე და ერთიც სოფელი. სახელი ამ ცხენისა იყო ზურდაგი [1]). დავით სოსლანმა დიდი მამაცობა გამოიჩინა თავის ცხენოსანი ჯარით და მტერი დამარცხდა. მაგრამ ეს კია, რომ თუ დავითი მალე არ გამოსულიყო თავის ჯარით ბაღებისა და ბოსტნეულობიდგან, იქნება მისი ჯარები დამარცხებულიყვნენ. დიდი ჯაფა გასწიეს ვიდრე ცხენოსანი ჯარი გამოვიდოდა მინდორზე. ამ დროს განმავლობაში ომი დაწყობილი იყო. მტერმა ყველა სპასალარებს დაუხოცა ცხენები. მაშინ ზაქარია მხარ-გრძელმა და მისმა ძმამ იოანემ დააქვევითეს ყველანი და იერიშით წაიყვანეს რაზმები მტერზე. აქ ცოტა ხანს შეიფერხეს იმათ და საქმეც გაუჭირდათ. აი ამ დროს გამოვიდა დავით სოსლანიც ველზე, რომელსაც ყოველის მხრიდგან უშიშრად თავს ეცემოდა მტერი; მაგრამ ის მოაქროლებდა ვახტანგ გორგასლანის დროშას და მოდიოდა ლომივით. გაძლიერდა ომი. ყოველის მხრიდგან იშიშვლეს ქართველებმა ხმლები და გადაერივნენ შავარდენივით მტრის გუნდებში. სპარსელებს ყველას ძაგძაგი და კანკალი დააწყებინა. ორივ მხრიდგან შემოუტია ცხენოსანმა ჯარმა, დალეწა და გააპო მტერი. როგორც ცხვრის ფარა, ისე აირია ჯარები. მტერი საშინლად დამარცხდა და გულ-გახეთქილი გაიქცა. თვითონ ამირ-ბუბაქარმა ამოიძუა კუდი სირცხვილით დამწვარმა და ერთის კაცით უკან მოუხედველად გაკურცხლა ბრძოლის ველიდგან. მაგრამ

[1]) იხ. გვ. 305. ორი ასეთი შესანიშნავი ცხენი ჰყვანდა 1580 წელს ქართლის მეფეს დელი-სიმონსაც. ერთს ერქო „შურდანი“ მეორეს „ფალავანი“. როცა დამარცხდებოდა და გაქცევა დასჭირდებოდა, მეფე შურდანზე შეჯდებოდა, მტრის დამარცხების დროს კი ფალავანზე (იხ. ქართ. ცხოვ. 2 ნაწ. გვ. 22).

ში ჯარიდგან თორმეტი ათასი დატყვევდა. მათ შორის ერივნენ მრავალნი სპარსეთის დიდებულნი კაცნიც. დარჩათ აგრეთვე ქართველებს ხალიფას დროშა და მრავალი კიდევ სხვა ბაირაღები. იშოვეს ამასთანავე დიდი დავლა. ერთი მეჩვიდმეტე საუკუნის რუსეთის მემატიანე ამბობს, რომ ამ დროს ქართველებმა იშოვეს ის ოქროს სინი, რომელიც ნაბუქოდონოსორისა იყოვო და ახლა სპარსეთის მეფეს ჰქონდაო [1]). ის იყო თურმე მოჭედილი უძვირფასესი ლალითა, ბალახშითა და თვალ-მარგალიტით, და ამით საჭმელს მიართმევდნენ ხოლმე ბაბილონისა და სპარსეთის მეფეებსაო.

ომი რომ გათავდა, შირვან შაჰმა და ამირ-მირანმა მიულოცეს დავით სოსლანს გამარჯვება. ამავე დროს მოვიდნენ შამქორის მცხოვრებლები და მოუტანეს დავითს ქალაქის კლიტე-გასაღები. იმან უბძანა ამირ-მირანს გამოერთვა ისინი. მერმე დავითი ამ ქალაქში რომ შედიოდა, მცხოვრებლები ნოხებსა და ფარჩას უშლიდნენ გზაზე. აქ იმას დიდხანს არ მოუცდია. იმან გადაახდევინა აქაურს მეჩეთებში სამადლობელი პარაკლისი ქართველთ სამღვდელოებას, რომელთაგანაც ანტონ ჭყონდიდელმა, მეფის ვაზირმა, როგორც სულიერმა მამამ, ხმალი არ იხმარა, მაგრამ „სამის ყმით მივიდა და სამასი ჯორი და აქლემი კიდებული" წაართვა მტერს ომის დროს [2]). ამის შემდეგ მისცა ამირ-მირანს შამქორი, მისი მიმდგომნი ქალაქნი და ციხენი და ყოველი მისი შესავალი. თვითონ კი დაბრუნდა თბილისში.

გზიდგან დავითმა გამოუგზავნა თამარს მახარობლად მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი. იმან ნახა თამარი ტაბა-

---

[1]) იხ. Шамхорск. битва. статья Акад. Броссе въ газ. „Кавказъ" за 1854 г., №№ 65, 66 и 67.

[2]) იხ. გვ. 307.

ხმელას, საცა დაიბადა ლაშა გიორგი[1]) მას მოჰყვნენ გამარჯვებულნი ჯარებიც და თან წამოასხეს ტყვეებიც. ტაბახმელიდგან (კოჯრიდგან თამარი ჩამოვიდა დიდუბეში, იქ მიულოცა ჯარს გამარჯვება, ნახა ტყვედ მოყვანილნი დიდებულნი კაცნი და მათი დროშა-ბაირაღები.

შეიძლებოდა აქ გაგვეწყვიტა ლაპარაკი შამქორის ბრძოლაზე. მაგრამ, რადგან დავლის მოხმარება გვიჩვენებს შინაურს ზნეს, სახელმწიფო წყობილებას და დიდებულთა და მცირეთა შორის დამოკიდებულებას, ამისათვის ერთი-ორი სიტყვა მსურს ვსთქვა იმაზე, თუ რა უყვეს დავლას, რომელიც იშოვნეს შამქორში გამარჯვების დროს.

როგორც ახლა არის სახელმწიფოებში, რომ ბრძოლის ველზე რაც დარჩება ან წაართმევენ მტერს და სახელმწიფო ხაზინაში მიდის, სწორედ ასე იყო ძველს დროს ჩვენშიაც. ხაზინამ შეიძინა 20,000 ცხენი, 7,000 ჯორი, 15,000 აქლემი, ყოველი კიდებული; აგრეთვე უთვალავი ოქრო, ლარი, სხვა-და-სხვა ჭურჭელი და ბაირაღი. ეს სულ სახაზინოდ დაიდო.

ამის გარდა ჩვეულებისამებრ თვითონ თამარს უძღვნეს ჯარში მყოფ-კაცებმა მრავალი ოქრო და ოქროს სამკაული, მრავალნაირი ჭურჭელი, პატიოსანი თვალი და მარგალიტი უძვირფასესი; ოქროს ძეწკვები, მუზარადები, ხმლები ნახმარი, ფერად-ფერადი ნოხები და ფარდაგები, ოქრო-ქსოვილი შესამოსლები ძვირ-ფასიანი, ცხენთა და ჯორთა კაზმეულება და სხვანი. ეს უკანასკნელი თამარმა ყველა თვითონ არ აიღო. აქედგან იმან დაასაჩუქრა ყველანი, ვინც ჯილდოს ღირსნი იყვნენ. მაგრამ ხალიფას დროშა, რომლის თავზე მყოფ ბურთში იდვა „ათასი ოქრო ხალიფაური“ და შალვა ახალციხელმა მიართვა, შეს-

---

[1]) იხ. გვ. 298.

წირა ხახულის მონასტრის ღვთის-მშობელს და ზედ დაჰ-
რთო შემდეგი ლექსი:

. . . . . .

„შუა მფლობელი, იავარს შენდა ვრჯმელობ:
ხალიფას დროშას, თანავე მანიაკსა
შევრთე ცრუ-სჯულთა მოძღვრისა, ლაზოდ მძღვანი:
ვინ დავით, ძეებრ, ეფრემის მოისარმან,
მოითრთხნა, მოისრნა სულტნითა ათაბაგი".
„ირანს ებრძოდეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩვენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო:
მოსწყლნეს, მოსწყვიდნეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევსწირავ, მიოხე ძეებრ, ღმერთო" [1]).

თამარ დედოფალი.

ამის შემდეგ სპარსეთი ველარ ბედავდა მტრობას. საქართველო ამ მხრით დამშვიდდა და უზრუნველი შეიქმნა. სახელმწიფოში მცხოვრები მაჰმადიანებიც ხმას ველარ იღებდნენ შიშით. გავარდა თამარის ხმა მუსულმან სახელმწიფოებში ყველანი პატივსა სცემდნენ. მაგრამ თამარი არ იყო კიდევ კმაყოფილი. იმას ეწადა ყარსის დაჭერა, რომ ამ მხრითაც უზრუნველი ყოფილიყო საქართველო. 1203 წელს იმან უბრძანა ივანე ახალციხელს და თავის ქმარს დავით სოსლანს უთუოდ დაეჭირათ ყარსი მის გარემოს ქვეყნებითა. თურქებმა რომ შეიტყეს ეს ამბავი, დასტოვეს ქალაქი და გადაიხვეწნენ. ქართველებმა აიღეს ციხე. დავითმა ჩააყენა ყარსის ციხეში ივანე ახალციხელი, მისცა ათაბეგობა (ერისთავთ-ერისთაობა) და ამირთ-ამირობა და უბძანა დაეჭირა გარშემო მყოფი მახლობელი ქვეყნებიცა. ივანემ მართლაც დიდი ვნება მისცა თურქებსა და მიითვისა ყარსის გარშემო მყოფი მიწა-წყლები. ამის გამო თურქები ძალიან დაშინდნენ. ისინი

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ, 301—310.

ახლა თამარის მტრობას და დამარცხებას კი აღარ მეცადინეობდნენ, არამედ როგორმე მასთან შერიგებას და მშვიდობიანად ცხოვრებას ლამობდნენ. იმათ ამოირჩიეს ვექილები და გაგზავნეს დესპანად ხალიფასთან, რომ მან სთხოვოს თამარს: იმსახუროს მუსულმანები, გამოართვას ხარჯი და აღარ იკლებდეს იმათ ქვეყნებს. თხოვნა აღუსრულდათ. თამარმა შეირიგა ხალიფას თხოვნით მუსულმანები. ამ სახით დამშვიდნენ ისინიცა და ქართველებიც.

მაგრამ ამ დროს იყო მცირე აზიაში იკონიის სასულთნო, სადაც სულთნობდა როკ ედდინი, ანუ ქართულად ნუქარდინი. ეს კაცი პირად მეგობარი იყო საქართველოსი, გულით ძლიერი მტერი. ამან შეჰყარა 1204 წელს მთელს თავის სამფლობელოში ყველა მუსულმანები, ვისაც კი შეეძლო ბრძოლა. სახლებში დასტოვა მხოლოდ დედა-კაცები. შეიყარა ჯარი 800,000. მერმე მოსწერა თამარს შემდეგი წერილი: »მე ნუქერდინ სულთანი ყოველისა ცას ქვეშეთ მყოფ ხალხებისა (?), კაცი ანგელოზივით კეთილი და მოვლინებული მაჰმადისაგან, გეუბნები შენ, ქართველთ მეფეს, რომ ყოველი დედა-კაცი შენსავით რეგვენია. როგორ გაბედე შენ ბძანება, რომ ქართველებმა ხელში ხმალი აიღონ და ღვთის საყვარელი მუსლემის მილეთი დახოცონ, და ცოცხლებს კიდე ხარჯი გააწერონ და შენ ყმად გაგიხადონ? ახლა მე შენზე გამოვილაშქრებ, რომ შენცა და შენს ერსაც სამაგალითოდ შეგასმინოთ, რომ კვლავ ხელში ხმლის აღება აღარ შეგეძლოთ, იმ ხმლისა, რომელიც ალლახს მარტო მუსულმან ხალხებისათვის მიუცია მოსახმარებლად. მაგრამ თუ ჩემს მოსვლამდე შენის ნებითვე ამოხვალ ჩემს ურდოში, მიიღებ მაჰმადიანობას, ფეხქვეშ გასრეს ჯვარს ჩემს თვალს წინ, მაშინ მარტო შენ შეგიწყალებ და შეგინდობ შეცოდებითა, სხვებს კი მივაყენებ ვაისა და ჭირ-

ია! ახლა მოილოდინე ჩემგან ნაცვალი იმ უბედურებისა, რომელიც შეამთხვიე სპარსელებსა".

ეს წერილი მოიტანა ნუქარდინის ერთმა დიდებულმა კაცმა. როგორც რიგი იყო, ის პირველად მიიღო ამირ-სპასალარმა ზაქარიამ. ელჩმა შესვლისათანავე უთხრა პირად დაბარებულიცა, და შეატყობინა მას აგრეთვე წერილის შინაარსიც. „ბატონმა სულთანმა დამაბარაო, უთხრა იმან ზაქარიას: თუ თამარმა სჯული დასტოვა, მე ცოლად შევირთავო, თუ ეს აჰ ინება, მაშინ ხასად დავისვამო". ამ გვარად უკადრისი ლაპარაკი ისე ეწყინა ზაქარიას, რომ თუმცა მძიმე ხასიათის კაცი იყო, მაგრამ თავი ველარ დაიჭირა, გულმა გაიტაცა და ერთი ისეთი ლაზათინი სილა გააწნა ელჩს ბილწად მოლაპარაკეობაში, რომ ის ციბრუტივით შემოტრიალდა და დაენარცხა დედა-მიწას; მაგრამ წყლით ისევ მოაბრუნეს და დაამწყვდიეს ცალკე. ამის შემდეგ წერილი თამარს შეუტანეს და ძალიან იწყინა მისი შინაარსი. მაშინვე მოახდინა სახელმწიფო თათბირი. რჩევაში გადასწყვიტეს მტერთან ბრძოლა. გასცეს ბრძანება, ქუდზე კაცი გამოსულიყო ლაშქარში. შეიყარა ყოველ მხრიდგან ჯარები. ყველას უხაროდა, რომ სანატრელ მეფის ბძანებით სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისა და მშვიდობიანობის დასაცველათ ლაშქარში მიდიოდა. თამარმა გამოიტანა სამეფო სეფე-დროშა და მისცა ჯარს. მერმე მიუძღვა იმას წინ და მივიდა ვარძიის მონასტერში. მხურვალე გულით ის აქ ჯერ შეევედრა ღმერთს, მერმე დაიძრა და მივიდა ყარსის მახლობლად. აქედგან იმან გაუგზავნა ნუქარდინს, მისივე ელჩის ხელით შემდეგი წერილი: „ჩემ ნუქერდინ! მე წავიკითხე შენი წერილი და შევიტყე შენი სიცრუვე და შენგან ღვთის გმობა... ამაყად დაგებარებინე, და აი ახლა მოვსულვარ; მაგრამ არა შენდა თაყვანის-ცემად, არამად დასასჯელად შენის გულის ამპარ-

ტავნებისა, რომ თვითონ შენ, და არა მე, ჭკუა ისწავლო, და ღმერთის გმობა არამც და არამც აღარ გაბედო. აი ახლა კარზე მოგადგნენ ჩემნი ერთგულნი ლაშქარნი და წერილის პასუხიც მოგიტანეს. იყავ ახლა ნება ღვთისა და არა შენი“. ამის მერმე ჯარებმა წაიწიეს ყარსის წინ, თვითონ თამარი კი ავიდა ერთს მაღალს ადგილას, საიდგანაც იხილვებოდა საომარი ველი. აქ დაემხო პირქვე, დიდხანს ცრემლით ილოცა და ეევედრა ღმერთს; მერმე ადგა, მოჰკიდა ჯვარს ხელი ერთის მხრით თვითონ, მეორეს მხრით მოძღვარმა ბასილმა, და უბრძანა სარდლებსა და ერისთავებს ეკოცნათ ჯვარისათვისაც და მისთვის ხელზედაც. ამ სურათის ხილვით შეწუხებულ დიდებულ მეფე თამარს აღთქმა მისცეს: ან ყველანი დავიხოცებით, ან არა და მტერს დაგიმარცხებთო. მისცეს ასეთი აღთქმა და გაექანნენ თავ-თავიანთ დასტებში.

ასე შეევედრა იმან თავისი ჯარები ღმერთსა და ღვთის მშობელს, გაისტუმრა მტერთან საბრძოლველად, თვითონ კი წამოვიდა ყარსიდგან უკან და მოვიდა სამცხეს ოძრახოს ციხეში. იმას თან ახლდნენ: ქათალიკოზი, მრავალნი ეპისკოპოსნი და სახელ-განთქმული პოეტი იოანე შავთელი. აქ ყოფნაში ის ცრემლით ეევედრებოდა ღმერთს, მარხულობდა, მეტანიას იყრიდა, ხელთა განაპყრობდა ცისადმი და შველას ითხოვდა. ერთი რუსის მემატიანე ამბობს, რომ თამარი ამ ჟამად ასე ლოცულობდაო: »ჰოი, მფარველო, დედაო ღვთისაო! საღმთო ზეპირგადმონაცემი გვაუწყებს, რომ ივერია ღვთის ვანგებით შენი წილ-ხვედრი ქვეყანა. აქ დღეს მე ვმეფობ შენის წყალობითა. ჯერ სული მამისა ჩემისა მიიღე და მერმე მე, შენს უძლურსა მხევალსა, ხელთ მიგდე ბატონობა და მოვლა ამა ქვეყნისა. ჰოი დედაო! ნუ თუ ახლა ხელს აიღებ შენს ხვედრზე და დღეს გაჭირებაში არ მოჰფენ მას შენს მადლიანს მფარველობის კალთასა? დედოფალო

ნეტარო! განუღე კარი მოწყალებისა ერსა შენსა ივერიისასა [1]).

კარგად გაწყობილი ჯარები თამარისა ახლა მიუახლოვდნენ ნუქერდინის ლაშქრებს. მოწინავე ჯარის სარდალი იყო ზაქარია მხარ-გრძელი. მას ფეხ-და-ფეხ უკან მისდევდნენ თავიანთ დასტებით სხვა სარდლებიც. ამათში იმყოფებოდა დავით სოსლანიც. მტრის ლაშქრის კარვები რომ დაინახეს, მოუჩქარეს ფეხს. თურქებს არ ეგონათ თუ ასე მალე მიუახლოვდებოდნენ, ამისათვის ძალიან აირივნენ, რომ დაინახეს ქართველების რაზმები. აჩქარებით გაეშურნენ მაღლობის ადგილების დასაჭერად, მაგრამ ქართველები კიდევაც ეცნენ იმათ. გაიმართა გაბრაზებული ომი და ჟლეტა. სულთანი ყოველ ღონეს ხმაროობდა, რაც შეიძლება მამაცურად და ვაჟკაცურად მეომარი ქართველების წინ მომეტებული ჯარი დაეყენებინა. დიდხანს იბრძოლეს და მეომართ არ იცოდნენ, თუ რით გათავდებოდა ომი. მაგრამ არეულობა, რომელიც მოჰხდა თურქების ბანაკში დასაწყისშივე ქართველთ მიერ უეცრად თავ-დასხმისა გამო, სულთანმა, არ იქნა, ველარ მოიყვანა წესზე და მისი ჯარები უფრო და უფრო აირივნენ. მისმა დიდ-დიდმა რაზმებმა, რომელნიც მოძრაობდნენ უწესოდ, უფრო წაახდინეს მისი საქმე. ქართველთ პატარ-პატარა რაზმები კი, რომელთაც წინ მიუძღოდნენ ომში გამოცდილი სპასალარნი, ყოველიფერს მოფიქრებით და მამაცურად ასრულებდნენ. ომი ისე შენივთდა, რომ მტერმა ცხენები დაუხოცა: ზაქარია მხარგრძელს, ივანე ციხის-ჯვარელს, გრიგოლს ასათისძეს, ახალციხელებს შალვას და ივანეს, და აგრეთვე სხვათ კარგად მეომარს ქართველებს, და ცოტა გასწყდა მაშინ ქართველებმა უკან არ დაიხიეს. მაშინ ქართველთ გას-

[1]) იხ. Церк. Ист. Груз. Іосел., стр. 2.

წირეს თავი, ჩამოჰხდნენ ცხენებიდგან, და მოუდგნენ გვერდზე თავიანთ სარდლებს და მოთავეთ. ეს რომ ნახა დავით სოსლანმა, მოუარა მტერს თავის ცხენოსანი ჯარით მარცხენა მხრივ, რომ გზა მიეცა დაქვეითებულ ჯარებისთვის და ცხენებისაგან არ შეევიწროებინა; ამ დროს ზაქარიამაც დაქვეითებული ჯარებით აუხვია მარჯვნივ. ასე რომ განშორდნენ ერთმანერთს, გაიმართა ისევ მტრის თავზე ხმლისა და კოლოტის ჩახა-ჩუხი. »მსწრაფულ მისცვივდნენ ერთ-კერძო სოსლან დავითი, და ერთ-კერძო ზაქარია, და როგორც მგლები, ეგრეთ შეუტივეს ურიცხვთა მათ სპათა სულტანისათა; და პირველსავე მოკიდებასა და ხმლის ლაწა-ლუწსა „ანაზდად გასკდა ეგოდენი სიმრავლე მტრის ჯარისა, იძლია და დაიფანტა. გაქცეულს მტერს ბუქი მტვრისა სვეტივით აედევნა უკან და ქართველები მისდევდნენ კიჟინით და კასკისით და ჰკაფვდნენ თავის საუბედუროდ ამბედრებულს ნუქერდინს [1]).

ამ ომის დროს თამარი ოძრხეს ეკლესიაში იყო და ღმერთს თავის ჯარის გამარჯვებას სთხოვდა. აქ შემოვიდა ერთი ქადაგი და სამჯერ წაიქცა და წამოხტა და დაიძახა: „აჰა დიდება ღმერთსა, ქრისტე ძლიერ აჰს«; მერმე იოანე შავთელს (ბერს) საიდუმლოდ წასჩურჩლა ქართვლების გამარჯვება, გაიქცა და ავარდა ერთს მაღალს მთაზე. მისი სიტყვა, რასაკვირველია, გამართლდა. მართლაც ამ დროს ქართველებმა დაამარცხეს მტერი, წაართვეს დიდძალი ბარგი-ბარხანა, სურსათი და მრავალი ტყვედ დაიჭირეს. ამათში ერია გამოჩენილი და სახელოვანი სარდალი ეზინკელიცა. ამას თამარი კარგად იცნობდა და წინათ პატივიც ეცა მისთვის, მაგრამ რადგან ახლა ულალატა, ძალ-დატანებით თუ თავის ნებით [2]),

[1]) იხ. გვ, 322.

[2]) იხ. გვ. 319.

ამისათვის იმას ჯერ პატივი სცა, დაიპატიჟა სადილად, ემუსაიფა მეგობრულად, მერმე ეს სახელოვანი და დიდებული კაცი განყიდა ცხენის ნალზე. დიდებად და სახსენებლად თავისა [1]).

თამარისაგან მტრის დამარცხებამ საქართველოს სახელმწიფო ხაზინას დიდძალი სიმდიდრე შესძინა. ბრძოლის ველზე ქართველებს დარჩათ: „ოქრო, ვერცხლი, ლარი, თვალი, მარგალიტი, შესამოსელნი, ცხენი, ჯორი, აქლემი და საზდელნი კმა-საყოფელნი ლაშქართათვის“. „აღივსნენ ყოველნი საგანძურნი სამეფონი ოქროთი და ჭურჭლითა ოქროსათა“. მეფე ასე გაამდიდრა ამ გამარჯვებამ, რომ ვერცხლის ჭურჭელს არღარა აქვდა მეფის სასახლეში პატივი, რადგან ბევრი იშოვეს ოქროსა და ბროლის ჭურჭელი ინდოეთურ ქვათაგან შემკობილი.

როკ-ედინის დამარცხების შემდეგ თამარმა წაართვა საბერძნეთს ლაზისტანი, ტრაპიზონი, ლიმონი, სამსონი, სინოპი, კერსუნდი, კიტორა, ამასტია, ირაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონიისა და პონტოსანი. რათა? რისთვის? პირველად ამისათვის რომ კოსტანტინეპოლის იმპერატორმა, ალექსი ანგარმა წაართვა ბერებს ის სიმდიდრე, რომელიც თამარმა აღმოსავლეთში მყოფ ქართველთა და ბერძენთ მონასტრებს შესწირა; მეორედ — გიორგი მეფის დროიდგან საქართველოში იყვნენ გადმოხვეწილნი იმპერატორების დევნისაგან, როგორც ნათესავნი, ანდრონიკეს შვილნი, და ერთი ამათგანი, სახელად ალექსი, ახლა თამარის სასახლეში იყო, და ეხვეწებოდა შველასა და შემწეობას; მესამედ რადგან ამ დროს საბერძნეთის იმპერიას ერთის მხრით სწიწკნიდა ევროპა, მეორეს მხრით თურქები, — თამარმაც მოიწადინა რისმე

---

[1]) იხ. გვ. 324.

წაგლეჯა და შავი ზღვის ნაპირას იმისთანა სახელმწიფოს დაარსება, რომელიც რომ ამ მხრით მფარველი ყოფილიყო საქართველოსი [1]). აი ამ მიზეზებისა გამო 1204 წელს შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ქვეყნები საბერძნეთის იმპერიისა დაიჭირა და დაარსა სამეფო სახელად „ტრაპიზონის იმპერია". აქ დასვა იმპერატორად თავისი ნათესავი ალექსი. რომ ეს ასე იყო მართლაც, ამას ამტკიცებენ, ქართლის ცხოვრების გარდა, მრავალნი თანამედროვე და მერმინდელი ბერძნისა და სხვა-და-სხვა ხალხების მწერალნიც [2]).

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდნენ: ყარსი თავის გარშემო ქვეყნებით და ანის ქალაქი, შექი-შირვანი კასპიის ზღვამდე, დაღესტანში შინდარა, ნახურისა და ახტის ხეობა, ხუნზახი, დიდოეთი, ქისტეთი, ოსეთი, ჩერქეზეთი და აფხაზეთი ქერჩამდე. რომ დაღესტნის ხალხები ემორჩილებოდნენ თამარს, ამას ამტკიცებს ქართლის ცხოვრებაც და თეიმურაზ ბატონიშვილიც. ისინი იყვნენ მორჩილნი ჰერეთის მთავრისა ჯერ ასათ გრიგოლის ძისა, მერმე გრიგოლისა [3]). ამასვე ამტკიცებენ აგრეთვე აქაური ქრისტიანული ეკლესიის ნაშთებიც.

უეჭველია, რომ ამოდენა სამეფოს მოვლას დიდძალი ჯარები უნდოდა. თამარს რამდენი ჯარი ჰყვანდა, „ქართლის ცხოვრება" არ ამბობს: მაგრამ პლ. იოსელიანი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში სწერს, რომ მის ჯარის რიცხვს 300,000 კაცი შეადგენდაო. საიდგან ამოუღია იმას ეს ცნობა, არ უჩვენებს, მაგრამ იქნება ის არც სტყუოდეს. თამარის მერმე არ გასულა 30 წე-

---

[1]) იხ. Природа и Люди. соч. Надеждина, стр. 337.

[2]) იხ. Ист. груз. Баратова, тетрадь IV, გვ. 81.

[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 245 და 273.

ლიწადი, მონგოლები შემოვიდნენ საქართველოში და თუმცა დიდ-ძალი ხალხი გასწყვიტეს და ააოხრეს ქვეყანა, მაგრამ კომლზე ერთი კაცი რომ ჯარში გაიყვანეს, ქართველთაგან შესდგა 90,000 ათასი კაცი. თამარს კი, როცა გაუჭირდებოდა, ქუდზე კაცი გაჰყავდა საომარს ველზე. მას რომ 300,000 ჯარი არ ჰყოლოდა, ვერც სამეფოს მოუვლიდა, ვერც მტერს გასცემდა პასუხს. მით უფრო უმეტეს უნდა დავიჯეროთ იოსელიანის სიტყვა, რომ ხალხის გადმონაცემი გვეუბნება, რომ თამარს დედა-კაცთანაც ჰყვანდა შემდგარი ლაშქარიო.

ამ გადმონაცემს ამტკიცებს, ვგონებ, ქართლის ცხოვრების შემდეგი სიტყვებიც: „ჰქმნეს მრავალთა დედათა ძლიერება [1]). ამ ფაქტს ამტკიცებენ უცხო ქვეყნის მწერლებიც, ერთი ვიღაც ბართლომე—დე-სალინიაკი ამბობს: „როდესაც ქართველები მიდიან იერუსალიმში სალოცავად, ეგვიპტის სულთანს არავითარს ხარჯს არ აძლევენ. მოგზაურობის დროს ისინი სხედან ერთ კუზიან აქლემებზე და ფეხ-მარდ ცხენებზე. იერუსალიმში შესვლის დროს იმათ გაშლილი აქვთ ალამი (штандартъ). მგზავრობაში დედა-კაცია და მამა-კაცებიც შეიარაღებულნი არიან. თურქების დედა-კაცებსავით ამ ქართველ დედა-კაცებსაც თავზე ქუდი ჰხურავთ. სულთანსა და თათრების დედა-კაცებს ძლიერ ეშინიანთ იმათი". ვინცენტი გელვაცენზი, მწერალი 1260 წლისა ამბობს: „ქართველნი ძალიან მამაცნი არიან. იმათი დედა-კაცები ისე შეჩვეულნი არიან ლაშქრიანობას, რომ ცხენ-და-ცხენ ეომებიან მტერს". ამასვე სწერს ნემენცი, ბაუმგარტენ მოგზაური 1425 წელს. ამ თქმულებებს თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უნდა მივიღოთ ის აზრი, რომ თამარის ჯარში ერია დედათა ლაშქარიც. ამ ლაშქრიდგან

---

[1]) იხ. გვ. 324.

60 ათასი კაცი შეადგენდა მის მცველ ჯარს, რომელსაც ეძახდნენ სეფე-წულთ [1]). ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ამბობს: „მეფეთა ჰყვანდათ როქითა რაოდენ ძალედვა სპანი, ცველად თავისად თვისად, ვითარცა მირიანსა და დავით აღმაშენებელსა, სამოცი ათასი; . . . . ხოლო სხვანი სპანი იყვნენ ქვეყანათაგან და ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი, რომელთაც მოუწოდიან საჭირო დროს“ [2]) ამ ჯარებში ჟამით-ჟამათ ერეოდნენ აგრეთვე კავკასიის მთიური ხალხებიც, და ყივჩაყის თათრებიც, რომელნიც (უკანასკნელნი) დავით აღმაშენებელმა ცოლ-შვილიანათ გადმოასახლა ორმოც ათასამდე საქართველოში და მრავალს მათგანს მიაღებინა ქრისტიანობა [3]). ბარათაშვილი ამბობს, რომ ყივჩაყელთაგან თამარის მამას გიორგის ორმოცდა ათი ათასი კაცი ჰყვანდაო [4]). თუ ასეა, მაშ თამარსაც უნდა ჰყოლოდა.

ამდენი ლაშქარის მყოლი თამარი, რასაკვირველია, რომ ძლიერიც იქნებოდა და საშიშარიც მტერთათვის. მტერი მართლაც დამშვიდდა და ველარ უბედავდა საქართველოს აკლებას. მაგრამ აქ საქმე ის არის, რით ინახავდა თამარი ამოდენა ჯარს? ჰქონდა მის სამეფოს რამე შემოსავალი თუ არა? როგორცა სჩანს ვახუშტის შემდეგის სიტყვებიდგან: „დავითის დროიდგან არღარა განიყოფებოდა საჭურჭლე (ხაზინა) სპათა ზედა და პატივი ამათი (სეფე-წულებისა) იყო სხვა“—ამტკიცებს, რომ რაც ხაზინაში სიმდიდრე შემოდიოდა დავით აღმაშენებელის წინად მეფეები ამით თავის მცველს ჯარს (სამოცი ათასს) ინახავდნენ და ჯამაგირს (როქს) აძლევდნენ; ამის მერმე კი ხაზინიდგან ჯარს არას აძლევდნენ

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 309 და მოსე ქორენელი, მე-2 წიგ.
[2]) იხ. გვ. 14.
[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 427.
[4]) იხ. რვეული IV, გვ. 48.

და სახელმწიფო სიმდიდრეს ქვეყნის საკეთილდღეო საქმეებს ახმარებდნენ. სამეფო ხაზინის შემოსავლის წყარო იყო: 1) ზარაფხანა, სადაც თამარი ფულს აჭრევინებდა. რამდენი ათასი იჭრებოდა, ეს არ ვიცით, მაგრამ დამტკიცებულია, რომ თამარიც, და იმის წინანდელი და შემდეგი მეფეებიც თავის სახელზე ფულს აჭრევინებდნენ. არიან მაგალითად ნაპოვნი ფულები: ვახტანგ გორგასლანისა, სტეფანოს მეორისა, ჯუანშერისა, დავით მეორისა, ბაგრატ მესამისა, გიორგი პირველის, მეორის და მესამისა, დავით მესამისა—აღმაშენებელისა, დიმიტრი პირველისა, თამარ მეფისა, ლაშა-გიორგისა მეოთხისა, ირაკლი მეორისა და გიორგი მეცამეტისა [1]). თამარის ფულზე ერთ მხარეს აწერია ქართულად: »თამარ—დავით"; მეორეს—არაბულად ზედ წარწერილი აქვს შემდეგი სიტყვები: »დედოფალი მაღალ-ხარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა, თამარ ასული გიორგისა შემდეგი მესსიისა, ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი«. არაბულად აწერია იმისათვის, რომ ამ გვარს ფულს გასავალი ჰქონდა მუსულმან ხალხებშიაც; 2) ხარჯი, რომელიც ხალხს ედვა. ამას აგროვებდნენ ერისთავები თავიანთ მაზრებში და უგზავნიდნენ ხაზინას. კომლზე რამდენი გადასახადი იყო დადებული, ისტორია არ იხსენიებს; ამბობს მხოლოდ, რომ ამ ხარჯს აგროვებდნენ ერისთავებიო [2]) და ის იწერებოდა შემოსავლის წიგნშიო [3]). ეს ხარჯის ფული მოჰქონდათ და აძლევდნენ სპასალარს, რომელი „შეჰკრებდა ლაშქართა და ხარკსა სამეფოსა [4]); ამას კიდევ თავის მხრით ხაზინაში შეჰქონ-

[1]) იხ. Нумизматическіе факты Грузинскаго Царства, сочин. Барагаева 1844 г.

[2]) იხ. გეოგრ. ვახუშ. გვ. 12.

[3]) იხ. იქვე გვ. 22.

[4]) იხ. იქვე გვ. 18.

და. ამავე სპასპეტის მოვალეობა იყო, თუ რომელიმე ერისთავი ხარჯის შემოტანის უარს იტყოდა, ჯარით შესულიყო იმის სამფლობელოში და ზეკუციით გამოერთვა ის [1]). 3) თუმცა მტრის დარბევა არ შეადგენდა სახელმწიფო შემოსავლის ნამდვილ წყაროს, მაგრამ რადგან ამ დროს საქართველოს მუსულმანი ხალხები ეხვევნენ და მუდამ ემტერებოდნენ და ებრძოდნენ, ამისათვის მათი დამარცხება ხაზინას დიდს სიმდიდრეს აძლევდა ნაშოვრის რამოდენიმე ნაწილი ჯარს ეძლეოდა, სხვა ხაზინას რჩებოდა. 4) თუ რომელიმე თავადიშვილი ან მოკვდებოდა უშვილოდ, ან ულალატებდა მეფეს, ან სარწმუნოებაზე ხელს აიღებდა, იმისი მამულ-დედული სახელმწიფოდ ირიცხებოდა, როგორც მამული ბეითალმანი. აგრედვე სახელმწიფოს ეკუთვნოდა ერისთავის ცხენი, როცა ის მოკვდებოდა [2]).

მე არ ვიცი, ეს ხაზინის შემოსავალი რამდენ ფულს შეადგენდა, მაგრამ ისტორიკოსი ბარათაშვილი ამბობს, რომ მეთორმეტე საუკუნეში სამეფოს შემოსავალი ჰქონდა, ცოტა რომ ვსთქვათ, ექვს მილიონამდე მაინცაო [3]). ეს ფული მაშინ, რასაკვირველია, დიდს სიმდიდრეს შეადგენდა. ამ ფულით შეიძლებოდა დიდძალი ჯარების შენახვაც და სხვა-და-სხვა შენობათა აგებაც.

როგორც ზემოთ მოვიხსენიე, დავით აღმაშენებელის შემდეგ ხაზინას აღარ ახმარებდნენ მეფის მცველ ჯარებს (ამალას), და შემდეგ საქართველოს სამად გაყოფისა აღარც ინახავდნენ მეფეები „როქით სპას, არამედ ჰყვანდათ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი, როგორც ამბობს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში მეოცდა მე-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 298 და 326.

[2]) იხ. Ист. Груз. Баратова, тет. IV, стр. 5 გეოგრაფია ვახუშ., გვ. 38.

[3]) იხ. რვეული IV გვ. 35.

თექგსმეტე გვერდზე. მაშ რას უშვრებოდა თამარი ამოდენა ხაზინასაო? იკითხავთ. იგივე ვახუშტი იქვე სწერს (გვ. 22), რომ მეფეებს ჰყვანდათ მოხელეთა შორის »ხუროთ-მოძღვარიო«, ამის ხელ-ქვეითნი ყოფილან ყველა ხელოსანნი კაცნი. მოვალეობა ამისი ყოფილა »შენება სასახლეთა და ეკლესიათა, არხებისა [1]), ხიდთა და ფუნდუკთა« [2]) (станція). აი ამ გვარს შენობებზე იხარჯებოდა ხაზინის ფული. მტრის დამარცხების შემდეგ თამარი აშენებდა შთამომავლობის სახსოვრად მონასტრებსა და ეკლესიებს, და რადგან საქართველოში არ იყო ისეთი მონასტერი, რომ თან სკოლაც არა ჰქონოდა გახსნილი, ვგონებთ, რომ მათ აშენებისთანავე სკოლებიც იხსნებოდა სამეფოს ხარჯითვე. მრავალი ეკლესიები და მონასტრები, აშენებული კავკასიის კლდე-ღრეებში და უდაბურს ტყეებში; კასპიისა და შავი ზღვის ნაპირებზე, აქა-იქ თვით შუა დაღესტანშიაც, ოსეთში და ჩერქეზეთში დღესაც ხმა-მაღლა ღაღადებენ თამარის დიდებას, ძლევა-შემოსილებას და მაღალს ჭკუას. შიგ შუა-გულ საქართველოში ეკლესიებს აშენებდა იგი ღვთის-მშობლის სახელზე, რადგან ეს ზეციური დედოფალი არის საქართველოს პატრონი, მფარველი და მეოხი წინაშე მღვთისა. საქართველოს მონაპირე ქვეყნებში კი, საცა იმას ქრისტიანობა გაუვრცელებია, უშენებია ეკლესიები სამების სახელზე. ისეა მოფენილი ალაზნის მარცხენა მხარე (კახეთში) ნურის ქალაქამდე მონასტრებითა და ეკლესიებითა, მის მიერ აშენებულითა, როგორც ამბობს გადმონაცემი, რომ განცვიფრებაში მოდის მოგზაური მათის სიმრავლით. ას ოცის ვერსის სიგძეზე კავკასიის მთების მწვერვალები და ფერდობები, რომელნიც გადმოჰყურებენ კა-

[1]) იხ. იქვე გვ. 260.
[2]) იხ. იქვე გვ. 156.

ხეთს, სავსეა მონასტრებით და ეკლესიებით. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავია ვარძიის ღვთის-მშობლის დედეთა მონასტერი. ის დაიწყო თამარის მამამ გიორგიმ, მაგრამ ვერ დაასრულა. ახლა ამან უფრო გაადიდა. გამოაჭრევინა კლდისაგან ეკლესია და მონაზონთა საყოფელი სენაკები. ამისი ხელოვნება ახლაც აკვირვებს მნახველებს. ამბობენ, რომ ამის გამოკვეთაზე ხელმწიფის მოღალატენი და სხვა ტუსაღები მუშაობდნენო. ამავე დროს უფლის-ციხეში ვიღაცა შავთელი კლდესა ჰკვეთავდა, საეკლესიოდ საქმეს რომ მორჩომილა, ამას კედელზე გამოუჭრია შემდეგი წარწერა: მე შავთელმა ერთი წერაქვი შვიდ დღეს ვიხმარე ამის კვეთაში და ერთხელ არ გამილესია ისაო [1]).

თუმცა თამარზე ლაპარაკი ჩვენ უნებურად გაგვიგრძელდა და თუმცა ჩვენც მოხარულნი ვიქნებოდით, რომ გრძელი სიტყვა მოკლედ და მძლავრად მოგვეჭრა, ცოტა გვეთქვა და ამ ცოტაში ბევრი გამოგვეხატნა, მაგრამ, რა ვქნათ, რომ ამ გვარს საქმეს იშვიათი ნიჭი უნდა, რომლითაც ჩვენ ვერ დავიტრაბახებთ. მაინც იმედი გვაქვს, შეცოდებათ არავინ ჩაგვითვლის სიტყვის გაგრძელებას თამარზე, რადგან იგი იყო გვირგვინი საქართველოს დიდებისა, გვირგვინი დედა-კაცებისა და გვირგვინი პატიოსნებისა. თუ ასეა, მაშ მის ცხოვრებაზე და ხასიათზე სიტყვის გაგრძელება საჭიროც არის და გვეპატივება კიდეც.

თუმცა თბილისი შეადგენდა საქართველოს დედაქალაქს, მაგრამ მეფეები აქ არ სცხოვრობდნენ მთელ წლის განმავლობაში. არც ამათ, არც თავადებს არ უყ-

---

[1]) საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ შავთელია ეს კაცი? იქნება ეს კაცი ბერად შემდგარი პოეტი არის? ქორონიკონად ამ ნაწერს აქვს 110 (იხ. Грузія и Арменія, соч. Муравьева, часть 1 стр. 1.)

ვარდათ ქალაქებში ცხოვრება. აქ ცხოვრობდა განსაკუთრებით ვაჭარი ხალხი. მეფესა და თავადობას უყვარდა ქალაქებს გარეთ მაზრებში ყოფნა [1]). ასე იყო ძველისძველადგანვე. ამ ჩვეულებას მისდევდა მეფე თამარიც. მას არა ჰქონდა ერთ ადგილას სამუდამოდ საცხოვრებელი სასახლე. ის ისე დაახლოვებული იყო ხალხთან, რომ მთელის წლის განმავლობაში რამოდენიმე ხანი უნდა ეცხოვრნა თავის სამეფოს ყოველს მაზრაში. სიღნაღის მაზრაში იმას ჰქონდა სასახლე ქიზიყის ბოლოს ყარაღაჯში. ამ ადგილს ხალხი ეძახის დედოფლის წყაროს. საინგილოში მისი სასახლე იყო თალის ქვემოთ ველზე, საცა ახლა მთლად არის შენახული ეკლესია გუმბათიანი. ამ ადგილს უწოდებენ ბაზარს. ამავე მაზრაში არის ყიზ-ყალა (ქალთა-ციხე). სომხეთში სასახლე იყო დვინს, სამშვილდეში—ყიზყალს, ანუ ნადარბაზევს [2]). ის სცხოვრობდა ზაფხულ კოლას და ცელის-ტბას; ზოგჯერ გადავიდის აფხაზეთს, გეგუთს და ცხუმს [3]); ქართლში ჰქონდა სასახლე ნაჭარმაგევს [4]); კოჯორის მახლობლად—ტაბახმელას [5]); ახალციხის მახლობლად—ვარძიის მონასტერში და სხვ. ასე, თამარი მუდამ ერთ ადგილას არ სცხოვრებდა, როგორც ყველა სხვა ქართველთ მეფეებიც. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმათ ეწადათ ხალხთან ახლოს ყოფნა, მისი საჭიროების ცოდნა და ადგილობრივე სამართალისა და გამგეობის წარმოება. მეფე ხალხს უყურებდა როგორც შვილებს, და არა როგორც ქორი—წიწილებს. ის სცხოვრებდა თავის სასახლეებში, რომელთაც აშენებდა მეფის ხარჯით ხუროთ-მოძღვარი.

---

[1]) იხ. ეურ. „ევროპა", 1879 წ.

[2]) გეოგრაფ. ვახუშ. გვ. 166 და 168.

[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 337 და 333.

[4]) იხ. იქვე გვ. 334 და გეოგრაფ. ვახუშ. გვ. 250.

[5]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 308.

რადგან თამარი ხან ერთ ადგილას სცხოვრობდა, ხან მეორეს, ასე რომ მთელი წლის განმავლობაში მიმოივლიდა ხოლმე სამეფოს ყოველს კუთხეს და ყოველგან საკუთარი სასახლე ჰქონდა, ამისათვის ხალხს ეგონა, რომ მეფე მხოლოდ იმათ მაზრაში სცხოვრობდა და აქედგან ჟამითი-ჟამად გადადიოდა სხვა მაზრებშიაც. აი ამით აიხსნება კავკასიის ხალხების შეცილება — არა თამარი ჩვენში სცხოვრობდა, არა ჩვენშიო.

რას აკეთებდა თამარი მაზრებში ცხოვრების დროს? „ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს, და თამარ საქმეთაგანო", ამბობს მატიანე [1]). სამეფო საქმეთაგან რომ მოიცლიდა, ის მაშინვე დედა-კაცურად ხელ-საქმობდა. ის ართავდა ალექსანდრიით მოტანილს ვაჭრებისაგან მატყლს, ჰკერავდა ეკლესიებისათვის შესამოსლებს და სხვა საკერავებს და „თავის ხელითვე განუყოფდა ხუცესთა. გლახაკთა და ღარიბთა". ხაზინიდგან ის არას აძლევდა ღარიბს ხალხს. ყოველს დღეს იმდენს ხელსაქმობდა, რამდენსაც თავის საჭმელზე ხარჯავდა სახლში. ამ ხელ-საქმარს ის ჰყიდდა და მის ფასს ღარიბებს აძლევდა [2]). „მე ვარ მამა და დედა ობოლთა და მსაჯული ქვრივთაო." ამბობდა თამარი. იმას თვითონ არავინ დაუჩაგრავს უსამართლოდ, არც სხვისთვის მიუცია ნება მძლავრობისა. სომხები და მუსულმანები, რომელიც იმან დაიმორჩილა, ყველანი კმაყოფილნი იყვნენ იმისი. იმან დაამშვიდა ამათი ცხოვრება და მისცა ნება ეცხოვრნათ ჭკუიანად და დინჯად, როგორც მათი წესი და რიგი იყო. ამათ სთხოვდა მხოლოდ მორჩილებას, ხარჯს და კეთილად ცხოვრებას. თვითონაც თავის სასახლეში ძალიან წყნარად და ქრისტიანულად სცხოვრობდა. მის კარის ეკლესიაში დღეში სამ-

---

[1]) იხ. გვ. 291.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 311, 312 და 337.

ჯერ ლოცვა იყო: „მწუხრი, დილეულ და სამხრის“. სეფე-წულთაგან ვერავინ დააკლდებოდა ამ ღვთის ვედრებას- თუ ვინმე რასმეს დააშავებდა, ის მოქმედობდა მათზე სიტყვით, დარიგებით და ჩაგონებით. ერთის სიტყვით ის იყო ტაძარი სიმართლისა, გვირგვინი პატიოსნებისა და ჭური კაცობრივის ღირსებისა. ამისათვის უზომოდ უყვარდა ის ხალხს. მისი სახელი ქართველ კაცს ენაზე დაწებებული ჰქონდა. ყველანი იმას მეცადინეობდნენ რამე ქება ეთქვათ თამარისათვის ლექსად. ბეჭედზე, ხმალზე, დანებზე, და მოხუცებულნი ჯოხებზე თამარის სახელს აწერდნენ; დარბაზებზე აკროსტიხურად თამარის ქებას აჭრევინებდნენ; ახალგაზდანი ერთმანერთს მუსაიფის დროს თამარის საქები ლექსებით ეჯიბრებოდნენ. ერთის სიტყვით ის ისეთი ძლიერი, წყნარი, მშვიდი, გონიერი, კაცთ-მოყვარე, მოწყალე და ძვირ-უხსენებელი ყოფილა, რომ ხალხს მასზე მრავალი არაკები შეუდგენია. რადგან ისინი შეადგენდნენ თამარის ხარაქტერიტიკას, მოვიყვან სამს მათგანს. 1) თამარი ისეთი მშვენიერი, წყნარი და ლმობიერი ადამიანი იყოვო, რომ მხეცებიც კი მას ემორჩილებოდნენ და თაყვანსა სცემდნენო. შარვანშამ იმას გამოუგზავნა ლომის ბოკვერი. ის ისეთი დიდი ღა საზარელი შეიქმნა, რომ მისებრი არ ნახულა კაცისაგან არც ველური, არც შინაური. როცა ამას სასახლეში მოიყვანდნენ, თუმცა ორკეცი ჯაჭვით ეჭირათ, თამარს დაინახივდა თუ არა, გაიწევდა, გაითრევდა კაცებს, მივიდოდა მასთან, ჩაუდებდა მას კალთაში თავს და ლოშნიდა მას [1]). 2) სვანები ამბობენ, რომ რომ თამარი არ მომკვდარაო; ის სცხოვრობს უშკულში ეკლესიის ქვეშ სარდაფშიო. თუ ეს ადგილი გახსნეს და თამარი ამოვიდა, დიდი უბედურება შეემთხვევა ქვეყნიე-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 301, 312, 336.

რებასო [1]). 3) ერთ დღესასწაულს დღეს თამარი გელათში წირვაზე წასვლას ემზადებოდა. ამ დროს შემოვიდნენ მასთან და მოახსენეს: გლახაკი დედა-კაცი მოწყალებას გთხოვსო. მომიცადოს ცოტა ხანსაო, უბძანა თამარმა; მაგრამ ვიდრე ის თავს დაიხურავდა და ლეჩაქზე ლალებს გაიკეთებდა, გლახაკმა აღარ მოიცადა. თამარი გამოვიდა მოწყალების მისაცემად, მაგრამ ის ველარ ნახა, და ისე შერცხვა და ეწყინა, რომ მოიხადა ლეჩაქი, თვალმარგალიტითა და ლალებით შემკობილი, რომლის თავზე დახურვაც იყო მიზეზი მისი დაგვიანებისა, გადაახურა თავზე ხახულის ღვთის-მშობელს და სთქვა: „მე აღარა ვარ ღირსი, რომ ეს ლეჩაქი თავზე კიდევ მეხუროსო“ [2]).

ასეთი საყვარელი მეფე იყო თავის ერისა თამარი. ის გამეფდა 17 წლისა, იმეფა 28 წელიწადი. ის ავად გახდა „დედობრივის ჟძლურებით“ ნაჭარმაგევში, რომელსაც ახლა ქართლში კარალეთს ეძახიან. ძლიერ რომ დასნეულდა, ის თბილისში ჩამოიყვანეს ბალდახინით, მაგრამ ექიმებმა რომ ვერა უშველეს-რა, უკანვე წაიყვანეს ნაჭარმაგევს და აქ „დაიძინა თამარ ძილი იგი მართალთა“ 18 იანვარს, 1212 წელს. მან ასახელა და გააძლიერა საქართველო და დაიმარხა მამათა თანა გელათში [3]).

თამარის სახელმა და დიდებამ აღამაღლა ხალხში ქალის ღირსება და მნიშვნელობა; მიეცა მას სრული თავისუფლება მოქმედებისა; მაგრამ სამწუხაროდ იმათ ვერ ისარგებლეს კეთილად მინიჭებულის უფლებით: ისინი ძალიან თავს გავიდნენ, გაამაყდნენ, გაუტკბათ ცხოვრება იმ ზომამდე, რომ დედობრივი სირცხვილი, ნამუსი, უმანკოება და ერისთვის გულშემატკივრობა დაასუსტეს თა-

[1]) იხ. Природа и люди на Кав. и Закав., соч. Надеж.. стр. 100.

[2]) იხ. იქვე გვ. 337 და соч. Муравьева „Грузія“.

[3]) იხ. მატიანე. გვ. 326, 334 და 338.

ვიანთ გულში. აღმოჩნდნენ „დედანი უწესონი, რომელთა-თანა აღრევითა“ გაირყვნა დადებულის თამარ მეფის შვილი ლაშა-გიორგი, „რომელი შეაცდუნეს დედათა“. მაღალ-წოდებას შემოეპარა რაინდული ცხოვრება, „რათა განიძლონ სიბილწე თვისი“. მემატიანე აქ შემდეგნაირად მჭევრ-მეტყველებს: ვითარცა ერთ დროს ებრაელნი გაჰძღნენ, განსხვავდნენ, გასუქდნენ და დაუტევეს გზა ქველმოქმედებისა, პატიოსნებისა და კეთილ-სინიდისიანობისა, სწორედ ეგრე იქმნა ქართველთ საზოგადოებაშიაც: „განძღეს და იშვებდეს, და მიდრკეს უწესოებად სიძვათა შინა“ [1]). მაგრამ ამ შექცევასა, სმასა და ჭამას დიდხანს არ აცალა სიკვდილმა. ლაშა-გიორგი მოკვდა უზომოდ ფუფუნებითი და განცხრომითი ცხოვრებისაგან. გამეფდა მისი და რუსუდანი. მიჰყო ამანაც ხელი თავის ძმის საქციელს. ის დედასავით ძალიან ლამაზი ქალი იყო. ასაკში რომ მოვიდა მცირე-აზიის სულთანი მელიქი და შირვან-შაჰი ეხვეწებოდნენ ქმრობას, მაგრამ იმან უარი უთხრა და ჯვარი გადიწერა იკონიის სულთნის ყილიჯ-არსლანის III-ის შვილზე მოგით-ედდინ-თოღრულ-შაჰზე, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო ამ მიზეზით. მაგრამ იმან ულალატა ქმარს და ეს უკანასკნელი რომ გაუწყრა, მაშინ დაიჭირა ის და ჩასვა ციხეში. იმოდენად უნამუსო შეიქნა, რომ არ მოერიდა ქვეყნის განკიცხვას და სრულიად მიეცა თავის გულის თქმათა დაკმაყოფილებას. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: „ადამიანის პირის კანი ხახვის შუა გარსზე უფრო თხელია და თუ ერთხელ გაიხა, კამბეჩის ტყავზედ უფრო გასქელდება და შეიქნება ურცხვი“. ასე დაემართა რუსუდანს. ქმრის დატუსაღების შემდეგ დაიბარა ოსეთიდგან ორი წარჩინებული გვარის კაცი და მიჰყო ხელი იმათთან უწესოებას, ვიდ-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 341 და 342.

რე მათთანაც ყოფნით გული არ გაუქსუვდა. მერმე ესენიც გარეკა და დაიბარა განჯის მთავრის შვილი და ახლა იმასთან შეურაცხ-ჰყო საწოლი თვისი. იმ ზომამდე დაჰკარგა მან გრძნობა ზნეობრივი, რომ ამ უცხო თათარს ეხვეწებოდა ქრისტიანობა მიეღო და კანონიერი ჯვარი დაეწერა, მაგრამ იმან უარი უთხრა.

მონგოლებისაგან გამოდევნილმა საქართველოსკენ ჯალალ-ედდინმა რომ შეიტყო ასეთი ქცევა რუსუდან დედოფლისა, მოინდომა მისი ქმრობა და ამ მიზეზით საქართველოს მეფედ გახდომა, რომ რა არის შეერთებულის ჯარებით შევებრძოლები ჩინგიზ-ხანის ჯარებსაო; მაგრამ იმან ცივი უარი შეუთვალა სახელოვანს გმირს. ამისათვის ეს კაცი შემოესია თავის ას სამოცი ათასის კაცით 1227 წელს სამეფოს და სრულიად გააოხრა მისი აღმოსავლეთის მაზრები. ამის გამო საქართველო ძლიერ დასუსტდა და დაუძლურდა. ამ გარემოებამ, ჯალალ-ედდინის შემდეგ, ძლიერ გაათამამა ხვარაზმიისა და იკონიის სულთნები. იმათ მოიწადინეს საქართველოზე გამოლაშქრება. რუსუდანი შეშინდა, და 1233 წელს სთხოვა პაპას გრიგორი მეცხრეს შემწეობა ჯარით, და ამ შემწეობისათვის მადლობის გადასახდელად ის დაჰპირდა საქართველოს ეკლესიის შეერთებას ლათინთ ეკლესიასთან. მაგრამ პაპისაგან პასუხმა დაიგვიანა. მაშინ ცბიერმა რუსუდანმა იხმარა პოლიტიკური ხელოვნება. იმან დაუყოვნებლივ სთხოვა იკონიის სულთანს კაიკაბადას მოყვრობა. ეს თანახმა გახდა და ამანაც დანიშნა თავისი ასული თამარი, რომელიც თოღრულ შაჰისაგან ჰყვანდა, მის შვილზე ყიასდინზე, და რომ შეიჯეროს მტრის გული, გაუგზავნა მას მცირე-აზიაში მძევლად თავისი ძმის-წული, ტახტის მემკვიდრე, დავით სოსლანი. ეს უკანასკნელი საქმე იმ მიზეზით მოიმოქმედა, რომ თავის შემდეგ საქართველოს ტახტის გადაცემა თავის შვილის დავით-ნა-

რინისათვის ეწადა. ამ სურვილმა შემდეგში გაჰყო საქართველო ორ სამეფოდ. მემკვიდრის საქართველოდგან გაშორების შემდეგ, იმან გამოაცხადა თავისი შვილი ტახტის მემკვიდრედ. იმას ეგონა ამის შემდეგ დავითიც უარს იტყვის თავის ნებით ტახტზედაო; მაგრამ ის სცხოვრობდა დიდის პატივით მცირე-აზიაში და სრულიადაც არა ჰქონდა განზრახვა ხელი აეღო სამეფოზე. ამასობაში გადის რამოდენიმე ხანი. რუსუდანი ათხოვებს თავის ასულს თამარსაც და მზითევში აძლევს აწყვერის ეპარხიას [1]). ამასა და დავითს უყვართ ერთმანერთი და-ძმურათ, როგორც ნათესავებს და უზიარებენ ურთ-ერთს დარდსა და სიხარულს უცხოეთში. ამისათვის დავითი არ ნაღვლობს. ეს სწყინს მამიდას. ემდურის თავის ასულს და სთხოვს სიძეს მოჰკლას დავითი [2]); მაგრამ თამარი ესარჩლება ბიძაშვილს. ამაზე რუსუდანი ცოფიანდება და სწერს სიძეს: „ჩემის ძმისწულის სიკვდილი ამისათვის მსურსო, რომ ქრისტეს სჯულის კანონს არღვევს და ჩემს ასულს და შენს საყვარელს ცოლს ჰყვარობსო, რის გამოისიც მას ესარჩლებაო [3]). მაშინ ბარბაროსი მოტყუვდა და აღძვინდა: დაიჭირა ცოლი და ისე სცემა წიხლითა, რომ სრულიად დააოსა და დაალურჯა, დაულეწა ხატი და ჯვარი და უბრძანა ქრისტიანულად აღარ ელოცნა და ჰიელო მაჰმადიანობა. მერმე დაიჭირა დავით სოსლანი და ზღვაში ჩააგდებინა, მაგრამ სიმართლე მიუძღოდა მას წინ ტ ამისათვის არ დაიღუპა, რის გამო ის ახლა ორმოში ჩაგდეს, რომლებშიაც მრავლად ბუდობდნენ გველები.

ამის შემდეგ რუსუდანი დამშვიდდა, და ნაცვლად იმისა, რომ მიაქციოს ყურადღება აოხრებულ სამეფოს გამაგრებას, ხალხის განათლებას და გამდიდრებას ვაჭრო-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 352.

[2]) იხ. იქვე გვ. 356.

[3]) იხ. იქვე გვ. 367.

ბითა და სხვა-და-სხვა ხელობის სწავლით, მოიწადინა ევროპის ხალხების ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება. აი რასა სწერს ის პაპას: „ჩემი ძმა, საქართველოს მეფე გარდაიცვალა და მას მერმე მე გავმეფდი. ახლა გთხოვთ მაკურთხოთ და დამლოცოთ მეცა და ჩემნი ქვეშევრდომნიცა. ჩვენ მივიღეთ თხოვნა თქვენის მოადგილისი, რომელიც იმყოფება დამიეტაში, რომ ჩემი ძმა მიჰშველებოდა იქ ქრისტიანებს. ის კიდევაც მოემზადა აესრულებინა თქვენი თხოვნა, მაგრამ წყეულნი თათარნი შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას, დიდი ვნება მისცეს ხალხსა და მოგვიკლეს ექვსი ათასი კაცი, ჩვენ იმათ არ ვერიდებოდით: გვეგონა, ისინი ქრისტიანები იყვნენ; მაგრამ როცა შევიტყეთ, რომ ისინი ქრისტიანნი არ არიან, შევყარეთ ჯარები, თავს დავესხით მათ, ამოვწყვიტეთ ოცდა ხუთი ათასი, მრავალნიც დავატყვევეთ და განვდევნეთ ჩვენის ქვეყნიდგან. აი ამან დაგვიშალა და ვერ აღვასრულეთ თქვენის ლეგატის თხოვნა. ჩვენდა სასიხარულოდ ახლა შევიტყეთ, რომ თქვენის ჩაგონებით იმპერატორი უნდა მოვიდეს სირიაში, რომ განათავისუფლოს წმინდა ადგილები. უბრძანეთ ჩვენც შეგვატყობინონ, როდის უნდა წამოვიდეს ის, და დანიშნეთ დრო და ადგილი, როდის და სად გამოვგზავნოთ ჩვენი სპასალარი იოანე ჩვენის ჯარებითა, რომ უშველოს ქრისტიანებს და განათავისუფლონ წმინდა საფლავი ურჯულოთ ხელიდგან. უთუოდ გეცოდინებათ, რომ სპასალარმა იოანემ და სხვათა მრავალთა თავად-აზნაურთაც ჯვრით დაიდამღეს თავი და უცდიან ჯვაროსანთ მოსვლას. ამისათვის ჩვენ გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ საკუთრივ ჩვენ, აღმოსავლეთის ქრისტიანებს, ცალკე წერილი თქვენის ლოცვა-კურთხევითა". ამ წერილზე პაპამაც უპასუხა და აქა წერილში რუსუდანისა და ქართველების საარწმუნოებრივი სიმტკიცე; აგრეთვე შეატყობინა, რომ ფრიდე-

რიკოს იმპერატორი ერთი წლის შემდეგ გამოილაშქრებს თათრებისათვის წმინდა ადგილის წასართმევათო. მაგრამ ეს არ მოჰხდა 1228 წლამდე და ამ წლებს კიდევ რუსუდანს აღარ სცალოდა. 1227 წელს საქართველო ჯერ ჯალალ-ედდინმა ააოხრა, მერმე მას მოჰყვნენ მონგოლები, რომელთაც დაიჭირეს აღმოსავლეთ საქართველო და სრულიად გაანადგურეს. რუსუდანი გაიქცა იმერეთში. „რუსუდანი ყოვლადვე დაემკვიდრა ლიხთ იქით და ვერ-ღარა გადმოვიდეს ლიხთ აქეთ [1]. ამისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ყურს აღარ უგდებდა. ამასობაში მონგოლები დასეირნობდიენ საქართველოში და არბევდნენ ხალხს. ისინი არ წყნარდებოდნენ, რადგან რუსუდანი არ ურიგდებოდა იმათ. რადგან თავად-აზნაურობას არ ეწადა მისი შვილის გამეფება, ის ჯიბრზე არ ისმენდა მის ვედრებას შეჰრიგებოდა მტერს, და ვიდრე მისი შვილი არ აღიარა თავადობამ ტახტის მემკვიდრედ, არ დაემორჩილა მას. ამის შემდეგ სთხოვა რუსუდანმა მონგოლებსაც, რომ მისი შვილი მეფედ აღიარებინათ. ისინი თანახმა გახდნენ, და დაიბარეს თავისთან დავით-ნარინი; მაგრამ მონგოლებმა ის აღარ გამოუშვეს. რუსუდანს ეს ეწყინა, და „ტკბილისა შვილისა თვისისა ნაღვლითა მწარედ ილეოდა, დასნეულებული გადაიცვალა თბილისს [2].

ამის შემდეგ შეიყარნენ თავადნი; სარგის თმოგველი, ათაბაგი შანშე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, და სხვანი, სთხოვეს ნოინებს დაეხსნათ დავით სოსლანი პატიმრობიდგან და გაემეფებინათ. ვარამ გაგელმა და სარგის თმოგველმა ის მოიყვანეს მცირე აზიიდგან საქართველოში, მაგრამ ნოინებმა გაგზავნეს ყაენთან ჩი-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 360.

[2]) ქორონიკონი აბის ნაჩვენები 451, რომელიც უდრის 1239 წელს, მაგრამ ის გარდაიცვალა უფრო გვიან. ჩვენის აზრით 1239 წელს.

ნეთში, საცა იმყოფებოდა რუსუდანის შვილი დავით-ნარინიცა. იქ ისინი დიდხანს დარჩნენ, რადგან მონგოლებმა არ იცოდნენ, რომელი მათგანი გაემეფებინათ. ბოლოს ორივეს დაუმტკიცეს მეფობა, რადგან იმერეთის თავად-აზნაურობას უყვარდა დავით-ნარინი, აღმოსავლეთის---საქართველოისას---დავით სოსლანი. ესენი პირველ ხანებში თანხმობით მეფობდნენ; მაგრამ გავიდა დრო, აეშალნენ ერთმანერთს. მაშინ ნარინი გადავიდა იმერეთში, გამეფდა იქ და გაცალკევდა საქართველოსაგან. ამას შეუდგა მტრობა და ჟლიტეს ერთმანერთი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართველებმა, და ამან ისე მოაბეზრა ხალხი, რომ სიგელის შედგენით გაჰყვეს საქართველო ორ სამეფოდ [1]).

აი ასეთი შედეგი ჰქონდა რუსუდანის მეფობასა და მოქმედებას. ამის შემდეგ ნელ-ნელა ჩაესვენა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების ვარსკვლავი სამარეში. მართალს ამბობენ ნასწავლნი კაცნი: "დედა-კაცთაგან სამეფონი კიდეც ღუკავდებიან და კიდეც დაემხობიანო". ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ქართველთ ერთობა და სამხედრო დიდება მათ აღაშენეს და ახლა ვხედავთ, რომ იგი ერთობა მათვე დააქციეს.

ამის შემდეგ საქართველოს ბედიც და უბედობაც ქალების ხელშია. მეფეებს ისე ატრიალებენ, როგორც ენებებათ, მათ გაიტაცეს თავიანთ მაგალითით მონგოლთ ქალებიც. აი რაებსა სჩადის ჯიგდახათუნი, ცოლი დავით-სოსლანისა.

სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ მეფე თავის ჯარებით ყაენთან წავიდა, რადგან დაებარებინა. სამეფოს გამგეობა მან ჩააბარა თავის ცოლს და პირველს ვეზირს ჯიქურს. ეს კაცი მეფის ძლიერ ერთგული იყო და ქვეყ-

---

[1]) იხ. ქართ, ცხოვ. გვ. 393.

ნის კარგად გამგეც. მის დროს ქურდი და ავაზაკი არ მოიპოვებოდა სამეფოშიო. ამბობს მატიანე. ამანვე აღუშენა მეფეს „ისანთა პალატი“, რადგან სამეფოს დიდი შემოსავალი ჰქონდა მისივე „ჯიქუერისა მეცადინეობით. მაგრამ ვერც ეს კაცი გადურჩა დედა-კაცის გავლენას. ჯიგდა-ხათუნის [1]) ბრძანებით იმან დაიჭირა კახეთის გაღმა მხრის მთავარი თორლუა, გატეხა ფიცი, წააყვანინა კლდეკარს და კლდეზე გადააჩეხინა თვინიერ მეფის ცნობისა. დედოფალი ათამაშებს მეფეს, როგორც ენებება. იმას შვილი არა ჰყავს. ამ მიზეზისა გამო ის მეფეს ძალას ატანს მეორე ცოლიც შეირთოს. ის ასრულებს მის სურვილს. მოიყვანა ხასად ოსის ქალი ალთუნ, ამისგან იშვა გიორგი. ჯიგდა-ხათუნმა მაშინვე წაართვა დედას შვილი და თვითონ იშვილა. ამის მერმე ალთუნისაგან იშვა ასული თამარ. ჯიგდა დედოფალმა ესეც წაართვა დედას და მერმე ქმარს დაათხოვნინა სახლიდგან [2]); მაგრამ ამის შემდეგ ის მალე მოკვდა. მეფემ შეირთო ცოლად ახლა გვანცა, ქვრივი ავაგ ათაბაგისა, რომელიც იყო ცოლ-ყოფილი ივანე ათაბაგის შვილისა. ეს დედა-კაცი რაჭის ერისთვის კახაბერის ქალი იყო. ჯიქური ეწინააღმდეგებოდა მეფეს ამის შერთვისთვის. ამისათვის გვანცა და ის გადაეკიდნენ ერთმანერთს. მაგრამ ჯიქურს ძვირად დაუჯდა მასთან მტრობა. იმან მიიმხრო სუმბატ ორბელიანი და მეფის ღალატობა შესწამა. მალე დამჯერებელმა მეფემ აღარ გამოიკითხა ჯიქურის სიმტყუნე და სიმართლე, დააჭერინა შუალამისას ეს სახელოვანი კაცი, მოაყვანინა სასახლეში, რომელიც მტკვარს გადაჰყურებდა, გააღებინა ფანჯარა და გადააგდებინა მტკვარში; თვითონ იჯდა მეორე ფანჯარასთან და აზვიადებული უყურებდა

---

[1]) ის იყო მონგოლი, მაგრამ ქრისტიანობდა, როგორც ამბობს ქართ. ცხოვ. გვ. 384.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 388.

თავის მსხვერპლს. მაგრამ ვერ გადურჩა გვანცაც სამართლის განსჯას. რა საწყაულითაც იმან ჯიქურს მიუწყო სიმართლე, იმავე საწყაულით მიეწყო მასაც სიმართალე თავისივე ასულისაგან. აი რაშია საქმე:

ამ ხანებში მეფე დავითი აეშალა მონგოლებს. მოუვიდათ ჩხუბი. მეფე დამარცხდა. გვანცა და მის მიერ ნაშობი შვილი მეფისაგან, დიმიტრი, წოდებული შემდეგში თავ-დადებულად, მონგოლებმა ტყვედ წაიყვანეს. ამ დროს ხელში ჰყვანდათ იმათ მეფის პირველი შვილი გიორგიც, რომელიც ალთუნისაგან იყო შობილი. რადგან მეფე აღარ ემორჩილებოდა იმათ, ამისათვის მოინდომეს მეფის ოჯახის მთლად გაწყვეტა. მაშინ შეშინებულმა გვანცამ თავისი შვილი დიმიტრი ერთს სახელოვან ნოინის ცოლს, რომელიც უშვილო იყო, კალთაში ჩაუდო და სთხოვა გადაერჩინა სიკვდილისაგან, და უთხრა, რომ ის არის დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალი. თხოვნა შეუსრულა ნოინის ცოლმა, წაესარჩლა დიმიტრის და გადადაარჩინა დინასტია სიკვდილს. მაგრამ გვანცა კი, არ ვიცით, რა მიზეზით, ყველამ მოიძულეს. მისვე საკუთარს ასულს ხვაშაგს, რომელიც მას პირველ ქმრისაგან ჰყვანდა, ისე შეეჯავრა დედა, რომ საწამლავი მისცა და მოჰკლა [1]). ასე, გვანცამ დინასტია გადაარჩინა სიკვდილს, და თავისი თავი კი მის სიცოცხლეს ზედ წააკლა.

მეფე დავითმა ახლა მესამე ცოლი შეირთო. ამას ერქვა ესუქან. ის იყო „დიდისა ჭარმაღონ ნოინის ასული“. არც ეს დედოფალი იყო კეთილის სულისა და სინიდისისა. მაგრამ რაღა მარტო ამაზე ვამბობ: მთელს საზოგადოებას გაუჯდა ძვალ-რბილში ბიწიერება. აღიხოცა ღვთის შიში და მსახურება; გაირყვნა ზნეობა და სინიდისი. ამ დროს გარყვნილია მეფეც, დედოფალიც, ბე-

1) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 398.

რიც და ერიც. დედოფალი ჰყვარობს ბასილი უჯარმოელს. ბერი ჯერ მეფის საწოლს შეეხება, მერმე ხელს იღებს თავის ხარისხზე და ერისთაობას იჩემებს. მეფე უწყრება მას და სიკვდილით სჯის, დედოფალს ეს სწყინს და ქმარს საწამლავს აძლევს და ჰკლავს: როგორ თუ შენ გამიბედე და საყვარელი მომიკალიო [1]).

თუ გვანცა დედოფალი ორჯელ გათხოვდა, არც მისმა ასულმა ხვაშაგმა დააკლო რამე. ის იყო მამის ერთა შვილი [2]). როცა მისი დედა გათხოვდა მეფესთვნ, მაშინ მანკაბერდელმა, როგორც მზრუნველმა [3]), ის მიათხოვა მონგოლს, რომელსაც ერქო ხოჯა-შამშადდინი [4]). მაგრამ ეს ქმარი რომ მოუკვდა და შვილი არ დარჩა მისგან, მაშინ ის დაბრუნდა თავის მამის სამკვიდრებელში, და რამდენიმე ხნის შემდეგ თავის მზრუნველზე მანკაბერდელზე ჯვარი გადიწერა [5]). ამ გარემოებას არ ჰქონდა საქართველოსთვის კეთილი შედეგი. მანკაბერდელი უამისოთაც ძლიერ აზღვავებული [6]) იყო და ამ ქორწინებამ ის უფრო გააძლიერა. ხვაშაგმა თავისი მამის სამკვიდრებელიც ამას დაუმტკიცა საშვილის-შვილოდ. ამის გამო მეფემაც თავის მხრით მისცა მას სიბდივნობა (**президентъ государственнаго совѣта**), რადგან ეს თანამდებობა სიცოცხლეში იმის სიმამრს ავაგს ეჭირა და ახლა მისი ასულისა და ქონების მემკვიდრედ გახდა. ამ გვარს შემთხვევაში ქალებს ისეთი უფლება ჰქონდათ, როგორც მამა-კაცებს. თუ მამას ვაჟი-შვილი არ ჰყვანდა, მამულები მთლად ასულს ეძლეოდა. ასე მოჰხდა ახლაც. ამ კა-

---

1) იხ. იქვე გვ. 399, 409.
2) იხ. იქვე გვ. 388.
3) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 388.
4) იხ. იქვე გვ. 398.
5) იხ. იქვე გვ. 412.
6) იხ. იქვე.

ნონის წყალობით მანკაბერდელმა დიდი მამულები შეიძინა. რადგან ქალებს ჰქონდათ მართლიერება მამის უძრავი და მოძრავი ქონებისაგან წილი მიეღოთ გათხოვების დროს ამისათვის მოინდომა მეორე ცოლის შერთვაც, და წადილი კიდევაც აღისრულა. იმან შეირთო ახალციხელის ასული, და მზითევში მიიღო „ყარსის მიმდგომი ქვეყანანი". ახლა ის უფრო გამდიდრდა და გაძლიერდა. ის შეიქმნა ახლა ამირ-სპასალარიც, სიბდივანიც და ქვეყნის გამგებელიც. საქართველოს შესახებ მონგოლები ყველაფერს იმას ეკითხებიან. თვით მეფეც იმას პატივსა სცემს და ერიდება მის წყენას. მაგრამ მისი ხარბი თვალი ჯერ კიდევ არ არის გამაძღარი. იმას უნდა იშოვოს თელავი და ბელაქანიც; მაგრამ მეფე არ აძლევს. მაშინ იმან განიზრახა მეფე დიმიტრის დაზე ჯვარის დაწერა, რომ რა არის ამ გზით შეიძინოს თელავიც და ბელაქანიც. მაგრამ მეფის და თამარი არღუნ მონგოლის შვილსა ჰყვანდა ცოლად. მის სასიხარულოდ ქალს არ უყვარდა თავისი ქმარი, და სცხოვრობდა იმასთან მხოლოდ იმისათვის, რომ ის საქართველოში იმყოფებოდა; არც თხოვდებოდა იმაზედ, თუ მას პირობა არ მიეცა, რომ აქ იცხოვრებდა. მაგრამ მონგოლს მამა არღუნი რომ მოუკვდა, ცოლი დასტოვა თბილისში, თვითონ წავიდა მამის სამძიმარზე მონგოლეთში. რამდენიმე ხნის შემდეგ დააპირა თამარის წაყვანაც; მაგრამ ქალი უარზე შედგა, რადგანაც „ჰძაგდა მისი სარწმუნოება", და არ უყვარდა. ის გაიქცა მთიულეთში. ასტყდა ამაზე საჩივრები ყაენთან, ბევრს ეცადნენ წაყვანას, მაგრამ თამარი ვერ დაითანხმეს. მაშინ მანკაბერდელმა შეატყობინა ყაენს და სთხოვა მეფის დას ქმარი, არღუნის შვილი აღარ სწადიანო. ყაენი დათანხმდა ამ ცოლ-ქმართ გაყრაზე, რადგან მონგოლებს ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: „როცა ქალი და ვაჟი ცოლ-ქმრობაზე დათანხმდებოდნენ, მაშინ ქალი გა-

იქცეოდა რომელსამე ნათესავთან და იქ დაიმალებოდა. სიძე მოვიდოდა და სთხოვდა საცოლოს, მაშინ სიმამრი ეუბნებოდა მას: ჩემი ქალი შენ გეკუთვნის, წადი მოძებნე, საცა იპოვი, წაიყვანე" [1]). არღუნის შვილმა თამარი ეძება და რომ ვერ იპოვა ეს ამბავი შეუდგა. თამარი გამოისყიდეს, და მაკაბერდელმა შეირთო ცოლად. მაშინ მეფემ მისცა მას თელავიც და ბელაქანიც. მაგრამ როცა სადუნი მანკაბერდელი მოკვდა, დიმიტრისავე თხოვნით მის შვილს ხუტლუ-შას ანუ ხუტლუ-ბუღას მონგოლებმა ჩამოართვეს ავაგ-ათაბაგის მამულები და მისცეს მასვე დიმიტრის. ეს იწყინა ხუტლუ-შამ და მოაკვლევინა შემდეგში მონგოლებს მეფე დიმიტრი თავდადებული [2]).

სამი ცოლი, რასაკვირველია, მარტო სადუნ მანკაბერდელს არა ჰყვანდა. ამაში მონაწილე იყო დიმიტრი მეფეც. ამასაც სამი ცოლი ჰყვანდა ერთად. პირველი იყო ტრაპიზონის იმპერატორის ასული, მეორე იყო თათრის ქალი სოლდალა, მესამე ბექა დიდის ჯაყელის ასული ნათელა. როცა დიმიტრი მოჰკლეს მონგოლებმა, ესენი სამივენი თანა ჰყვანდა თავის შვილებით. ამათ დამალეს თავიანთი შვილები და თვითონაც დაიმალნენ, რადგან ყაენს იმათი დახოცვაც ეწადა [3]). ასე ამ სახით დედაკაცებმა კიდევ გადაარჩინეს დინასტია სიკვდილს.

მაგრამ შესანიშნავია, რომ მატიანეს დამწერი საქართველოს ამ დროს ზნე-გარყვნილობას დედა-კაცებს აბრალებს. რათ იყო მეფე ლაშა-გიორგი და მის დროინდელი საზოგადოება გარყვნილიო?—ამისათვის რომ ის შეაცდინეს უწესო და უზნეო დედა-კაცებმა, „რათა გა-

---

[1]) იხ. Начало цивилизаціи Леббока გვ. 81.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 420, 423, 424.

[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 425.

ნიძღონ სიბილწე თვისი« [1]). რად შეირთეს დიმიტრი მეფემ და სხვებმა სამ-სამი ცოლიო?—ამისათვის რომ »დედათა შეაცდინეს სოლომონისაებრ, და ურიცხვითა კეთილითა აღვსებული სიბოროტედ მიდრკა« [2]). მაგრამ განა მართალს ამბობს მატიანე? განა დედა-კაცები ატანდნენ ძალას მამა-კაცებს: არ იქნება თუ თითომ სამ-სამი არ შეგვირთეთო? მამა-კაცს ჰსურს სამი ცოლი ჰყვანდეს ერთად, და შეძლებაც ამის ნებას აძლევს, და აბა დედა-კაცი აქ რაშია დამნაშავე!? საზოგადოებაში გარყვნილების გამავრცელებელნი ისინი კი არ არიან, არამედ მოცალეობა, უხობა პურისა და ღვინისა. აი რას ამბობს ამის თაობაზე ქართლის ცხოვრება ერთ ალაგას: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველიდგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ რა-ჟამს განდიდნეს, განსუქნეს, და დიდება ჰპოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი« [3]). რასაკვირველია, ამით ჩვენ ის არა გვსურს ვსთქვათ, რომ ქალები უცოდველნი არიან ამ შემთხვევაში, მაგრამ მაინც თამამად ვალვიარებთ, რომ ჩვენში ისინი ჰსჯობნებიან მამა-კაცებს. იმათი ლეჩაქი ისე დასაძრახისი არ არის, როგორც რომ მამა-კაცის ქუდი. ამ მოხსენებულს ზნეობა-გარყვნილს, დაცემულს და ბნელით შემოსილს დროს ქართველთ საზოგადოებაში ისევ იმათი ლეჩაქი ბრწყინავს, ისევ ისინი მეცადინეობენ მოიპოვონ მალამო საზოგადო სნეულების მოსასპობლად და ხდებიან, როგორც ერის ზნეობის დამცველად, აგრეთვე ერთობისა და პოლიტიკურის თავისუფლების აღმადგენელად. აი ფაქტები მათის მოღვაწეობისა:

---

[1]) იხ. იქვე გვ. 341.

[2]) იხ. იქვე გვ. 418.

[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 260.

1289 და 1318 წლებს შუა 29 წლის განმავლობაში მოქმედებენ საქართველოს სასარგებლოდ სამცხე-ჯალარჯეთის მთავარი ბექა დიდი და ამისი ცოლი ვახახი. ამ ბედნიერ ცოლ-ქმართ ბატონობის დროს მტერმა არც თავის-თავს მისცა მოსვენება, არც ქართლ-კახეთის ერი მოასვენა. მშვიდობიანობა იყო მხოლოდ ამათ სამფლობელოში. აწიოკებულ-დაწიოკებულმა ხალხმა რამდენიმე წლის განმავლობაში ვერც მოხნა, ვერც მოთესა. ამისათვის ქართლში და კახეთში პური არსად მოიპოვებოდა, რაგინდ ფასი შეეძლიათ. ისე გაძლიერდა სიმშილი, რომ არა წმინდის ლეშს დაურიდებლად სჭამდნენ. ეი ამგვარს ულმობელს დროს ბექა და მისი ცოლი ვახახი მიიწვევენ ქართლის ხალხს სამცხეში, აძლევენ პურს ზოგს ფასით, ზოგს უფასოდ; ვინც სრულიად ღარიბი და უსახლ-კაროა, ასაზრდოებენ თავისვე სამფლობელოში. „ფრიადსა და უზომოსა მოწყალებასა აძლევდა მეუღლე ბექასი ვახახი, რომელიც იყო ყოვლითურთ შემკობილი, ამბობს ქართ. ცხოვრება [1]). „იგი იყო აგრეთვე ობოლთა და უღონოთა აღმზრდელი“ [2]). აქ სიტყვა „აღმზრდელი“ ნიშნავს იმას, რომ სახელოვანნი ცოლ-ქმარნი ობლებსა და ღარიბებს საჭმლითაც ასაზრდოებდნენ და და წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ. ამ განზრახვით იმათ მიიწვიეს სასახლეში საქართველოს ყოველს კუთხიდგან განსწავლულნი მღვდელნი, ბერნი და ეპისკოპოსნი და ასწავლიდნენ ეოს ღვთის სჯულსა და კანონს. ამ სასარგებლო მოქმედებას ვახახმა მაშინ უფრო მოუმატა, როცა მოუკვდა ქმარი. გაღარიბებული მტრისაგან მონასტრები იმან გაამდიდრა სასმელ-საკვებავით. რასაკვირველია, ამას იქმოდა იმ განზრახვით, რომ დაეცვა სამშობლო ქვეყნის

---

[1]) იხ. იქვე გვ. 437.

[2]) იხ. იქვე გვ. 413.

არსებობა, დიდება და სალოცავნი. ამავე დროს იმანა და მისმა ასულმა ნათელამ დაუწყეს აღზრდა ტახტის მემკვიდრე გიორგი ბრწყინვალეს (მეხუთეს). იმას ისეთი აზრები და ფიქრები გაუხსნეს და ისეთი მიმართულება მისცეს, რომ შემდეგში, როცა მეფედ გახდა, შეართა მთელი საქართველო თავის სკიპტრის ქვეშ, განათავისუფლა მონგოლთაგან, და ამისთვის იწოდა „გიორგი ბრწყინვალედ". აი რას ამბობს ამ მეფეზე ვახუშტი: „იყო ოვერია დაფანტული, სამეფოდ, სამთავროდ და საერისთაოდ დაყოფილი. ამან სიბრძნე გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კვალად შემოკრიბნა და დაიმორჩილა; ვითარცა ალმაშენებელმან ალაშენა ქვეყანანი. სჯული და სამოქალაქო წესნი გააბრწყინა, ეკლესიანი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენა და განაახლა; რანი, მოვაკანი და შირვანი მოხარკე ჰყო თვისად; სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო, ბრძოლითა და ძლიერებითა, და სადა საჭირო იყო, სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდა« [1]). აი ამას გამოელოდნენ ბექა დიდი და მისი ცოლი ვახახი სამეფო ტახტის მემკვიდრის რიგიანად აღზრდისაგან: ეს ეწადათ, ესა ჰქონდათ გულში, როცა ისინი მეცადინეობდნენ ყაენთა წინაშე, რომ ჯერ მცირეწლოვანი გიორგი საქართველოს ტახტის მემკვიდრედ ეცნოთ და ვიდრე ყრმა იყო ის, ბექა „მოძღვრად და საქმისა მოურავად" დაეყენებინათ. ამათ არ უნდათ, რომ უცოდინარი, გამოუცდელი და უსწავლელი კაცი მეფედ გახდეს. ამისათვის ზრდის იმას, როგორც რიგია, შთაგონებს აზრს, რომ საქართველოს გაძლიერებისა და კეთილ-დღეობისათვის საჭიროა ერის გაერთება და თანხმობა. და აი როცა ეხსნება მას ჭკუა-გონება, ეფურჩქნება ფიზიკური ძალანი, მაშინ მას ემორჩილებიან ბექას

---

1) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 450.

შვილებიც და გამოჰყავთ მოქმედების ასპარეზზე, როგორც მეფე საქართველოსი. ამ სახით, საქართველოს გაერთება ერთ მეფის გამგეობის ქვეშ ისევ დედა-კაცების მეცადინეობით მოჰხდა, და მათმა ლეჩაქმა, მათმა ოსტატობამ, მზრუნველობამ კიდევ აღადგინა სამშობლო ქვეყნის პოლიტიკური ერთობა და ძლიერება.

ამის შემდეგ სამშობლოში იწყო მოშენება, მოკეთება და აღყვავება. ის ჩადგა კეთილად აღორძინების კვალში. ამის მერმე ერთ-ხნობით მეფენიც კარგნი იყვნენ. მაგრამ აქ კიდევ მძლავრი მტერი შემოეჯახა საქართველოს და წინ გადაეღობა ცხოვრების გზაზე. მოვიდა ლენგათემური. შვიდჯერ აიარა და ჩაიარა საქართველო სიგძეზე და სიგანეზე, და რადგან დაუძინებელი მტერი იყო ქრისტიან ხალხებისა, საცა კი შემოჰხვდა რამე შენობა, დააქცია და ქვა-ქვაზე აღარ დასტოვა. ქვაბთა-ხევის მონასტერში შეხიზნული თავად-აზნაურთ ცოლნი და მონოზნები დაატყვევა და მოიწადინა მათი გამაჰმადიანება, მაგრამ ქალებმა უარი უთხრეს,—მამა-პაპურს ქრისტიანულს სარწმუნოებაზე ხელს არ ავიღებთო. ამაზე თემური დაემუქრა—ყველას დაგხოცავთო, მაგრამ ქართველთა დედათა სიმტკიცე ხასიათისა ვერ გასტეხა. განრისხდა ბარბაროსი; შეჰყარა ყველანი ერთად, შეაბა ეჟვნები ტანზე და სამასხაროდ გამოიყვანა ჯარში: ეგონა ამით გასტეხდა მათს სიმტკიცეს. ამ დროს ერთმა დედაკაცმა სთქვა: »ვაი ჩვენ დედაბროობასა! ეს რა გვეჟღარუნებიანო“. ამითაც რომ ვერას გახდა მტერი, მერმე შეუკრა ყველას ხელ-ფეხი, დააწყობინა ზედიზედ ეკლესიის შუა ალაგას, წაუკიდა ღვთის ტაძარს ცეცხლი და ქრისტეს მოსავნი ყველანი დასწვა [1]). მართალია, ქართველებმაც იმას მაგიერი გადაუხადეს: ერთ დღეს ბაგრატ მეფემ

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 154.

იმას 12 ათასი რჩეული ჯარის კაცი ამოუწყვიტა, მაგრამ მაინც ამ ღვთის-რისხვა კაცმა ისე გალეწა სამეფო, რომ ვერანად გაჰხადა; დაირღვა სამეფო წესი, მოისპო ერთობა, მთავრებმა დაიპყრეს ქვეყნები და მოიწადინეს თავ-თავისად ცხოვრება და მართვა ქვეყნისა. აი ახლა ჩყო კიდევ საჭირო ჭკუიანი და გამჭრიახი მეფე, რომ მოესპო მიზეზნი ერის განყოფისა და გაცალკევებისა. ამ აზრს მიჰხვდნენ დედაკაცები და შეუდგნენ მეფე გიორგის შვილის მცირე-წლოვანის ალექსანდრეს აღზრდას. ის აღზარდა „მრავალისა ჭირნახულითა“ ბებიამ, ქუცნა ამერიჯიბის მეუღლემ [1]) და გაუხსნა სამეფოსთვის საჭირო ჭკუა-გონება, რის გამო საქართველო ერთხელ კიდევ შეერთდა. ამავე დედა-კაცმა დაიწყო მოშენება მცხეთის ეკლესიისა, რომელიც თემურ-ლენგს დაექცია, მაგრამ ვერ დაასრულა—ავად გახდა და სიკვდილის დღეს მიანდო მისი დასრულება და შეკაზმა სამკაულითა მეფე ალექსანდრე პირველს. შესანიშნავია, რომ შემდეგშიაც ეს ეკლესია დედა-კაცებმა განაახლეს, როცა ის კიდევ მტერმა დააქცია. შესანიშნავია აგრეთვე, რომ სიონთა ღვთის-მშობლის ეკლესიის აღშენება სულ პირველად დაიწყო მეფემ გურამმა, მერმე განაგრძო ერთმა ქვრივმა დედა-კაცმა, და როცა ესეც მოკვდა, შეასრულა მთელმა ერმა [2]) და მთავარმა ადარნასემ [3]). ასე ამ მხრით დედა-კაცის მეოხებით ერის ცხოვრება დაადგა ისევ კეთილ აღორძინების გზას. ბებიისაგან აღზრდილი მეფე ალექსანდრე მხნე და ქვეყნის კეთილდღეობისთვის მზრუნველ კაცად გამოდგა. მან აღაშენა დაქცეული ეკლესიები, შეამკო სამკაულითა, „შეკრიბა მრავალნი წმინდანი და პატიოსანნი მონაზონნი და მოწესენი“, განუახლა ეკლესიებს სიგე-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 473.

[2]) იხ. ივვე გვ. 164.

[3]) იხ. გეოგრ. ვახუშ. გვ. 188.

ლებრ. მოაშენა გაოხრებული სოფლები, ციხეები და ყოველნი ქრისტიანენი ფრიადსა მშვიდობასა და მყუდროებასა "მინა ამყოფა" [1]) თავის ბებიის ქუცნა ამირეჯიბის მეუღლის ჩაგონებით, აღზრდით და მის მიერ სამეფო საქმეებში გაწვრთნით და განსწავლით.

ეი ასეთნი ჭკვიანნი, მცოდნენი, გამჭრიახნი და ქვეყნის მარგებელნი იყვნენ ქალები. მათ მიერ იყვნენ აღზრდილნი და გაწვრთნილნი საქვეყნო საქმეებში საქართველოს თითქმის ყველა უუდიდესნი მეფენი. ისინი იღებდნენ მონაწილეობას პოლიტიკურს საქმეებში, ერის განათლებაში და იცავდნენ ხალხის ერთობას და მშვიდობიანობას. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი ანდაზად: "დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესიაო"; დედა-კაცს მანამ ქმარი ჰყავს ამირანია, და როცა ქმარი მოუკვდება, ამირანთა ამირანიაო". დიაღ! ჩვენში კაცს არა ჰქონდა იმდენი მნიშვნელობა ერის განათლებაში, რავდენიც ქალს. ქალი იყო ოჯახში ზნეობის დამამყარებელი, ხალხის აღმზრდელი და კეთილ-დღეობის გზაზე დამყენებელი. ასეთ მნიშვნელობას აძლევენ იმას ოჯახში და კაცობრიობის საზოგადო ცხოვრებაში ყოველგან პედაგოგიის კარგად მცოდნე პირნიც. პესტალოცის აზრით საზოგადოება ისე კეთილად ვერა ზრდის და ვერ სწვრთნის კეთილ-ცხოვრებისათვის ადამიანს, როგორც ოჯახში დედა-კაცი. ხალხს საზოგადო ზრდილობას და გაწვრთნილობას დედა-კაცი აძლევს ოჯახში. მაგრამ ეს აზრი ამის მოწაფემ ფრებელმა უფრო გარკვევით ახსნა და დაამტკიცა. მისი აზრით დედა და დედა-კაცი არიან ნამდვილნი ხალხის მწვრთნელნი და განმანათლებელნი; იმათ მოჰყავთ ხალხის ცხოვრება მოძრაობაში; იმათ ხელშია ყმაწვილობაში კაცის ბედი და უბედობა,

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 473 და 474.

და მისი მომავალი. სწორეთ ასეთი იყო ქართველ ქალების ისტორიული მნიშვნელობა წარსულში, მისი მოქმედება, ვიდრე საქართველო სამ სამეფოდ გაიყოფებოდა. რანი იყვნენ დედა-კაცნი მეთხუთმეტე საუკუნიდგან, რა მონაწილეობას იღებდნენ ერის ისტორიულ ცხოვრებაში, ამას კიდევ ამ ისტორიულის სურათების გაგრძელება გვეტყვის.

საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფის შემდეგ ქართველი ქალების მოქმედება უფრო ცხადად არის აწერილი მემატიანეთაგან. ვახუშტი თავის ისტორიაში და გეოგრაფიაში არ ივიწყებს ქალებსაც. ეს შეეხება მათს მხნეობას, ახოვანებას, საქციელს და ზნეს. როცა კაცებზე ლაპარაკობს, მაშინ იმათაც არ ივიწყებს. იმის აზრით კაცნი და ქალნი არც მამაცობით, არც მხნეობით, არც ტანადობით ერთმანერთს არ დაუვარდებოდნენ. იმათ ორივეს ჰქონიათ ერთნაირი მიმართულება, იმათ ორივეს ერთნაირად აწუხებდათ სამშობლოს ბედნიერება და უბედობა.

თავის გეოგრაფიის მე-62 და 64 კაბადონებზე საქართველოს ყველა კუთხის ქალებზე ვახუშტი საერთოდ ამბობს: „ქალნი არიან მშვენიერნი, ჰაეროვანნი, შავთვალ-წარბთ თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, კაცთა და ქალთ შორის იშვიათია შავგვრემანი და მოყვითანო, თვალ-ჭრელი, წითური და თეთრი. ქალთა აქვთ თმა გადაშვებული და დაწნული. კაცებზე უფრო მომეტებულად ქალნი არიან წერწეტნი და წიპლაკი ტანისა. ორივე სქესნი არიან მხნენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენზე და მხედრობაში კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფნი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი, ასე რომ თავის გამოჩენისათვის არც კაცნი და არც ქალნი არ ერიდებიან მეფისა და ქვეყნის სამსახურს. შესამოსლად ქალებს აქვთ კაბა-ახალუხი ამოჭრილი; აცვიათ ისეთი მჭვირვალი ჯერან-

გები, რომ ხორცი სჩანს; მათი ამხანაგი აქვთ უპაიჭოთ; ფეხთ აცვიათ წული—მაშია და წელზე არტყიათ სარტყელი, მუხლებზე წვერ-გადმოფენილი. ქალწულ-ქალებს თმის კავები ღაწვზე აქვთ ჩამოშვებული და თავზე ჰხურავთ ლეჩაქი. ქმრიან ქალებს ლოყებზე აქვთ ჩამოშვებული ჯერ კავები, მერმე მსხვილად შეწნული თმა, რომელიც აქეთ და იქით მხრებზე გადმოჰფენიათ. თმას ქვეშ მარგალიტებით შემკობილი ძეწკვი აქვთ ამოვლებული ნიკაპქვეიდან და საყოჩრეზე შეკრული, რომლის ზევიდგანაც მერმე ლეჩაქია გადახურული თავზე. სამკაულნი იციან ჭრავალგვარნი: ზოგნი თვისნი, ზოგნი სპარსელებისა. ზამთარში იმათ აცვიათ ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწული. ქალების ტყავი და კაბა ვიდრე მიწადმდე დასულია.

მაგრამ ვახუშტი არ კმაყოფილდება ამ საერთოდ საქართველოს ქალებზედ გამოთქმულ აზრით. ამის შემდეგ ის ახლა ცალკ-ცალკე ლაპარაკობს ყოველს მაზრის ანუ თემის ქალებზე და ეს ცნობები იმოდენად სასიამოვნო და საინტერესონია, რომ არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ იმ რიგზე, როგორც თვითონ იგი აღწერს კაცსა და ქალს.

მის აღწერით, სამცხე-საათაბაგოს [1]) კაცნი და ქალნი არიან ქართლელების მსგავსნი, მაგრამ უფრო ნელიად და ენა ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმაერთებელნი, მშვენიერნი და ცოდნა-ხელოვნების მოყვარენი. რადგან ოსმალებს დიდი გავლენა აქვთ საათაბაგოზე, ამისათვის აქაური ხალხი ამ ჟამად სარწმუნოებასაც იცვლის და ქართულ ზნე-ჩვეულებასაც [2]). ამ გვარსავე უბედურობაში არიან ოსმალთაგან ჯავახეთის მცხოვრებნი კიცნი და ქალნიც. ისინი არიან მხნენი და ტანო-

---

[1]) იხ. გეოგრ. ვახუშტისა გვ. 62 და 64.

[2]) იხ. გვ. 78, 80.

ვანნი, მაგრამ თანაც უზრდელნი, ბრიყვნი და უთავაზოვნნი [1]). სომხით-საბარათიანოს ქალნი და კაცნი არიან ძლიერნი და მებრძოლნი [2]). გუდამაყარისა და მთიულეთის კაცნი და ქალნი არიან ხელოსანნი, მშვილდთ-მომქმედნი, მხნენი, მებრძოლნა და მშვენიერნი; მაგრამ ქალებს ტანისამოსი კარგი არ აცვიათ [3]). ქსნის-ხეველნი არიან მხნენი, მებრძოლნი, ამაყნი, იარაღის მოყვარენი, მაგრამ კაციცა და ქალიც ქურდნი, მპარავნი, მცარცველნი და უსირცხვონი [4]). ცხინვალის ხეობის ქალნი და კაცნი არიან მშვენიერ-ჰაეროვანნი, მებრძოლნი, სირცხვილის მდევარნი, ამაყნი, ერთგულნი ქვეყნისა [5]). სურამისა და მის გარშემო მცხოვრებნი ქალნიცა და კაცნიც არიან ტანოვანნი, ამაყნი, მხნენი, შემაერთებელნი, უხვნი, სტუმართ-მოყვარენი [6]). კახეთის ქალიცა და კაციც არიან მშვენიერნი, ამაყნი, ტანოვანნი, ლაღნი, მეხოტბენი, დიდ-მთქმელნი და შეუპოვარნი მებრძოლნი, უფრო გლეხნი [7]). იმერეთის კაცნიცა და ქალნიც არიან ცქვიტნი, კისკასნი, ენა-ტკბილნი, მსუბუქნი, ფიცხელნი, მებრძოლნი, შემაერთებელნი და ძლიერნი; მაგრამ არგვეთელები და შორაპნის მცხოვრებნი ჰსჯობიან ბარში მცხოვრებ იმერლობას [8]). ოკრიბის კაცნი და ქალნი არიან ულონო მუშაკნი და არც მამაცობა აქვთ, მაგრამ თავადნი და აზნაურნი არიან ზნეობიანნი და შემაერთებელნი [9]). ოდიშის კაციცა და ქალიც თუმცა იმერ-

---

[1]) იხ. იქვე გვ. 182.
[2]) იქვე გვ. 222 და 224.
[3]) იქვე, გვ. 234.
[4]) იქვე, გვ. 258.
[5]) იქვე, გვ. 280.
[6]) იქვე, გვ. 286.
[7]) იქვე, გვ. 342, 386, 404.
[8]) იქვე, გვ. 392.
[9]) იქვე, ფვ. 404.

ლებს ჰგვანან სილამაზით, მაგრამ ამათსავით (იმერლებსავით) არც ტანოვანნი არიან, არც ხორციანნი და ამასთანავე არიან მშიშარანი [1]). აფხაზეთის ქალიცა და კაციც არიან ნამუსიანნი. ამათ შორის არ იქნების სიძვა, მრუშობა, „რამეთუ დასწვენ შემცოდეთა“ [2]). გურიის ქალნიცა და ქალნიც იმერლებსა ჰგვანან ზნითა და ქცევითა [3]). ოსების ქალები ვიდრე გათხოვდებოდნენ ნამუსიანები არიან, მაგრამ ქმარს რომ შეირთავენ, მაშინ უთუოდ საყვარელი უნდა გაიჩინონ, რადგან ეს სასირცხო საქმე ქებად მიაჩნიათ [4]).

ამნაირად შეამკობს ქართველ ქალებს ვახუშტი. მაგრამ განა იმას დაეჯერება სიტყვა? ვინ იტყვის თავის თავზე ცუდს? იქნება ვახუშტი აქებს იმათ იმისათვის, რომ თვითონაც ქართველია და არ უნდა ქართველ ქალზე ცუდი სთქვას! რასაკვირველია, შეიძლებოდა ასე გვეფიქრნა, შეიძლებოდა ეჭვი შეგვეტანა მის მიერ ქართველ ქალების ქებაში, თუ რომ სხვათაც არ ეთქვათ ამგვარი კეთილი სიტყვა იმათ შესახებ. როცა ამ გვარსავე ქებას ვკითხულობთ ქართველ ქალების შესახებ უცხო მწერალთ თხზულებებშიაც, არ შეგვიძლიან გავამტყუნოთ ქართველი მწერალი. აი რასა სწერს ვახუშტიზე უფრო ადრე ქართველ ქალებზე ფრანგი შარდენი, რომელიც საქართველოში იყო 1671 წელს: „ქართველ ხალხის სისხლი არის უკეთესი მთელს აღმოსავლეთის ხალხების სისხლზე და, შემიძლიან ვსთქვა, მთელს ქვეყანაზედაც. მე არ შემინიშნავს აქ უშვერი სახე არც ერთს სქესში. აქაური ხალხის პირის სახე აღბეჭდილია ანგელოზებრივის გამოხატულებით. ბუნებას მიუნიჭებია ქალების უმეტეს ნაწი-

---

[1]) იქვე, გვ. 408.
[2]) იქვე, გვ. 420.
[3], [4]) იქვე, გვ. 334.

ლისათვის ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება. მე არ შემეძლო იმათთვის მეყურებინა ისე, რომ ჩემს გულში სიყვარული არ აღგზნებულიყო. დახელოვნებული მხატვარიც ვერ წარმოადგენს უმშვენიერესს სახესა და მოყვანილობას. ქართველნი ქალნი არიან ტანოვანნი, საკვირველად აგებულნი და წელში განსაცვიფრად წვლილნი; არიან მახვილის გონებისა, ზრდილნი, თავაზიანნი, ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი". ამის შემდეგ, ვახუშტის დროს, აბბატი იოსებ დელაპორტი, რომელიც თბილისში იყო 1768 წელს, ქართველ ქალების შესახებ სწერს შემდეგს: „საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალზე ლამაზი სანახავი აქ არა არის-რა. მე იმათ რომ ვუცქეროდი, უნებლიედ განცვიფრებაში მოვდიოდი. ამ ქვეყანას შეიძლება კაცმა უწოდოს მშვენიერთა სავანედ. როგორათაც რომ სხვა ქვეყნებში იშვიათად ნახავთ სრულის სილამაზით შემკობილს ქალს, ისე აქ ძვირად შეგიძლიანთ ნახოთ იმისთანა ქალი, რომელიც რომ მშვენიერებით არ იყოს შემკული. თითქმის ყოველს ნაბიჯზე შეჰხვდებით მათს გაბადრულს სახეს. რასაკვირველია, მე ამათ ქებას არ ვაზვიადებ. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ისე მოყვანილი, ნაზი, სწორედ აგებული ტანი, როგორიც ქართველის ქალის ტანია; მათ ამასთანავე აქვთ მიმზიდველი და მედიდური სიარული. ეს მშვენიერნი ქართველნი ქალნი ასე გგონია მხოლოდ იმისთვის გაჩენილან, რომ ტრფობას ემსახურონ და სიყვარულით მოხიბლონ კაცი. როცა თვალს შეაჩვევ მათს თავ-დახურვას, ალარ შეგიძლიან ისე შეჰხედო მათ, რომ გული ვნებათგან არ აგევსოს...

„მთავართა და დიდებულთა ცოლნი მშვენიერად შეკაზმულ ცხენებით დადიან და ახალგაზდებს თავზე ჰხურავთ შლიაპები, რომელთაც გარშემო თავთა და სირმა

ახვევიათ, ბებრებსა და ავადმყოფებს კი ჰხურავთ იალქ-ნები“.

მაგრამ საქმე ის არის, ამ კეკლუცობასთან, სიამაყესა და სიმამაცესთან ჰქონდათ იმათ ზნეობითი ღირსებაც თუ არა? სასიქადულოდ ჩვენდა რასაკვირველია, ბუნებისაგან არ იყვნენ მოკლებულნი ამ თვისებასაც. ისინი იყვნენ შემკობილნი მაღალის გონიერებით, ხასიათის სიმტკიცით და ძალით, ნამდვილის ზრდილობით და მიმზიდველ მიხრა-მოხრითა. ამის მაგალითად მოვიყვან სამიოდ ფაქტსა.

მეფეს არჩილ მოწამეს ჰყვანდა ასული სახელად შუშანა. ეს ისეთი მშვენიერი ქალი იყო, რომ მისი სილამაზე განითქვა საქართველოს მეზობლად მყოფ სამეფოებში, მისი შერთვა მოიწადინა ხაზარეთის მეფემ—ხაკანმა; მაგრამ მან უარი უთხრა. ეს იწყინა ხაკანმა და, როცა საქართველოს არაბებთან ომი ჰქონდა, გამოგზავნა თავის ჯარები კახეთის დასარბევად, და შუშანას ძალად წასაყვანად. მისი ჯარები მართლაც დაეცნენ კახეთს ანაზდეულად, დაატყვევეს მეფე ჯუანშერიც და მისი დაი შუშანაც, და მიჰყავდათ ჩრდილოეთ კავკასიაში ხაკანთა საკოლოდ. როცა მიიყვანეს დარიალის ხეობაში, შუშანამ უთხრა თავის ძმას: უმჯობეს არს სიკვდილი, რომ პირნათლად და პატიოსნების ლეჩაქით წავიდე წინაშე წმინდათა დედათა ჩვენთა, ვიდრე შევიგინო ქალწულება ჩემი წარმართისაგანაო; და ჰქონდა მას ბეჭედი, აღმოუგდო მას თვალი და გამოსწივა იგი, რამე თუ იყო თვალსა მას ქვეშე წამალი სასიკვდინე, და მისვე მას მოკვდა“ [1]).

ამგვარსავე მაგალითს ვხედავთ შემდეგაც. 1554 წელს, მაგალითად, ატენის ციხეში დაატყვევა შახჰ-თაბაზმა ლუ-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 184 და 185.

არსაბ მეფის დედა და მრავალნი წარჩინებულნი ცოლნი და მოინდომა დედოფლის გაუპატიურება; მაგრამ „დედამან მეფისა ლუარსაბისამან იგრძნო უპატიო ყოფა თვისი, შესვა სასიკვდინო წამალი და მოკვდა“ [1]).

ამ ორივე ფაქტში თავის მოკვლის მიზეზად თუნცა გაუპატიურება არის ნახსენები, მაგრამ, ვგონებ, ზოგი ერთნი ურწმუნონი, რომელნიც ქართველთ ცხოვრებაში ცუდის მეტს ვერასა ჰპოვებენ კარგსა, გვეტყვიან, რომ ერისაგან ზნეობის მაგრად დაცვის მიზეზით კი არ მოიკლეს თავი მოხსენებულ პირთა, არამედ იმისთვის, რომ ჰძაგდათ მტერთა სარწმუნოებაო. იქნება ამ უკანასკნელმა მიზეზმაც იმოქმედა მათს განზრახვაზე; მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთნი ფაქტნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სიძვა და მრუშობა მაინცა და მაინც მთელს ქართველ ხალხს ძლიერ ეზიზღებოდა. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ აფხაზეთში როსკიპობით შემცოდეთ ცეცხლში სწვავდნენ. ამათსავით მტკიცედ იცავდნენ ზნეს თუშნიც. „არა იქნების მათ შორის სიძვა ანუ მრუშება, ამბობს ვახუშტი, და უკეთუ იმძლავროვს ვინმე და შეეხოს მას, მოიკლავს თავს დედა-კაცი იგი, და კაცსა მას მოჰკვლენ თუშნი და მცნობნი, და არა ივლტის (კაცი) სხვა ქვეყნისასა“ [2]).

ასე იქცეოდნენ ქართველთა სხვა თემებიც. როსკიპობით დამნაშავეთ ან ქვით ჩააქვავებდნენ ხოლმე, ან არა და ცხვირპირს მოუთხუპნიდნენ ტალახით, შესვამდნენ პირ-უკულმა ვირზე და ისე აატარ-ჩამოატარებდნენ სოფელში, რომ ყველას მათთვის პირში ეფურთხებინა.— „ის შესცდება, ამბობს ბ. დიმიტრი ბაქრაძე, ვინც იფიქრებს, ვითომც მხოლოდ გარეგან თვისება ყოფილიყოს მიზეზი უცხო ტომთა სურვილისა, რომ ჰყოლოდათ ქართ-

---

[1]) იხ. იქვე მე-II ნაწ. გვ. 24.

[2]) იხ. გეოგრაფ. გვ. 330.

ველი ქალები ცოლად. არა, ჩვენ ეს აზრი გვაქვს და ჭეშმარიტადაც აღვიარებთ, რომ სადაც ბუნება აღადგენს ადამიანის უმაღლეს თესლსა, ანუ, როგორც ევროპიელნი იტყვიან, ტიპსა, რომელიმე ხალხის სისხლითა, იქ მარტო სახის სიმშვენიერე არ არის საკმაო. ამ ტიპს ბუნება განასხვავებს თვით ზნეობითის ხასიათით, ესე იგი შეამკობს მაღალის ჭკუა-გონებით, ხასიათის სიმტკიცით და ძალით, ნამდვილის ზრდილობით, სინიდისით და მიმზიდავის მიხვრა-მოხვრითა“ [1]).

ამგვარის წვრილმანის ფაქტებით, რასაკვირველია, პირდაპირ იმას არ ვამტკიცებთ, ვითომც ქართველი ქალები ყველანი ზნეობიანი ყოფილიყვნენ. თუ რომ ოჯახი არ შეიძლება იყოს უმახინჯოდ, მით უფრო უმეტესი არ იქნება ქვეყანაზე იმისთანა ხალხი, რომ ყველანი კარგნი იყვნენ. ამის თქმა ჩვენ არ შეგვიძლიან. ჩვენი აზრი მხოლოდ ის არის, რომ უწინდელ დროში ქართველი ქალები ერეოდნენ ხალხის სამოქალაქო ცხოვრებაში, იმათ ჰქონდათ გავლენა ქართველ ხალხის ისტორიულ ცხოვრებაზე, და რაც ავი ყოფილა იმაზე ავს ვამბობთ, მხოლოდ რაც კეთილია იმაზე კარგს ვამბობთ. ჩვენ არ შეგვიძლიან ფაქტების გადასხვაფერება. ისინი მოგვყავს ჩვენს წერილში და ვხსნით ისე, როგორც გვესმის, როგორც ჩვენი ჭკუა სჭრის.

1513 წელს კახეთის მეფე ავ-გიორგი რომ მოკლა ბაგრატ მუხრან-ბატონმა, მას დარჩა ცოლი და შვიდი წლის ვაჟი ლეონი. დედა იყო ნათესავი გარსევან ჩოლოყაშვილისა, რომელიც ავ-გიორგის სახლთ-უხუცესი იყო. ქართლის მეფემ დავითმა მოინდომა ლეონის დაჭერა და ქართლ-კახეთის სამუდამოდ შეერთება ერთ სამეფოდ. მაგრამ გარსევან ჩოლოყაშვილმა და დედამ და-

---

[1]) იხ. „ცისკარი“ III, 1860 წ.

შალეს მცირე წლოვანი ლეონი და ფიცით დააჯერეს მეფის ძმა ბაგრატი, რომ არ ვიცით ლეონი სად არისო. გავიდა ამასობაში ცხრა წელიწადი, მემკვიდრე კახეთისა აღმოჩნდა. მან გამოაცხადა მეფობა და მიიმხრო ხალხი. მეფე დავითს ეს ამბავი ეწყინა, გაილაშქრა და მოადგა მაღნარის ციხეს, საცა ლეონი იმყოფებოდა. ციხეში დამწყვდეული ხალხი ძლიერ შეწუხდა და »ლამობდა მიცემასა ციხისასა«. მაგრამ მისმა დედამ ნება არ მისცა შვილს დამორჩილებოდა მეფე დავითს. როცა ამ უკანასკნელმა მიუგზავნა დავით იმილახორი და ერთი ვიღაც მთავარ-ეპისკოპოზი და სთხოვა მის პირით დაემორჩილეთ, თორემ ციხეში შიმშილით ამოგწყვეტავთო, ციხის მცველნი აღუთქმიდნენ მორჩილებას; მაგრამ როცა ლეონის დედმ მივიდა და ეამბორა ხელზე ეპისკოპოზს, უკანასკნელმა უთხრა: „ნუ გეშინიან, ღამესა ამას წავალთ, გამაგრდი". ამისი მსმენელი დედა ეუბნება ხსენებულს ეპისკოპოზს: »ვარ ძისა მაგრებასა და მიუკემლობასა« [1]). ასე ამ სახით გარსევან ჩოლოყაშვილმა, უცნობმა ეპისკოპოსმა და ლეონის დედამ ჩაშალეს კეთილი განზრახვა ქართლის მეფის დავითისა: ლეონი გადიხვეწა მოსკოვს, საცა ის აღიზარდა და შემდეგ გამეფდა კახეთში [2]).

მეფე ლეონი თუმცა ძლიერი კაცი და თავის სამეფოსაც კარგად მოუარა, დაიცვა მტრისაგან, მაგრამ ბევრი ავიც შესძინა საქართველოს თავის მოქმედებით. ამან დაასახლა ჭარში ლეკები, რომელთა შემდეგში საქართველოს დიდი ზიანი მისცეს. ამასთანავე ის არ იყო კეთილის ზნის კაცი. ის იყო კაცი მეძავი. ამან შეირთო ცოლად მამია გურიელის ქალი თინათინ, და როცა ეყოლა მისგან ორი შვილი ალექსანდრე და იესე, მერმე

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 19, 105, იხ. იქვე გვ. 106, 268.

[2]) იხ. იქვე გვ. 268.

დაიწყო მეძალობა. მაშინ ზნე-კეთილ თინათინ დედოფალმა აღარ ინება მისი ქმრობა და გაეყარა მას. ლეონი ამაზე ძლიერ ვასწყრა და თან გააყოლა მისგან შობილი შვილებიც. ის მოვიდა შუა მთას, აქ თავის მზითვით აღაშენა მონასტერი, დაუყენა მოძღვარ-მოძღვარი, იყიდა რამდენიმე სოფელი და შესწირა მონასტრის საზრდოდ, და თვითონაც აქ იმყოფებოდა სიკვდილამდე. ეს ამბავი მოხდა 1527 წელს. თითქმის ამავე დროს თინათინსავით მტკიცე ზნე-კეთილობა, გაუტეხელობა და თავის ღირსების დაცვა გამოიჩინა ქართლის მეფის ლუარსაბ პირველის დედამ. 1526 წელს სპარსეთის მეფე შაჰთამაზი ატენის ციხეს, გორის მახლობლად მყოფს მოადგა, აიღო და დაატყვევა დედა მეფისა ნესტანჯარ ბ „მრავალთა წარჩინებულთა ცოლნი“. ხოლო დედამან მეფისა ლუარსაბისამან იგრძნო უპატიო ყოფა თავისი შესვა სასიკვდინე და მოკვდა“ [1]), რადგან ჩვეულებად იყო: „უკეთუ იმძლავროს ვინმემ და შეეხოს დედა-კაცს, თავს მოიკლავდა იგი“.

ნესტანჯარ დედოფლის მკვლელმა შაჰთამაზმა 1578 წ. შეირთო ცოლად ოთარ შალიკაშვილის ქალი (სამცხე-საათაბაგოდგან). ამ ქალს ჰყვანდა ორი შვილი შაჰ-ისმაილი და შახუდაბანდა. შაჰ-თამაზი რომ მოკვდა, სპარსეთის მეფეთ შაჰ-ისმაილი დასვეს. არ ვიცი დედის ჩაგონებით, თუ სხვა რამე მიზეზით, ამან მაშინვე გამოიყვანა საპყრობილედგან ქართლის მეფე სვიმონი და მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი არჩილი ცოლშვილიანად და მოიყვანა შირაზიდგან ისპაანში. ამის შემდეგ მალე მოკვდა შაჰ-ისმაილი და გამეფდა მისი ძმა შახუდაბანდა (1577 წელს). ამ დროს შემოესივნენ საქართველოს ოსმალები,

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 24, 281.

ააოხრეს და მრავალი ადგილები დაიჭირეს, რადგან გამაჰმადიანებულ სვიმონ მეფის ძმა დავითი ვერ უვლიდა ქვეყანას. ეს ამბავი ძლიერ ეწყინა შალიკაშვილის ქალს. ჩააგონა შვილს მეფე სვიმონი გაენთავისუფლებინა. მიიწვია ის თავისთან, მისცა ჯილდოდ 19,000 მანათი, „ხალათად კაბა, სარტყელი და ტყავი სამურითა, ოქროქსოვილნი, თაჯი (რომელიც არის გვირგვინი, ზედ ახვევია დოლბანდი, მძიმედ ოქრო-ქსოვილი და ჯილღა თორმეტითა შემკობილი), ხმალი, ხანჯალი, საბუხარი მარგალიტისა და ცხენი ოქროს იარაღრინით შეკაზმული, სურა და ფასი ოქროსი და გამოისტუმრა საქართველოში. მასთან გამოაყოლა ყველა ის ქართველებიც, რომელნიც სპარსეთში იყვნენ დატყვევებულნი. „დედამან შახუდაბანდასამან, ამბობს ქართლის ცხოვრება, ასულმან ოთარ შალიკაშვილისამან მოიყვანა მეფე სვიმონ და ვითარცა წესი არს ქართველთ დედათა, ეგრეთვე ჰყო. გამოსტუმრების დროს მან მოახვია სვიმონ მეფის ხმალს თავისი ლეჩაქი და ასე უთხრა: „მოგვიხვევია ხმლისა შენისა ხეტარსა ზედა, შენ იცი და ხმალმან შენმან და მოგვიცემია შენთვის სამეფო შენი საქართველო და სხვაცა მრავალი საბოძვარი; წარვედი და განამაგრე საქართველო, რათა არ წაგვიღონ ოსმალთა და იყავ თანაშემწე და ერთგული სახელმწიფოთა ჩვენთა [1]). ხმალზე ლეჩაქის მოხვევა იმას ნიშნავდა, რომ საქართველოსა და სპარსეთს შორის დედა-კაცის შუამდგომლობით სრული და დაურღვეველი მშვიდობიანობა, უვნებლობა და ერთობა დამყარდაო [2]).

---

[1]) ეს ჯილდო ეძლეოდა შემდეგში სპართაგან ყველას, ვინც საქართველოში გამეფდებოდა ხოლმე. იხ. „ქართ. ცხოვ.“ გვ. 26, 28, 293.

[2]) შაჰ-აბას დიდი ამის შვილის შახუდაბადანდას ძე იყო, ესე იგი, შალიკაშვილის ასული, მას ბებიად მოხვდებოდა.

სვიმონი მოვიდა თუ არა საქართველოში, მაშინვე შეება ოსმალებს და ქართლში გასწყვიტა თათრები. მერმე შეჰყარა იმან კიდევ ჯარები და წარჩინებული კაცთ ცოლები და დედოფალი და ავიდა ლილოზე. აქედგან გამოუსივა ქართველობა და თბილისის არე-მარეში რაც საქონელი ჰყვანდათ ოსმალებს, სულ მოატაცებინა. მაშინ გამოუდგნენ ოსმალთ ჯარნი და როცა მოვიდნენ მარჯვე ადგილას, სვიმონმა შეუტია თავის ჯარებით, მოსწყვიტა და ისე გააბნივა, რომ ცოტანი-ღა დაბრუნდნენ თბილისში. ამ დროს ჰპვრეტდნენ თავიანთ ქმრებს „ჯარნი ქალთა-ჯალაბთანი« და ამხნევებდნენ და აქეზებდნენ ომისათვის [1]).

მართლაც რომ შესანიშნავნი არიან ამ დროს ქალები. ისინი სჯობნიან მამა-კაცებს თავიანთ გულკეთილობით, სულგრძელობით და ადამიანობით. 1569 წელს ზემოხსენებული ქართლის მეფე სვიმონი 1 კახაბერ ყორღანაშვილის ღალატობით სპარსელებმა ბრძოლაში დადაატყვევეს და წაიყვანეს. მაშინ ამ მეფის ცოლის ძმა, შვილი თინათინისა, კახეთის მეფე ალექსანდრე პირველი, ორჯელ თავს დაესხა, ერთხელ კავთისხევში, მეორედ დილომში, თავის დას ნესტან-დარეჯანს [2]) და სრულიად წაართვა ქონება. ამასთანავე ასეთი უკადრისობა ჩაიდინა: „სირცხვილთა საფარველველი დედოფლისა, დისა თვისისა, თვით მანვე ალექსანდრემ ააცვა წვერსა ზედა შუბისა თვისისასა“ და ასე წავიდა კახეთში. ამ საქმეში ერევნენ ამილახორი და ქსნის ერისთავიც. ასეთი შეურაცხ-ყოფა, რასაკვირველია, უზომოდ ეწყინა მეფესაც, დედოფალსაც და კეთილ-გონიერთ კაცთაც. მეფე რომ დაბრუნდა სპარსეთიდგან, მოიწადინა მაგიერის გადახდა ყველა მტრები-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 30.

[2]) ეს დედოფალი ალექსანდრე მეფის გერი და იყო.

სათვის და მომეტებულად ამ შეურაცხყოფისათვის. იმან უკვე დაიჭირა ამილახორი ბარძიმი. ეს ამბავი რომ შეიტყო, ძლიერ შეშინდა ქსნის ერისთავი ელისბარი, დაუყონებლივ მოვიდა დედოფალთან, დაემხო პირქვე, მისცა უკანვე რაც მისთვის წაერთმივა, აგრეთვე ჯარიმად მისცა ახალგორი და მეჯუდა და სთხოვა შენდობა. თუმცა მეტის მეტად დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს ხსენებულთ თავადთ, მაგრამ სულგრძელმა და გულკეთილმა დედოფალმა შეუნდო მათ და სთხოვა მეფეს, რომ მასაც ეპატიებინა დამნაშავეთათვის. მეფემ არ გატეხა დედოფლის თხოვნა, რადგან ქართველთა წესით დედა-კაცის შუამდგომლობის უარყოფა არ შეიძლებოდა და თავის მხრით იმანაც აპატივა დამნაშავეთ [1]). არამც თუ დედოფალი და თავად-აზნაურების ცოლნი და ასულნი, არამედ თვით გლეხის ცოლნიც სრულის ცნობიერებით ბეცადინეობდნენ სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისა, ბედნიერებისა და ერთობისათვის. უკანასკნელნი შვილსა და ქმარს განსწირავდნენ განაწილებულს საქართველოს შესაერთებლად. სვიმონ მეფემ მოიწადინა იმერეთისა და სამეგრელოს დაპყრობა და შემოერთება სამეფოსთან. შეჰყარა დიდი ჯარი და გაილაშქრა იმერეთ-სამეგრელოზე. კოლბეურში რომ მივიდა თავის ჯარებით, ერთმა გლეხის დედა-კაცმა სთხოვა მეფეს, ჩემი შვილიც წაიყვანე ჯარშიო.

მაგრამ იმან უპასუხა: „მთვრალ ვარ კაცითა, არა მნებავს ძე შენიო“. საუბედუროთ მეფე იმერეთში დამარცხდა, გამობრუნდა, მოვიდა ისევ კოლბეურში, დაჭხვდა წინ იგივე დედა-კაცი, რომელიც ამ დროს ახოს სთოხნიდა, შეიტყო მისი დამარცხება და უთხრა დაცინვით: „ახლა ფხიზელია მეფე ვსთხოვ იახლოს ძე ჩემიო“. შერცხვენილ მეფეს ძლიერ გაუკვირდა, მაგრამ არა უთხრა-

---

[1]) იხ. იქვე, გვ. 27, 29, 296.

რა და ჩამოვიდა კავთისხევში. აქ ის ჩამოჰხდა ერთს გლეხის დედა-კაცის ოჯახში, რომელსაც ქმარიც და შვილიც მასთან ჯარში ჰყავდა. მან ვერ იცნა, თუ თვით მეფე იყო მის სახლში სტუმრად. ამისთვის ჰკითხავდა მეფისა და მის ომიანობის ამბავს, და აგრეთვე ქმარსა და შვილზე. მეფე უმალავს თავს და უპასუხებს—მეფე მშვიდობიანად ბრძანდება და შენს ქმარსა და შვილს კი ვერ ვიცნობო. „რადგან ცოცხალია მეფე, სანაცვლო მისთვის ყოველნი: შვილიცა და ქმარიცა“, სთქვა მამულის მოყვარე დედა-კაცმა. მაგრამ აქ შეიტყო ჯარების დამარცხება, დიდად მწუხარე იქმნა და ტიროდა მეფისათვის უფრო, ვიდრე ქმრისა და შვილისა თვისისა და იტყოდა: „ნეტარ თუმცა ღმერთმან მიხედოს წყალობითა და გვაღირსოს მეფისა სვიმონის ცოცხლებით გამოსვლა და სხვანი ყოველნივე სპანი მისნი ძირისა მისისა სანაცვლო იყოსო“. მეფეს ძლიერ გაუხარდა გულში ერთგულება დედა-კაცისა, არა უთხრა-რა, ნაღვლით სავსე გულით დაბრუნდა სახლში; მერე ქმარი მისი რომ მოუვიდა „იყო წყალობა ფრიადი მეფემან სიტყვითა მის ქალისათა და უბოძა ყმა და სახელო. და სხვა მრავალი, და მიერიდგან აზნაურ იქმნა კაცი იგი, რომელ აწცა არიან ჭვლივიძენი“ [1]).

ამავე დროს მოქმედებს სამცხე-საათაბაგოში დედაკაცი სახელად დედის-იმედი. მუხრანიანთ ჩამომავალი და „ოლი სამცხის ათაბაგისა ქაიხოსროსი“. იგი იყო დედაკაცი ამაყი, გლისპი, მრისხანე და გაუსინჯავი... ჯერ ქმრის სიცოცხლეშივე ის ერევოდა სამთავროს მმართველობაში და 1573 წელს ქმარი რომ მოუკვდა და შვილები ჯერ მცირე-წლოვანნი ჰყვანდნენ, მაშინ უფრო გაძლიერდა და მთლად მთავრის უფლება თვითონ მოხ-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 32 და 302.

ვეჭა. ის განაგებდა სამთავროს საქმეებს ისე, როგორც ენებებოდა და ყველას ეშინოდა მისის მძლავრობისაგან. როცა ეს ასე მძლავრად განაგებდა სამცხე-საათაბაგოს, შაჰთამაზმა გამოილაშქრა კახეთზე და ექადოდა ძირიანად მოფხვრას და დარბევას. ამ ამბავმა ძლიერ შეაშინა კახეთი და არ იცოდა, რა საშუალებით დაეხსნა თავი მძლავრისაგან. მაშინ ალექსანდრე მეფის სახლთ-ხუცესმა ოთარ ჩოლოყაშვილმა, იხსნა კახეთი შაჰთაბაზის დარბევისაგან. მისწერა სამცხე-საათაბაგოში დედის-იმედს წერილი, რომ შაჰთაბაზის ცოლის ძმას, ვარაზა შალიკაშვილს, შენი და შენის შვილების ამოწყვეტა განუზრახავს და სურს თვითონ გამთავრდესო. ეს არის მიზეზიო, რომ მისი სიძე ეხლა შენზე გამოილაშქრებსო. დედის-იმედმა ეს ამბავი აღარ გამოიკითხა და მოჰკლა ვარაზა.

მისი სიკვდილი ძლიერ ეწყინა შაჰთაბაზს, დასტოვა კახეთი, გაილაშქრა სამცხე-საათაბაგოზე, ჯერ ააოხრა მთელი ქვეყანა, მერმე სთხოვა სტამბოლს შევრიგდეთ და საქართველოც ორად გავიყოთო. „გაიყვეს ქვეყანა ჟამსა ამას და შერიგდნენ: დარჩა წილად ხონთქარსა იმერეთი, ოდოში, გურია და საათაბაგო ქართლისა საზღვრამდე, რომელსა აწ თურქისტანად უწოდებენ, ვიდრე ბაღდადამდე, ხოლო შაჰთამაზ დაიპყრა: ქართლი, კახეთი, ერივანი, ქურთისტან აქათი“ [1]).

ამის გამო ერთ ნაწილს დაუწყეს რბევა ოსმალებმა, მეორეს — სპარსელებმა. ერთმა მოინდომა ქართველების გათათრება, მეორემ — გაყიზილბაშება. მაგრამ უფრო უუდიდესი მავნებელი შედეგი ჩოლაყაშვილისაგან დათესილი ღვარძლისა ის იყო, რომ სამცხე-საათაბაგოს თავად-აზნაურობაში დიდი განხეთქილება მოხდა. დედის-იმედისაგან ვარაზა შალიკაშვილის მოკვლამ გაჰყო მთელი სამცხე-

[1]) იხ. იქვე. გვ. 288 და 289.

საათაბაგო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი მიემხრო ვარაზას შვილს კოკოლს; მეორე დედის-იმედს. გადაემტერნენ ერთმანერთს დედის-იმედი და კოკოლა. ასტყდა მათ შორის ძლიერი მტრობა. პირველმა დაიწყო მამის სისხლის ძიება. ჟლიტეს დედის-იმედისა და კოკოლას მომხრეებმა ერთმანერთი 1576 წლიდგან მოკიდებული ვიდრე 1625-მდე, ანგრიეს ციხეები, სიმაგრეები ურთი-ერთისა, აუოხრეს სოფლები და სტაცეს ერთმანერთს სიმდიდრე და საქონელი. დედის-იმედი ხან ერთ შვილს შველის ბრძოლაში, ხან მეორეს, ხან მესამეს. სამი შვილი ჰყავს და საცა საქმე გაჭირდება, იქ მიეშურება. გააფთრებული ძულომსავით იბრძვის, რომ დაამშვიდოს აჯანყებულები. მემატიანე იმას ადარებს ებრაელების გმირ დედა-კაცს, დებორას, რომელიც იყო ებრაელთა მსაჯული და მხედართმთავარი და ებრძოდა ურიათა ხალხოსნობის მტრებსა. ისეთი გაბრაზებული და გაცოფებული ებრძვის შალიკაშვილებსა და მის დიდძალ მომხრეებს, რომ ბევრგან ამარცხებს მათ და იძულებულ ჰყოფს დაემორჩილდნენ მას. მაგრამ შალიკაშვილი კოკოლა არა წყნარდება. როცა შეატყო რომ დედის-იმედი თავის მოუღალავის მოძრაობით და მოქმედებით იმასა სძლევს, მაშინ სთხოვს შემწეობას ოსმალეთს. ხონთქარი უგზავნის ჯარებს. შალიკაშვილი და მისი მომხრე თავად-აზნაურობა უთმობს თათრებს ზოგიერთ ციხეებს. დედის-იმედი თავის შვილებით, რომელთა სახელები არიან, ყვარყვარე მანუჩარ და ბექა, ერთ და იმავე დროს ოსმალებსაც ებრძვის მხნედ და შალიკაშვილს კოკოლას და მის მომხრეებსაც. ბევრგან ამარცხებს მათ და ართმევს სოფლებს და ციხე-სიმაგრეებს. ოსმალებიც უფრო და უფრო აქეზებენ ამათ ერთმანერთზე, რადგან ჰსურთ ჯერ დაასუსტონ კარგად და შერმე ორივენი ერთად დაამარცხონ და დაიჭირონ საშუდამოდ სამცხე-საათაბაგო. ამ განზრახვით ისინი დედის-

იმედსა ჰშველიან, ხან კოკოლას. ამ გვარმა გაჯიბრებულმა ბრძოლამ იქამდე მიიყვანა ეს ორი-ერთმანერთზე გადაკიდებული მხარენი, რომ გამარჯვებისათვის ოსმალებს ელაქუცებიან და უმეგობრდებიან, იმათთან კავშირს იჭერენ და ემორჩილებიან. დედის-იმედი ეწინააღმდეგება ამ განზრახვას, არა ჰსურს აჯანყებულების დამარცხებისათვის სამცხე-საათაბაგოს ქართველობას დაუკარგოს პოლიტიკური თავისუფლება; მაგრამ შვილი ყვარყვარე, რომელიც მემკვიდრე იყო საათაბაგოსი, სხვაფრივ ჰფიქრობს. იმას ჰსურს თათრებს სამუდამოდ დაემორჩილოს და დამორჩილებით დაამშვიდოს ქვეყანა. ამისათვის ის მიეგება ლალა-ფაშას, რომელიც ამ დროს ქართლში იყო თავის ჯარებით და სვიმონ მეფისაგან დამარცხებული გადვიდა სამცხეში. დედის-იმედმა ის ნახა, მაგრამ რა ილაპარაკეს არა სჩანს. მატიანე მხოლოდ ამბობს: „პატრონი ყვარყვარე ლალა-ფაშას თან გაჰყვა დედის მოტყუებით და აღარ დაბრუნდა... წაუდგა პატრონი დედის-იმედი, ჯაყამდის სდია, ვერ მიეწია, აზნაურის შვილები წაუყენა, ველარ დააბრუნა და დედისა და ცოლ-შვილის გამოუსალმებელი წავიდა, ოლთისი სასანჯახოდ მისცეს“.

ასე და ამ სახით შეარყია სამცხე-საათაბაგოში ქართველების ერთობა, პოლიტიკური თავისუფლება და ქრისტიანობრივი სარწმუნოება ოთარ ჩოლაყაშვილის ხვანჯმა და ხრიკმა. საზოგადოდ საქართველოს პოლიტიკურად დამხობის მიზეზები, თუმცა უფრო ადრევე შეინიშნება, მაგრამ სამცხე-საათაბაგოს დაკარგვა საქართველოსაგან, მისი გათათრება და ოსმალებისაგან დაპყრობა ამ დროიდგან დაიწყო. მის დაკარგვის მიზეზნი გახდნენ უკანასკნელად ოთარ ჩოლაყაშვილი, დედის-იმედი და კოკოლა შალიკაშვილი. ეი რანაირად:

დედის-იმედის შვილი ყვარყვარე და ამისი ძმა მანუჩარი 1579 წელს ოსმალებმა სტამბოლს წაიყვანეს.

ამავე წელს მანუჩარს მისცეს ფაშობა და გამოგზავნეს სამცხეში, მისი ძმა ყვარყვარე კი, მემკვიდრე საათაბაგოსი, არ გამოუშვეს სტამბოლიდგან, რადგან ქრისტიანობას არა სტოვებდა. ის გააბატონეს სამცხეში ძხოლოდ მაშინ, როცა სტამბოლში ერთ გამოჩენილ მოჭიდავეს, ხონთქრის თხოვნით, დაეჭიდა და ღონივრად დაახეთქა ძიწაზე (1580 წელს); მაგრამ ორი წლის შემდეგ მოკვდა ყვარყვარე. გამთავრდა მისი ძმა მანუჩარი მე-II. ამ დროს დედის-იმედი ჯერ კიდევ ცოცხალია. 1587 წელს ის ნახა შაჰ-აბაზმა და აჩუქა ერევნის მხარეს ხუთი დიდი სოფელი. შაჰ-აბასთან მეგობრობისათვის ოსმალოს ჯარები გასწყრნენ მანუჩარზე, უღალატეს და მოკვლა მოინდომეს მისი, მაგრამ ჩხუბში იმან ფაშები მძიმედ დასჭრა და დაიცვა თავისი ქვეყანა აკლებისაგან. ამასობაში დედისიმედმა კიდევ ამოჰყო თავი. რადგან სპარსეთის შაჰთან კარგად იყო, ამისათვის იმან უშიშრად გაწყვიტა ქართლის მეფის სვიმონის შემწეობით თავის მოღალატენი და დაიპყრო სრულიად სამცხე. მაგრამ აქედგანაც არა გამოვიდა-რა. ამისათვის რომ ამ დროს მესხნი სტოვებდნენ ქართულს წესსა და რიგსა და სჯულსა ოსმალების მძლავრობით. ამასობაში მანუჩარიც მოკვდა, და გამთავრდა მისი შვილი მანუჩარ მე-III. ამის დროს ოსმალებმა არ მოასვენეს საათაბაგო: იკლებდნენ და აოხრებდნენ მას. გაბეზრებული მანუჩარი წავიდა სტამბოლს. იქ დაუმტკიცეს იმას ათაბაგობა; მაგრამ ხონთქარისავე ჩაგონებით ბექამ (ბიძამ) გზაზედვე მოწამლა და მოკლა თავისი ძმისწული. მაშინ ხონთქარმა მისცა ბექას ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე-საათაბაგოსი და უწოდეს საფარფაშა და პატივი სცეს ორითა თულითა«. ამის შემდეგ აღარ ყოფილა სამცხე-საათაბაგოში მთავარი ქრისტეს სჯულითა, არამედ სხდებოდნენ ფაშები.

ამ უკანასკნელ მიზეზისა გამო დიდძალი თავად-აზ-

აზნაურობა გამაჰმადიანდა; ამასთანავე ფაშებმა გამორეკეს სამცხე-საათაბაგოდგან ყველა მღვდლები, ეპისკოპოსნი და სხვანი სასულიერო პირნი, რომელთაც კი არ უარჰყვეს ქრისტეს სარწმუნოება, გაუქმდნენ ეკლესიანი და მონასტერნი; ზოგი მათგანი დაანგრიეს, ზოგი მეჩითად გადააკეთეს; მრავალთ ქრისტეს მორწმუნეთ გამოიტანეს იქიდგან ჯვარი, ხატნი და ეკლესიის სამკაულნი და დამალეს სახლებში, რომ მალვით მაინც ელვიარებინათ ღმერთი ქრისტიანულად, რომელთაც არა სურდათ ფარისევლობით ქცევა და დაფარვით აღვიარება ქრისტეს სჯულისა, იმათ დასტოვეს თავისი სამშობლო და გადმოსახლდნენ ქართლში, კახეთში და იმერეთში, და თან მოიტანეს საეკლესიო ნივთნი, ხატნი და ჯვარნი. ამ დროს არიან გადმოსახლებულნი დიასამიძეები, ავალიშვილნი, ციციანნი, ლეონიძენი და სხვანი. უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობისა დარჩა თავის ქვეყანაშივე და გათათრდა. ასე მოიქცნენ პირველად თავადნი და აზნაურნი, მერმე მათს მაგალითს მიჰბაძეს გლეხთაც. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, რომ თევზი აყროლებას პირველად თავიდგან დაიწყებსო. გლეხთ არა ჰსურდათ მამა-პაპის სჯულის დატოვება, მაგრამ მათ ბატონებმა ნება არ მისცეს, დაუწყეს დევნა სჯულზე მტკიცედ დგომისათვის. მაშინ გლეხობის მომეტებულმა ნაწილმა უარ-ჰყვეს მამა-პაპის სარწმუნოებმა, მცირედმა კი დასტოვა საათაბაგო და გადმოსახლდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოში. დაიხოცნენ მწყემსნი და განიბნივნენ ცხოვარნი. რომ იტყვიან, სწორედ ისე მოხდა. მატიანე ამბობს, რომ მით უფრო უმეტეს ადვილად გაჰქრა ხალხში ქრისტიანობაო, რომ მათ აღარ ჰყვანდნენ მღვდელნი და ეპისკოპოსნიო და ხალხი აღარ ემორჩილებოდა მცხეთის ქათალიკოზსაო. მარტო თავადთა და გლეხთა დედა-კაცები დგნენ მტკიცედ მამა-პაპის სარწმუნოებას, მამა-კაცებსა-

ვით ადვილად იმათ თავი არ დაანებეს ქრისტეს სჯულს. „თუმცა წარჩინებულნი მაჰმადიანნი იყვნენ, ამბობს მატიანე, არამედ ცოლნი მათნი და მხევალნი იყვნენ ყოველითა ქრისტიანენი“. 1647 წელს სტამბოლიდგან მოსწერეს საფარ-ფაშის (ბექას) შვილის-შვილს როსტომ ფაშას, რათა იქმნენ ცოლ-შვილნიცა მათნი, რომელნიცა მაჰმადიან არიან—მაჰმადიანად«. ეს ბრძანება გამოუცხადეს როსტომ-ფაშის ცოლს, მაგრამ „მან არა ინება, არამედ აიძულებდნენ ყოფას მაჰმადიანად და ამისთვის დაითმინა მრავალნი ტანჯვანი. მერმე განივლტო, რათა გარდაიგდოს თავი კლდესა ზედა. სცნეს ესე, შეიპყრეს და არა უტევეს, კვალად ინება მოშთობა თავისა თვისისა და მცნობელთა არცა ამასზედა მიუშვეს. ხოლო შემდგომად სიყმილისა და მრავლისა ქენჯნის, მოიპოვა ღონე, რამეთუ ჰგონა, ვითარცა თვით თავისა ყოფნა, ეგრეცა სხვათაცა და ამის მიზეზისათვის იტყოდა: უკეთუ დაატოვებინოთ ყოველთა წარჩინებულთა ცოლთა უწინარეს ჩემსა ქრისტე, მერმე დავუტევო მეცა, უკეთუ არა, ესრეთ არცა მე. მაშინ შეუთქვეს რა წარჩინებულთა ცოლთა, მათ ყოველთა შიშისათვის ტანჯვისა დაუტევეს ქრისტე და გამაჰმადიანდნენ ყოველნი სრულიად და ამის შემდეგ, ულონო ქმნილი, გამაჰმადიანთა იგიცა. არამედ იქმნა რისხვა ღვთისა ცოდვათა ჩვენთათვის, რამეთუ აწ უმეტეს ადრე მოოხრდნენ ეკლესიანი... რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს წარაქვნდათ ხატნი და ჯვარნი და წმინდათა ნაწილნი, მოისპოდნენ ეპისკოპოსნი, თუ სადმე იყო და მონაზონნი და მწყემსნი“ [1]).

ქართველნი დედა-კაცნი მარტო სარწმუნოების დაცვაში არ იყვნენ მტკიცენი. ისეთნი იყვნენ ისინი მტერ-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. მე-II ნაწ. გვ. 162—169 და 258—299.

თან ბრძოლაში და სამშობლო ქვეყნის დაცვაშიაც. 1608 წელს ხონთქარმა გაილაშქრა სირიის წინააღმდეგ. მან დაიბარა ყირიმის თათარხანი თავის ჯარებით. იმან გაიარა თავის ჯარით სტამბოლზე და შეუერთდა ხონთქრის ჯარებს სირიაში. ამათ დაიპყრეს ეს ქვეყანა. ბაღდადის აღების შემდეგ ხონთქარმა ნება მისცა თათარხანს დაბრუნებულიყო ყირიმში. მაშინ ამ უკანასკნელმა სთხოვა ხონთქარს ნება მიეცა საქართველოზე გავლისა, რადგან ეს გზა მოკლე არისო. იმას გაეგონა, რომ საქართველო მდიდარი ქვეყანა არის და გავლის დროს დავიპყრობ და სიმდიდრეს ვიშოვიო. 1609 წელს ის მოადგა ჩვენს ქვეყანას. შეიტყო მეფე ლუარსაბ პირველმა. ამან და გიორგი საакაძემ, დიდმა მოურავმა, რამდენჯერმე დაამარცხეს გზაზე, მაგრამ ის მაინც გადმოვიდა ქართლში და დადგა სურამის ბოლოს, აქ მოგროვდა ქართველთა ჯარებიც, რომელშიაც ერივნენ დედა-კაცნიც. მოურავის მეცადინეობით და მამაცობით თათარხანის ლაშქარი ასე დამარცხდა, რომ სრულიად გაიფანტა და მოედო ტყეღრეს. მას მიჰყვნენ უკან დედა-კაცები. სამი დღის განმავლობაში იჭერდნენ ისინი თათრებს ტყეში და გათოკილები გამოჰყავდათ ტყიდგან, აშიშვლებდნენ და ტიტვლებს უშვებდნენ ბედის ამარად [1]).

თუმცა ნათქვამი არის დედა-კაცისაგან, რომ „ერთი სხვათა შვილი დედასაც და მამასაც მირჩევნიაო", მაგრამ ლუარსაბ მეფის დას თინათინს სამშობლოს ბედნიერება და ხალხოსნურის მეფის სიცოცხლე ურჩევნია თავის ქმრის სიამოვნებასა და სიცოცხლეს. იმას თავისი ქმარი შაჰ-აბასი იმდენად არ უყვარს, როგორც თავისი ძმა და საქართველო. იმას ჰსურს როგორმე განათავისუფლოს ქმრის ხელიდგან დატყვევებული ძმა და

---

[1]). იხ. ქართ. ცხოვ. ნეწ. მე-II, გვ. 36.

დააბრუნოს ისევ სამეფოში. იმას სურს ძმის წადილი ასრულდეს, და არა ქმრისა. ამისათვის 1615 წელს, როცა შაჰ-აბასი შემოესია საქართველოს და მოტყუებით დაიჭირა ლუარსაბი და მიჰყავდა სპარსეთში, ყარაიაზე ყაენმა და მან ინადირეს. აქ მეფემ სიმარჯვე გამოიჩინა და 13 ნადირი მოკლა ერთ დღეს. ეს ამბავი ძლიერ ეწყინა დას თინათინს და შემოუთვალა მალვით ძმას, „რათა არა უჩვენოს ყაენს თავი თვისი მხნედ და ახოვნად«. ამაზედ ძმამ უპასუხა: „ვუწყი, რამეთუ ერლარა განმიტევებს, ამისთვის უმჯობეს არს სიკეთისა ჩვენება, ვიდრე სიავისაო«. გარდა ამისა თინათინზე კიდევ ის ვიცით, რომ ამ დროს ის იყო საქართველოში შაჰ-აბასთან ერთად და მის ბრძანებით მისწერა იმერეთში მყოფს ძმას წიგნი და მიიწვია თავის ქმართან. ეწადა დას ძმისთვის ამ წერილის მიწერა თუ არა, ეს არ არის ცხადი, მაგრამ მატიანე ამბობს, რომ დის წიგნი შაჰ-აბასმა გაუგზავნა ლუარსაბსაო. აქედგან, რასაკვირველია, არა სჩანს თინათინის გარევნა საქართველოს ბედ-იღბლის პოლიტიკურად განწყობაში. ლუარსაბის სიტყვები, რომელიც ზევით მოვიყვანეთ და დის მიერ გაფრთხილება მისი ამტკიცებენ, რომ იმას ჰსურდა ძმის და მეფის განთავისუფლება. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თინათინის დედამთილზე, რომელსაც ერქო ბეგუმ და იყო შაჰ-აბასის დედა. ჩვენ არ ვიცით, ეს ქალი ქართველი იყო თუ არა ჩამომავლობით, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ამისი დედამთილი იყო ოთარ შალიკაშვილის ქალი. თუ მივიღებთ მხედველობაში ევროპიის მოგზაურის (1627 წ.) პიეტრო დელლავალეს შემდეგს სიტყვებს: „ქართველების რიცხვი ისე დიდი იყო, რომ დღეს არ იპოვება არც ერთი სახლი მთელს სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა (ტყვეებით) ქართველებით, მამა-კაცებით და დედა-კაცებითაც; იქ არ არის იმისთანა დედა-კაცი, რომელსაც არა სურ-

დეს. რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, ამიტომ რომ ესენი მშვენიერები არიან. თვით ხელმწიფეს გავსებული აქვს თავისი სასახლე მათის კაცებითა და ქალებით და სხვებს თითქმის არ იმსახურებს [1]); — ვამბობთ, თუ ამ სიტყვებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ბეგუმ, თუ მამითაც და დედითაც არა, ერთის მხრით მაინც ქართველი იყო. აი ეს ბეგუმ იყო დედა-კაცი მეომარი, მხნე და ახოვანი. რადგან ქმარი სუსტი ხასიათისა და ჭკუის კაცი იყო, ამას ეჭირა მთელი სპარსეთის სახელმწიფოს საქმეების გამგეობა. რადგან ამ დროს ოსმალები აოხრებდნენ საქართველოს და იპყრობდნენ, ამისათვის ეს ბეგუმ წამოუძღვა სპარსეთის ჯარებს, მოვიდა შირვანში, შეება ოსმალოს ჯარებს, დაამარცხა ლალა-ფაშა, წაართო ციხე, დაწვა და დააქცია, ხაზინაც წაართო და თათარხანიც დაატყვევეს ყაზმინს. ვიდრე ეს მხნე დედაკაცი ცოცხალი იყო, ყიზილბაშნი ვერას ავს უბედავდნენ ვის ქმარს შახუდაბანდას, მაგრამ ის რომ მოკვდა, მაშინ მისი ქმარი ყიზილბაშებმა ჩამომოაგდეს ტახტიდგან და ციხეში დაამწყვდიეს. ჩვენთვის ის ნით არის მხოლოდ შესანიშნავი, რომ მან უშველა მეფე სვიმონს ოსმალების დამარცხებაში.

როგორც მჯობნს მჯობნი არ დაელევა, ისე კარგთან რომ ცუდიც არ იყოს, არ შეიძლება. ეს წუთი სოფელი ისეა აგებული, რომ ვიდრე მზე ანათებს, ბოროტსა და კეთილს ექნებათ განუწყვეტელი ბრძოლა ურთი-ერთ შორის. ამას ჩვენ იმაზე ვამბობთ, რომ ამავე დროს იყვნენ ორნი მაღალ-წოდების ზნე-გაფუჭებულნი დედაკაცნი. ერთი იყო ქართლელი, მეორე კახელი. რასაკვირველია, გარყვნილნი და მავნებელნი სხვანიც ბევრნი იქნებოდნენ, მაგრამ ჩვენ აქ იმათზე ვლაპარაკობთ, რო-

---

[1]) იხ. ჟურ. „ივერია“ 1879 წ. № 3.

მელნიც მატიანეში არიან მოხსენებულნი და რომელნიც რაიმე მხრით შეეხნენ ერის ცხოვრებას თავიანთ მოქმედებით. კახელი ქალი იყო მეფე ალექსანდრეს და. ამას აღერჩივა ენკრატისობა (მონოზნობა) და სცხოვრობდა ალავერდს; მაგრამ ფარულად მას „თანა ეყოფოდა ალავერდელი“, — ეპისკოპოსი, ძმა ხსენებულ ბოროტ-მოქმედისა ოთარ ჩოლაყაშვილისა. ეს ამბავი ჯერ არავინ იცოდა: მაგრამ როცა იერუსალიმის პატრიარხმა მეფე ალექსანდრეს შემწეობა სთხოვა ფულით მონასტრების ვალების გადასახდელად, მაშინ ეს დაფარული საქმე განცხადდა. საქმე იმაშია, რომ კახელები თანახმა გახდნენ ნებაყოფლობით, ვისაც რამდენი შეეძლო, შეეწირაო ფული იერუსალიმის პატრიარხის საჭიროებისათვის. „დაადგინეს ალავერდელი, რათა შეჰკრიბოს (ფული) და წარიღოს იერუსალიმში. მან შეჰკრიბა ხუთი ათასი დრაჰკანი და წარვიდა. მეფის დამ რომ შეიტყო ეს ამბავი, გამოუყენა მას ულან კაცი და დააბრუნა; მე ორსულად ვარ შენგან და შენი წასვლა არ შეიძლებაო. ამის გამგონე ალავერდელი მაშინვე დაბრუნდა; მოვიდა კახეთში „წარიპარა ქალი იგი და წარვიდა იმერეთს; ხოლო ოქრო იგი წარმოუგზავნა ალექსანდრესვე“. ამ საქმისათვის დასწყევლა სულიერი მამა; ალექსანდრე მეფემ არამც თუ არა ავნორა, არამედ შერთო მასვე თავისი და, რადგან გაკრეჭილი იყო და „მისცნა მცირენი მამულნი და იყოფოდა მუნ შინა“ [1]). ეს ამბავი მოხდა 1602 წელს. ამ ამბის ცოტა მერმე მეორე დედა-კაცმა ჩაიდინა უმსგავსო, უკადრისი და უსირცხო საქმე. ეს იყო სახელოვანის გმირის ზურაბ ერისთვის ძმის ბაადურის ცოლი იმერეთიდგან. ამ ქალმა შეიყვარა ჯიჯავაძე საზვერელი, და რამდენიმე ხნის კურკურის შემდეგ, საჩინოში ყოფნის დროს, მოაკვლე-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 111.

ვინა კანონიერი ქმარი ამავე ჯიჯავაძეს და გადიწერა ჯვარი. ეს ამბავი შეიტყო ბაადურის ძმამ ზურაბ ერისთავმა, მაშინვე შემოიყარა ჯარები, გადაიარა ფერსათის მთა და მიადგა საჩინოს. იმ ღამეს როსკიპმა ქალმა სიზმარში ნახა: »რამეთუ მოჰკლეს საზვერველი და ტყვე ჰყვეს იგი“, და ურჩევდა ახალს ქმარს ციხეში შეხიზვნას და გამაგრებას; მაგრამ მან არ გაუგონა. მაშინ ის თვითონ შევიდა ციხეში და გაამაგრა იგი. ამ დროს ზურაბიც მოვიდა, დაესხა თავს ჯიჯავაძეს, მოჰკლა და მოჰკვეთა თავი; »გარნა ციხესა ვერა ავნო-რა“, რადგან ქალმა ბრძოლა დაუწყო [1]). ეს მოხდა 1619 წელს.

რადგან ამ »ისტორიულის სურათების« წერაში, რამოდენადაც შეიძლება, ქორონიკონს მივსდევთ, ამისათვის ახლა უნდა შევუდგეთ ქეთევან დედოფლის მოქმედების აღწერას.

1627 წელს პიეტრო დელლავალე ამბობს, რომ შაჰ-აბაზს გულით ეწადა ამაყი სპარსელების დამცირებაო. ამისათვის იმან მოიწადინა ქართველების გამრავლება თავის ჯარში, მაგრამ ამ განზრახვის ასრულება შეუძლებელი იყო, ვიდრე ქართველები არ დასტოვებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას. საჭიროდ შეიქმნა მისთვის ამათი გამაჰმადიანება. შეუდგა ის ამ განზრახვის აღსრულებაში მოყვანას. იმას თან ჰყვანდა სპარსეთში კახეთის მეფის ალექსანდრეს შვილი კოსტანტინე. ამას კარგად შეესწავლა სპარსული ენა, წიგნი, ზნე და ჩვეულება და გამაჰმადიანებულიყო. აი ეს ბატონიშვილი კოსტანტინე 1605 წ. მიიხმო შაჰ-აბასმა სასახლეში და უთხრა: „მომკვდარ არს დავით ძმა შენი და არს მამა შენი მოხუცებული და ძმა შენი გიორგი, აწ ვინადგან შენ ხარ სჯულსა ჩემსა მტკიცედ და მეფობისა ჩემისა სარწმუნო, მომიცია სრულიად

---

[1]) იხ. იქვე, 40.

შირვანისა ჯარები შემწედ, ხალათი და საჩუქარი მამისათვის, წარვედ და მოჰკალ ორნივე და შენ გამეფდი და ჰყავ კახეთი მაჰმადიან". ულირსი შვილი საქართველოსი დათანხმდა, მოვიდა საინგილოში, ჩამოჰხდა ქალაქს ბაზარში, დაიბარა იქ მამა და ძმა, დახოცა ისინი ღალატობით და გამოაცხადა თავი თვისი მეფედ. მერმე მოუგზავნა კაცი დედოფალს ქეთევანს, (ქვრივს), თავის ძმის დავითის ცოლსა და შემოუთვალა: „რადგან მაჰმადის სჯული ნებას აძლევს შერთვას რძლისას და მე ვარ მაჰმადიანი და კახეთიც ყეენის ბძანებით მე დავიჭირე, შემირთე ქმარად და იყავ ისევ დედოფალი და თუ თანახმა არ გახდები შენის ნებით, მაშინ ამ საქმეს მე ძალად ვყოფ". ქეთევანს ძალიან ეწყინა ასეთი თავხედი მისი სურვილი და მამამთილისა და მაზლის სიკვდილი, შეჰყარა მაშინვე კახეთის თავად-აზნაურობა და უთხრა: სად გაგონილა ქრისტიანობაში, რომ ძმამ ძმის ცოლი შეირთოსო. ჩემს მაზლს კოსტანტინეს ჩვენი მეფე ალექსანდრე და ჩემი მაზლი გიორგი ორივე ღალატობით დაუხოცია, ახლა განუზრახავს ძალად ჩემი ცოლად შერთვა და კახეთისაც გამაჰმადიანება. თუ ამაზე თქვენ ყველანი ყაბულსა ხართ და არ გსურთ დაცვა სამშობლო ქვეყნისა, სარწმუნოებისა და ქართველთა დედათა ნამუსი, მაშ ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, მე აქ აღარ მსურს დგომა, წავალ ჩემს სამშობლო ქართლს.

კახელებს ძალიან ეწყინათ ეს ამბავი, შეიყარნენ ყოველ კუთხიდგან, გამოუცხადეს დედოფალს ერთგულება და მოემზადნენ კოსტანტინესთვის წინააღმდეგობის გაწევას. მიუძღვა მათ ქეთევან დედოფალი, მოჰხდა ზაქათალის მაზრაში ბრძოლა, დამარცხდნენ სპარსნი და მოჰკლეს კონსტანტინე.

რადგან ხელმწიფის შთამომავალი აღარავინ იყო,

ამისათვის კახელებმა გაამეფეს ქეთევანი. ის იყო აშათან მუხრან ბატონის ქალი ბაგრატიონი და ნათესავი მეფის ლუარსაბისა, რომელიც ამავე დროს იქმნა წამებული სპარსეთში. მას ჰქონდა დიდი ნიჭი სახელმწიფოს მართვისა და იყო გამოცდილი, ამისათვის რომ ის იყო რამდენჯერმე სპარსეთშიაც. რამდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე მცირე წლოვანი იყო მისი შვილი თეიმურაზ პირველი, ის დიდებულად განაგებდა სახელმწიფოს. მაგრამ შვილი ეჭვით უყურებდა დედას. შაჰ-აბასი ჩასჩურჩულებდა თეიმურაზს, რომ მის დედას განზრახვად აქვს ქმრად შეირთოს გამოჩენილი სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილი, რომლის ვაჟკაცობით და სახელმწიფო საქმეების ცოდნით იმან ბევრი ისარგებლაო. ამ შემთხვევაში დედაშენი ეცდება, ეუბნებოდა ის, რომ წინააღმდეგი გაგიხდესო, რომ რა არის სახელმწიფო მოუმზადოს სხვა შვილებს, რომელიც ეყოლება მეორე ქმრის ხელშიო... თეიმურაზი მოსტყუვდა და მოაკვლევინა ეს საუკეთესო შვილი ქვეყნისა. ქეთევანმა რა უთხრა შვილს ამ ბოროტმოქმედებისათვის, არ ვიცით, მაგრამ თვით თეიმურაზმა კი იგრძნო შეცდომა. ხოლო შემთხვევათა მსვლელობა გვაჩვენებს, რომ დედა, „როგორც ძლიერ ჭკვიანი ადამიანი«, ამისათვის შვილს არ შემოსწყრომია, რადგან მათი ურთიერთ შორის უთანხმოება ავნებდა სამეფოს კეთილდღეობას, და ორივე, მცხოვრებნი გრემის ქალაქში, განაგებდნენ კეთილად კახეთს.

იმ დროს, როცა ქეთევანმა მოჰკლა კონსტანტინე ბრძოლაში, თეიმურაზი სპარსეთში იყო, შაჰ-აბაზს ძლიერ ეწყინა, რომ მისი განზრახვა არ ასრულდა, და რომ ქართლმა არ დაიჭიროს კახეთი და არ შეირთოს, შეიტყო თუ არა კონსტანტინეს სიკვდილი, მაშინვე გამოისტუმრა თეიმურაზი კახეთში და თან გამოაყოლა იქ მყოფი კახელები. ქიზიყში ის ისტუმრა ერთმა გლეხმა და

აქ დედა-კაცებმა უძღვნეს მას ცხრა ბალღი აკვნით სამშობლო ქვეყნის დასაცველად. აქედგან აცნობა დედას თავისი მოსვლა, მივიდა გრემს, იყო დიდი სიხარული დედაშვილსა და ყოველი კახელებთ შორის. რამდენიმე ხნის შემდეგ დედამ მოიყვანა თეიმურაზი ქიზიყს და წმინდა ნინოს ტაძარში აკურთხებინა მეფედ. ამ დროს ის იყო 13 წლისა, როგორც სწერს მეფე არჩილი. შაჰ-აბაზს ბრაზი მოსდიოდა, რომ ვერ აღასრულა თავისი განზრახვა და რომ ქეთევანისა და თეიმურაზის გამგეობის ქვეშ კახეთი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. საქართველოში ქრისტიანობის დაცვას ის მეფეებს აბრალებდა, ამისათვის მეცადინეობდა ორივე სამეფოში მეფის გვარეულობის ამოწყვეტას. მაგრამ უფრო უმეტესად კახეთის ჯავრი სჭირდა კონსტანტინეს სიკვდილის გამო. ის ეძებდა მიზეზებს, რომ წაჰბრძოლებოდა ქართლსა ს კახეთს. ამ განზრახვით იმან მიიწვია სპარსეთში თეიმურაზი და საიდუმლოდ ეუბნებოდა: ლუარსაბის და ხორეშანი შეირთეო და მაშინ მე და შენ ქვისლები ვიქნებითო და ლუარსაბთანაც თანხმობით იცხოვრებო. იმას ეგონა, რადგან თეიმურაზი და ლუარსაბი მახლობელი ნათესავები არიან, უარს იტყვიან ქრისტეს სჯულის დარღვევაზეო და მე ამ მიზეზით ურჩობისათვის ომს გამოუცხადებო; მაგრამ მეფეებმა იცოდნენ შაჰ-აბაზის მზაკვრობა და თანახმა გახდნენ დამოყვრებაზე, თუმცა პირველში უარზე იდგნენ. თეიმურაზმა შეირთო ლუარსაბის და ხორეშანი. მაგრამ შაჰ-აბასი კიდევ არ დასცხრა, და ახლა სხვა მიზეზი მოიდო: მე ვსთხოვე ლუარსაბს ეს ქალი, მე უარი მითხრა, ნათესავს კი მიათხოვაო; დაიჟინა, არ იქნება, თუ თეიმურაზმა მე არ დამითმო ხორეშანიო, რადგან ლუარსაბი პირველში მე შემპირდა იმას, მერმე კი მის ნაცვლად თინათინი მომცაო [1]).

[1]) დელლავალე ამბობს, რომ ამ ქალის სახელი ელენე იყოვო; „ქართლის ცხოვრებაში“ კი თინათინი სწერია.

თეიმურაზმა შეუთვალა: »მე ჩემი ღირსება ნებას არ მაძლევს, რომ ჩემი საკუთარი ცოლი სხვას მივცეო“. ღვთის რისხვა კაცი შაჰ-აბასი ძალიან განძვინდა, წამოვიდა დიდის ლაშქრით კახეთის ასაოხრებლად. მაშინ დედოფალმა ქეთევანმა გასწირა თავი თვისი, წავიდა ყეენთან, თან წაიყვანა ორი თავისი ქალი და შვილის შვილი ალექსანდრე, რომ ამით დაემტკიცებინა მისთვის ერთგულება და შეერიგებინა თეიმურაზთან“. ეგრე მოიქცა თეიმურაზ, ამბობს დელლავალლე, იმ იმედით, რომ მის დედას ქეთევან დედოფალს, როგორც ძლიერს ჭკვიანს ადამიანს და რამოდენიმეჯერ სპარსეთში ნამყოფს, ხელმწიფის ხასიათის მცოდნეს, შეეძლო მისი დამშვიდება და შერიგების მოთხოვნა, მაგრამ ხელმწიფე ულმობელად დარჩა, და, თითქოს ძლიერ შეყვარებული ყოფილიყოს, დაჟინებით თხოულობდა ხორეშან დედოფალს«. დაიწყო ახალი ბრძოლა ქეთევანსა და შაჰ-აბაზს შორის. ის ეუბნებოდა ქეთევანს: თეიმურაზი ჩემი ერთგული რომ იყოს, თავის მემკვიდრე შვილს ალექსანდრეს გამომიგზავნიდაო. ახლა მოითხოვა ესეც. ქეთევანმა მოსწერა, ნუ გამოგზავნი ალექსანდრესო: მაგრამ მან არ გაუგონა. ესეც რომ მოვიდა, ახლა თვითონ თეიმურაზი დაიბარა. ის აღარ წავიდა. მაშინ შაჰ-აბაზმა გამოილაშქრა საქართველოზე, აოხრა კახეთი და 100,000 სული გადაასახლა კახეთიდგან. მაშინ აოხრდა ჭიაური და ზაქათალის მაზრა. გადასახლებულთაგან უმეტესი ნაწილი საჩუქრებითა და ჯილდოს დაპირებით გაამაჰმადიანა, და მათგან შეადგინა ლაშქარი 30,000 კაცით. მაგრამ სიმტკიცე ქეთევანისა ვერ გასტეხა ვერც მუქარით, ვერც კეთილის ცხოვრების დაპირებით. მიშინ შეუბრალებელმა ბარბაროსმა ის დაამწყვდია შირაზის ციხეში. შვილის-შვილები კი, მათი მოუდრეკელობით გაბრაზებულმა დაასაჭურისა და თან გააყოლა. ალექსანდრე მალე მოკვდა, ხოლო ლევანი გაგიჟდა.

ქეთევინ დედოფალი, წაყვანილი შირაზში „მთელის თავის სახლით (მას ჰყავდა მრავალი მოსამსახურე ქალი და კაცი) დიდის სიმტკიცით ადგა ქრისტეს სარწმუნოებას, რომელსაც ასრულებდა, რამოდენადაც იცოდა და შეეძლო. დიდის გულმოდგინებით, ძვირფასს საეკლესიო ნივთებს, წიგნებს და სამოსლებს დიდის თაყვანის-ცემით ინახავდა. მაგრამ იმ დროს მას არა ჰყავდა არც ერთი თავისიანი მღვდელ-მთავარი წირვა-ლოცვის აღმასრულებელი. ერთი კი ჰყავდა წინად, რომელიც ვფიქრობ, იყო რალაც საეკლესიო თანამდებობისა; მაგრამ რადგან ის იყო ძალიან კეთილი ქრისტიანე და მაჰმადიანებს ეგონათ, ის ამაგრებს დედოფალს და, რაკი მოშორდება, დედოფალიც გადუდგება თავის სარწმუნოებასაო, მას შესწამეს, რალაც დიდი დანაშაულობა და მოჰკლეს. ის მოკვდა ცეცხლზე დამწვარი შირაზში, თავდადებულის სარწმუნოებისათვის და აღსავსე დიდის მოთმინებითა. მეორე მღვდელთაგანი, რომელიც ქეთევან დედოფალს თან ჰყვანდა, როცა მე იქ ჩავიარე, იყო ვითარცა მოურავი; განაგებდა მთელს მის სახლს და უფრო კარის კაცად ჩაითვლებოდა, ვიდრე სხვა რამედ; უცოდინაროობისა, თუ სხვა რამე მიზეზისა გამო, არ ვიცი, ის არ სწირავდა. გარდა ამისა ჰყავდა კიდევ ერთი ბერი, მაგრამ სრულებით გამოჩერჩეტებული და ერთი ერის კაცი, რომელიც ამისთანებში ვერაფრად გამოადგებოდა. მე ვფიქრობ, რომ მას აქეთ, რაც ჩვენ პატრებს კარმენიტანელ ფეხშიშველებს და აგრეთვე ავგუსტინიანებს აქვთ შირაზში დგომა და ეკლესია, ისინი არ დააკლებდნენ იმას ნუგეშს და ვაამხნევებდნენ ყოვლის გვარის სულიერ შემწეობით. მე გავიგონე, რომ დედოფალს არასოდეს, ვიდრე ცოცხალი იყო, არ დაუკლია მათთვის უხვი საწირავები და სხვა გვარი შემწეობაც. მე ვამბობ ვიდრე ცოცხალი იყო-მეთქი, ამიტომ რომ რამდენიმე თვის წინად, ინდოეთი-

დგან დაბრუნებული ბაზორაში რომ ჩაველ, იქ მე შე-ვიტყე შემდეგი ამბავი. 22 სექტემბერს (ჩვენებურ 10-ს) 1624 წელსა ქეთევან დედოფალი სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებისამებრ დიდის წვალებით მოუკლავსთ, ქრისტეს სჯულზე სიმტკიცით დგომისათვის, იმავე ქალაქს შირაზ-ში, სადაც ამდენი ხანი დაკავებული იყო. არ ვიცი რა მოქმედობას თხოულობდნენ მისგან. სიკვდილს შეჰხვდა იგი მხნედ, ვითარცა უდიდებულესი მოწამე. ამ ცნობის საფუძვლად მე ვასახელებ ღირსის პატრის ფრაგრეგორი-ორსინო და მინიკანელის მოხსენებათა. იგი იყო სამხრე-თის მთავარი ვიკარი და თავის მოგზაურობის დროს გა-დასულიყო სპარსეთში, სადაც ცოტა ხნის წინათ ეს შემ-თხვევა მოხდარიყო. ბაზორაში შევხვდი მე, პირველად მან მიამბო ეს ამბავი. გარდა ამისა მან ამის შესახებ რომ-ში წარადგინა ვრცელი მოხსენება“ [1]).

ქეთევან დედოფლის შემდეგ დედა-კაცებს უფრო დიდი გავლენა ჰქონდათ მამა-კაცებზე, ვიდრე წინათ. ახ-ლა ისინი უფრო ძლიერ ერკვიან პოლიტიკურს საქმეებ-ში და დიდი გავლენაც აქვთ ხალხის ცხოვრებაზე. ამი-სათვის საჭირო დროს მეფეები იყვანენ მძევლად მათს ცოლებს. ასე მოიქცა მაგალითებრ კახეთის მეფე თეი-მურაზ პირველი, შვილი ქეთევან დედოფლისა. ლუარსაბ მეფის სიკვდილის შემდეგ იმან მოიწადინა ქართლ-კახე-თის შეერთება. ამ განზრახვის თანახმანი იყვნენ გავლე-ნის მექონნი თავად-აზნაურნიც; მაგრამ თეიმურაზი ბა-რათაშვილებს ვერ ენდო. ვინც იმათ შორის უფრო გავ-ლენიანი და გამოჩენილი კაცი იყო, იმათი ცოლები თა-ვისთან მძევლად მიიყვანა; მაგრამ ბარათაშვილებმა მაინც ულალატეს იმას. რადგან სპარსეთს არა ჰსურდა ქართლ-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 112—119; ჟურნალი „ივე-რია“, გვ. 45—53, სტატია დელლავალესი.

კახეთის შეერთება და გაძლიერება, ამისათვის იმან (სპარსეთმა) დასვა ქართლის სამეფო ტახტზე როსტომ მუხრანბატონი. ისინი მაშინვე იმას მიემხრნენ. თეიმურაზს ეს ეწყინა და მოიწადინა მათი ცოლებისათვის, რომელნიც მძევლად ჰყვანდა, ცხვირ-პირის დაჭრა. მაგრამ ამის წინააღმდეგი გაუხდა მას ცოლი ხვარაშან დედოფალი. ეს იყო ლუარსაბ მეფის დაი. იმან ნება არ მისცა ქმარს დედათათვის ამგვარი შეურაცხყოფა მიეყენებინა.

ბარათაშვილები თუმცა წინააღმდეგნი გაუხდნენ თეიმურაზს ქართლ-კახეთის შეერთებაზე, ქართლის თავადობამ მაინც ხელი არ აიღო თავის განზრახვაზე. 1634 წ. როსტომ მეფე მოვიდა თბილისს და დაიწყო სამეფოს გამგეობა. მაგრამ ამავე წელს იმას უღალატეს: ზაალ ერისთავმა, იოთამ ამილახორმა, ნოდარ ციციშვილმა, გიორგი გოჩაშვილმა და ევდემოზ ქათალიკოზმა. ესენი იყვნენ თეიმურაზის მომხრენი. რადგან როსტომი მაჰმადის მორწმუნე იყო, თავადობას და ხალხს არ უნდოდა მისი მეფობა. იმათ ჰსურდათ თეიმურაზის მეფობა და ესეც ამის მოწადინე იყო. ასტყდა მათ შორის ბრძოლა, მაგრამ როსტომმა ისინი დაამარცხა და მოამწყვდია ზავრეთის ციხეში. ნოდარ ციციშვილს რომ გაუჭირდა საქმე, „ჩათრეულს ჩაყოლა ამჯობინა“. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო მათ შორის შუამავალი, რომ მეფე და მოღალატენი შეერიგებინა? ციციშვილმა აღირჩია ამ საქმისათვის თავისი დედა. იმან გაგზავნა მეფესთან სახვეწნელად. „რა მოვიდა, მეფემ დიდი პატივი დასდვა და სახვეწარი დაუჯერა: გაცლის გზა სთხოვა, ვითარცა ნათესავი იყო მეფისა და მერე დედათა შიგან სიკეთეზედ ნაქები იყო და საქართველოში ძველადგანვე წესად იყო, რომ ვისაც გასჭირებია—შესახვეწრად ან დედასა და ან ჯალაბს გაუგზავნიდეს, მეფენი და თავადნი პატივს დასდებდიან,—მეფემაც გაათავა ძველი წესი და უენებლო-

ბის საფიცარი მისცა, რომ საცა უნდა წავიდეს თავისის მხლებლებითა და ქონებით, ჩემს სამეფოში კი ნუღარ დადგებაო» [1]). ეს ამბავი მოხდა 1638 წელს.

ამის შემდეგ (1642 წელს) აუტყდათ ბრძოლა ახლა ორივე მეფეთ—თეიმურაზსა და როსტომს. პირველს არ უნდოდა მეორის მეფობა ქართლში. დიდხანს იბრძოლეს. ბოლოს თეიმურაზი დამარცხდა. ის მოიმწყვდიეს ქიზიყის სოფ. მალაროში და ენებათ მისი დაჭერა. გაუჭირდა თეიმურაზს საქმე; მაგრამ აქაც ქალი აღმოუჩნდა მას მშველელად. რადგან მისი ცოლი ხვარაშან დედოფალი როსტომ მეფის ბიძაშვილი იყო, მივიდა მასთან, შეეხვეწა—ქმარი მისი მშვიდობიანად განეტევებინა. როსტომმა ხათრი არ გაუტეხა და აღასრულა ნება მისი: »მისცა ცხენები და ჯორნი, უძღვნა მრავალნი, წარუძღვნა ქათალიკოზი ურდუბეგაშვილი ქრისტეფორე და გაისტუმრა იმერეთში იმავ ღამეს, ხოლო თვითონ დაიპყრა კახეთი» [2]). ამ სახით შეერთდა როსტომის მეფობით ქართლ-კახეთი.

მაგრამ ამის მერმეც ქართლის მეფეს არ დაჰკლებია ტახტის მეტოქე. 1656 წ. მეფე თეიმურაზი წავიდა რუსეთს, მივიდა მოსკოვს, სთხოვა რუსეთს შემწეობა, მაგრამ, რომ ვერას გახდა, დასტოვა იქ თავის შვილისშვილი ნიკოლოზი, რომელსაც შემდეგში თუშებმა ერეკლე დაარქვეს, და მოვიდა ისევ იმერეთს (1659 წელს), შედგა ბერად და 1663 წელს გარდაიცვალა. აი ეს ერეკლე დაიბარა რუსეთიდგან თეიმურაზის ასულმა იმერეთის დედოფალმა დარეჯანმა და მოიწადინა კახეთის ქართლისაგან გაცალკევება. იმას განზრახვა ჰქონდა: თუ კახეთში არა, იმერეთში მაინც გავამეფებ ირაკლისაო. ის მოვიდა კახეთში 1662 წელს, როცა ჯერ მისი პაპა თეი-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 520.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 46 და 49.

მურაზი ცოცხალი იყო და მოინდომა, მამა-პაპის ტახტზე აღვსლა; მაგრამ ვახტანგმა ნება არ მისცა. მოუხდათ ბრძოლა. ერეკლე დამარცხდა გაიქცა და შევიდა გალმა მხარს თორლუას ციხეში. ვახტანგი მას არ მოეშვა: მივიდა და გარს შემოადგა ციხეს. იმას უთუოდ დაიჭერდა ვახტანგი, თუ რომ დედა არ მიშველებოდა. ის დაურიდებლად გამოვიდა ციხიდგან, მივიდა წინაშე ვახტანგისა და უთხრა მხნედ: რა რიგი არის, რომ მეფემ მეფის შვილი დაატყვევოს და გაამაჰმადიანოს. გეხვეწები ხელი აიღო ჩვენს გადარჯულებაზე და მისცე ჩემს შვილს გზა და განუტეო". ქართველთა ჩვეულებისამებრ მეფემ ხათრი ვერ გაუტეხა დიდებულს ქალს, „მისცა გზა ერეკლეს და გაისტუმრა ფარულად" [1]).

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ დედათა შუამდგომლობას ისეთი სიძლიერე ჰქონდა, ისეთი ფასი ედვა, რომ მისი სიტყვისა და თხოვნის გატეხას ვერავინ ბედავდა. ვახტანგს ერეკლე არ უნდა გაეშო, რადგან სპარსეთს არ ესიამოვნებოდა და ამისთვის დასჯიდა კიდეც, მეგრამ ჩვეულების წინაშე ის თავს იდრეკს, მის აღსრულებისთვის თავს არ ზოგავს და „ფარულად განუტევებს". ერთის სიტყვით, სადაც დედა-კაცი შუამდგომლობს, იქ პირად სარგებლობას ადგილი არა აქვს. 1714-სა და 1716 წ. ვახტანგ მეექვსეს შვილმა ბაქარმა დაატუსაღა თავისი მტრები და მამის ბრძანებით თვალები უნდა დაეთხარა მათთვის, მაგრამ რუსუდან დედოფალმა, ბაქარის დედამ, „არ აუფლა" და იხსნა ისინი დასჯისაგან (იხ. იქვე).

ვახტანგ მეფისაგან დამარცხებული ერეკლე პირველი წავიდა ისევ რუსეთში (1664 წელს). აქედგან ის დაბრუნდა და მივიდა სპარსეთში, საცა დარჩა 14 წელს. აქ შეირთო იმან ცოლად ანნა ჩოლოყაშვილას ასული და

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 52, 78, 79 და 126.

მიიღო მაჰმადის სჯული. ამ ქალისაგან მას ეყოლა სპარსეთში ორი შვილი: დავითი და ელენე, რომელსაც სპარსულად ბანჯანუმ ერქო. ანნამ თუმცა სჯული შეიცვალა, მაგრამ, არც თვითონ დაივიწყა თავისი სამშობლო ენა, და არც შვილები დასტოვა მისი უცოდინარი. მისმა შვილმა დავითმა—თუმცა „სრულიად მიქცეული იყო წესსაზედა და სჯულსა მაჰმადისასა, იყო უმეცარი ქართველთა ზნისა,— წიგნი და ენა ქართული და სპარსული იცოდა წარჩინებულად„. სამშობლო ენა იმან შეისწავლა სპარსეთში დედისაგან, რომელიც ისეთი მოხერხებული დედა-კაცი იყო, რომ იქიდანვე მეცადინეობდა სამშობლო ქვეყნის დიდებასა და ერთობისათვის. როცა დაბრუნდა სპარსეთიდგან საქართველოში, იმან დაუყოვნებლივ მიიღო ისევ ქრისტიანობრივი სჯული. მისი ქმარი მეფე ერეკლე ამის შემდეგ ისევ სპარსეთში წავიდა და იქ მოკვდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მამას უკან გაჰყვა შვილი დავით, რომელიც კახეთში მეფედ იყო დანიშნული მამის მაგიერად, მაგრამ ანნა დედოფალმა ფეხი აღარ მოიცვალა სამშობლოდგან. იმას ჰყვანდა კიდევ მესამე შვილი თეიმურაზი, რომელიც მას საქართველოში გაუჩნდა და იყო ამის ანაბარად. დავითმა ეს დასტოვა თავის მემკვიდრედ. იმას ამ დროს ცოლად ჰყანდა ბაინდურ ერისთავის ქალი. მაგრამ ქართლ-კახეთის ერთობისათვის დედამ გააშვებინა შვილს კანონიერი ცოლი სამღვდელოების თანხმობით და შეირთო ვახტანგ მეექვსეს ასული თამარ; მოყვრობის საშუალებით იმან შეარიგა კახეთისა და ქართლის სამეფო გვარნი. თეიმურაზ მეორემ დაიწყო მეფობა, მაგრამ ყოველისფრის მომქმედი იყო დედა მისი ანნა. მის დაუკითხავად თეიმურაზი სამეფოში არას აკეთებდა. ის მოკვდა 1716 წელს და დაასაფლავეს ალავერდს. მისი შვილის-შვილი იყო სახელოვანი მეფე ერეკლე მეორე.

დედის სიკვდილის შემდეგ თეიმურაზი მაინც ვერ განთავისუფლდა დედა-კაცის გავლენისაგან. იმას საქართველოში ჰყვანდა თავის ძმის დავითის ცოლი. ანნა დედოფალი რომ გადაიცვალა, კახელებმა უარ-ჰყვეს თეიმურაზის მეფობა, მაგრამ ეს რძალი მას წაესარჩლა, დაამკვიდრა ტახტზედ და მისი შემწეობით, წყალობით და ნებაყოფლობით განაგებდა კახეთს მეფე თეიმურაზ მეორე [1]).

ამავე ხანებში მოქმედებს სპარსეთში დიდის წარმატებით ჩერქეზოვის ქალი, რომელიც იყო ცოლი სპარსეთის ხელმწიფისა. ამ დედოფალს ქმრისა და შვილის სიკვდილის შემდეგ დარჩა მცირე-წლოვანი შვილის-შვილი შაჰ-აბას მეორე. რადგან მას ჯერ არ შეეძლო სახელმწიფო საქმეების მართვა, ამისათვის სპარსეთის გამგეობა ამ ჩერქეზოვის ქალს ეჭირა. „ყაენი ყმაწვილი იყო, ამბობს ქართ. ცხოვ., ბებია მისი ჩერქეზის ქალი იყო, და ჭკუიანი მანდილოსანი ბძანდებოდა და მისი სიტყა გადიოდა“. სპარსელებს ეს არ მოსწონდათ და ენებათ მისი გაგდება სახელმწიფოდგან. იმათ ძალიან სწყინდათ, რომ სპარსეთში ქართველობა ძალიან გაძლიერდა და ენა ამოიდგა. ამ დროს აქ იყო 30,000 ქართველთაგან შემდგარი ჯარი. ამათ შორის ბევრნი სახელმწიფოში უპირველეს თანამდებობის ხარისხზე ასულიყვნენ: ზოგნი იყვნენ მინისტრებად, ზოგნი ჯარის უფროსად, ზოგნი სასახლის გამგებლად. შაჰის მცველ ჯარსაც (ამალას) შეადგენდნენ აგრეთვე ქართველები. რადგან ქართველი ქალები ძალიან ლამაზები იყვნენ, ამისათვის არ იყო ისეთი წარჩინებული სპარსელის ოჯახი, რომ ქართველი ქალი არ ყოფილიყო. ამ სახით თვით ხელმწიფენიც დედით ქართველნი იყვნენ. ამ ჟამად უპირველესი დედოფალიც ქართველია. ამ გარემოებათა გამო ქართველთ დიდი გავლენა ჰქონდათ

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 131, 133 და 136.

სპარსეთში. ეს სწყინდათ აქაურს ხანებს და ეწადათ ყაენთა გვარეულობის გაწყვეტა.

მაგრამ დედოფალს ძლიერი მომხრენი ჰყვანდნენ. ჯერ ამათი გაწყვეტა იყო საჭირო, იმათ მოუშორებლად მტრობის გამოცხადება საშიში იყო. ამისათვის ჯანი-ხანმა ღალატობით, ლოცვის დროს, მოჰკლა დედოფლის პირველი მინისტრი მირზა—თავი ეტიმადოვლე და მერმე ეწადა მისი ამალის ამოწყვეტა, ხოლო ამის შემდეგ ახალგაზდა ტახტის მემკვიდრეც უნდოდა მოეკლა და დედოფალიც გაედევნა.

ეს ამბავი დედოფალმა შეიტყო, მაგრამ ხმა არ ამოიღო, არც უჩვენა მტრებს სახე, ვითომც იმას შეტყობილი აქვს მათი განზრახვა. მან უბრძანა იმათვე: »რადგან მირზა-თაყი ეტიმადოვლე მოგიკლავთ, ახლა, ვინცა გნებავდეთ ის დასვით პირველ მინისტრად; მე საქმეში აღარ ვერევიო«. მაგრამ ამ დროს სიაოშ-ხანს მალვით მისწერა ქართულად: »რა იქნა თქვენი კაცობა და ან რითა სჩანს თქვენი ერთგულება ჩემს ოჯახისადმი? ჯანი-ხანმა ეტიმადოვლე (პირველი ვეზირი) მომიკლა და თქვენ ეს დასთმეთ და არა სთქვით-რა. დღეს არის თუ ხვალ თქვენც დაგხოცენ და მერმე შვილსაც მომიკვლენო. ახლა თუ ჩვენი ერთგულნი ხართ, ნულარ აგვიანებთ, თორემ კიდევ ისინი დაგასწრობენ. ვისაც ენდობი ქართველის შვილებს, უბრძანე ყოველ ღამეს იარაღით სასახლეში მოვიდნენ და ვინც მტრები არიან, ცოცხლებს ნუ გაუშვებთო". ამ საქმეში ერივნენ ზაალ ერისთავი და იოთამ ამილახორი, რომელთაც, როგორც ზემოთა ვსთქვით, თეიმურაზ პირველის დროს ქართლ-კახეთის შეერთება ენებათ. მეშვიდე ღამეს, დედოფლის ბრძანებისამებრ, ქართველთ საპატიო შვილები იარაღ-შემორტყმულნი ხელმწიფის სასახლეში მოვიდნენ«. მეორე დღეს ჯანი-ხანიც დაიბარეს. ის ამაყად და შეუპოვრად მოვიდა სასახლეში. ქართველნი რომ

წინ მიეგებნენ იმას ეგონა უწინდებულად პატივსა მცემენო. მაგრამ ამ დროს სტაცეს ხელი და იქვე მოჰკლეს. მერმე წაუშინეს მის მომხრეებს, რომელნიც მასთან ჰყვანდა. ერთის წამის განმავლობაში მოჰკლეს 24 ხანი, სულთანი და ბეგლარი, და მათი მძოვრები ქალაქის მეიდანზე გადაყარეს. ამის შემდეგ დედოფალმა უბრძანა მათი ქონებისა და ოჯახების აკლებაც, და ისე გაძლიერდა, რომ ქართველთ შემწეობით სპარსელებს სისხლს უშრობდა და ყველას მუხანათებს ეძახდა.

დედა-კაცების მძლავრობა, ანუ უკეთა ვსთქვათ, მათი გავლენა მამა-კაცებზე მარტო ქართლ-კახეთის ისტორიაში არა სჩანს. იმათს სიტყვას იმერეთშიაც დიდი ძალა აქვს. მაგრამ იმერეთში ქალების მოქმედებას სხვა სარჩული უდევს. აქა აქვთ მათ სახეში უფრო პირადი სარგებლობა და არა მთელის ქვეყნის ინტერესი. ავათ თუ კარგად ქართლ-კახეთში ქალები მოქმედებენ იმ განზრახვით, რომ ქვეყანას სარგებლობა მოუტანონ. იმერეთში კი შემდგარა სხვა და-სხვა პარტიები, რომლებშიაც ქალები დიდს მონაწილეობას იღებენ, მაგრამ მხოლოდ საკუთარს გაძლიერებას, გამდიდრებას და სარგებლობას მიესწრაფებიან და ამ სურვილის მისაღწევად ისინი მეტისმეტად ბოროტად მოქმედებენ. მაგალითად, ერთობის ჩამოსაგდებად და გასაძლიერებლად ქართლ-კახეთის მეფემ ვახტანგ მეხუთემ და მისმა ცოლმა მარიამმა მოიწვადინეს თავის შვილის არჩილისათვის ვამიყ დადიანის ასულის შერთვა და დანიშნეს კიდეც; მაგრამ ცოლი დადიანისა ამაზე თანახმა არ გახდა: „შორს არის, მე ქართლში ქალს არ გავათხოვებო“, და იმდენი ჰქნა, რომ უარი ათქმევინა ქმარს. „უსმინა მანცა და მისცა ბეჟან ღოლობერიძეს ქალი იგი ცოლად, და მოჰხდა ამის გამო შფოთი და ბრძოლა (1661 წ.) ურთიერთ შორის [1]).

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 51 და 203.

ამავე დროს იმერეთში მოქმედებს კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის ასული დარეჯანი. ეს იყო სახელოვანის ზურაბ ერისთვის ცოლად ნამყოფი. ის მან შეირთო დიდი მოურავის საკაძის რჩევით. მაგრამ 1629 წ. თეიმურაზმა მოჰკლა ეს თავისი სიძე და დარეჯანი წაიყვანა დუშეთიდგან კახეთში. ამავე წელს იმან მიათხოვა ის იმერეთის მეფის შვილს ალექსანდრეს. მაგრამ 1660 წელს ალექსანდრე მოკვდა და დარეჯანს მისგან შვილი არ დარჩა. გამეფდა მისი გერი ბაგრატი, მაგრამ სამეფოს განაგებდა დარეჯანი, და არა ისა. დედინაცვალმა მას ძალად შერთო თავისი ძმის დავითის ასული ქეთევან და მობღუჭა თავის ხელში სრულიად მეფის უფლება, მაგრამ ექვსის თვის შემდეგ ის დაიჭირა, წაართვა კანონიერი ცოლი, დასთხარა თვალები, შეირთო თავათ ქმარი ვახტანგ ჭუნაშვილი და დაიწყო თავის ნებაზე სამეფოს გამგეობა. იმერეთში ეს საქმე არ იყაბულეს. მაგრამ დარეჯანის დამარცხება მარტო იმერეთს არ შეეძლო. სთხოვეს შემწეობა ახალციხის ფაშას ასლანს. უკანასკნელი მოვიდა ჯარით, დაიჭირა დარეჯანი, მისი ქმარი და ქეთევანი: წაიყვანა ახალციხის მხარეს და დაასახლა ოლთისს; იმერეთში კი გაამეფა ისევ ბაგრატ, რომელიც ახლა უსინათლო იყო.

რადგან დარეჯანმა ამას ცოლი ქეთევანი წაართვა, ამისათვის ის დაინიშნა ახლა ქართლის მეფის ვახტანგის ძმის ქალზე, რომელსაც ერქო თინა. ის უკვე წაიყვანეს იმერეთში, მაგრამ ბაგრატმა ჯერ-ჯეროობით მასზე ჯვარი არ დაიწერა. თურმე მის დაზე თამარზე სჭერია მას თვალი, რომელიც ლევან დადიანს ჰყვანდა ცოლად. აუტეხა ამას ბრძოლა და დაამარცხა, წაართვა ცოლი თამარი და მასზე ჯვარი დაიწერა; თინას გაანება თავი; დადიანს კიდევ ძალად შერთო ცოლად თავისი ქვრივი და და მისცა მერმე სამფლობელო.

იმერეთში ასე არეულ-დარეულად რომ მიმდინარეობდნენ სამეფო საქმეები, ბოროტი დარეჯანი გულხელ-დაკრეფილი არ იჯდა ოლთისში. იმან გამართა მიწერ-მოწერა ქართლის მეფესთან. ის ურჩევს ვახტანგ მეფეს: შერთე ქეთევანი შენს შვილს არჩილს, რომლის გამეფებაც შენ იმერეთში გსურსო, და მეც იმდენი შეძლება მომეცეო, რომ თავი დავიხსნა ფაშისაგანაო. საქმე გარიგდა. მისცეს ფაშას 20,000 მარჩილი. არჩილმა შეირთო ქეთევანი. დარეჯანი განთავისუფლდა. მოვიდა ქმარით ისევ იმერეთში და ისევ ფაშის შემწეობით 1668 წ. ხელმეორედ გამეფდა. ბაგრატი ქართლში გაიქცა. მაგრამ ძვირად დაუჯდა დარეჯანს ამდენი არევ-დარევა ქვეყნისა. ამავე წელს ერთ დილას, როცა ის ქუთაისის ციხეში თავს იხურავდა და იკაზმებოდა, შეუარდა ოთახში ხოსია ლაშხიშვილი და მოჰკლა დარეჯან დედოფალი შუბით და ამის შემდეგ იმერლობამ მას ზედ წააკლა ქმარიც [1]).

გამეფდა იმერეთში კიდევ ბაგრატ უთვალო. მაგრამ დადიანმა ის არ მოასვენა. ის მტრობდა მას ცოლის წართმევისათვის, რადგან „თამარი იყო ფრიად კეკლუცი და აღმატებული მშვენიერებითა, სრული უმეტესად“, შეეცილნენ მას აგრეთვე გიორგი გურიელი და ახალციხის ფაშაც [2]). გახდა თამარი ბრძოლისა და სისხლის დანთხევის მიზეზად. ბევრი სისხლი დაიღვარა მის გულისათვის, და ამ არეულობის ბოლო აღარა სჩანდა. მაშინ ბაგრატმა განიზრახა გურიელთან შერიგება. მისცა მას ცოლად თავისი ასული დარეჯანი, რომელიც მას თამარისაგან ჰყვანდა, „რათა დაუტეოს მან ტრფიალება თამარისა“. ის იყო მაშინ 11 წლისა. ამავე წელს მანუჩარ დადიანმა 8

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 202—205.

[2]) იხ. იქვე, გვ. 205.

წლის ქალზე ჯვარი დაიწერა. ეს ქალი იყო ვახტანგ მეფის შვილის არჩილის ასული.

არჩილისა და მანუჩარ დადიანის მოყვრობის განზრახვა ის იყო, რომ ვახტანგს ჰსურდა იმერეთში თავის შვილის გამეფება და ამისათვის საჭირო იყო დადიანის მომხრეობა. 1678 წელს მის მომხრეობით იმან მართლაც ჩამოაგდო ტახტიდგან ბაგრატი და გაამეფა არჩილი. ამან კიდევ დადიანს ლევანს მადლობა იმით გადაუხადა, რომ დაიჭირა სკანდის ციხეში თავისი ბიძაშვილი თამარი, ცოლი ბაგრატისა, და მისცა იმასვე ცოლად.

მაგრამ 1679 წელს ბაგრატმა ისევ დაამარცხა გიორგი გურიელის შემწეობით დიდიანიც და არჩილიც. წაჰგვარა ლევანს ისევ ცოლი თვისი თამარ და კიდევ დაიპყრო იმერეთი. იმან იმეფა კიდევ ორი წელიწადი. მოკვდა 1681 წელს. გაუხარდა გურიელს. განუტევა ცოლი თვისი დარეჯან და შეირთო სიდედრი თამარ. ამ მიზეზით გამეფდა გურიელი იმერეთში. თამარი გახდა ახალის ქმრის ძლიერი მფარველი. ქართლის მეფეს გიორგი მეთორმეტეს ჰსურს გაამეფოს ალექსანდრე, შვილი ბაგრატ უთვალოსი, მაგრამ დედა ამის წინააღმდეგია. ძალომსავით ის დასტრიალებს მთელს იმერეთს თავს. მისი წინააღმდეგია ყველა, მაგრამ ამდენ თრევაში ის კიდევ არ გატყდა და არ მონელდა მისი მხურვალე გვამი. ის ეწინააღმდეგება მთელს იმერეთს, მეფე გიორგის და ახალციხის ფაშას. არ უნდა რომ დაუთმოს შვილს მეფობა. ყველას ურჩევნია მას ახალი ქმარი გიორგი გურიელი. ის დადის მთელს იმერეთში და არიგებს ხალხს, არ მიემხროთ ალექსანდრეს, ჩემს შვილსაო. ამ განზრახვით ის წავიდა სამეგრელოშიაც, საცა ქმარ-ყოფილი მისი ლევანი უკვე მკვდარი იყო, »რათა არა მიემხრნენ ოდიშარნი ალექსანდრესაო“. მაგრამ ამ მოგზაურობაში მან უეცრად დალია თავისი უღვთო სული. ხალხში ხმა გა-

ვარდა, რომ დედოფალი ორსულად იყო და „შობასა შინა შვა ცეცხლი და მოკვდაო“ [1]). ამავე დროს ქაიხოსრო ციციშვილის რძალმა, აგრეთვე სახელად თამარმა, ხმა დააგდო ხალხში, რომ ვინც ქრისტეს სჯულს უარს ჰყოფს და გამაჰმადიანდება, მისი სული სიკვდილის შემდეგ ძაღლის ლეკვად იქცევა, ღამ-ღამობით ამოდის სამარიდგან და წკავწკავობს სასაფლაოზედაო. ასე ემართება გივი ამილახორის ანდუყაფარის შვილის სულსაო, ამტკიცებდა ის საშინელის ფიცით. ამასვე ამტკიცებდა ერთი ვილაც ფავლენიშვილი თავის მამის სულის შესახებ, და არც გასაკვირია, რომ ამ დროს ასეთი ხმები ვრცელდებოდა ხალხში. ეს დრო მეტის-მეტად მწარე დრო იყო საქართველოსთვის. „ჟამთა ამათ იქმნა განტევება ცოლთა, კვლა კაცთა და იდუმალ ტყვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი საქმენი“ [1]).

ამ დროს იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში თავადიც, აზნაურიც, მღვდელიც, ბერიც, ერიც, მეფეც და დედა-კაცებიც ყველანი ზნე-გაფუჭებულნი არიან. იშვიათად ნახავთ მაღალ წოდების ქალს, რომ მთლად არ მისცემოდეს გულისთქმის დაკმაყოფილებას. ცოლისაგან ქმრის განტევება და ქმირისაგან ცოლისა, ურთიერთისთვის ღალატობა, ცოლთაგან ქმრების ხოცვა, თავადაზნაურთიგან ორ-ორი ცოლის ერთად შერთვა, ეს ყველაფერი შეადგენს მაშინდელ დროისთვის დაუზრახველ მოვლენას. ამ დროს ქალი ზნეობით და კეთილის აღმზრდელობით კი არ ფასდება, არამედ გლისპობით, მზაკვრობით და სხვანი. დიდებულნი თავადნი ეძებენ იმისთანა ქალს, რომელსაც ძლიერი და გავლენის მექონი ნათესავები ჰყავს. აქ კეთილ-ზნეობას ადგილი არა აქვს:

---

[1]) იხ. იქვე გვ. 209.

ისინი მოყვრობით ეძებენ გაძლიერებას და არა ჭკუით და ცოდნით. მაგრამ თუ სიძეს ფეხი გადაუბრუნდა, დამარცხდა, დამბლა გახდა, დაიჩაგრა, მაშინვე იმას კანონიერს ცოლს ართმევენ და სხვას აძლევენ, რომ ამ საშუალებით კიდევ შემძლე მომხრეები იშოვნონ და გაძლიერდნენ. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მიმხვდარვართ: ქალები აკავშირებენ, ამეგობრებენ, უნერგავენ და შთააგონებენ მამა-კაცებს ურთერთის შემწეობას მოყვრობის მიზეზით. თუ ამის მომხდენი არის მხოლოდ უბრალო ხათრი და სიყვარული ცოლისა? თუ სიყვარული და ხათრი ცოლებისა ამოქმედებს ერთად მოყვრებს, მაშ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დამბლა ქმარს მაშინვე ართმევენ ცოლს და აძლევენ უფრო მხნეს, ძლიერს და გავლენიანს? ამის მიზეზს ჩვენ ვერ მივხვდარვართ, მაგრამ იმ ფაქტს კი ცხადად ვხედავთ, რომ მოქმედებაში, თუ არა უფრო ძლიერნი, ნაკლებნი აღარ არიან ქალები მამა-კაცებზე. ისინი ორივენი ქიშპობენ, იბრძვიან, ხოცვენ მოწინააღმდეგეთ და ამ მხრით არიან ერთსა და იმავე ჭაპან-წყვეტაში. არიან ისეთნი დრონიც, როცა ქალების ხელშია მთლად ბურთი და მოედანი მოქმედებისა. ისინი განაგებენ იმერეთის ხალხის ცხოვრებას: მამა-კაცნი მოქმედებენ იმათის ჩაგონებით და განკარგულებით. ერთის სიტყვით, დედა-კაცების გავლენა კაცებზე ისეთი ძლიერია, რომ ვისაც მამა-კაცს ჰსურს ქვეყნის ბედის ხელში ჩაგდება, ეძებს სიძეობას გამოჩენილ და გავლენიან კაცისას. ასე ჰფიქრობს არამც თუ თავადი, არამედ თვით მეფეც. ყველას სურს ქალების შემწეობით იდღესასწაულოს ჟამი თვისის საწუთრო ცხოვრებისა.

1683 წელს ალექსანდრე მეოთხე გამეფდა თუ არა იმერეთში, მაშინვე თავისი დაი დარეჯანი, გურიელის ცოლად ნამყოფი, მისცა პაატა აბაშიძეს, რადგან ამ დროს ეს კაცი ძლიერ განდიდებულიყო. მეფეს სურვი-

ვილი აუსრულდა. აბაშიძეები და მიქელაძეები რადგან მოყვრობით ნათესავნი იყვნენ, ყველანი იმას მიემხრნენ მძახლობის გამო. ამ სახით მეფემ შეადგინა ძლიერი პარტია გურიელის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ დროს არც ეს უკანასკნელი ზის გულხელდაკრეფილი. ესიც მეცადინეობს გაძლიერდეს მეფის წინააღმდეგ. რაჭის ერისთავმა შოშიტამ, ბეჟან ლორთქიფანიძემ, გიორგი ლიპარტიანმა (ჩიქვაანმა) და გურიელმა შეკრეს ურთიერთ შორის პირობა — იმოქმედონ მეფის წინააღმდეგ. ამათ არ ენებათ ალექსანდრეს მეფობა.

ასტყდა მათ შორის ბრძოლა. მეფემ ისინი დაამარცხა, მაგრამ ბრძოლაში პაატა აბაშიძე მოჰკლეს. მეფეს მოაკლდა ძლიერი მომხრე. მაშინ ის შეუჩნდა რაჭის ერისთავს პაპუნას, გადაიბირა, გააშვებინა კანონიერი ცოლი, ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა, მოიყვანა თავისთან კიდევ დაქვრივებული დაი დარეჯან და მას შერთო. იმავე დროს ლევანს დადიანს შერთო თავისი მეორე დაი თინათინ და ამით ისიც გაიმეგობრა შეირიგა და მომხრეთ გაიხადა.

მაგრამ საუბედუროდ ალექსანდრეს მტრად გაუხდა ქართლის მეფე გიორგი მეთორმეტე. ამას უნდოდა გაეგზავნინა იმერეთში თავისი უფროსი ძმა არჩილი. ამ განზრახვის აღსასრულებლად იმან შერთო თავის ძმის ლუარსაბის ასული ელენე რაჭაში ქაიხოსრო იაშვილს და მოუყენა არჩილს შემწედ. ამით გადაამტერა ალექსანდრე მეფე და იაშვილი ერთმანეთს. ამათ ერთმანეთი კარგად შებერტყეს. მეფე დასუსტდა. ამ დროით ისარგებლა არჩილმა და მართლაც გამეფდა ხელმეორედ იმერეთში. მაგრამ ის მაინც არ ამეფეს. ახალციხის ფაშის შემწეობით ალექსანდრემ 1691 წელს გააგდო ის იმერეთიდგან და დაიჭირა ისევ თავისი სამკვიდრო ტახტი. მაშინ არჩილმა განიზრახა რუსეთში წასვლა; გადაიარა რაჭიდგან

კავკასიის მთები და მივიდა ჩერქეზეთში ყილჩიყო ბატონთან. ამასთან დიდხანს დარჩა. ყილჩიყო მას დიდს პატივს სცემდა: ანადიმებდა და ანადირებდა, მაგრამ გულში კი ნამდვილი მტრობა ედვა. სპარსეთის შაჰს თურმე დიდძალი ფული გამოეგზავნა ყაზიყუმუხის ხანისათვის და ეთხოვნა, როგორმე ქრთამის მიცემით არჩილი დაიჭირე და გამომიგზავნე აქაო. იმას ეს ამბავი ყილჩიყოსთვის შეეტყობინებინა და დიდი ქრთამიც მიეცა. ესეც თანახმა გამხდარიყო და ეძებდა მარჯვე დროს მის დასატყვევებლად; მაგრამ ისეთნაირად, რომ თვითონ არ გამოჩენილიყო, ამისთვის ინახავდა თავისთან და განგებ პატივსა სცემდა.

1692 წელს არჩილი გაემგზავრა რუსეთისკენ. ყილჩიყო გაედევნა მას უკან. ერთ ვიწრო ხეობაში ჩასაფრებული მისი კაცები გამოცვივდნენ და ორმა მათგანმა სტაცეს უეცრათ ხელი აქეთ-იქიდგან მკლავებში. იშიშვლეს ხმლები არჩილის მხლებლებმა. ორმა ბერმა ნიკოლოზ აბაშიძემ და შალიკაშვილმა წაიძრეს მახვილები, რომელნიც მათ სამოსელს ქვეშ ჰქონდათ დამალული და განათავისუფლეს არჩილი. ასტყდა სასტიკი ბრძოლა. „იხადა მეფემან შვილდ-კაპარჭი და მოსრნა მრავალნი“. დიდხანს იბრძოლეს, მაგრამ მეფე მაინც ვერ დაიჭირეს. „განვლო ბრძოლით მეფემან რაზმი მათი და წარვიდა ლტოლვით. მაგრამ ჭენებაში ცხენს შარდი დაეჭირა, „განსივდა და ვერღარა რბოდა“. მაშინ კიდევ მოესივნენ ჩერქეზნი და ასტყდა კვალად ბრძოლა. მეფემ კიდევ „ძლიერად იბრძოლა“, ჩერქეზთ იმედი გადუწყდათ მის დაჭერაზე. მაშინ იხმარა ერთმა ლეკმა ცბიერმა, მიუახლოვდა მეფეს და უთხრა: „რად მოიკლავ უებროსა თავსა? კმარა არს სიმხნედ, რომელი დღეს ჰყავ შენ! აწ დაიმდაბლე თავი და მოვედ ჩემდა, ვფიცავ განგარინო ყოვლისაგან“.—მეფემ უპასუხა: „არა მივენდო ჩერქეზთა, გარნა მოვალ შენდა“.

მაგრამ ამანაც გასტეხა თავისი ფიცი და მიიყვანა ის ყილ-ჩიყოს სახლში. სახლის პატრონი არ ეჩვენა არჩილს.

„მასვე ღამეს ყილჩიყოს ცოლმა გაგზავნა მეფე არ-ჩილი ბასიანს“, რომელიც შეადგენდა ქართველთა სამფ-ლობელოს და „სპანი მისნი დიგორს“, რომელიც აგრე-თვე იყო ნაწილი საქართველოს სამეფოსი [1]). ამ უკანასკ-ნელს მაზრაში იყვნენ ამ დროს არჩილის შვილნიც [2]).

ჰქონდა თუ არა ყილჩიყოს ცოლსაც განზრახვა არ-ჩილის განთავისუფლებისა, ეს ჩვენ არ ვიცით; მაგრამ ბასიანში მცხოვრებ ქართველებისა და ოსების ქალებმა არჩილი არ დაანებეს მტერს. მოვიდნენ თუ არა კაცები არჩილის წასაყვანად, მაშინვე შეიყარნენ ბასიანის ქალე-ბი, მოიხადეს ლეჩაქები, მივიდნენ ქმრებთან და უთხრეს ვაჟკაცურად: „ან ჩვენი ლეჩაქები დაიხურეთ თავზე და თქვენი ქუდები ჩვენ მოგვეცით, ანუ ჩვენ არასოდეს არ მივცემთ არჩილს ყილჩიყოს“. მეორე ღამეს ბასიანისა და დიგორის ქალებმა მართლაც განათავისუფლეს არჩილი და მისი მოგზაურნი და გამოისტუმრეს ქართლს [3]).

ამ დროს მეფე ალექსანდრეს მაგრად ეჭირა თავისი ტახტი. ის ეყო „მხნე, ახოვანი, ჰაეროვანი და უხვი“, მაგრამ ზნე-გაფუჭებული ჰქონდა. იგი იყო ხელად-მქცე-ვი, ცუნდრუკი, ულვთო და ტყვათ გამყიდველი. პირვე-ლი მისი ცოლი არ იყო კანონიერი. ის ჰყვანდა იმას ხასაო; მაგრამ ორი შვილი რომ გაუჩნდა—გიორგი და სვიმონი, მოიწადინა მისი განტევება და შერთვა გიორგი აბაშიძის ასულისა. რათა? რისთვის? ამიტომ რომ გიორ-გი, თუმცა წინად ბერი იყო, მაგრამ მერმე გაკრეჭილ იქმნა (1685 წ.) და ისე გაძლიერდა იმერეთში, რომ თა-ვის ძმას პაატა აბაშიძეს დაემჯობინა დიდებით და მძლავ-

[1]) იხ. ვახუშ. გეოგ. გვ. 450 და 452.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 61.

[3]) იხ. იქვე, გვ. 214 და 215.

რობით. ამასთან დამოყვრება ახლა ძლიერ საჭირო იყო მისთვის. იმან სთხოვა მას ქალი თამარ, რომელიც ჯერ ათის წლისა იყო. ის შეირთო, მაგრამ ცოლს არ უყვარდა იგი გარყვნილობისათვის. ის სიძულვილი თამარს უფრო გაუცხოველდა, როცა ალექსანდრემ ქართლის რბევა დაიწყო და აქაური ხალხის ტყვედ ყიდვა. „ამისათვის სძულობდა ცოლი თავისი თამარ და მიზეზს უდგა განტევებად“. დაუწყო იმან მამას ხვეწნა: განმაშორე ქმარს და მიმათხოვე ქართლის მეფეს გიორგისაო. რადგან იმერეთის წარჩინებულ მებატონეთაც სძულდათ ალექსანდრე, ამისათვის აბაშიძე თანახმა გახდა ასულის თხოვნაზე. შეიკრიბნენ ქათალიკოზი, ეპისკოპოსნი, ერისთავი პაპუნა და სრულიად იმერეთის წარჩინებულნი, შეიპყრეს ის და მისცეს გიორგი მეფეს დასასჯელად. იმანაც მიიყვანა რუისს, დაახრჩო და დაფლა მუნვე ეკლესიაში [1]) 1695 წელს.

გასაკვირია, რომ ამ დროს, როცა იმერეთის ხალხში ასე დაცემულია ქრისტიანობრივი ზნე, ქართლში მტკიცედ ადგანან ცოლ-ქმრობის კავშირს. იმერეთში ადვილია ეკლესიურის კანონის დარღვევა, ქართლში კი შეუძლებელია. მაგალითად ხსენებული თამარი სთხოვს გიორგი მეფეს შემირთე ცოლად დაიჭირე იმერეთიო, მაგრამ ის უარს ეუბნება. ამის შემდეგ სთხოვს ახლა არჩილს ცოლად შერთვას და სამუდამოდ იმერეთის ტახტის დაპყრობას, მაგრამ ისიც უარს ეუბნება.

დაუცხრომელმა თამარმა მაშინ შეირთო ერთი ვილაც მეფეთა მონათესავე გიორგი, რომელიც იმყოფებოდა ოდიშს და გლეხურად სცხოვრობდა. ამ კაცს არა ჰქონდა არც შესამჩნევი ჭკუა-გონება, არც დარბაისლური ყოფა-ქცევა, არც მეფის შესაფერი ზნე და გამოცდილება. მან იცოდა მხოლოდ გლეხთა მუშაობა და იყო ხეი-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 215.

ბარიცა, ამისათვის არ უყვარდა ის თამარს, რის გამო ერთის წლის შემდეგ გააგდო სახლიდგან. მაშინ იმერეთის ტახტს თვითონაც ჩამოეცალა და გაამეფა თავისი გერი სვიმონ, რომელიც პირველ ქმრის ალექსანდრეს ხასისაგან ჰყვანდა და ცოლად შერთო თავისი დაი ანიკა, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალს ქმარს, ნასყიდა იაშვილს წაართვა.

მაგრამ იმერეთის დიდკაცობა მაინც თამარს ემორჩილებოდა, მას ემსახურებოდნენ და იყვნენ მის წინაშე განუშორებლად. სვიმონს მხოლოდ აჩრდილი მეფობისა ჰქონდა, მაგრამ თამარს ესეც შეშურდა შვილისა და დისათვის და აუტეხა ბრძოლა.

შეშინებული სვიმონ გაიქცა ქართლს. დარჩა ბურთი და მოედანი მოქმედებისა ისევ თამარს. რომ უფრო სიძლიერე, გავლენა და სახელი ჰქონოდა ხალხში, მან განიზრახა ლიპარიტ ჩიქვაანის ქმრად შერთვა. ისიც მის სურვილზე თანახმა გახდა: გააგდო თავისი კანონიერი ცოლი, რომლისაგანაც შვიდი შვილი ჰყვანდა და დაიწყო ქორწილისათვის მზადება. შეუთვალა თამარსაც მზად იყავიო.

მაგრამ უკანასკნელმა ველარ მოითმინა და თვითონ გაემგზავრა. მივიდა ოდიშს და ჩამოჰხდა გიორგი მიქელაძის სახლში, რომელიც თამარის ბიძა იყო. მიქელაძემ უთხრა დისწულს: »რად მოხვალ ოდიშს? ჩემი დისწული ხარ, მოიცადე ჩემთან და დაიბარე თვითონ ლიპარიტი აქ, დაიწერეთ აქვე ჯვარი და შე გადავიხადო ქორწილი თქვენი საკადრისიო«. დაუჯერა იმანაც სიტყვა თავის ბიძას. დაიბარეს ლიპარიტი. მოვიდა ის მიქელაძესთან ცოტაოდენის კაცითა, მაგრამ მიქელაძემ არ აღასრულა თამარის წადილი: მოვიდა თუ არა ჩიქვაანი, მაშინვე დაიჭირა იგი და უთხრა მრისხანებით: შენ უბრალო აზნაური ჩიქვაანი რა ისეთი დიდი კაცი გამხდარხარო, რომ

დღეს ჩემს დას (?) განუტევებ და სხვას ირთამო? ეხლავე თავს გაგაგდებინებ, — თუ თამარს მირონს არა სცხებო!“ შეშინდა ლიპარიტი და აღასრულა მისი ბრძანება.

მიქელაძეს ეგონა თამარი პატივსა სცემს მირონს და ველარ გაბედავს ნათესავობის დარღვევას ეკლესიის კანონის წინააღმდეგაო; ამის შემდეგ თვით ლიპარიტიც აღარ შეირთავს მას ცოლათაო; მაგრამ მოსტყუვდა: თამარი არ დასცხრა. ის უფრო გაკაპასდა და გაანჩხლდა. აიხირა თავისი სიტყვა და აღარ გადასთქვა. რაც ერთხელ დაიხვია ენაზე, მერმე უარი აღარა სთქვა. შეუჩნდა ლიპარიტს, დაატოვებინა კანონიერი ცოლი და შეირთო ქმრად. „ამიერიდგან უხმობდნენ თამარს ოდიშის და იმერეთის დედოფლად“. დაიწო მან მეფობა იმერეთშიაც და სამეგრელოშიაც, მაგრამ ვაი იმ მეფობას! ცეცხლს წვიმებდა ყველაზე, ვინც მისი წინააღმდეგი იყო. ყველანი შეშინდნენ მისგან. სვიმონ მეფემ, მისმა გერმა, არ იცოდა მის შიშით საით გადავარდნილიყო. ის თუმცა იმერეთის მეფედ ისახელებოდა, მაგრამ თამარის შიშით ვერაფერს აკეთებდა სამეფოში. თავის უფლების გასაძლიერებლად და მომხრეების საშოვნელად იმან შეირდო გურიელის ქალი და თამარის და ანუკა განუტევა. ეს იწყინა გააფთრებულმა დედოფალმა და მოაკვლევინა სვიმონ მეფე, როცა ის ცოლთან მწოლარე ადგა და გამოვიდა გარეთ „ბუნებრივსა სამჭირნოსა ადგილსა“. დარჩა ახლა მას ხელში ბურთი და მოედანი მოქმედებისა. თამარი შავარდენივით დასტრიალებდა იმერეთს თავს. თავადაზნაურობამ მართალია გურიელი გაამეფა სვიმონის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ვაი იმ ყოფას, რა ყოფაშიაც გურიელი იყო. თამარის ხელში იყვნენ „სამეფო დაბანი და შემოსავალნი, და მის მოახლედ იყვნენ წარჩინებულთა ცოლნი, ძენი და ასულნი“. გურიელს მხოლოდ სახელი მეფობისა ჰქონდა: სახრავი კი თამარის ხელში იყო. რომ

ველარა გააწყო-რა მის წინააღმდეგ, გურიელმა დასტოვა იმერეთი და გაიქცა გურიაშივე.

ამის შემდეგ ცოფიანმა თამარმა ახლა თავის ბიძის გიორგი მიქელაძისთვის მოიცალა. იმას არ ავიწყდებოდა ის სირცხვილი, რომელიც გიორგიმ მიაყენა, როცა მივიდა მასთან სახლში ჩიქვაანის ქმრად შესართავად. ჩამოემტერა მას ამ მიზეზით და იმდენი იმეცადინა, რომ გააგდო თავის სამფლობელოდგან ქართლში და მისი მიწაწყალი ჩიქვაანებს უძღვნა. მაგრამ ამ საქმემ თავათ იმასაც კეთილი არ დააყარა. ამის შემდეგ იმასა და იმის მამას გიორგი აბაშიძეს დაუწყეს ყოველგნით მტრობა, გაუარმეს და ჩაუმწარეს სიცოცხლე. 1782 წელს მოკვდა თამარ სენითა ბოროტითა.

ჩვენ უკვე ვსთქვით ზემოთ, რომ ლიპარიტ ჩიქვაანს ჰყვანდა „შვიდი შვილი მოწიფული", როცა მან ცოლი განუტევა და შეირთო მოუსვენარი და დაუდგრომელი თამარი. ამ შემთხვევამ მამასა და შვილებს შორის დაჰბადა უსიამოვნობა. შვილები აღარ დადგნენ მამასთან, გარდაიხვეწნენ აქეთ-იქით და დაუწყეს მამას მტრობა, მაგრამ ვიდრე მათი დედინაცვალი თამარი ცოცხალი იყო, შვილების მტრობას არა ჰქონდა ლიპარიტისთვის ცუდი შედეგი. ის რომ მოკვდა, მაშინ კი უფრო გამხნევდნენ მისი შვილები, განდევნეს მამა სამფლობელოდგან და თვითონ დაიჭირეს ოდიში.

შვილებზე გაჯავრებულმა ლიპარიტმა თამარის სიკვდილის შემდეგ შეირთო მესამე ცოლი, ასული გურიელისა, აგრეთვე სახელად თამარი, და გაძლიერდა ისევ ცოლის მეოხებით. ეს თამარი ღირსეული მოსახელე იყო პირველისა. ვითარცა პირველის მოადგილე, მეცადინეობდა ჰქონოდა იმერეთში ისეთივე გავლენა და სახელი, როგორც პირველს. პირველსავით მხნედ მოქმედებდა

ქმრის სასარგებლოდ. მისის შემწეობით ლიპარიტი ძლიერდებოდა და ემუქრებოდა შვილებს.

ამ გარემოებამ შვილები შეაშინა და აფიქრებინა რომელიმე ხრიკით მამის დაჭერა. ორმა შვილმა—კაციამ და ბეჟანამ იხმარეს მამის წინააღმდეგ მზაკვარება. „იხმარა ბეჟან მზაკვრება და ჰყო ქათალიკოზ გრიგოლ შუამდგომელ მამისა თვისისათანა და აღუთქვა ფიცით; რათა ზავ-ჰყოს, იხილოს მამა თვისი და დამორჩილდეს მას". ლიპარიტი დაენდო ქათალიკოზის სიტყვას და ესტუმრა შვილს „მცირედითა მონითა". ბეჟანი გულ-მხიარულად დაუხვდა მამას, გაუწია კარგი მასპინძლობა იმ დღეს, შეიჯერა მამის გული, მაგრამ იმ ღამეს „შეიპყრა ყოველი მონანი მისნი", მერმე „მოჰპარა მამას იარაღი" და დილა რომ გათენდა, „შეიპყრა იგიცა და პატიმარ ჰყო ციხეში; მერნე მოიყვანა დედა თვისი განტეევებული და მოუდგინა გვერდით ქმარსავე, და იყვნენ ერთად ცოლ-ქმარნი დამწყვდეულნი. სიკვდილამდე".

ამ სახით ლიპარიტი ჩამოეცალა ისტორიულ ასპარეზს; მაგრამ ნაცვლად იმისა დაიწყო მოქმედება მისმა ცოლმა თამარმა. ბეჟანმა მამა რომ დაამწყვდია ციხეში, მაშინ ეს დედის ნაცვალი ახალციხეს წავიდა. ამ დროს აქ იყო იმერეთის ტახტის მემკვიდრე გიორგი. ამას ცოლად ჰყვანდა ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის ნათესავი; მაგრამ განუტევა კანონიერი ცოლი და შეირთო ჩიქვაანის ნაცოლარი თამარი. 1720 წელს ეს გიორგიც მოკვდა და დარჩა ერთი შვილი სახელად ალექსანდრე, რომელიც იზრდებოდა ქართლში.

თამარი დარჩა ახლა უპატრონოდ. მისი სული და გული შფოთავდა და ბრაზდებოდა იმათზე, ვინც მას ქმრები დაუხოცა. ყველაზე მომეტებულად ის იყო გაბოროტებულნი ბეჟანზე, რომელიც პირველად იწოდა დადიანად, ნაცვლად ჩიქვაანისა. მას ყველასთვის ამ დროს მხო-

ლოდ ავი და ბოროტი ეწადა. იმდენს ეცადა, რომ გადაიბირა თავისკენ გაბრიელ ჭყონდიდელი. ორივენი ერთად მივიდნენ არზრუმის ქალაქში, მისცეს ფაშას ქრთამი და იჩივლეს ბეჟან დადიანზე. საჩივარი იმაში მდგომარეობდა, რომ ბეჟანმა ახალციხის ფაშას ისაყს დიდი ქრთამები მისცა, იმანაც მოიყვანა ქართლიდან ალექსანდრე და გაამეფა იმერეთშიო; მაგრამ მეფეს არავითარი განკარგულების მოხდენა არ შეუძლიან სამეფოშიო: ის ტყვესავითა ჰყავს დადიანს, და ყველა ამ საქმეებში დამნაშავე არის ისაყ-ფაშაო, რომელმაც დადიანისაგან დიდი ქრთამები მიიღოვო; ამისთვის ისაყ-ფაშა დაიბარეს არზრუმში და დიდი ბოროტება, უსიამოვნება და უპატიურება შეამთხვიეს მას თამარის სიტყვით.

ეს ამბავი შეიტყო ბეჟან დადიანმა და მიჰხვდა, რომ ეს ორნები თამარმა მის საუბედუროდ და წასახდენად ჩაიდინა. იმან მოილაპარაკა ალექსანდრე მეფესთან... გაუგზავნეს ამათაც თავიანთ მხრით არზრუმის ფაშას დიდი ქრთამები და სთხოვეს ისაყ-ფაშის გამართლება. ჯილდომ ჯოჯოხეთი გაანათა და ისაყი გაამართლეს.

ამის გამო როლებიც შეიცვალა: დაიჭირეს ტყუილად ჩივილისთვის თამარ და ჭყონდიდელი, რომელიც ამას წინად დღესასწაულობდნენ თავიანთ გამარჯვებას. ისაყ-ფაშა გამოიყვანეს საპყრობილიდგან, მისცეს ხელთ თამარ და ჭყონდიდელი და გამოგზავნეს იმერეთში. მან მოიყვანა ისინი გათოკილნი და გადასცა ბეჟან დადიანს, რომელმაც თამარი დაამწყვდია დეხვირის ციხეში, მეორეს კი ჩამოართო ჭყონდიდლობა და განუტევა, რადგან სასულიერო პირი იყო. ამით მან პატივი სცა ეკლესიას.

როგორც ეტყობა მემატიანის ლაპარაკს, დიდხანს არ ყოფილა ტუსაღად თამარიცა. ის გაუნთავისუფლებიათ, მაგრამ მაინც კიდევ არ მოუსვენია. იმას ეწადა ტახტიდგან ალექსანდრეს გადაყენება და თავის მცირეწლოვანის შვილის გამეფება. ამ საქმეში ჰშველოდნენ

ბეჟან დადიანი, რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე. ესენი იმისათვის მიემხრნენ თამარს, რომ ალექსანდრე ახლა ისე გაძლიერდა, რომ აღარავისი ეშინოდა და ყველას უბღვეროდა. ამათ ყველამ განუცხადეს მეფეს თავისი ჭტრობა. მაშინ »ალექსანდრემ მოიყვანა დედის-ნაცვალი თამარ, აბრალა მას ყოველი ყოფილნი, შეიპყრა და მოჭკვეთა თავი« [1]).

ამით დასრულდა თამარის უღვთო ცხოვრება. დაიწყეს ახალი მოქმედება სხვა ქალებმა. ისინი ბუზებსავით ირევიან, ყოველ საქმეში მონაწილეობას იღებენ და თავისებურად ტრიალებენ. მეფეები, დადიანები, რაჭის ერისთევები—ყველანი იმათის შემწეობით მოქმედებენ და იკლებენ ერთმანერთს. ერთის სიტყვით ქალები ისე ძლიერნი არიან თავიანთ გავლენით ხალხში, რომ მათ შეუძლიანთ, ჭთავარი გადააყენონ ტახტიდგან და მის ნაცვლად სხვა გაამთავრონ. მაგალითად 1717 წელს დედა ელენე გაუწყრა რაღაცაზე შვილს გიორგი გურიელს, მოიყვანა მონოზონ ყოფილი ძე თვისი, გაკრიჭა, უწოდა ქაიხოსრო და დასვა გურიელად“ [2]).

ეს საქმეები ელენემ შეასრულა ბეჟან დადიანისა, გურიის ერისთვისა, ნაკაშიძისა და ზურაბ აბაშიძის შემწეობით, რომელნიც მან ქრთამით მიიმხრო. მაგრამ ამ საქმეს თან დიდი განხეთქილება მოჰყვა. ასტყდა უსიამოვნება, ურთიერთ შორის სამდურავი და მტრობა. ჟლიტეს ერთმანერთი ელენეს მომხრეებმა და გიორგის თარაფმა. გამარჯვებისათვის ისინი ნათესავებს ცოლებს ართმევდნენ და სხვაზე ათხოვებდნენ. მაგალითად ბეჟან დადიანმა წაართვა კანონიერი ცოლი ბაკა ჩიქვაანსა და შერთო ზურაბ აბაშიძის შვილს დავითს. ამავე დადიანს

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. 229—236.

[2]) იხ. იქვე. გვ. 227.

სთხოვა გიორგი გურიელმა, წაართვი შენი ასული ნაკაშიძეს, რომელიც ჩემი მტერი არისო, და მე მომეცი ცოლადო. ის თანახმა გახდა. მაშინ გურიელმა გააგდო თავისი კანონიერი ცოლი, შარვაშიძის ქალი, და შეირთო ნაკაშიძის ცოლი. ამ მოყვრობამ გურიელი და დადიანი შეარიგა. შერიგების ქალალდი დაიწერა ქალის მკერდით. ამისთანა საქმეები ამ დროს არა ერთი და ორი მოჰხდა. ვისაც უნდოდა ვისმესთან შერიგება, პირობის ქალალდის დაწერა არ იყო საჭირო. პირობის და შერიგების ქალალდის ნაცვლად შუაში შემოდიოდა ქალი, რომელიც ამოყვრებდა გადამტერებულ პირთ. ქალი ხდებოდა ხიდათ, რომელზედაც ერთობა, მეგობრობა და სიყვარული დაიარებოდა.

როცა საჭიროება მოითხოვდა, ამ დროს, ქალები ხმალსაც იღებდნენ ხელში. ასე მოიქცა პაპუნა წერეთლის ცოლი. იმან დიდი მხნეობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა. 1735 წელს ალექსანდრე მეფემ ღალატობით მოჰკლა მისი ქმარი პაპუნა და განიზრახა მოდი-მნახეს ციხის დაჭერაც; მაგრამ პაპუნას ცოლმა არ დაანება მეფეს. იგი შევიდა ციხეში, გაამაგრა და დაუწყო გაშმაგებულად ისეთი სასტიკი ბრძოლა, რომ მეფე იძულებული შეიქმნა ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

ამავე დროს დიდი ვაჟკაცობა, ერთგულება და გულშემატკივრობა სამშობლო ქვეყნისადმი გამოიჩინა მაჭავარიანის ქალმა. რადგან ძალიან შეწუხდა და აოხრდა იმერეთი ზურაბ აბაშიძისაგან, ამ (?) ქალმა განიზრახა ქვეყნის ამრევთ დასჯა. ერთ ღამეს იგი თავს დაესხა ზურაბს და ანაზდად დაიჭირა ციხე სვერი, წაართვა ხაზინა, რომლის ძალითაც იგი მოქმედებდა და გააგდო შვილიანად ქართლში. მერმე მიიწვია მან მეფე ალექსანდრე და გადასცა მას ციხე და სამფლობელო. ეს ამბავი მოხდა 1744 წელს [1]).

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 236.

ამ ქალის (?) მოქმედების აღწერით ქართლის ცხოვრება უნებლიეთ მოადგამს გვირგვინს იმგვარ ქალების ღვაწლს, რომელთაც სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობა ეწადათ. ბოროტ-მოქმედება თუ სრულიად არ მარცხდებდება მაჰავარიანის ქალის მეცადინეობით, ჯერ-ჯერობით გამარჯვება მაინც კეთილ-განზრახვას რჩება. ერთობისა და ქვეყნის კეთილდღეობის სურვილი იმარჯვებს ქალის ბუნებაში. ბოროტება განიდევნება ქალის სიქველისაგან და მემატიანეც კარგად ჩადის, რომ ამით ასრულებს იმერეთის ცხოვრებისა და ხანგრძლივის ბრძოლის აღწერას.

ხოლო რით და ან როგორ გათავდა ქალების მოქმედება ქართლ-კახეთში, ამას კიდევ ამ სურათების გაგრძელება შეგვატყობინებს.

1712 წლიდგან პოლიტიკურს ასპარეზზე კახეთში მოქმედობს თეიმურაზ მეფის ცოლი, თამარ. ეს დედოფალი იყო ასული ქართლის მეფის, ვახტანგ მე-VI-სა. მის შერთვამდე თეიმურაზს ჰყავდა ცოლად ქალი ბაინდურ ერისთვისა, მაგრამ სამღვდელოების ნება-დართვით განუტევა კანონიერი ცოლი და შეირთო თამარ. ეს საქმე იმ განზრახვით მოახდინეს, რომ ქართველთ ეწადათ მეფეთ მოყვრობის კავშირით ქართლსა და კახეთს შორის ერთობა ყოფილიყო. ეს კეთილი განზრახვა მათი ასრულდა კიდეც, რადგან „თამარ იყო სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა“.

გახდა თუ არა თამარ დედოფლად კახეთისა, მაშინვე თავი იჩინა საქართველოს ბედზე და პოლიტიკურს მდგომარეობაზე მან დიდი გავლენა იქონია. იმისი დედობრივი გული ყოველგან იჩენს კაცის შებრალებას, მოწყალებას, სულგრძელობას და ქვეყნისთვის გულ-შემატკივრობას. იგი მხნევდება და მოქმედებს მაშინ, როცა საქართველოს უჭირს. მაგალითად, 1739 წელს ზოგიერთა თავადებზე გაჯავრებულმა შაჰნადირმა განიზრახა ქართლ-

კახეთის გამოჩენილ პირთ გაწყვეტა და ხალხის სპარსეთ-
ში გადასახლება. მეფემ და ქართველობამ არ იცოდნენ
რა ექნათ და როგორ მოქცეულიყვნენ, რომ სამშობლო
ქვეყანა ამ განსაცდელისაგან დაეხსნათ. მეფე ვერც წი-
ნააღმდეგობის გაწევას ბედავდა სპარსეთისათვის, ვერც
მისვლას წინაშე შაჰნადირისა, რომ პირისპირ შეხვეწნო-
და, აეხსნას საქმის გარემოება და ის მიზეზები, რომელ-
თაც გამოიწვიეს საქართველოს თავადობამ მის წინააღმ-
დეგ მოქმედებისათვის და ამ სახით დაემშვიდებია მისი
განრისხებული გული. ამ გაჭირვებულ დროს [1]) მოხდა
რჩევა — ვინ უნდა გაეგზავნათ ელჩათ დაღესტანში შაჰის
დასამშვიდებლად. მამა-კაცთაგან არავინ აღმოჩნდა ისეთი
მცოდნე, გამოცდილი და გონება-გამჭრიახი, რომ აღეს-
რულებინა ერის მინდობილება. მივარდა საქმე თამარ დე-
დოფალზე. მან მხნედ მიიღო ელჩობის თანამდებობა, გა-
იყოლია რამდენიმე წარჩინებულთ ქართველთ ცოლნი და
მივიდა დაღესტანში. უშიშრად წარსდგა წინაშე მძლავ-
რის შაჰისა, მხნედ და დარბაისლურად აუხსნა ყოველი-
ფერი, დაარწმუნა შაჰი, რომ ქართველები დიდს შეწუ-
ხებაში არიან დაღესტანში იმის ჯარებისათვის სურსათის
ზიდვით და გაღარიბებულან, რომ თავის თავის კვებაც
აღარ შეუძლიანთ, არამც თუ სხვას კიდევ საზრდო-საც-
ხოვრებელი აძლიონ; დაუმტკიცა მას, რომ არც ქართ-
ველი ხალხი, არც მეფე თეიმურაზ და არც მისი შვილი
ირაკლი მისი წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ სიღარიბე
ხელს უშლის ხალხს, რომ მისი სურვილი უნაკლულოდ
აღასრულოს. მოლბა გაბოროტებული გული მძლავრის
შაჰისა დედათა ნარნარად თქმულის ტკბილის სიტყვისა-
გან და უკუ აგდო ავი განზრახვა თვისი; სცა დიდი პა-
ტივი თამარს: მოეპყრო როგორც დედას, მისცა დიდი

---

[1]) შაჰნადირი ამ დროს დაღესტანში იყო და ლეკებს ეომებოდა.

საჩუქრები და გამოისტუმრა კახეთსავე. ამასთანავე მისწერა ბრძანება თბილისში მყოფ სპარსეთის ჯარებს— არამცა და არამც არ გაებედნათ ქართლ-კახეთის აკლება და აოხრება.

დაღესტანში შაჰნადირი ერთი წელიწადი და შვიდი თვე დარჩა. იმან დაამშვიდა ლეკები და შემობრუნდა საქართველოში. დედოფალი თამარი და მისი მული ბეგუმ, ცოლი აბდულა-ბეგისა (არჩილისა), მივიდნენ კიდევ შაჰისთან და ნახეს. რა საქმე ჰქონდათ იმათ ამ დროს ქართლის ცხოვრება არ ამბობს. მოგვითხრობს მხოლოდ, რომ ყაენმა ისინი პატივით მიიღო და ორივეს დაუნიშნა პენსია (ინამი). გარდა ამისა დედოფალს დაუნიშნა ექვსასი თუმანი ჯამაგირი წელიწადში: მაგრამ შემდეგი იმათის ნახვისა ამტკიცებს, რომ მათ ჰქონდათ მასთან ლაპარაკი თეიმურაზის კახეთის მეფედ დამტკიცებაზე, ყაზახ-ბორჩალოს ხალხებისა და ქიზიყის საქართველოსთან შემოერთებაზე. „დედოფლის თხოვნითაო, ამბობს მატიანე, მისცა შაჰნადირმა ელი კახეთისა, რაც ძველთაგან ჰყოლოდათ კახთა მებატონეთა“ [1]). რომ კახეთის სამეფო ტახტი თეიმურაზმა მართლაც თამარის მეცადინეობით დაიმტკიცა, ამას მოწმობს რუსის მწერალი ბუტკოვიც. „თეიმურაზ მეფის მეუღლის თხოვნთ, ამბობს იგი, შაჰნადირმა დაამტკიცა (თეიმურაზ კახეთის მეფედ და მისცა არაგვის მაზრა, და აგრეთვე ბორჩალო და ქიზიხი, რომელნიც ამ დროს განჯის სახანოს ეკუთვნოდნენ“ [2]).

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. II, გვ. 358.

[2]) იგივე მწერალი ამბობს, რომ ამ ხანებში შაჰნადირმა ნახა გივი ამილახორის ასული, ძალიან მოეწონა წაართვა ქმარს ანტონს, რომელიც ამის შემდეგ ბერად შესდგა და იყო საქართველოს ქათალიკოზად 1790 წლამდე. ეს ანტონის ცოლი, ანუ დანიშნული, შაჰის უნდა ენახოს და მოსწონებოდეს ან 1636 წელს, როცა იგი იმყოფებოდა თბილისს, ან 1742 წელს, როცა დედო-

თამარს დიდი გავლენა ჰქონდა ქართლის ბედზე-
დაც. 1742 წელს დომენტი ქათალიკოზი, მისი ღვიძლი
ბიძა, ძალიან ავად რომ გახდა, თამარი ჩამოვიდა თბი-
ლისში მის სანახავად და ურჩია დაენიშნა ქათალიკოზად
ანტონი I, მაგრამ უკანასკნელმა არ ინება ქათალიკო-
ზობის თანამდებობის მიღება. ამისთვის, მისივე სურვი-
ლით, ქათალიკოზად დასვეს ეპისკოპოზი ნიკოლოზ ხერ-
ხეულიძე. შემდეგ ამისა დომენტი გარდაიცვალა, „ვი-
თარცა ჰშვენოდა მეფეთა ასულობასა, ეგრე შემწე ექმნა
დედოფალი თამარ და მიასვენეს დიდსა სამეფოსა ეკლე-
სიას მცხეთას“.

მაგრამ თამარი მარტო ბიძის ავადმყოფობისა გამო
არ ჩამოსულა ამ დროს თბილისში. რადგან მას დომენ-
ტის მორჩენის იმედი აღარ ჰქონდა, თბილისში იმ განზ-
რახვით მოვიდა, რომ ქართლის გამგედ გამხდარიყო. ამ
აზრს ამტკიცებს ბუტკოვი: ის ამბობს: რადგანაც მისი
მამა ვახტანგ მე-VI და მისი ძმა ბაქარ რუსეთში იყვნენ,
ქართლის სამეფოს სხვა მემკვიდრე აღარავინ ჰყვანდაო.
მართალია, შაჰნადირმა კახეთის მეფობა თეიმურაზს რომ
დაუმკვიდრა, მაშინ ქართლის მეფედ დასვა ალექსანდრე
ბაგრატიონი, ძმისწული თეიმურაზისა, მაგრამ ალექსანდ-
რემ უფრო ოსმალეთის მხარე დაიჭირა, ვიდრე სპარსე-
თისა. ეს ეწყინა სპარსეთის შაჰს, ჩამოართვა მას მეფობა
და დასვა სპარსეთის ხანები: ერთი თბილისში, მეორე
ქართლში. ამის გამო ოხრდებოდა ქართლის სამეფო და
ესეთი ყოფა სამშობლო ქვეყნისა ძლიერ სწყინდა თამარს.
აი ამ მიზეზით ჩამოვიდა თბილისში. მას ჰქონდა განზ-
რახვა დაეხსნა სამშობლო ქვეყანა მავნე გამგებელთაგან.

ფალი თამარი მივიდა თავის ამალით შაჰნადირის სანახავად (იხ.
матеріалы для новой Исторіи Кавказа Буткова часть I გვ.
135, 136, 137, 217 და 228; აგრეთვე ქართ. ცხ. გვ. 351 და 357).

შეჰყარა ქართლის თავადობა და სთხოვა, მისთვის მიეცათ დროებით სამეფოს გამგეობა, ვიდრე მისი მამა ან ძმა დაბრუნდებოდნენ რუსეთიდგან. დააჯერა ყველანი, რომ იგი არ აუფლებს ქართლში არც თავის ქმარს და არც შვილს. ამაზე ქართლის თავადობაც დათანხმდა. მაშინ თამარი წავიდა სპარსეთში და დაამტკიცებინა შაჰნადირს დროებით თავი თვისი გამგებლად ქართლის სამეფოისა. ამასთანავე სპარსეთის ნება-ყოფლობით მისწერა რუსეთში თავის მამას დაბრუნებულიყო საქართველოში და ემეფნა. ამ თანამდებობაში იგი დარჩა ოთხი წელიწადი (1741—1744 წ. [1]).

მაგრამ ქართლის მემკვიდრეები არ დაბრუნდნენ რუსეთიდგან. ამისათვის 1744 წელს შაჰნადირმა ქართლის მეფობა მისცა თეიმურაზს, კახეთისა ერეკლეს. იწყინა გივი ამილახორმა, რომელიც ბუტკოვის სიტყვით ქართლში ბაქარისაგან თავის მაგივრად დაყენებული იყო. ასტყდა ჩხუბი თეიმურაზსა და გივის შუა. დიდხანს იბრძოლეს. ყველანი მეცადინეობდნენ გივის დამშვიდებას, მაგრამ ვერც თეიმურაზის თხოვნამ, ვერც ერეკლეს ხვეწნამ და ვერც შაჰნადირის მუქარამ ვერ შეაშინა იგი; გამაგრდა სურამის ციხეში და ყველას ემუქრებოდა. მეფემ ხმლით რომ ვერ აიღო, მისცა სურამის ციხეს ლალმი და ციხის ნახევარი სულ დაანგრია და შიგ მყოფთაც ბევრი ავნო". შეშინდა ამილახორი, დაუწყო მეფეს ლაპარაკი და შემოუთვალა: „ბატონი დედოფალი მობრძანდეს და იმას ბრძენდობიო". თამარი ამ დროს თბილისში ბრძანდებოდა; დაიბარეს იგი. მივიდა სურამს, გამოვიდა ამილახორი, იახლა დედოფალს, მიართვა თავის საქონლის დავთარი, ესეც ფიცით დაუდგა მას თავდებად, რომ არა გევნებარაო, შეარიგა მეფესთან; წამოიყვანა და მოვიდა

[1]) ნახ. Бутковъ стр. 229.

თბილისს. თეიმურაზმა შეატყობინა შაჰნადირს ამილახვრის შერიგება და სთხოვა ეპატიებინა მისთვის დამნაშაობა. მაგრამ შაჰმა დაიბარა იგი თავისთან სპარსეთში, და რადგან თამარის სიკვდილამდე აღარ გამოუშვეს საქართველოში, ამისთვის ვფიქრობთ, რომ გივის სპარსეთში წაყვანა დედოფლის სურვილით მოჰხდა.

ამის შემდეგ თეიმურაზს უკურთხეს მცხეთის ტაძარში სამეფო გვირგვინი. ეკლესიიდგან რომ გამოვიდა და სამეფო ტახტზე დაბძანდა, მაშინ მივიდა დედოფალი თამარი, მიულოცა გვირგვინის კურთხევა და გადააყარა „გუარი". მას თან ახლდნენ ამ დროს მეფე ერეკლეს მეუღლე, ზაალ აბაშიძის ქალი და ვახუშტი აბაშიძის მეუღლე ანუკა. ეს უკანასკნელი იყო დედოფლის ღვიძლი და.

ახლა მეფედ ქართლისა თუბცა თეიმურაზი იცნობებოდა, მაგრამ ნამდვილი გამგებელი ქვეყნისა იყო თვით თამარი«. „ქართლი მე თამარს მივეცი და არა შენაო და შენ კი იმდენად უმადური კაცი ყოფილხარო, რომ ღირსეულად მაინც არის ვერ იგლოვე მისი სიკვდილიო", — ეუბნება თეიმურაზს შაჰნადირი. მართლაც რომ ღირსი იყო ეს სახელოვანი და შესანიშნავი დედოფალი გლოვისა. თეიმურაზ დიდად იყო მისგან დავალებული. მისის მეცადინეობით ის გახდა მეფედ ჯერ კახეთისა, მერმე ქართლისა. სიკვდილის დროს, ამბობს ბუტკოვი, თამარმა სთხოვა და დაითანხმა ქართლის თავადობა, ჰყოლოდათ მეფედ თეიმურაზი. ის მოკვდა 1747 წ. საყვარელის დის ანუკას სიკვდილის დარდისაგან (ნახ. გვ. 230).

დედოფლის სიკვდილმა შაჰნადირი ძლიერ შეაწუხა. რა მიზეზით? მაჰმადიანს რაზე უწუხდა გული? განა დედოფლის სიკვდილი რაიმე დანაკლისს შეადგენდა მისთვის? ყველნი შეწუხდა თამარის სიკვდილის გამო პირველად იმისათვის, რომ შიშობდა ქართლ-კახეთი ახლა სამუდამოდ არ შეერთდეს თეიმურაზისა და ერეკლეს მე-

ფობითაო, მეორედ იმისათვის, რომ თამარი პოლიტიკურს საქმეებში გამოცდილი ადამიანი იყო, ის ბევრჯელ ყოფილიყო ყეენთან სპარსეთში საქვეყნო საქმეების გამო, მიეცა მისთვის შემწეობა საქართველოს დამშვიდებაში, და ამისთვის ყეენი იმას უყურებდა, როგორც დედას. საქართველოს შესახებ თუ რაიმე მოსალაპარაკებელი საქმე ჰქონდა ყეენს, მუდამ თამარს იბარებდა თავისთან. ესეც თან გაიყოლებდა ხოლმე აბდულა-ბეგის ცოლს ბეგუმს და თავის დას ანუკას და მიდიოდა მასთან საქართველოს ბედზე მოსალაპარაკებლად. თვით სპარსელები თავიანთ დედოფლის მსგავსად უყურებდნენ. არამც თუ მარტო ამ დედოფალს და იმ ქალთ, რომელნიც მასთან ახლდნენ ხოლმე, ჰქონდათ გავლენა საქართველოს ერის ცხოვრებაზე და პოლიტიკურს მდგომარეობაზე, არამედ საქართველოს სხვა დედოფალნიც არ იყვნენ მოკლებულნი ამ უფლებას და გავლენას. იშვიათად ნახავთ გუჯარსა და სიგელს, რომ მეფისა და დედოფლის სახელით არ იყოს დაწერილი. არასოდეს მეფე არ ერევა უდედოფლოდ მიწა-წყლის მფლობელობისა ანუ ეკონომიურს საქმეებში. მათ ჰქონდათ თვისი საკუთარი მამულებიც. მეფე ვახტანგ მე-VI-ის დასტურლამაში სწერია: ძველადგანვე დედოფლის ხელში იყო თბილისისა და მანგლისის ეპარქიები და მას ემორჩილებოდნენ აქ მცხოვრები თავადობა, აზნაურნი და გლეხნი თავიანთის მიწა-წყლითა და მამულებითო. მათნი ხელქვეითნი ყოფილან დარბაზის თავადები: გერმანოზისშვილი ოთარ, პაპუნა, გუგუნა და ვარაზა თავიანთ აზნაურებითურთ; დარბაისელი (придворный) თავადი მანუჩა და გუგუნა ბარათაშვილები თავიანთი ყმა და მამულით; სუფრაჯი ბარათა და შერმადინ სოლოლაშვილები; აბაშის შვილი დავით, შერმაზან მერაბაშვილი, ხუთი კომლი საგინაშვილები, სამი კომლი თულაშვილები და ყორღანაშვილი პაატა თა-

ვისი ყმითა და მამულით. ამავე ვახტანგის დასტურლამაში სადედოფლო სოფლებათ არიან მოხსენებულნი: ოფრეთი, გამოლმა ნახიდური, წინ-წყარო, შუა-ბოლნისი, ჩხიკვი, გომარეთი და ურწევანი. ყველა ეს თავადები და სოფლები იყვნენ სომხითში, მაგრამ დედოფალს ჰქონდა საკუთრება ქართლშიაც. მაგალითად სადედოფლო მამული იყო მთლად რუისის ეპარქია. წმიდათა მამათა ცხოვრებაში სწერია, რომ დედოფალთ იმოდენა უფლება ჰქონდათ ამ თავიანთ საკუთრებაზე, რომ ქათალიკოზს არ შეეძლო მათთვის შეუკითხავად ეკურთხებინა ეპისკოპოსი მათს მამულებში მყოფ ეპარქიების მოსავლელადო. რა მიზეზითო, იკითხავთ? იმ მიზეზით, რომ დედოფლის ვალდებულებას შეადგენდა—ეზრუნნა ეპარქიის კეთილდღეობისათვის. იმას ეჭირა თვალ-ყური ქვრივებზე და ობლებზე, მონასტრების კეთილდღეობაზე, ეკლესიების განახლებაზე და ახლების აშენებაზე. ასეთი წესდებულება საქართველოში, რადგან ძველადგანვე ყოფილა, იგი დაუმტკიცებია მე-XVII საუკუნეში, მე-XII მეფეს გიორგისაც [1]). საქართველოს დედოფალნი ზრუნავდნენ ქრისტეს სარწმუნოების გაძლიერებას და ეკლესიების გამშვენიერებისათვის არამც თუ თავის საკუთარს მამულებში, არამედ ყოველგან საქართველოში. მაგალითად 1501 წელს ალავერდის ეკლესია განაახლეს ალექსანდრე მეფემ და მისმა ცოლმა ნესტან-დარეჯანმა. 1651 წელს დაიქცა მცხეთის ეკლესიის გუმბათი და აღაშენა როსტომ მეფემ და მისმა ცოლმა მარიამმა; 1741 წელს დაიქცა მიწის ძვრისაგან ალავერდის ეკლესიის გუმბათი და აღაშენა თეიმურაზ მეფემ და მისმა ცოლმა თამარმა, დედამ მეფე ერეკლე მეორისამ [2]).

---

[1]) Описаніе г. Тиф. Іоселіани. გვ. 200 და 201.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II. გვ. 353, 432.

თამარ დედოფლის მეცადინეობით თუმცა შეერთდა ქართლ-კახეთის ერი, გაძლიერდა საქართველო ერთობით, დაუწყეს მტერს შეერთებულის ძალით ბრძოლა, მაგრამ ამის შემდეგ ქართველთ ცხოვრება უფრო და უფრო გამწარდა. დაუწყო მტერმა ყოველ მხრით დაუწყნარებელი რბევა და ოხრება ქართლსა და კახეთს. მამაკაცნი თავგანწირვით ებრძვიან ლეკებს, სპარსელებს. ბევრმა მათგანმა გამოიჩინა საკვირველი მამაცობა, უშიშროება, მხნეობა და დასტოვა კეთილი სახელი ამ წუთისოფელში; მაგრამ ამ ულმობელს დროს არც დედაკაცნი ისხდნენ გულხელ დაკრეფილნი. ბევრმა მათგანმაც მოჰკიდა ხმალს ხელი სამშობლო ქვეყნის დასაცველად. ბევრმა დედათაგანმაც გამოიჩინა თავი ვაჟკაცობით და ქვეყნისათვის გულშემატკივრობით. ცოდვა იქნება, რომ ახლა მათი სახელიც არ ვახსენოთ.

1753 წელს დაღესტნის ბელადი ნუცალბეგ, მოადგა დიდის ჯარებით კახეთში მჭადის ჯვრის ციხეს, შიგ მყოფნი ქართველნი გამაგრდნენ, მაგრამ ლეკნი მას მაინც მალე აიღებდნენ, თუ რომ ერთს მოხუცებულს დედაკაცს არ გამოეჩინა მხნეობა და გამბედაობა. მტერმა შვითჯერ ციხეზე მიიტანა საფარი, მაგრამ გმირმა დედამ ფსინი არ მოასვენა, თუმცა კერ გაგვიგია რანაირად, მაგრამ მოხსენებული არის, რომ შვიდჯერ მან საფარი დასწვაო და მერვეს რომ მიადგა, მხოლოდ მაშინ მოჰკლეს იგი ლეკებმაო. სახელოვან დედას მაინც ტყუილად არ ჩაუარა შრომამ. მისმა მეცადინეობამ ლეკები დიდხანს შეაჩერა. ამასობაში მოესწრო ციხეს მეფე თეიმურაზ და ერეკლე და დაიხსნეს დამწყვდეულნი მტერთაგან [1]).

ამავე ხანებში, ესე იგი **1770** წელს, თავი ისახელა აგრეთვე იმერეთის დედოფალმა. როცა მეფე სოლომონ

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 504.

და რუსეთის გენერალი ტოტლებენი ეომებოდნენ იმერეთში ოსმალებს, მაშინ მათს ჯარში ერია დედოფალიც. ბაღდადის ციხეს, რომელიც ოსმალთ ეჭირათ, რომ მიადგნენ, დედოფალმა სთხოვა მეფესა და ტოტლებენს, ნება მომეცით პირველად მე შევება და შევიდე ციხეშიო. თხოვნა აღუსრულეს. ასტყდა ბრძოლა. ოსმალნი დამარცხდნენ. დედოფალი ჰართლაც პირველად შევიდა ციხეში. ეს ამბავი რომ შეიტყო რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინემ, ისე გაუკვირდა, რომ 18 აგვისტოს 1770 წელს შეატყობინა, როგორც ახალი ამბავი, საფრანგეთის გამოჩენილს მწერალს ვოლტერს, და თავის წერილში ქართველები მიტრიდად დიდის ჩამომავლობად ჩასთვალა [1]).

ქართველნი ქალნი ვაჟკაცნიც იყვნენ და თავის ნამუსის დამცველნიც. 1772 წ. იგივე ზემოთ ხსენებული ნუცალ-ბეგ მოვიდა ჯარით და დაეცა ქიზიყში სოფელს ბოდბეს. რამდენიმე უბანი სოფლისა კიდევაც აიკლეს და მრავალი ხალხი დაატყვევეს. მათ შორის იყო დაჭერილი ერთი დედაკაციც. ის მოსწონებოდა წუნკალა ლეკს და გაუპატიურება მოეწადინებინა. მაგრამ ნამუსის დიდად დამფასებელმა დიაცმა თურმე წააძრო იმას ხანჯალი, შესცა მუცელში და იქვე მოჰკლა; მერმე გაიქცა და შეატყობინა სიღნაღსა და გარშემო მყოფ სოფლებს. ზაალ ანდრონიკაშვილმა მაშინვე შეჰყარა მდევარი, დაესხა მტერს თავს და განდევნა დიდის ზიანით [2]).

ამ დროს გლეხთა ცოლნი და ასულნი იყვნენ მხნენი და მებრძოლნი, არც მათზე ნაკლებნი იყვნენ მეფეთა და თავადთა ცოლნი და ასულნიც.

1778 წელს ქართლიდგან მოდიოდა ქალაქში ქიზი-

---

[1]) იხ. Буткова. стр. 282 და 289 წიგ. I.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. 33. 503.

ყის მოურავის რევაზ ანდრონიკაშვილის ქალი ქეთევანი. ეს იყო ამ დროს უკვე ცოლი მემკვიდრე გიორგი მე-XIII-სა. ამას თან ახლდა სამასიოდე კაცი. ისინი თუმცა ყველანი მორიგე ლაშქრის კაცნი ყოფილან, მაგრამ მათ შორის არ ყოფილა ბრძოლის მეცნიერი კაცი და მხოლოდ მეფის რძალს თბილისში აცილებდნენ. ლართისკარს რომ მისულან, მათ თავს დასცემია ხუთასი ლეკი. მაშინ თვით ქეთევანს მიუღია მხედრობის სარდლობა და შებმია მტერს. „მაშინ თვით იქმნა თავი მხედრობისა თვისისა, ამბობს ქართლის ცხოვრება, და გაამხნევა მორიგენი, შეება ლეკებს ძლიერად გასწყვიტეს მორიგეთა მათ უმრავლესი ლეკთაგანი". მეფე ერეკლემ რომ შეიტყო ეს ამბავი, ისე გაეხარდა, რომ მაშინვე გაემგზავრა, რძალს წინ მიეგება და მიულოცა ვაჟკაცობა, მხნეობა და გამარჯვება. „მხიარულ ქმნილმან მეფემან შეიყვანა თბილისს დიდებითა დიდითა და ზარბაზნების სროლითა, და ღამესა მას ყოველსა ქალაქსა იყო ჩირაღდანი" [1]).

მეფის რძლის ამგვარმა მხნეობამ და ვაჟკაცობამ ერთის მხრით ისე გაამხნევა დედა-კაცნი რომ „ლართისკარსა შინა თვინიერ მამა-კაცისა ვიდოდიან", მეორეს მხრით ფრიად შეაშინა ლეკები და ველარ ერჩოდნენ ისინი ქართლს უწინდებულად თამამად. ისინი ახლა ახალციხის მხარეს მიჰყვნენ რბევას. 1783 წელს 2000 ლეკი თამამად დასეირნობდა ახალციხის მაზრაში და არბევდა სოფლებს. დიდის საშოვრითა და ტყვეებით იმათ გადმოიარეს ბორჯომის ხეობა და მოვიდნენ სურამს. შეიტყო მეფემ, დაეცა მათ მორიგის ლაშქრით და ძლიერად დაამარცხა. „მუნ დიაცმან ერთმან, ტყვეთა ქართველთმან შეიპყრა [2]) შემპყრობა თვისი ლეკი და მიიყვანა მხედრობასა შინა ქართველთასა".

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 509.

[2]) იხ. იქვე, გვ. 510.

ამ დედა-კაცის გმირულის მოქმედებით თავდება „ქართლის ცხოვრებაში“ ფაქტები ქალების ცხოვრებიდგან. სამწუხაროა, რომ ასე გაკვრით ულაპარაკნიათ მემატიანეთ ქართველს ქალებზე. რაც ფაქტები შემოვკრიფეთ ჩვენს წერილში, იქიდგან სჩანს, რომ მათი მოქმედება უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო; მათ დიდი უფლება უნდა ჰქონოდათ ოჯახში, სამოქალაქო ცხოვრებაში და სამეფოს პოლიტიკურს საქმეებში. მაგრამ მემატიანათ არ შიუქცევიათ ბეჯითი ყურადღება მათს გავლენისათვის საქართველოს ისტორიულს ბედზე. ამისთვის ბევრის გმირის დედა-კაცის სახელი არის გამოტოვებული. მაგალითად მე-XVIII საუკუნეში მოქმედებენ სამნი გლეხის ასულნი. იმათი გული ისე დამწვარ-დადაგული ყოფილა სამშობლო ქვეყნის მწარე მდგომარეობით, რომ ველარ მოუთმენიათ და ქალობაშივე აუღიათ ხელში ხმალი მტრის გასაწყვეტად.

ასეთი ქალები იყვნენ წყნეთელი მაია, წავკისელი თინა და ვაშლოვნელი თამრო. თვალით მნახველთ და მომსწრე პირთ დაუტოვებიათ მოთხრობა, რომ ისინი ბევრჯელ გაჰყოლიან მეფე ერეკლეს ლაშქარში და გამოუჩენიათ დიდი უშიშრობა, მხნეობა და ვაჟკაცობა. არა ერთხელ თვითონ წასძოლიან ჯარს, გაუმხნევებიათ მამაკაცნი და დიდათ დაუმარცხებიათ მტერი. ისინი ებრძოდნენ თურმე არა მარტო გარეშე მტერს, არამედ შინაურსაც, რადგან მათის სიცოცხლისათვის გაუკრავთ კლანჭი შხამიან დროთა შვილებს. მათი მოქმედების ასპარეზზე გამოსვლის მიზეზი ყოფილა ბატონთა ავად მოპყრობა. ახლა არ იქნება ურიგო, მოკლეთ შემოვიტანოთ მათი ცხოვრება და მოქმედებაც ჩვენს ისტორიულს სურათებში.

1) მაია წყნეთელი იყო გლეხის ქალი. ის ყოფილა ძალიან ლამაზი. უცხოვრია მეფე ერეკლეს დროს. ჯერ

კიდევ ასაკში არა ყოფილა შესული, რომ ბატონს თავის სახლში მიუყვანია. აქ იმას თავის უნებლიედ დაუკარგავს ქალწულობა. ქალის უბედურობაზე დადარდიანებული დედ-მამა მალე გამოსალმებია წუთი-სოფელს. მამას ტყეში თავი ჩამოულრჩვია, დედას სახლში სიმშილით თავი მოუკლავს. სვე-უბედური მაია ვერ დასწრებია ვერც ერთის სიკვდილს, რადგან იმ დროს ბატონის სახლში ყოფილა. ძლიერ სწყენია მშობელთ სიკვდილი და განუზრახავს ბატონზე ჩივილი მეფესთან. ერთ ღამეს გაპარულა მამის სახლში, ჩაუკვამს მისი ტანისამოსი, შემოურტყავს ხმალი, ხანჯალი, აუღია მხარზე მამის თოფი და ჩამოსულა თბილისში, მაგრამ მეფესთან აღარ უჩივლია ბატონზე, რადგან სდომებია თავის ქალობის დაფარვა. იმას უთქვამს მხოლოდ მეფისთვის, რომ მე არც დედა მყავს, არც მამა, არც ბატონიო და ასე ვარ დარჩომილი ობლადაო. ახლა გიახელით თქვენთან და გთხოვთ მიყმოთო. მეფეს მიუღია იგი. მას დაუწყვია სამსახური მამაკაცის სახით და უწოდებია თავისთვის მათე.

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, კახეთის მხარეს დასცემიან ლეკები. მეფეს შეუყრია საჩქაროთ ჯარები და თან გაუყოლებია შინაყმანიც. მათ რიცხვში ყოფილა მაიაც. ყველანი კარგათ გარჯილან მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მაიასებრივი ვაჟკაცობა ვერავის გამოუჩენია. ამ დროს ის ყოფილა 20 წლისა. მეფე განცვიფრებაში მოსულა მის მხნეობისა, სიმარდისა და ვაჟკაცობისაგან და სიხარულით გადაჰხვევია მას, ორთავ თვალებში უკოცნია და უთქვამს: »ახ, შენ კი გენაცვალე! კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებიაო«. აქედგან რომ დაბრუნებულან თბილისში მეფეს კიდევ ამბავი მოუთმევია, რომ სომხითს თათრის ჯარები შემოესივნენო. მაშინვე მდევარი დაუძახნიათ. შემდგარა დარჩეულის ბიჭების დასტა, რომელიც პირველად უნდა შებ-

მოდა მტერს. მათში რეულა მაიაც. ომი მომხდარა სოლანლულს ქვეით. მიახლოებისათანავე ხმალ-ამოღებული მაიას შეუჭენებია ცხენი მტრის გუნდში და ერთის სახელოვანის კაცისთვის ანაზდად გაუგდებინებია თავი. ამაზე არეულა მტრის ჯარები და ისე დაუმარცხებიათ, რომ ამბის წამღები კაციც აღარ დარჩენილა. ახლა უფრო გაჭკვირვებია მეფეს მაიას გმირობა და უთქვამს: „დღეის შემდეგ შენ ხარ ჩემგან ღვიძლ შვილად მიჩნეული: შენ ხარ ჩემი შვილი, მე შენი მამა; ნებას გაძლევ ამის მერმე აღარ მიწოდო მეფე, არამედ მამა: ამისათვის რომ ყოველი შენგვარი კაცი მეფეა თავის თავისა და თავის სამშობლო ქვეყნისა: შენ ისე სინიდისიანად და ერთგულად ასრულებ მამულის მოვალეობას, რომ მაგაზე მეტი აღარ შეიძლება კაცმა მოგითხოვოსო“.

მაია თავზარდამცემი ყოფილა როგორც გარეშე, აგრეთვე შინაურ მტრებისაც. მის დროს ზოგიერთ პირშავ კაცთ მიუყიდიათ თორმეტი გოგო-ბიჭი სპარსელებისათვის. ამ ამბის შესატყობინებლად წამოსულა მეფესთან ერთი მოხუცებული კაცი. მეფის კარზე ძას დაჰხვედრია მაია და გამოუკითხავს მიზეზი იქ მისვლისა, და რომ შეუტყვია ყველაფერი, მაშინვე შეუკრეფია თავისი ამხანაგები, შემსხდარან ცხენებზე და გამოსდგომიან ყიზილბაშებს: მისწვევიან ლილოს ქვეით. დაუხოკიათ ისინი, გაუნთავისუფლებიათ გაყიდული გოგო-ბიჭები და მეფის კარზე მოუსხამთ. მაია წამდგარა მეფის წინაშე და უთქვამს: „მეფეო! ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ, რომელნიც მე გულზე მაწვანან ჯავრად“, — სთქვიო, მიუგია მეფე ერეკლეს.

— დიდებულო მეფევ! ნეტავი როდის შეაშრებათ გლეხებს თვალზე ცრემლები, ნეტავი როდის გადმოხედავს იმათ ღმერთი და დაიხსნის ტანჯვათაგან?

— როგორ? რაზე ამბობ მაგას, შვილო?--ჰკითხა კვლავ მეფემ.

— რაღა რაზე, შენი ჭირიმე: გლეხობა განადგურდა და გაწყალდა; ბოროტ-მოქმედთა კაცთაგან აოხრდა სოფლები. ბატონებმა დაჰყიდეს მთელი სოფლის გლეხობა; ვინც გადარჩა, იმათ კიდევ გუთანში, ურმებში და კალოში სულს აძრობენ. ერთი დედა-კაცი შეუბამთ კალოში და ის უბედური ულელში მომკვდარა. მოგახსენებთ რა ამას, მეფევ, გთხოვთ მოვალე ხართ, მოსპოთ ასეთი ავ-კაცობა და ბოროტ-მოქმედება.

— ბატონებზე საჩივარი, მართალია, ბევრი ისმის, და ამგვარი საქმეები საქართველოს დამლუპველია, მაგრამ, თუ მე ჩემის თვალით არა ვნახე, აბა, ვის რა და როგორ გადავახდევინო. მე ამგვარი საქმეები მხოლოდ სიტყვით მესმის, და საქმით კი ვერასა ვხედავ.

— დიდებულო ბატონო! საქმითაც აი ერთი მე გახლავართ, მე გულდამწვარი, დაჩაგრული და მშობელთა მოკლებული. მეორე--შენი ჭირიმე, გუშინ თქვენთან მოვიდნენ გლეხები საჩივლელად, რომ ამა და ამ ავაზაკმა კაცმა შვილები დაგვიყიდაო; მე თქვენამდე არ მოუშვი ისინი, შევჯექი ცხენზე, გავიყოლე ამხანაგები და წავართვი სპარსელებს დაყიდული გოგო-ბიჭები, და აი ამათაც ახლა წარმოვადგენ წინაშე თქვენსა. აი ესეც, შენი ჭირიმე, დამტკიცება.

ამაზე მეფე ძალიან გაჯავრებულა და გამწყრალა. მეორე დღეს მოუწვევია სასახლეში მღვდელ-მთავრები და შეუჩვენებიათ ავნი-კაცნი ჯვარითა და სახარებით.

ამგვარის საჩივრებით ისე შეუწუხებია მაიას ბოროტ-მომქმედნი, რომ მათ თავი მოჰბეზრებიათ და გადაუწყვეტიათ: ან როგორმე მოჰკლან იგი, ან მოაშორონ მეფეს. ერთ დღეს მეფეს ის სადღაც გაუგზავნია. ეს შეუტყვიათ ბის მტრებს და გამოსდგომიან უკან, მაგრამ მაიას ისინი

დაუხოცნია და ერთისთვის უთქვამს: „შენ ოხერო და შეჩვენებულო! აბა რა გერგებათ ჩემგან, რომ განგიზრახავთ ჩემი სიკვდილი“. იმას მიუგია ცბიერებით: »ერეკლეს ჰნებავს შენი სიკვდილი, და არა ჩვენაო«.

მეფის სახელის გაგონებამ მაიას თავზარი დასცა. მან ეჭვი შეიტანა მეფეზე, შეშინდა, რომ არ მომკლასო, განშორდა და გახდა ყაჩაღად. ის გადასულა თრიალეთისკენ და დაბინავებულა ერთს ტყეში, რომელსაც თურმე ხალხი »მაიას საბუდარს« ეძახდა. აქედგან ის გამოდიოდა თურმე გზებზე, უსაფრდებოდა გამვლელ-გამომვლელ თავგასულ კაცებს, ჰხოცდა და ცარცვიდა იმათ. ბოლოს შეუტყვიათ მტერთ მისი ბინა და დაუწყვიათ დევნა. მაშინ იმას დაუტოვებია თავისი საბუდარი და წამოსულა სომხითისკენ, დასახლებულა სოფლად და კიდევ არ განუცხადებია თავისი ვინაობა; მაგრამ თუ მტერი შემოჰსევია ამ მხარეს, ის კადევ წასძოლია წინ ხალხს და დაუმარცხებია. ერთ დღეს მეფე ერეკლე მისულა იმ სოფელში, საცა მაია ყოფილა. რადგან ერთის სოფლიდგან მეორეში აკილებდნენ თურმე მეფეს სოფლელები, მაია გაჰყვა მას გასაცილებლად, და რადგან ამ ჟამად ის მოხუცებული იყო, მეფემ ვერ იცნა. არავის ეგონა თუ მაია ცოცხალი იყო. ხმა იყო დავარდნილი, რომ დიდი ხანია რაც მოკვდაო. მიმავლობის დროს მეფეს გზაზე მტერი შემოჰხვდა, და არავინ იყო ტყვია-წამლით მზად, გარდა მაიასა. იმან ჯერ ესროლა მტერს თოფი, მერმე იშიშვლა ხმალი და ისე მიჰმართა, ამის მხილველთ სხვათაც გული მიეცათ, გამხნევდნენ, მიჰყვნენ მტერს და გაიმარჯვეს.

შემდეგ ამისა მეფეს უკითხავს მაიასათვის: „შენ, ძმობილო, ვინა ხარ ეგეთი გმირიო?“ „ბატონისაგან გამოდევნილი მათე გახლავარო: თქვენ მე მოსაკლავად დამდევდით, და აი ახლა თქვენს ხელთა ვარ, გნებავთ მომკალით, გნებავთ დამარჩინეთ. მე მხოლოდ ისეთს დროს

ვეძებდი, რომ თქვენ მენახეთ პირისპირ. ჩემს ყაჩაღობაში მე არა ვარ დამნაშავე. მე დავხოცე და თავი გადავირჩინე, და ამის შემდეგ აბა როგორ-ღა მოვსულიყავ თქვენთან... მე ვარ და ჩემი ბრალია,—თრიალეთში აქამდე კაცები რომ იცარცვებოდნენ. ამასთანავე ვაცხადებ წინაშე დიდებულისა მეფისა, რომ მე ვარ დედა-კაცი და არა მამა-კაცი".

მეფეც და მისი მხლებელნი თავადნიც განცვიფრებაში მოუყვანია ამ საუბარს და ყველას ერთხმად უპატიებიათ მაიასათვის ყოველივე დანაშაული. მაშინ მაიას გაუხდია კაცური ტან სამოსი და ჩაუცვამს ქალური; მაგრამ დიდხანს აღარ დასცლია ყიოცხლე. სპარსელებმ შემოჰსევია საქართველოს. მაიაც გაჰრევია ქართველთ ლაშქარში ქალურის ტანისამოსით და უომნია ძლიერად. სპარსელებს გაჰკვირვებიათ მისი მამაცობა და ხანებს უბრძანებიათ ცოცხლივ დაჭერა. ის მართლაც დაუტყვევებიათ და თან წაუყვანიათ; მაგრამ გზიდგან გამოჰპარვიათ და სხვებს ერევნის ბოლოს მოუკლავთ. ამ დროს გამოუთქვამთ მასზე შემდეგი ლექსი:

ქართლიდამ გამოვეპარე
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგძლათა
შიში და ცრემლის ღვარიო;
თრიალეთის ხევ-ღნარებში
შევინახევი თავიო;
მერმე სომხეთში წაველი
შიშისგან ვიხსენ თავიო.
იქ ერეკლე ამობძანდა
შევკადრე სიტყვა აიო:
ბატონო მეფევ! რად მიყავ
რად მიყავ, ესე ავიო?...
ომი მოგვიხდა თათრებთან
სულ გასწყდნენ წყნეთელებიო,
აღარა დარჩნენ გმირები,

ატირდნენ კლდე და მთებიო
მეც ტყვეთა მიპყრეს, შემბოჭეს,
სპარსეთში ვიხსენ თავიო,
მაგრამა ერევნის ბოლოს
დავკარგე თავი ვაიო.

2) მეორე ლიოს-შესანიშნავი ქალი, წაკისელი თინა, ყოფილა გაბაშვილის ყმა. იმას გამოუჩენია ისეთივე გმირობა, ხასიათის სიმტკიცე და გლეხთადმი გულშემატკივრობა, როგორც მაიას. სიყმაწვილობაშივე მას მოუკლავს ღამით ქვეშაგებში თავისი ბატონი გაუპატიურებისათვის; მაგრამ დამნაშაობა მისი ვერ შეუტყვიათ. შემდეგ ამისა გასულა რამოდენიმე ხანი, ისა და კიდევ სხვა გოგო-ბიჭები მიუყიდნიათ სპარსელებისათვის. გზაზე მიმავლობის დროს მსყიდველთ მოუნდომნიათ მათთვის ნამუსის ახდა. თინას შეუტყვია მათი განზრახვა, დაურიგებია თავის ერთ-ბედ ქვეშ მყოფი ამხანაგები, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამ შემთხვევაში, როცა დაუწყვიათ მათი წვალება სპარსელებს, ქალებს. . . . . წაუძვრიათ მათთვის ხანჯლები და დაუხოცნიათ ყველანი, თვითონ შემსხდარან მათსავე ცხენებზე, წამოსულან მეფე ერეკლესთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბნიათ. მეფეს გაჰკვირვებია და უკითხავს: ვინ გასწავლათ ეგ ხერხიო? თინას ძალიან შეჰშინებია, ამ შემთხვევამ არ გამოაშკარაოს ჩემ მიერ ბატონის მოკვლაცაო. მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, რომ ბატონიც მისგან იყო მოკლული. მეფეს სხვა ქალები ყველანი დაუთხოვნია, თინა კი სასახლეში შეუნახავს. სასახლეში ყოფნას თინასე დიდი გავლენა ჰქონია: მას კარგად შეუსწავლია თოფის სროლა, ხმლისა და ხანჯლის ხმარება და ცხენზე ჯდომა, ამის შემდეგ ალარ განშორებია მეფეს. მას სცმევია კაცური ტანისამოსი. საცა კი მეფეს გაულაშქრნია, ისიც თან გაჰყოლია. მას არა ერთხელ წინაშე მეფისა უსახელებია თავი

მამაცობით, მხნეობით და მტერთან ხმლის ხმარებით. არა ჰსურვებია ქმრის შერთვა, მაგრამ ერთ ომში თინას და ერთს გლეხს ისე მამაცურად უომნიათ, რომ მეფეს ძლიერ მოსწონებია ისინი, მიუწვევია თივისთან ორივენი და უბრძანებია მათთვის ცოლ-ქმრობით შეუღლება, მათ აღუსრულებიათ ბატონის ბრძანება და დასახლებულან წავკისს. ამის შემდეგ თინა თუმცა დაშვილიანებულა, მაგრამ მას მაინც არ მოუკლია ქვეყნისათვის სამსახური. ეს ყოფილა თავის სოფლის წავკისის მცველი მტერთაგან. ერთხელ მეფეს აქაური გლეხები ყველანი მდევრად გაეყვანა. ამ დროს თურმე დავარდა ხმა, რომ წავკისს დარბევას უპირებენ თათრებიო. თინას შეუტყვია თუ არა ეს ამბავი, მაშინვე აურეკია სოფლის დედა-კაცები გოგბიჭებით ერთ კოშკში, აღსავალ კიბის სათოფეებზე დაუწყვია ფუტკრის სკები, ჩაუკეტია ორივ მხრით ძირის კარები შიგნიდგან და უბრძანებია: მე მივდივარ თბილისს მეფისთვის შესატყობინებლად, თქვენ ნუ გეშინიანთ, მაგრად იყავით: თუ მტერი მოადგეს კოშკს, დაამტვრიოს ძირის კარები, ამოვიდეს კიბეზე, სათოფედგან კიბისკენ სკიდგან ფუტკარი გაუშვით, რომ მტერი ჩვენს მოსწრებამდე შეაჩეროს. ამ განკარგულების შემდეგ თინა გამოფრენილა თბილისს მეფესთან. ამ დროს მტერიც მისდგომია კოშკს, შეუმტვრევია გარეთ კარები. ასულა ბნელს კიბეზე და მისდგომია ზევითა კარებს. შიგ შეხიზნულ ქალებს გაუხსნიათ სკა, გამოუშვიათ სათოფიდგან კიბეზე ფუტკარი, რომელსაც დაუწყვია საშინელი ბზუილი ბნელაში, და კბენა თათრებისთვის. ასე უწვალებიათ თათრები, ვიდრე თინა არ მისწრობია ჯარით და არ დაუმარცხებია მტერი.

ამის შემდეგ თინას ქმარი მოჰკლომია და დარჩენია ორი ვაჟი შვილი. ერთს რქმევია გიორგი. აღამაჰმადხანის მოსვლის წინ თინა ერთს ომში მტერს ტყვეთ ჩავარდნია და მაშინ მეფისთვის ლექსით შემოუთვლია:

„შენ გენაცვალე მეფეო, შენ გენაცვალე, შენაო!
გიორგი არ მომიმშიო, სულ შეაჯერე თემიო.
მეც მალე დაგეხმარები, თუ რომ გამიხსნეს ხელიო,
თუ არა და მომაშველეთ ნახშირ-ფორელი მღვდელიო“.

ამაზე მეფეს, თუ არ ვიცი სხვას, პასუხად უთქვამს ლექსით შემდეგი ორი სტრიქონი:

„თინიავ! რამ შეგაშინა, ნუ შეგეცვალა ფერიო!
შენ დაგვეკარგე, მაგრამ არვინ არს შენი ფერიო“.

მეფეს გამოუხსნია იგი ტყვეობიდგან, მაგრამ კიდევ მალე ტყვედ ჩავარდნილა. აღამამად-ხანის ბრძოლაში ხელმეორედ დაუჭერიათ თინა; აქედგან რომ დაბრუნებულა, მოლნისის მხარეს მოუკლავთ. გადმონაცემი ამბობს, რომ მეფე ერეკლემ ის დაასაფლავებინა ბოლნისის სიონის გვერდით, საცა მისი ქმარიც ემარხა და საფლავის ქვებზე ცოლ-ქმართ სახე ამოაჭრევინა გვირგვინითაო, მათი ობლები კი მოიყვანა და სასახლეში ზრდიდაო. ასე მოუთხრობდა თურმე ამ ამბავს ასლან ბებუთოვი.

3) თამრო ვაშლოვნელის მოქმედება უფრო ვრცელია, ვიდრე მაიასი და თინასი. სოფელი ვაშლოვანი არის კოჯორის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. თამრო დაბადებულა აქ მე-XVIII საუკუნის დამლევს. მისი დედმამანი ყოფილან გლეხნი. მისი ძმა მომკვდარა თბილისს 1817 წელს და იმას უამბნია თავის დაზე ბევრი რამ გასაკვირი, მაგრამ სამწუხაროდ ყველა მისი მოქმედება დაწვრილებით არ არის მოხსენებული მის ცხოვრების დამწერისაგან. რაც არის დაწერილი ჩვენ იმასაც მოკლედ მოვიხსენიებთ.

თამროს დედა მალე მოჰკდომია და მის მამას მეორე ცოლი შეურთავს. მამაც რომ გამოჰსალმებია ამ წუთის სოფელს, ბატონს ის ვილაცა ყაჩაღისთვის მიუყიდნია; მაგრამ თამროს თვითონვე დაუხსნია მისგან თავი. როცა

თურმე ბრუნდებოდა უკან მამისავე ოჯახში, იმან გამოიარა ერთ ტყეში, საცა დათვი დაჰხვდა წინ და წაეჭიდა, მაგრამ უშიშარმა გმირმა ქალმა მოჰკლა დათვი და დაიხსნა თავი მეორე განსაცდელისაგან. ის მოვიდა სოფელს ვაშლოვანს და სცხოვრობდა თავისუფლად. იმას ახლა ბატონი აღარა ჰყვანდა, რადგან ტყვეობიდგან ვინც თავს იხსნიდა მეფის კანონისამებრ თავისუფალი იყო. სოფელში უიმისოთ არა კეთდებოდა-რა. ის ყოფილა „სასტიკი და გაუტეხარი მეხი დედა-კაცი“, რის გამო მისი სახელი განთქმულა საქართველოში. იგი ყოფილა თავის სოფლის ვაშლოვანის მცველი მტერთაგან. ერთხელ ვაშლოვანს თათრები დასცემიან, აუკლიათ სოფელი, დაუნგრევიათ ეკლესიები და ბევრნი მცხოვრებთაგანნი ტყვედ წაუყვანიათ. თამრო გამოსდგომია მათ, დასწევნია თავის დასტით და ისეთი საკვირველი სარდლობა- და გმირობა გამოუჩენია, რომ მტერი ძლიერ დაუმარცხებია და განუთავისუფლებია ქართველი ტყვეები. ეს ამბავი მეფეს რომ შეუტყვია, ძლიერ დიდის მადლობით უთქვამს თამროსათვის: „ოჰ, შვილო! შენ გენაცვალოს ჩემი მოხუცი თავიო, რომ შენის მაგალითით კაცებიც გამხნევდნენო“. მერე მიუცია მისთვის და მის ამხანაგებისთვის ტყვიაწამალი და ერთ ზარბაზანსაც დაჰპირებია. თამროს თავის დასტაში ბევრი მეომარი ქალებიც ჰყოლია.

ამის შემდეგ ბევრს კაცს მოუნდომნია თამროს ცოლად შერთვა, მაგრამ იმას ყველასთვის უარი უთქვამს. ის თურმე ამბობდა: „მე დედა-კაცი არ ვიყო, თუ რომ მამა-კაცს დავემორჩილო! ჩემი ჯანი და ღონე მის წყალობით და მის სიყვარულით რად უნდა გავაქრო?! არა, მე ქმარს არ გავყვები და ამ აზრს მე ვერავინ შემიცვლის. მე რომ გავთხოვდე, მაშინ სიმხნე და ვაჟ-კაცობაც დამეკარგება ქმრისთვის მორჩილების წყალობით და თუ სხვაგანაც მოიპოვება ჩემისთანა ფალავანი ქალი, იმასაც

ვურჩევ ქმარი არ შეირთოს. არა, მე ქმარი არა მსურს. ჩემი გულითადი წადილი არის მხოლოდ სამსახური ჩემის მოძმეებისა და ქვეყნისა; მე მსურს ჩემი ქალობა სამშობლო ქვეყნის სამსახურს მოვანდომო და თათრების ჯავრი ამოვიყარო: ვებრძოლო სამარის კარამდე იმათ, ვინც ჩვენის ქვეყნის დამხობას მეცადინეობენ".

მეფე ერეკლეს მეტად მოსწონებია თამროს ცქვიტი ლაპარაკი და აღტაცებულს მაშინვე უჩუქებია ერთი ლურჯი ცხენი თავის აღკაზმულობითა და კიდევ სხვა და სხვა საჩუქრები.

ამის შემდეგ თამრო მოუღალავად ებრძვის მტერს. სადაც კი მის ხმას გაიგონებს, ის შავარდენივით იქ მიეშურება ღვთისრისხვის დასაცემად. ერთ ღამეს ლეკები დაეცნენ ვაშლოვანს. თამრო მათ გადაუდგა წინ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იბრძოდა თავის დასტით და ბოლოს განდევნა ისინი სოფლის გარეთ. ამაზე არის ნათქვამი ლექსი:

„ლეკები სულ გავაქციეთ მთვარიანი ღამითაო,
უკან თამრო გამოუდგა ჯანგიანი ხმალითაო;
ჩვენცა თამროსა გავყევით, გვიკვირდა სულ თავადთაო,
ლეკები მთლად გადავრეკეთ, ვარბენინეთ სხვა გზითაო".

აღარ გასულა კიდევ დიდი ხანი, დავარდნილა ხმა, რომ ვაშლოვანს თათრები დაცემას უპირებენო. თამროს მაშინვე შეუხიზნავს მცხოვრებნი საფარში, თვითონ შეიარაღებულის ხალხით ჩაჰსაფრებიან ერთ ვიწრო ხეობაში. თათრების ახლო გავლის დროს, გამოსულა თავის ლურჯათი და გაუქროლებია ხევის გვერდზე. თათრები დასდევნებიან უკან და შესულან ვიწრო ხეობაში: მაშინ ჩასაფრებულ ქართველებს დაუშენიათ თოფები და მრავალი მათგან მოუკლავთ. ამ დროს თამროც გამობრუნებულა და ერთობლივ მეხსავით დასცემიან მტერს, დაუხოციათ და წაურთმევიათ სოფლების დარბევაში ნა-

შოვნი დავლა. ამისათვის ხალხსა და მეფეს თამროსათვის დიდი მადლობა უთქვამთ; მაგრამ ერთს ავს აზნაურს მისი დიდება და ქება შეჰშურებია და ქვეყნის ღალატობა შეუწამებია წინაშე მეფისა. უკანასკნელს წაუყენებია მაბეზღარი პირში თამროსთვის, რომელსაც დაუმტკიცებია მეფისთვის თავისი ერთგულება სამშობლო ქვეყნისა და მტრობა და ღალატობა თვით იმ მაბეზღარის აზნაურისა. მაშინ მეფეს უთქვამს თამროსათვის: „წადი შვილო, თამრო! ღმერთი შენთან არს, და იყოს იგი კვლავ შემწე შენი. შესანიშნავი ხარ დედათა შორის და მასახელებელი შენის სქესისა. ეცადე შვილო! შენის მაგალითით მამაკაცებიც გაუერთგულო სამშობლო ქვეყანასა«.

ამ დროს მეფესთან ყოფილან მრავალნი თავადნი და რადგან მოსწონებიათ თამროს ახოვანება, უთხოვნიათ დაჭიდება ერთ გამოჩენილ ფალავანთან. იმას უარი არ უთქვამს და ძლიერად დაუმარცხებია წინაშე მეფის მოწანააღმდეგე. მაგრამ ამ ფალავნობამ თამროს თურმე ბევრი მტერი აუჩინა. ამისათვის ის დიდხანს დამალულა და ალარავისა სჩვენებია. ხალხს ჰგონებია, რომ თამრო მოჰკლეს სადმეო და გამოუთქვამს მის შესახებ ბევრი ლექსები. აი ორი მათგანი:

1.

ვაშლოვნელებს ვიღა მისცემს
საყვარელს მათსა ქალსაო,
მეომარსა ფალავანსა
და გმირებისა ცალსაო.

2.

თამრო ვაშლოვნელსაო,
ვაშლი უდგია თავსაო:
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს
მისი საფლავის გარსაო.

გარს დამტირებელი არ ჰყავს,
ნეტარება მის გვამსაო
ზედ ანგელოზები ჰფრინვენ
და ჰგალობენ ნანასაო.

თამროს დიდხანს უმალავს თავი, მაგრამ ბოლოს ის გამოუყვანია მეიდანში ერთის გლეხის უბედურობას, როცა მას უნახავს ის გლეხი მტირალი და მეფესთან მიმავალი საჩივლელად. თამრო დაუყოვნებლივ თვითონ მისულა მეფე ერეკლესთან და უჩივლია ხალხის მწვალებლებზე. მეფეს ძლიერ სწყენია ბოროტ-მოქმედება ბატონებისა, დაუბარებია ისინი და ძლიერ დაუტუქსავს. ამ სახით თამროს დაუხსნია გლეხის ოჯახობა უბედურობისაგან, მაგრამ თვითონ გადაუმტერებია ბატონები. ამათ წინადაც თურმე ძალიან ეჯავრებოდათ ის გლეხთა წასარჩლებისათვის და ახლა ეს სიძულვილი მათ მტრობად გადაექცათ. დაუწყეს დევნა. ერთ დღეს დაიჭირეს რამდენიმე კაცმა, წაიყვანეს და მდინარე მტკვარში ჩააგდეს. თამროს აქ ბევრი უწვალნია და ბოლოს ერთ ბურჯზე წყალს რომ მიუხეთქებია, უხმარნია უკანასკნელი ძალა და ასულა იმ ბურჯზე, მაგრამ იქიდგან სისუსტისა გამო ველარ ჩამოსულა და მშიერ-მწყურვალს სული განუტევებია. გასულა რამდენიმე ხანი, ის უნახავს მემცხვარეს, შეუტყობინებია სოფელში, გლეხებს ჩამოულიათ მისი ყვავ-კაჭკაჭისაგან დაწიწკნილი და შეჭმული გვამი და დიდის პატივით დაუსაფლავებიათ თრიალეთის ეკლესიაში, ამაზე არის ნათქვამი ლექსი:

თრიალეთს დიდსა საყდარში
თამარი ასაფლავია:
მისებური ქალი ერთგული
ჩვენ არავინა გვყოლია...

—

ჩიტებმა უწყეს ჭიკჭიკი
სიმღერა თამარასაო

ჩვენ იმას ვიღა გვაჩვენებს
ისა სძევს სამარესაო.

ამავე დროს ქიზიყს, სოფელ ანაგაში, სცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხის ქალი და ისეთი მამულის მოყვარე, რამ ყოფილა, ისე გაბრაზებული ჰქონია გული საქართველოს მტრებზე, რომ ამის გამო ერთხელ მეფე ერეკლესათვის შეურაცხყოფა მიუყენებია, რადგან ტან-ჩაცმულებაზე უფიქრია, რომ ის უთუოდ სპარსელი უნდა იყოსო. ეს ქალი თურმე ლელვზე იყო ასული და ამ დროს მეფემ გაიარა გზის პირას ანაგაში. გულმა არ მოუთმინა, მოგლიჯა ლელვი და შიგ ზურგში სთხლიშა. ის მაშინვე დაიჭირეს, გამოჰკითხეს მიზეზი ამგვარის ქცევისა და იმანაც აუხსნა, რომ მტერი ყიზილბაში მეგონაო: რა ვიცოდი, თუ ჩვენი მეფე იყოო? მაგას ტანისამოსი ჩვენებურად რატომ არ აცვია, თუ რომ მართლაც ეგ ქართველთ შეფე არისო. მეფე არამც თუ არ გასწყრომია ამას კადნიერებისათვის, არამედ მადლობაც კი უთქვამს მის შეშინებულ მამისთვის, რადგან ასეთი მამულის ერთგული შვილი გაეზარდა. ქალს ტანზე ძალიან დაკონკილი ტანისამოსი სცმია, მეფეს საჩუქარი მიუცია მამისათვის მის შესამოსად.

ქართველი დედა-კაცები არამც თუ საქართველოში ებრძოდნენ მტერს, არა სტოვებდნენ მას დაუსჯელად. ამბობს ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე, უცხო ქვეყანაშიაც. პოლონეთის მწერალმა კრუზინსკიმ, რომელიც მე-XVIII საუკუნეში დიდხანს იმყოფებოდა სპარსეთში და დასწერა ისტორია თეირანში ქართველთა ლაშქრობისა სპარსეთში, ამბობს: 1725 წელს მოვიდა საქართველოდგან ისპაანს ჯავრის ამოსაყრელად ერთი დედა-კაცი, რომლის ქმარიც მოეკლათ გულბანდის ომში. ძვირად დაუჯდათ ავღანელთ იმის ქმრის სიკვდილი. იმან მოჰკლა სხვა და სხვა ჩხუბში 90 კაცი და მხოლოდ მაშინ იცნეს ის, რომ

დედა-კაცი იყო, როცა ერთს ომში დაიჭირეს, მაგრამ იმის გმირულს მოქმედებას პატივი სცეს და მაშინვე განთავისუფლეს [1]).

მე-XVIII საუკუნის დედა-კაცებს ეკუთვნის მეფე ერეკლეს ცოლი დარია, ანუ დარეჯან დედოფალიც. ეს იყო ასული გიორგი დადიანისა. დარეჯანს უფრო კარგად ესმოდა ის შედეგი, რაც თან მოჰყვებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ვიდრე მეფე ერეკლეს. ბუტკოვი ამბობს, რომ მეფე ერეკლეს ეწადა საქართველოს შეერთება რუსეთთან, მაგრამ დედოფალი დარია არ გახდა ამის თანახმაო [2]). ამავე მწერლის სიტყვით დედოფალი იმისთვის ეწინააღმდეგებოდა მეფის განზრახვას, რომ „რუსეთის ჯარების კავკასიაში შემოსვლის შემდეგ საქართველოს შინაური მდგომარეობა უფრო სამწუხარო შეიქმნა [3]). მართლაც, 1785 წლიდგან საქართველო ისეთ უბედურებაში ჩავარდა, რომლის მსგავსი მას არ ენახა შაჰაბასის დროსაც. მეფე ერეკლეს ასეთი ყოფა სამეფოსი ძლიერ სწყინდა, მაგრამ მის ნაღველს დედოფალი არამც თუ არ განაქარვებდა, არამედ უფრო უმატებდა. მეფემ შეჰკრა რუსეთთან პირობა ერთად მოქმედებისა მტრების წინააღმდეგ და დარია ამ გარემოებას აბრალებდა საქართველოს მტრების აშლას და აოხრებას [4]).

ამის შემდეგ მეფე ერეკლე გატყდა, იმედი გაუკრუვდა და სიმტკიცე მის მღვიძარე სულისა შეირყა. მან ნახა ბევრჯელ ცვლილება თავის ბედისა, ამან გაუტეხა მას უმანკო გული და შრომამა და მოხუცებულებამ მოდრიკა წელში; დღითი დღე უფრო სუსტდებოდა. ამ გა-

---

[1]) იხ. ჟურ. „ცისკარი" 1860 წ. № I.

[2]) იხ. Матер. для исторій Кавказ. ч. II, გვ. 481 და 482.

[3]) იხ. იქვე გვ. 177.

[4]) იხ. იქვე გვ. 188.

რემოებაში დარია გაერია სამეფო საქმეებში. 1785 წლიდგან მეფის სიკვდილამდე ის თითქმის თავის ნებაზე განაგებდა სამეფო საქმეებს [1]). დარეჯანს ახლა ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოში, რომ იმპერატრიცა ეკატერინა საქართველოს საშველად ჯარის გამოგზავნას ატყობინებდა როგორც მეფე ერეკლეს, აგრეთვე დარიას და სთხოვდა ერთსაც და მეორესაც, მათაც თავიანთი ჯარები შეერთებინათ მის ჯარებთან [2]); მაგრამ წამხდარი საქმე იმან ველარ გამოაგო, მით უფრო უმეტეს, რომ მტერნი აღმოუჩნდნენ მის განზრახვას.

მწარე გარემოებაში ჩავარდნილი ერეკლე 1798 წელს, 11 იანვარს გარდაიცვალა თელავში. მაშინ აღმოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელთაც ეწადათ დარიას გამეფება. მაგრამ თვით მას უნდოდა თავის უფროსის შვილის იულიონის გამეფება და მის სახელით სამეფოს გამგეობა. ასეთი მათი განზრახვა ჩაშალა გიორგიმ. მოკვდა თუ არა ერეკლე, მან გამოაცხადა თავისი მეფობა და ჯარი და თავადობა ძალად შეიფიცა ერთგულებაზე. მაგრამ დედოფალი მაინც არ დაწყნარდა. ის ცხადად წინააღმდეგი გაუხდა გიორგის მეფობას. ამის გამო იმპერატორმა პავლე I-მა მოსწერა საქართველოში მყოფ კოვალენსკის ბეჯითი თვალყური სჭეროდა მის მოქმედებაზე. ამგვარმა საქმეებმა ააყაყანეს და ააშფოთეს საქართველო. გაჩნდა ორი თარაფი: ერთს სწადიან მეფედ გიორგი, მეორეს დედოფლის შვილი იულიონ. მაგრამ გიორგი მეფემ, რომელსაც სნეულობისა გამო სრულიად აღარ შეეძლო მეფობა, გარდასწყვიტა თავის მომხრეებთან საქართველოს რუსეთისთვის მიცემა. ამის თაობაზე დაიწყო კიდევაც ლაპარაკი რუსეთის სამეფოს კართან; მაგრამ ისე ჩუმად უნდა ყო-

---

[1]) იხ. იქვე გვ. 336.

[2]) იხ. იქვე. გვ. 344.

ფილიყო ეს საქმე წარმოებული, რომ დარიას არ შეეტ-ყო, რადგან ის წინააღმდეგი იყო რუსეთთან შეერთებისა. 1801 წელს, 18 იანვარს, გათავდა ამ საქმეზე ლაპარაკი და დაიწერა მანიფესტი იმპერატორის პავლე პირველისაგან შეერთებაზე.

ამის შემდეგ დედოფალი დარია შვილებითურთ გადაასახლეს რუსეთში: მაგრამ მაინც არ დაწყნარდა. მუდამ ჩიოდა და მეცადინეობდა საქართველოში დაბრუნებას; სწუხდა და შფოთავდა, რომ მან დაჰკარგა თავისუფლება. ეს ამბავი საქართველოში კარგად იცოდნენ და ქებას უძღვნიდნენ დედათა სქესს. აი რას ამბობს ამ დროის დედა-კაცის გულის მოუდრეკელობაზე პოეტი ბარათაშვილი:

ჰოი დედანო! მარად ნეტარნო
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?

ბევრის ავის თქმა და კარგის თქმა კიდევ შეიძლებოდა დარია დედოფალზე, მაგრამ ჩვენ აღარ ვაგრძელებთ იმაზე ლაპარაკს. დაე დანარჩენი გამოიკვლიოს იმან, ვინც შეუდგება ერეკლეს მეფობის აღწერას. ჩვენის მიზნისთვის ის ფაქტებიც კმარა, რაც მოვიყვანეთ საზოგადოდ ქართველ ქალებზე მთელს ჩვენს „ისტორიულს სურათებში“ და მით გამოვხატეთ ქალების ხასიათი, მოქმედება, ჭკუა-გონება და მიმართულება.

მაგრამ აქვე არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ის ფაქტიც, რომელიც ქალებმა ჩაიდინეს 1877 წელს. ყველას ეხსომება, რომ იმ წელს ქიზიყში ქალებმა სცემეს ორი ბობოლა კაცი უსამართლობისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს რუს-ოსმალოს ბრძოლის დროს. ამ შემთხვევა-

ში ქართველმა ქალებმა კიდევ გამოიჩინეს თავისი ისტორიული თვისება,—სიმტკიცე და მედგრობა ხასიათისა, აგრეთვე ერის კეთილდღეობის სურვილი, სიყვარული და გამჭრიახობა. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ იმათი გული ჯერ კიდევ ისე არ არის დაჩაგრული, როგორც მამა-კაცებისა: ნუ დაივიწყებთ იმ ფაქტსაც, რომ ქალებმა შეადგინეს წრე და აბეჭდვინებენ ერთად თავიანთ თარგმანს. მათ ორი წიგნი კიდევაც გამოსცეს საზოგადო შრომით და თანხმობით; მამა-კაცებს კი აგერ რამდენიმე წელიწადია განზრახვა აქვთ გამოსცენ კრებული ძველის ხელთნაწერებისა და ჩვენის დროის შესანიშნავ წერილებისა და თხზულებებისა, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ თავიანთ შორის უთანხმოებისა გამო, ცხადია, თუ რომ რიგიანი განათლება მისცეს ქალებს, ისე ასწავლეს მაინც არის, როგორ მამა-კაცებს, არასოდეს არ დაჰკარგვენ თავიანთ ისტორიულს მნიშვნელობას მომავალშიაც.

რაში მდგომარეობდა ეს მნიშვნელობა, ჩვენის „ისტორიულ სურათების: მკითხველი თვითონაც კარგად მიხვდებოდა; მაგრამ ჩვენ მაინც გვსურს დავასკვნათ ჩვენი შრომა მის შესახებ ორიოდე სიტყვის თქმით.

„ჩვენ რომ მოვიწადინოთ შეტყობა, ცუდი იყო თუ კარგი, ამბობს ბოკლი, დედა-კაცების გავლენა კაცობრიობაზე, უეჭველად უნდა გავსტყდეთ და დავრწმუნდეთ, რომ საზოგადოდ ეს გავლენა მეტის მეტად საკეთილო ყოფილა. მან შემოიტანა ადამიანის ცხოვრებაში იდეალური და რომანტიული თვისება (элементъ), დაიცვა კაცი მარტო ჭამა-სმაზე მზრუნველობისაგან, გადაასხვაფერა და არ მისცა მას ნება ერთნაირად ცხოვრებისა. ამ გავლენამ დედა-კაცებისამ შეამწყვდია და შემოზღუდა მამა-კაცების გულსასტიკობა და მძლავრობა და ამ სახით მოუსპო მათ უფლება მარტო თავის ნებაზე საზოგადო ცხოვრების მართვისა: გამოქნა და დაალბო მათი სასტიკი

ზნე. ამ შემთხვევაში მათის გავლენისაგან მოტანილი სარგებლობა დიდიც არის და ეჭვს გარეთაც...« »მათ თუმცა არ შეუძლიანთ რასმე დიდს გამოკვლევას შეუდგნენ, მაგრამ მათს ჭკუა-გონებაშიო, ამბობს იგივე მწერალი სხვა ალაგას, ჩათესილია ისეთი უკლებელი თვისება, რომელიც ძალას აძლევს მათ წააქეზონ კაცობრიობა გამოკვლევისა და განათლებისადმი". თუ ეს ასე ყოფილა, ბოკლის აზრით, ყოველგან ქვეყანაზე, რატომ ასევე არ უნდა ყოფილიყო დედა-კაცების გავლენა ჩვენშიაც! დიალ! უკანასკნელად ვამბობ, რომ ქართველ ქალებსაც დიდი გავლენა ჰქონიათ საქართველოს ერის განათლებაზე, პოლიტიკურსა და სამოქალაქო ცხოვრებაზე. ქართველებს არა გაუკეთებიათ-რა თავის ისტორიულ ცხოვრებაში, რომ ქალებსაც არ მიეღოთ მონაწილეობა იმ საქმეში. იმათ მამა-კაცებთან ერთად უომნიათ მტერთან სახლკარის და თავისუფლების დასაცველად; ისინი აროგებდნენ და ამშვიდებდნენ მაჩხუბართ; იმათ ხელში იყო ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა; ისინი შეადგენდნენ ისეთს გარეგანს ძალას, რომელიც ამხნევებდა და აქეზებდა კაცებს მოქმედებისათვის, მათ თვალში დაბლად და უხეიროდ გამოჩენა მამა-კაცისათვის თავზე ქუდის მოხდას ნიშნავდა. აი ამისათვის იმათ ჰქონიათ დიდი პატივი მამა-კაცთაგან და ფასი სდებია მათ სიტყვას; არ ყოფილან ისინი მოკლებულნი თანასწორს უფლებას კაცებთან ერთად. მათ ჰქონიათ თავიანთი საკუთრება: მზითევი, საქონელი, მიწა-წყალი და სხვანი. „თუ ჯოგი წაასხან რაზომიცა სულისა იყოს, ამბობს აღბულას კანონი მეთოთხმეტე საუკუნეში, თავ-თავისად გაცრცვილი საპატიოდ დაუურვოს: მამა-კაცისა 2000 ათასი, დიაცისა 3000 ათასი" (მუხლი 141): დიალ! იმათ ორივეს ერთნაირად უწევიათ ჭაპანი პოლიტიკიკურის და სამოქალაქო ცხოვ-

რებისა, რადგან ერთგვარი უფლება ჰქონიათ საზოგადოებაში და ოჯახში.

ჩვენ ეს აზრი გამოვიტანეთ იმ ფაქტებიდგან, რომელნიც უკვე მოვიყვანეთ, და თუ სხვა ამაზე მომეტებულს იშრომებს და უფრო უჭეშმარიტეს აზრს შეადგენს ქალებზე, „ჩვენი ესე თქმული არა იქნების დამაყენებელი უმჯობესისა და უჭეშმარიტესისა დასკვნისა“. მაგრამ თუ კრიტიკოსმა არ მიჰხედა ჩვენ მიერ ნაჩვენებ ფაქტებს და თავის ფილოსოფიურის ჭკუით წინააღმდეგის თქმა დაიწყო, მაშინ ჩვენ თავისუფალი ვიქნებით ყური არ ვუგდოთ მის ლაპარაკს. ჩვენის მხრით ჩვენ გამოვიკვლიეთ და შევკრიბეთ, რაც კი იყო თქმული ქართველ ქალებზე ავიცა და კარგიც, რამდენადაც შევიძელით, დავდეთ ორივე ჩვენს ჭკუის სასწორზე და შევადგინეთ ის აზრი, რომ ქართველ ქალების გავლენა ცხოვრებაზე ძალიან საკეთილო იყო. ვინც ახლა ამ აზრის წინააღმდეგნი არიან, ფაქტებით გველპარაკონ და ჩვენც დიდის სიხარულით მივიღებთ მათს ჭეშმარიტს დასკვნას. მარტო იმის თქმა, რომ წარმოდგენილი ფაქტები არა კმარა ქართველ ქალზე ასეთი ბრწყინვალე აზრის შესადგენადაო, ჩვენს აზრს სრულიადაც ვერ გააცრუებს. ეს ჩვენც კარგად ვიცით: მომეტებული რომ იყოს ფაქტები, ჩვენი დასკვნა უფრო საფუძვლიანი იქნებოდა. ამაზე ლაპარაკიც არ არის საჭირო. ჩვენ გვიპასუხონ მკითხველთ მხოლოდ იმაზე: ჩვენი დასკვნა უფრო საფუძვლიანია, თუ იმ კრიტიკოსთ მსჯელობა, რომელნიც ჩვენს აზრს უსაფუძვლოს ეძახიან და ამბობენ, რომ მეცნიერულად არ არის დაწერილი ეს წერილიო. ჩვენ ჯერ-ჯერობით არც გვქონია სახეში მეცნიერულის სამართებლით გვეპარსა ფაქტები. ჩვენ დავსწერეთ ჟურნალისათვის მდაბიურის ენით მხოლოდ ადვილად გასაგონი წერილი, რომელშიაც შემოვიტანეთ მხო-

ლოდ სია ფაქტებისა, თუ როგორ მოქმედებდნენ ქალები ქართველთ ისტორიულ ცხოვრებაში. ჯერ ფაქტები უნდა იყოს, მერმე მეცნიერული დასკვნანი. ამასთანავე ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს ახლავე გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ წერის დროს არა გვქონია სახეში—გვეჩვენებინა ქალების უფლება ოჯახში და საზოგადოებაში. ამ კითხვას ჯერ გამოკვლევა უნდა და ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხეთ მას, რამოდენადაც ნებას გვაძლევდა ამ საგანზე ლაპარაკს რომელიმე ფაქტი და თქმულება.